

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Georgian Academy of Sciences  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

# საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

## XVII

# Linguistic P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“  
"KARTULI ENA" Publications  
თბილისი 2004 Tbilisi

81.2  
800  
ს 157

### „საენათმეცნიერო ძიებანის“

XVII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

"Linguistic Papers" volume 17 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია; EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia,  
**გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **G. Gogolashvili** (editor-in-chief),  
**ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **N. Daraselia, Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili,  
**ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), **R. Landia, N. Loladze** (deputy editor-in-chief) Ch. Kiria, R. Kurdadze, M. Kurdiani  
მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, **რ. ლანდია, ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი** ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

ქეთევან ილუჩიძე

**ბრუნების საკითხები XIX საუკუნის I ნახევრის  
ქართული ენის გრამატიკაში**

XIX საუკუნის I ნახევარში შექმნილი ქართული გრამატიკები მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული ენის შესწავლის ისტორიისათვის. აქ ვხვდებით სერიოზულ ნაშრომებს: იოანე ქართველიშვილის გრამატიკას (1809წ.; 1814წ.), იოანე ბაგრატიონის გრამატიკას (1829წ.), სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებულ ქართულ ღრამატიკას“ (1830წ.), მარი ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებელს“ (1834წ.), პლატონ იოსელიანის „პირუნი ღდაწყებითი კანონი ქართული ღრამატიკისას“ (1840წ., 1851წ.), ვარლამ არქიეპისკოპოსის მიერ რუსულ ენაზე შექმნილ „მოკლე ქართულ გრამატიკას“ (1802წ.), გოდერძი ფირალოვის რუსულ-ქართულ გრამატიკას (1820წ.), ფილადელფოს კიკნაძის „ქართულ ღრამატიკას“ (ჩვენამდე ფრაგმენტულად შემორჩენილს).

დასახელებული გრამატიკები ლოგიკური გაგრძელებაა იმ შესანიშნავი და მდიდარი მემკვიდრეობისა, რომელიც მათ დახვდათ. ეს ნაშრომები სათავეს ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან იღებს. ამოსავალი ერთია, თუმცა კი, მთელ რიგ საკითხებში ორიგინალური შეხედულებები აქვთ.

XIX საუკუნის I ნახევრის გრამატიკულ ნაშრომებში განხილულია გრამატიკის რაობა და დანიშნულება; ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები. ზოგიერთ მათგანში პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის („შეუცთომლად წერის“) კანონებსაც შეხვდებით. ენებიან მეტყველების ნაწილებს, მათ კატეგორიებსა და ფორმაცვალებადობასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს.

მეტყველების ნაწილებზე მსჯელობას იწყებენ სახელებით. იოანე ბატონიშვილი წერს: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, მნიშვნელი არსებისა, გინა ნივთისა, ანუ პირისა რაისამე“ (ბაგრატიონი, 1896, 133).

ვარლამ არქიეპისკოპოსისათვის სახელი გამოხატავს „სახელდე-

ბას ან ნივთობრივ საგანს და გრძნობით გასაგებს — „სახელი“, „სიბრძნე“, „გონიერი“ (ფოცხიშვილი, 1979, 25). ისინი გამოყოფენ სახელის ორ ჯგუფს: არსებითსა და „ზედმესრულს“ (ზედსართავ სახელს). იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოდაშვილი და პლატონ იოსელიანი სახელის განმარტებას სხვა დატვირთვით წარმოადგენენ: „სახელი არს ნაწილი სიტყვსა, რომელიც აჩუღნებს ყოველსა საგანსა, ვითარებასა და რაოდენობასა მისსა“ (დოდაშვილი, 1830, 4). ამის მიხედვით გამოყოფენ სახელის სამ ჯგუფს: არსებითს, ზედსართავსა და რიცხვითს. ცალკე ასახელებენ ნაცვალსახელს, რომელიც „არს ნაწილი სიტყვისა, ნაცვალად სახელისა დაიდების ანუ იხმარების სიტყვათა შინა“ (ბატონიშვილი, 1896, 141). პლატონ იოსელიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ იგი თავიდან აგვაცილებს ერთი სახელის ხშირ გამეორებას, იხმარება „განსალტველად ჰხმირისა განმეორებისა ერთისა და მისივე სახელისა“ (იოსელიანი, 1851, 25). იოანე ბაგრატიონის განმარტება მიჰყვება ანტონისეულს, რომელშიც ცალ-ცალკეა გამოყოფილი არსებითი, ზედსართავი და ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი კი გაკვრით აქვს ნახსენები ზედსართავის შემდეგ: რაოდენობის სახელებიც ასევე იბრუნვიანო. ლ. ლეჟავა შენიშნავს: ანტონის გრამატიკა ასახავს გრამატიკულ აზროვნების იმ საფეხურს, როცა ზედსართავი სახელი გამოყვეს სახელთაგან, მაგრამ რიცხვითი სახელი ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი“ (ლეჟავა, 1956, 438). სახელთა რაობისა და შინაარსეული ჯგუფების განხილვის შემდეგ ეხებიან მათი ფორმაცვალეზადობის საკითხებს.

სახელები ფორმაცვალეზადი მეტყველების ნაწილებია. ისინი იბრუნვიან. „ბრუნუა არს შეცტალეზა დაბოლოებისა, რომლითაცა აღინიშნვიან სხუა და სხუანი რა სამიმართობანი საგანთანი“ (დოდაშვილი, 1830, 7); „ბრუნუა არს ცტალეზა რომლისამე ლექსისა დაბოლოებისა შინა თანახმად რომლისამე კითხვისა ლექსისა“ (იოსელიანი, 1851, 13).

უძველეს ქართული გრამატიკულ თხზულებებში ვხვდებით საუბარს ბრუნებაზე, სახელთა „დრეკაზე“. XI საუკუნეში შექმნილ ქართულ ორიგინალურ გრამატიკულ ტრაქტატში „სიტყვა ართრონთათვს“ დასახელებულია ქართულ ენაში ბერძნული ენის მსგავსად ბრუნების ხუთი ფორმა: ადვილობითი, რომელიც სახელობითის ფორმებს გულისხმობს, შობილობითი ანუ ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი, წოდებითი. დასახელებულ ბრუნვათაგან მიზეზობითი

ბერძნულ ბრალდებითის (აკუზატივის) ბადალი ბრუნვაა და ქართულში მიცემითის ფორმებით არის წარმოდგენილი.

უფრო მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, იტალიელი კათოლიკე მისიონერები ფრანჩესკო-მარია მაჯო (ქართული ენის გრამატიკა, 1643, 1670), გორელი ანონიმი (იტალიურ-ქართული ლექსიკონი, 1724) და პირველი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი (სიტყვის კონა, XVIII საუკუნის დასაწყისი) სახელთათვის ექვს ბრუნვას ასახელებენ: **Nom., Gen., Dat., Acc., Voc., Abl.** აქ უკვე ბრალდებითი (აკუზატივი) სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (**Acc.** ბიჩი, ბიჩები, მამაი, მამაბი... **Nom.** მამა, მამამა, მამაბი...). ნათესაობითი ბრუნვის -გან თანდებულიანი ფორმები ადვილობით (**Abl.**) ბრუნვად შემოდის. ფრანჩესკო-მარია მაჯოს უყურადღებოდ არ რჩება ქართული ენისათვის დამახასიათებელი -მა ბრუნვის ნიშანი („ბიჩიმა, მამამა...“), ამ ნიშნით ნაწარმოები სახელები შეაქვს ბრუნვის სისტემაში, მაგრამ არა ცალკე ბრუნვად, არამედ სახელობითის ვარიანტად.

საინტერესოა სულხან-საბას ბრუნვათა სისტემის პარადიგმა. მართალია, ასახელებს ექვს ბრუნვას, მაგრამ ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით (**A1113** ხელნაწერი — დაწვრილებით იხ. უთურგაიძე, 1999, 95), ადვილობითის (**Abl.**) ნიმუშად რამდენიმე ვარიანტს მიუთითებს, კერძოდ, დღევანდელი ნათესაობითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმას (მამისაგან), ვითარებითს (მამად), მოქმედებითს როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიანს (მამით, მამიდან) და მოთხრობითს (მამამან). მოთხრობითი პირველად სულხან-საბამ გამოყო ცალკე ფორმად.

ზურაბ შანშოვანი („მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“, 1737) ბრუნების ათ ფორმას ასახელებს, ბრუნვათა სახელწოდებებს სათავსართის დართვით ქმნის: საწრფელო, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საძიებო, სადასაბამო, სამეტყველო, საშორისო, საგარემომცო, საწოდებო. ფაქტობრივად, დასახელებული აქვს ხუთი ბრუნვა: საწრფელო, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საწოდებო, რადგან ცალ-ცალკე წარმოდგენილი სამოქმედო („კაცით“) და საგარემომცო („კაცითა“) მოქმედებითი ბრუნვის გაუვრცობელი და გავრცობილი ფორმებია; სანათესაო („კაცისა“), სადასაბამო („კაცისგან“) და სამეტყველო (კაცისას“) ნათესაობითის თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები; ხოლო სამიცემადო („კაცსა“), საძიებო („კაცს“)

და საშორისყოფი („კაცში“) მიცემითი ბრუნვაა, როგორც გაუფრცობელი, ისე გავრცობილი და ბრუნვის ნიშანდაკარგული -ში თანდებული. არ ჩანს მოთხრობითი ბრუნვის ფორმა. ჩამოთვლილთაგან საძიებო ზემოთ დასახელებულ მიზეზობითს უტოლდება.

XVIII საუკუნის ქართველი კათალიკოსი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, შესანიშნავი გრამატიკოსი და საზოგადო მოღვაწე ანტონ I კარგად იცნობს უკვე არსებულ ბრუნვის სისტემას, ბრუნვათა პარადიგმებს; აჯერებს და ავსებს მათ. წრფელობითის გვერდით შემასმენლობითი შემოაქვს. იტალიელი მისიონერების მსგავსად სახელობითის ბრუნვის ნიშნით აფორმებს, უპირისპირებს ფუძის სახით წარმოდგენილ წრფელობითს და განმარტავს: „არღარა წრფელობითად დაჰნიშნავს არსისა არსებასა, არამედ შეასმენს ანუ საყუარელ, ანუ საძაგელი და ანუ სხუა რა მე ყოფად ხატითა რა თამე სხუთა“ (ანტონ I, 1767, 140), თან დასძენს, რომ ეს ბრუნვა ლათინურის, ბერძნულისა და სომხურის მიბაძვით შემოიღო. ელენე ბაბუნაშვილი შენიშნავს, რომ თავად ტერმინი „შემასმენლობითი“ ლათინურის ტრადიციას უფრო უნდა მისდევდეს, ვიდრე სომხურისას (ბაბუნაშვილი, 1956, 87).

ანტონ I-ს მოთხრობითი ბრუნვა უკვე სახელწოდებით შეაქვს ბრუნვათა რიგში და გვაძლევს რვაფორმიან პარადიგმას: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი. ამ საკითხზე მსჯელობისას გაიოზ რექტორიც („ქართული ღრამმატიკა“, 1789) ანტონის გრამატიკას მიჰყვება. განსხვავება იმაშია, რომ გაიოზისათვის წრფელობითისა და შემასმენლობითის ნიშანი — ი გახლავთ, ამიტომ „გულისწმა-ჰყავ, ვითარმედ ამათ შორის წრფელობითი და შემასმენლობითი ჰმსგავსებენ ურთიერთსა და ჰმსგავსცა არიან და განრჩევასა მათსა მიიღებ სუნტაქსსა შინა“ (გაიოზ რექტორი, 1970, 57). გამიჯვნა ამ ორი ბრუნვისა უნდა მოხდეს კონტექსტით, შინაარსით, წინადადების სხვა წევრებთან ურთიერთობით, რადგან მიზეზობითი → საძიებო → შემასმენლობითი პირდაპირი ობიექტის (სახელობითისა და მიცემითის) ფორმებს იტევს. (დაწვრილებით იხ. უთურგაიძე, 1999, 133). პირდაპირ ობიექტზე გადადის ზმნით გამოხატული მოქმედება; „შემასმენლობითად [იწოდების] ოდესცა ქმნილ არს ვის-განმე რა“, ხოლო „წრფელობითად ოდესცა ცხადჰყოფდეს საკუთრად ნივთსა ანუ საქმესა“ (გაიოზ რექტორი, 1970, 57).

გრამატიკულ ტრაქტატში „სიტყვა ართრონთათვის“ ყურადღება

გამახვილებულია ირიბი დამატებისა და პირდაპირი დამატების მიც. ბრუნვაში მდგარ სახელზე, რომელიც „გარნა ქართულად ერთ ლექსად ითქმის, დადაცათუ ძალი ორი აქუს“. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ფორმა და ფუნქცია ქართულში ერთმანეთს არ შეესაბამება (შანიძე, 1990, 73). „ორი ძალი აქუს ამას და ერთითა გუარითა ითქუმის“ (11) აქაც, „ესავ ღმერთსა“ და „ეძიებ ღმერთსა“-ს ფუნქციები „სუნტაქსსა შინა“ გაირკვევა.

XIX საუკუნის I ნახევრის გრამატიკოსები: იოანე ბაგრატიონი, ვარლამ არქივისკოპოსი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოღაშვილი, გოდერძი ფირალოვი ანტონის გრამატიკაზე დაყრდნობით რვა ბრუნვას გამოყოფენ: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი.

გ. ფირალოვი თავისი გრამატიკის სპეციფიკურობის გამო (გრამატიკა ორენოვანია: რუსულ-ქართული) მოთხრობით ბრუნვაზე საგანგებოდ შენიშნავს: „გარნა არა არს რუსულსა ენასა ზედა ასეო“ (ფირალოვი, 1820, 30).

მარი ბროსეს ბრუნვათა რიგიდან ამოღებული აქვს შემასმენლობითი; არც მოთხრობითია მისთვის დამოუკიდებელი ბრუნვა, რადგან ამ ფორმისათვის დამახასიათებელი განმსაზღვრელი ნაწევარი „გან“ დაერთვის ყველა ბრუნვას ორსავე რიცხვში (იოსავა, 1999, 26). სამაგიეროდ, მასთან ვხვდებით მოდალობით და დამთავრებით ბრუნვის ფორმებს. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ორი ბრუნვა მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისაა და ქართულში სწორედ მარი ბროსეს შემოაქვს პირველად (ჩიქობავა, 1956, 12). მოდალობითი „ბაგად“ და დამთავრებითი „ბაგამდე“ ვითარებითი ბრუნვის უთანდებულო და თანდებულისანი ფორმებია. ე. წ. დამთავრებითის ფორმაში „ბაგამდე“ თანდებულის დართვამ მიმართულების გაცემა შესძინა, თუმცა ძველად უთანდებულო ვითარებითსაც ჰქონდა მიმართულების ფუნქცია (ტაძრად წარვიდა). -მდე თანდებულს ბრუნვის ნიშნებს უტოლებს აკაკი შანიძეც, როდესაც კახეთ-ამდე, ქალაქ-ამდე, წყარო-მდე ფორმებს ლოკალური რიგის მიწვევითი ბრუნვის ფორმებად მიიჩნევს (შანიძე, 1980, 74).

საინტერესოა, რომ მარი ბროსე წრფელობითსა და შემასმენლობითს ერთმანეთს უთანაბრებს და ბრუნვათა წყებას ასე წარმოგვიდგენს: წრფელობითი ანუ შემასმენლობითი, ნათესაობითი, მიცემითი, წოდებითი, მოქმედებითი, მოდალობითი, დამთავრებითი (ფინა-

ლური).

ვიციტ, ბრუნება არის სახელის ცვლა დაბოლოების მიხედვით. თითოეული ბრუნვის ფორმა ერთმანეთს უპირისპირდება ფორმით და მერე ფუნქციით. დასაშვებია, სხვადასხვა ბრუნვას კონკრეტულ შემთხვევაში ერთი და იგივე ფუნქცია ჰქონდეს. ისტორიულად ბრუნვამ, შეიძლება, დაივიწროვოს ან გაიფართოვოს ფუნქციები. ამდენად, იქ, სადაც არსებობს წრფელობითი (დასახელებულ გრამატიკებში ზოგან ფუძის სახითაა, ზოგან სახელობითის -ი ნიშნით ფორმდება) და მიცემითი, შემასმენლობითი ზედმეტია.

პლატონ იოსელიანი ბრუნვის ექვს ფორმას ასახელებს: სახელობითს, ნათესაობითს, მიცემითს, მოთხრობითს, მოქმედებითსა და წოდებითს (იოსელიანი, 1851).

პლატონს შემასმენლობითისა და წრფელობითის მაგივრად შემოაქვს სახელობითი, რომელიც „არს იგი, რომელიცა იცნობების კითხვამებრ: ვინ და რა“ (იოსელიანი, 1851, 13). ტერმინ „სახელობითს“ ჯერ კიდევ ანტონის გრამატიკაში ვხვდებით. I რედაქციაში შენიშნავს: „პირველი იგი ვიდრემე ითქმის წრფელობითი ანუ სახელობითი“, II რედაქციაში ხაზს უსვამს „სახელობითის“ უპირატესობას: „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი, რომელნიცა უფრორე სამართარ არს, რათა ეწოდებოდესმცა სახელობითი“ (ანტონი, 1997).

ტრადიციულად წრფელობითის ფორმა გახლავთ სახელის ფუძე. ნიკო მარი ამ ფორმებს ცალკე ბრუნვად თვლიდა და მას გაუფორმებელ ბრუნვას უწოდებდა (ტაბ. V-VII, 29). ჯერ კიდევ ძველ ქართულ ნაწერებში წრფელობითისა (კაც-) და სახელობითის (კაც-ი) ფორმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან. ჰანს ფოგტი მას გვარეობით სახელობითს უწოდებს (ჰანს ფოგტი, 1968, 251). გ. დეეტერსი წერს, რომ ეს ფორმა ბრუნვათა რიგიდან უნდა ამოირიცხოს (დეეტერსი, 14); ვარლამ თოფურია მიუთითებს, რომ წრფელობითი ძველ ქართულში სინტაქსური ფუნქციით უდრის სახელობითს და დროთა ვითარებაში კიდევ შეცვალა უკანასკნელმა (თოფურია, 1965, 506).

ძველ გრამატიკებშიც წრფელობითში, საწრფელო ბრუნვაში, თანხმოვანფუძიან სახელებთან ჩნდება ნიშანი -ი (ზ. შანშოვანი — საწრფ. კაც-ი, კაცნი, კაც-ებ-ი) იმ გრამატიკებში, სადაც მხ. რიცხვში წრფელობითი უნიშნოა, მრავლობით რიცხვში ჩნდება ნიშანი (ანტონ I — წრფ. მარიამ, მარიამნი). ასეა XIX საუკუნის I ნახევრის გრამატიკებშიც. ვითარებას განსხვავებულად წარმოგვიდგენს პლატონ იოსე-

ლიანი.

საერთო სურათი ასეთია:

**წრფელობითი || სახელობითი** გახლავთ „თვთ მდგომარეობითი დაბოლოება სახელისა“, მისი კითხვებია: ვინ? რა? ბრუნვის ნიშნად მხოლოდ რიცხვში მონაცვლეობს: -ი და -O; მრავლობით რიცხვში: -ნი, -ები (ამ პერიოდის გრამატიკებში არ ხდება რიცხვის ნიშნისა და ბრუნვის ნიშნის გაყოფა).

**ნათესაობითი** ბრუნვა სახელს კუთვნილების გაგებას ანიჭებს, „აღნიშვნის განკუთვნილება რა მე საგნისადმი“, მისი კითხვებია: ვისი? რა სა? ნიშნება: -ისა, სა, -სი; მრ. რ.-ში: -თა, -ებისა.

**მიცემითი** ბრუნვა გამოხატავს სახელის იმ ფორმას, რომელსაც „მიეწერება“, მიეკუთვნება მოქმედება. მისი კითხვებია: ვის? რას? ამ განმარტებით ხაზი ესმევა მის ირიბი ობიექტის აღნიშვნის (გადმოცემის) ფუნქციას. ნიშნად წარმოდგენილია: -სა მხ. რიცხვში. იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ერთ-ერთ ხელნაწერში (S-5177) ნათესაობითსა და მიცემითის ორმაგ დაბოლოებებს ვხვდებით მრავლობით რიცხვში -ებსა-ს:

ნათ. მარიამისა-ისი	მარიამთა-ებისა
მიც. მარიამსა-ს	მარიამთა-ებსა

(ქართველიშვილი, S-5177, 1).

**შემასმენლობითი** — ვნახეთ, რომ XIX საუკუნის I ნახევარში არის ტენდენცია ამ ბრუნვის ბრუნვათა რიგიდან ამოღებისა, თუმცა ზოგიერთებს მაინც შეაქვთ პარადიგმაში და განმარტავენ: „შემასმენლობითი ბრუნვა აჩუჩ ნებს საგანსა მოქმედებულსა სხვსა საგნისაგან და იცნობის კითხუათამებრ: ვინ? რა ? (დოდაშვილი, 1830, 7). შენიშნავენ, რომ აღნიშნული ბრუნვა ჰგავს წრფელობითს, მაგრამ გამოხატავს ისეთ საგანს, რომელზედაც სხვისი მოქმედება გადადის. ბრუნვის ნიშანი: -ი, მრ. რ.-ში -ები.

**მოთხრობითი** გვიჩვენებს „ვისგან ანუ რა საგანაც მოითხრობის ანუ იმოქმედების საქმე რა მე“. გარკვევითაა ნათქვამი, რომ ეს არის სუბიექტური პირის ბრუნვა, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელია ან ინიციატორი, ვისგანაც დავალება მოქმედება. ფუძეს დაერთვის ნიშანი: -მან; -ებმან.

**დაწყებითი** ბრუნვა გამოხატავს ვისგან ან რისგან მომდინარეობს მოქმედება, „ვისგან ანუ რა საგან დაიწყების ანუ მომდინარეობს საქმე“ (ქართველიშვილი, 1809, 18). მისი კითხვებია: ვისგან?

რა სგან? პლატონ იოსელიანიმა ზედმეტად, „სრულიად უქმად“ მიიჩნია დაწყებითი ბრუნვაც, ეს არისო „შემდგარი სახელობითისაგან და თანდებულის“ (იოსელიანი, 1851, 14). დანარჩენ გრამატიკოსებს შეტანილი აქვთ ბრუნვათა სისტემაში. ეს, მართლაც, თანდებულიანი ფორმაა, მაგრამ არა სახელობითის, არამედ ნათესაობითისა: **-ისაგან; -ებისგან (-ებისგან)**: კაცისაგან, კაცთან, კაცებისაგან...

**მოქმედებითი** ბრუნვა გამოხატავს ერთი საგნის მიერ შესრულებული მოქმედების მეორეზე გადასვლას; მისი კითხვებია: ვის მიერ? რა სა მიერ? რა თა? მაგ.:

მვედრითა ანუ მვედრისამიერ

სიბრძნითა ანუ სიბრძნისამიერ (დოდაშვილი, 1830, 8)

ღმრთითა ანუ ღმრთისამიერ (ქართველიშვილი, 1809, 20)

პლატონ იოსელიანი მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს:

**-ითა, -თა, -ვთა-ს; -ებითას;** თანდებულიანი ნათესაობითის ამ ბრუნვაში შემოტანას უკანონოდ თვლის.

**წოდებითი** ბრუნვა სახელის მოწოდებას გამოხატავს. ეს გახლავთ ბრუნვა, რომელსაც კითხვა არ დაესმის, „ცხადჰყოფს საგანსა მას, რომელსაც მოვუწოდებთ; მაგ.: ღმერთო! დაიფარე ერი!“ (დოდაშვილი, 1830, 8). ბრუნვის ნიშანია -ო შორისდებულ მ-თან ერთად. ხაზს უსვამენ შორისდებულის აუცილებლობას ადამიანთა ახელებთან, რადგან ამ პერიოდში საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით სახელდებიან. მაგ.: მ იაკობ! მ ადამ! მ ანტონ! იერუსალიმ! ბეთლემ! პლატონ იოსელიანი საკუთარ სახელებს უტოლებს „მაცხოვარსა“ და „მოძღუარს“: მაცხოვარ! მოძღუარ! (იოსელიანი, 1851, გვ. 16).

XIX საუკუნის I ნახევრის გრამატიკაშიც ვხვდებით ადამიანთა სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებს, ერთმანეთის პარალელურად ნართანინსა და -ებინს. მრ. რიცხვში წარმოდგენილ ადამიანთა სახელებს წოდებით ბრუნვაში ნიშანს უჩვენენ:

მაგ.: მარიამნო, მარიამებო;

პეტრენო, პეტრეებო;

ადამნო, ადამებო, ადამებნო...

ამ პერიოდის ნაშრომებში, გარდა სულხან-საბასი და მარი ბროსეს ნაშრომებისა, არსად ვხვდებით **ვითარებითი** ბრუნვის ფორმებს. პლატონ იოსელიანი ერთგან, „სხოლოში“, შენიშნავს, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნად: -ლ-სა და -ად-საც შევხვდებით, ამ შემთხვევაში

ზმნიზედასთან გვექნება საქმეო. მაგ.: კაცად გონიერად ითქუა იგი (იოსელიანი, 1851, 14).

პლატონს ეს შემთხვევით არ შეუნიშნავს. ძველ ქართულშივე ხშირია ისეთი შემთხვევები, სადაც მიცემითი მიმართულებას, ადგილსა და დროს აღნიშნავს. ვიცით, რომ ძველად ვითარებითი ბრუნვის ფუნქცია მიმართულების, ადგილის, დროისა და ვითარების გადმოცემა იყო. ელენე ბაბუნაშვილი წერილში „მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“ (1956წ.) მიცემითისა და ვითარებითის ერთი ფუნქციით ხმარების უამრავ მაგალითს აზუსტებს.

წარვიდეს გალილესა || წარვიდე გალილეთად

საპყრობილედ შევაგდონ || შევაგდონ შენ საპყრობილესა

ცალკეული ბრუნვის დაბოლოებისა და ფუნქციის გარკვევის შემდეგ დგება ტიპებად დაყოფის საკითხი. საერთოდ, ქართულში ბრუნვათა ტიპები მორფოლოგიური ცვლილებების საფუძველზე გამოიყოფა: ან ბრუნვის ნიშანი ახდენს გავლენას ფუძეზე (უცვლის მას ხმოვნით შემადგენლობას) ან, პირიქით, ფუძე ახდენს ბრუნვის ნიშანზე გავლენას, უკარგავს ხმოვნით ნაწილს.

ანტონ კათალიკოსი ბრუნებას ბრუნვა და ბრუნება ტერმინებით გამოხატავს. I რედაქციაში ბრუნების ტიპებისათვის სქესს ხმარობს, II რედაქციაში სქესს კანკლედობით ცვლის და ამბობს, რომ ქართულ ენაში სხვა ენებისაგან განსხვავებით, სახელები ბრუნების ტიპების მიხედვით არ განსხვავდებიან. უბრალოდ, საუბრობს ფო-ნოლოგიურ მოვლენებზე: კვეცაზე, კუმშვაზე. უყურადღებოდ არ რჩება, რომ „სათუთონი“ სახელები (საკუთარი სახელები) არ იკვეცებიან. მანამდე ზ. შანშოვანს ბრუნვის ნიშანთა ცვლილებების გათვალისწინებით ბრუნების ორი ტიპი (სქესი) ჰქონდა გამოყოფილი. I ტიპში აერთიანებდა ი-ზე და ა-ზე დაბოლოებული სახელებსა და თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს, რომლებიც ნათ. ბრუნვაში ნიშან -ისა-ს დაირთავენ, ხოლო II-ში ო, ე-ზე დაბოლოებულ საზოგადო და ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს, რომელთაც ნათესაობით ბრუნვაში დაერთვით ნიშანი -სი. ფაქტიურად აქ ტიპებად დაყოფისათვის მოსავალი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იყო.

ანტონის გრამატიკის შემდეგ შექმნილ გრამატიკებში ისევ საუბრობენ ბრუნების ტიპებზე. გაიოზ რექტორიც ბრუნების ორ ტიპს გამოყოფს. შანშოვანის მსგავსად შენიშნავს, რომ სახელთა ნაწილი

ნათესაობით ბრუნვაში -ისა და -სა ნიშნებს დაირთავს, ნაწილი კი -სი-ს, „გარნა სხუაობენ უკუწ ნათესავის შინა ბრუნტასა“ (რექტორი, 1970, 57). I ტიპში აერთიანებს თანხმომავანფუძიან სახელებსა და კვეცად სახელებს, სადაც ბრუნვის ნიშანი უცვლელია, II-ში კი — უკვეცელებს, სადაც ბრუნვის ნიშანი კარგავს ხმოვნით ნაწილს. I ტიპში ბრუნვის ნიშანთან მსლები -ა ემფატიკური ხმოვანია, II ტიპის -ი, ვარლამ თოფურას აზრით, ნანათესაობითარი ფორმის სახელობითი ბრუნვის ნიშანია (თოფურია, 1939, 41-42); არნ. ჩიქობავა თვლის, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძეუკვეცელ სახელებთან ემფატიკური ა-ს გაუჩინარება და ი-ს დამკვიდრება არაა არც კერძობითი მოვლენა და არც შემთხვევითი ფაქტი: ამას მოწმობს ზანური (და სვანური) (ჩიქობავა, 1956, 259). XIX საუკუნის I ნახევრის გრამატიკებში ემფატიკური -ი ჩნდება მხოლოდ კვეცად სახელთა ბრუნებისას, თუმცა თანამედროვე ქართულში ვრცელდება, როგორც ფუძეკვეცად, ისე თანხმომავანფუძიან სახელებში.

ამ პერიოდის გრამატიკოსები იყენებენ ანტონ კათალიკოსის ტერმინს „კანკლედობას“ და გამოყოფენ სახელთა ბრუნების ოთხ ტიპს, ოთხ კანკლედობას:

**პირველში** აერთიანებენ თანხმომავანზე დაბოლოებულ, როგორც უკუმშველ, ასევე კუმშვად ფუძეებს, **მეორეში** — ა, ე, უა უწ-ზე გათავებულთ, **მესამეში** — ჯ-სა და ი-ზე (ესენიც, ისევე როგორც წინამორბედი გრამატიკოსები, თვლიან, რომ სიტყვები: „გვირგვინი, ნათელი, კაცი, კეთილი, მუწ ნიერი“ ი-ხმოვანფუძიანი სახელებია. აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის სახელებში მხოლოდითი რიცხვის მოთხრობით, მიცემით, წოდებითში და მთელს -ებიან მრავლობითში „ფუძისეული“, ბოლოკიდური „ი“ იკარგება), **მეოთხე ტიპში** შეჰყავთ ო და უ ხმოვანფუძიანი სახელები.

აქაც ტიპებად დაყოფას საფუძვლად ბრუნვის ნიშანთა ცვლილებები უდევს. I ტიპში გაერთიანებულია ისეთი სახელები, რომელთა ბრუნებისას ბრუნვის ნიშნები უცვლელია; II ტიპში კვეცადი სახელები, რომელთა ბრუნებისას ნათესაობით ბრუნვაში ისტორიულად უნდა გაჩნდეს -ისი (იცნობდნენ ძველ გრამატიკებს, თავადაც ცალკე ტიპად გამოყვეს, მაგრამ -ისა დაბოლოებით); III ტიპში ჯ და ი ხმოვანფუძიანებად მიჩნეული სახელებია, ბრუნებისას წრფელობითის, შემასმენლობითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ან ნიშნის ხმოვნითი ნაწილი ფუძისეულად არის მიჩნეული; IV ტიპში

კვდებით ისეთ სახელებს, რომელთა ფუძეების გავლენით ბრუნვის ნიშნები ან სულ იკარგება (თუ ხმოვანია), ან ხმოვნით ნაწილს კარგავენ.

	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი	IV ტიპი
წრფ.	მარიამ	არსება	კაცი	ოქრო
ნათ.	მარიამ <b>ისა</b>	არსებ <b>ისა</b> (*-ისი)	კაც <b>ისა</b>	ოქრო <b>სა</b>
მიც.	მარიამ <b>სა</b>	არსებ <b>ასა</b>	კაც <b>სა</b>	ოქრო <b>სა</b>
შემ.	მარიამ <b>ი</b>	არსებ <b>ა</b>	კაცი	ოქრო
დაწყ.	მარიამ <b>ისგან</b>	არსებ <b>ისაგან</b>	კაც <b>ისაგან</b>	ოქრო <b>საგან</b>
მოთხ.	მარიამ <b>მან</b>	არსებ <b>ამან</b>	კაც <b>მან</b>	ოქრო <b>მან</b>
მოქმ.	მარიამ <b>ისმიერ</b>	არსებ <b>ითა</b>	კაც <b>თა</b>	ოქრო <b>თა</b>
წოდ.	მარიამ!	არსებ <b>აო</b>	კაც <b>ო</b>	ოქრო <b>ო!</b>

თანამედროვე გადასახედიდან დასახელებული კანკლედობები ჰგავს აკაკი შანიძელს; თუ I-სა და III ტიპს გავერთიანებთ, დაგვრჩება სამწვეროვანი სისტემა. აკაკიც სახელებს ბრუნვითა მიხედვით სამ კანკლედობად ჰყოფს. თანხმომავანფუძიანებს ერთ ტიპში აერთიანებს, ხოლო ხმოვანფუძიანებს ორ სხვადასხვა ტიპში. -ა ხმოვანფუძიან სახელებს, რომელთა კვეცა -ებიან მრავლობითშიც ხდება, განსხვავებით -ე ხმოვანფუძიანისა, ერთ ტიპში აერთიანებს იმ არგუმენტით, რომ -ებ წარმოქმნის ელემენტია და არა ფორმობრივი მაწარმოებელი. XIX საუკუნის გრამატიკებშიც ეს ორი ფორმა ერთ კანკლედობაშია მოქცეული, რადგან ფუძის ბოლოკიდურ -ა-ს მრავლობითში არ კვეცენ:

- ნათ. არსებ**ებისა**
- მოქმ. არსებ**ებითა**
- დაწყ. არსებ**ებისგან**

ცალკეული ტიპების განხილვის შემდეგ ყურადღებას ამახვილებენ ბრუნებისას არსებულ მორფოფონოლოგიურ მოვლენებზე, კერძოდ, კუმშვასა და კვეცაზე. მართალია, ამ საკითხებზე არ მსჯელობს იოანე ბაგრატიონი, მაგრამ პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სამართლიანად შენიშნავენ, რომ ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში კარგავენ ბოლოკიდურ ფუძისეულ ხმოვნებს. აკონკრეტებენ, რომ საკუთარ სახელთაგან გეოგრაფიულ სახელწოდებები საზოგადოთა მსგავსად იბრუნვიან, ხოლო ადამიანთა სახელები არ იკვეცება: იერემია — იერემიასი, ალექსანდრე — ალექსანდრესი.

იოანე ქართველიშვილი კვეციის საკითხებზე სამ ბრუნვაში საუბრობს: ნათესაობითი, დაწყებითა და მოქმედებითი. გასაკვირი არცაა, რადგან დაწყებითი ესაა ნათესაობითი თანდებულობით: ძმა — ძმ-ისაგან.

ვარლამ ერისთავიც ჩერდება კუმშვისა და კვეციის საკითხებზე. შენიშნავს, რომ ა და ე ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები ბრუნვისას კარგავენ აღნიშნულ ხმოვნებს, ო, უ-ზე დაბოლოებული — არა, ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი სახელი კი ფუძის შიგნით კარგავს ხმოვანს.

მარი ბროსე წერს, რომ ნათ. ბრუნვის ნიშნის -ის, ისა-ს დართვამ შეიძლება საზოგადო სახელებს ა და ე ბოლოკიდური ხმოვნები მოკვეცოს.

ზოგიერთი მრავალმარცვლიანი სახელების ბრუნვისას ნათესაობითსა და მოქმედებითში (პ. იოსელიანი) ფუძის შიგნით იკარგება ხმოვანი: ტაძარი — ტაძრის, ტაძარი — ტაძრები. პლატონ იოსელიანი ამ ორი მავალით საუბრობს კუმშვაზე მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში.

საინტერესოა პლატონ იოსელიანის გრამატიკაში კუმშვასთან დაკავშირებული შენიშვნები. ნ. ჩუბინაშვილის მსგავსად (ჩუბინაშვილი, 1961) მოცემული აქვს ომონიმური შინაარსის სიტყვები, რომლებშიც შეუკუმშავი და შეკუმშული ფუძეები (სრული და უსრული ფუძეები) ერთმანეთს მნიშვნელობით უპირისპირდება:

„არა ისპობენ საშუალსა ხმოვანსა“	„ისპობენ“:
1. თჳალი, თჳალისა (საგრძობელი ხედვისა)	1. თჳალი, თჳლისა (ქუა პატიოსანი, ურმის თჳალი)
2. კჳალი, კჳალისა (ნაფეხური)	2. კჳალი, კჳლისა, კჳლები (სათესი ადგილი)
3. მოწამე, მოწამისა, მოწამენი (სარწმუნოებისათვის)	3. მოწამე, მოწისა, მოწმები (დამამტკიცებელი)
4. წელი, წელისა (სხეულის ნაწილი) წელი, წელები (შინაგანი ნაწილი)	4. წელი, წლისა, წლები (წელიწადი)
5. სახელი, სახელისა, სახელები (წოდება)	5. სახელი, სახლისა, სახლები (სამოსი საკრავად ხელთა ადგილისა ქმნილი.)

XIX საუკუნის I ნახევრის ქართული გრამატიკები საინტერესოდ წარმოგვიდგენენ ბრუნვის სისტემას, ბრუნების ტიპებს; საუბრობენ ბრუნებისას არსებულ მორფონოლოგიურ მოვლენებზე და შენიშნავენ, რომ ყველა რიცხვითი სახელი და „ზედშესრული“ არსებითის მსგავსად იბრუნვიან. ცალკე მსჯელობენ ნაცვალსახელების ბრუნებაზე.

ლიტერატურა

**ანტონ I, 1885** — ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, 1885.  
**ანტონ I, 1997** — ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, 1997.  
**ბაბუნაშვილი, 1956** — ელ. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძვ. ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956.  
**ბატონიშვილი, 1856** — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, დ. ბაქრაძის წინასიტყვაობით, 1896.  
**დოდაშვილი, 1830** — ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, 1830.  
**თოფურია, 1939** — ვ. თოფურია, ქართული ენა, 1939.  
**თოფურია, 1965** — ვ. თოფურია, წრფელობითი ბრუნვისათვის ძვ. ქართულში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXVIII, №2, 1965.  
**იოსავა, 1999** — ნ. იოსავა, მარი ბროსე და ქართული გრამატიკის საკითხები, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.  
**იოსელიანი, 1851** — პლ. იოსელიანი, პირუღ ლ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა“, 1851  
**ლევავა, 1956** — ლ. ლევავა, სახელი ანტონ I-ის გრამატიკაში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956.  
**რექტორი, 1970** — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა“, 1970.  
**უთურგაიძე, 1999** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორიის, 1999.  
**ფირალოვი, 1820** — გ. ფირალოვი, თვთ მასწავლებელი, 1820.  
**ფოგტი, 1968** — ჰანს ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძვ. ქართულში, მიმომხილველი, 1968.



**ფოცხიშვილი, 1979** — ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენის გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.

**ქართველიშვილი, 1814** — იოანე ქართველიშვილი, ქართული ლრამმატიკა, 1814.

**ქართველიშვილი, S-5177** — იოანე ქართველიშვილი, ხელნაწერი გრამატიკა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S-5177.

**შანიძე, 1980** — ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი III, 1980.

**შანშოვანი, 1737** — ზ. შანშოვანი, მოკლე ლრამმატიკა ქართული ენისა, 1737.

**შანიძე, 1990** — მ. შანიძე, სიტყვა ართრონთათუს, 1990.

**ჩიქობავა, 1956** — არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, 1956.

morphonological changes - instances of sound reduction and contraction.

**KETEVAN ILURIDZE**

### **The Problem of Declension in the Georgian Grammars of the First Half of the 19c.**

#### **Summary**

The Georgian grammarians of the first half of the 19 c. were well-acquainted with the rich inheritance of grammatical thought. Moreover, they introduced changes into the existing case paradigm. One of the issues is connected with the Predicate case. Some grammarians (S. Dodashvili, I. Kartvelishvili, G. Piralov, Archbishop Varlaam, I. Batonishvili) considered the case in question to be independent. They admitted that though the Predicate case was identical to the Nominative case by form the two cases differed in function; the Predicate case expressed an object which was the recipient of an action. Hence the question of form and function arose.

The problem was solved by M. Brosse and Pl. Ioseliani. They formed the Nominative case, the case with the zero marker (N. Marr) with the marker *i*, in the plural the marker *i* was stable. On the basis of case endings 4 types of declension were singled out. Special attention was paid to the

მაკაბერიძე შორშოლიანი

### კრიტიკული სახელის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში და ლექსიკალ-სემანტიკური ჯგუფი „წმინდატივი“

ტრადიციული გრამატიკა ენაში არსებული სიტყვების კლასიფიკაციას ახორციელებს მეტყველების ნაწილთა თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც ვერ კიდევ ანტიკურ ენათმეცნიერებაში ჩაისახა. თუმცა ლინგვისტები დღემდე ვერ თანხმდებიან სიტყვათა კლასების რაოდენობაზე, მათი გამოყოფის კრიტერიუმთა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაც კამათის საგანია, რასაც ტერმინოლოგიური ქაოსიც ერთვის და საერთო ჯამში მეტყველების ნაწილთა თეორია დღემდე რჩება მეტად მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემად ენათმეცნიერებაში.

ეს საკითხი ლინგვისტთა ყურადღებას XIX საუკუნის ბოლოდან იპყრობს, განსაკუთრებით კი ფ. ბრუნოს ნაშრომის „აზროვნება და ენა“ (ბრუნო, 1922) გამოქვეყნების შემდეგ. მსოფლიოს წამყვან ენათმეცნიერთა ნაზრევში ხაზგასმულია ამ თეორიის ნაკლოვანებები და მათი განხილვა თანდათანობით მის მძაფრ კრიტიკაში გადადის.

თუმცა, ლინგვისტები აღიარებენ მეტყველების ნაწილებად სიტყვათა დაყოფის რამდენიმე დადებით მხარესაც და აღნიშნავენ, რომ ამ თეორიამ ასე თუ ისე შეასრულა მასზე დაკისრებული თეორიული და პრაქტიკული ფუნქცია. კერძოდ, იგი საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ ზოგადი გრამატიკული წესები სიტყვათა კლასების მიხედვით. ამავე დროს, ეს პრინციპი წარმატებით გამოიყენება მშობლიური ენის სწავლებისას (სასკოლო გრამატიკები სწორედ მეტყველების ნაწილების მიხედვითაა აგებული), ასევე თარგმანის პრაქტიკაში, თუმცა სტრუქტურულად განსხვავებული ენების შესწავლისას იგი არათუ დახმარებას გვიწევს, არამედ სერიოზულ პრობლემებსაც კი ქმნის.

აღინიშნება, რომ სიტყვათა ტრადიციული კლასიფიკაცია საერთოდ „ვერ უპასუხებს მეცნიერული კვლევის მოთხოვნებს“ (კუროლი-

ვიჩი, 1966, 55) უ. ლაგარდი სტატიაში „მეტყველების ნაწილები თანამედროვე ენათმეცნიერებაში“ (Les parties du discours dans la linguistique moderne et contemporaine) (ლაგარდი, 1988, 93-106) გამოყოფს ამ თეორიის რვა ძირითად ნაკლს: კრიტერიუმთა სიმრავლე, დეფინიციითა უკმარისობა, ტრადიციული კლასიფიკაციის ყველა ენისადმი მისადაგების შეუძლებლობა, სიტყვათა კლასებს შორის მკვეთრი საზღვრების არარსებობა, ზოგიერთი ერთეულის დაჯგუფების შეუძლებლობა, მეტყველების ნაწილთა რაოდენობის არასტაბილურობა, მათი სისტემური ორგანიზაციის არარსებობა და ტრადიციული დაყოფის „არალოგიკური ხასიათის“ ძირითადი მიზეზი — სიტყვის არაერთგვაროვანი გაგება.

მართლაც, სიტყვათა კლასებად დაყოფა ხშირად ერთდროულად ეყრდნობა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმალურ (მორფოლოგიურ), შინაარსობრივ (სემანტიკურ, ონთოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ლოგიკურ) და ფუნქციონალურ (სინტაქსურ) კრიტერიუმებს.

მრავალ წინააღმდეგობას ქმნის მეტყველების ნაწილთა ტრადიციული დეფინიციები, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ როლს, ვერ გვაწვდიან იმ ნიშანთა საკმარის ჩამონათვალს, რომელიც გააერთიანებს ერთი და იმავე კლასის ყველა სიტყვას.

ამავე დროს, სიტყვათა კლასებს შორის არ არსებობს მკვეთრი საზღვრები, „ისინი იმგვარადვეა აღრეული, როგორც სოციალური კლასები“ (ბრუნო, 1922, 56) სწორედ ამიტომ ხშირად შეუძლებელი ხდება ზოგიერთი ერთეულისთვის ადგილის მიკუთვნება ამა თუ იმ კლასში, რაც მორფოლოგიური ანალიზის დროს გარკვეულ სირთულეს ქმნის სასკოლო გრამატიკებშიც კი.

ძველი ბერძნული ენისათვის გამოყოფილი სიტყვათა კლასები არ მიესადაგებიან ყველა ენას, რადგანაც „მეტყველების ნაწილები არ წარმოადგენენ უნივერსალურ ენობრივ აუცილებლობას“. (კუროლი, დეკლი, 1981, 42)

განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობაა მეტყველების ნაწილთა რაოდენობასთან დაკავშირებითაც. ტრადიციული ათი კლასის გვერდით ზოგი ენათმეცნიერი სიტყვათა ორ დიდ კლასს გამოყოფს, ზოგი კი ოცდასამამდე მიდის. ამავე დროს, სიტყვათა ტრადიციული კლასიფიკაცია წარმოგვიდგება, როგორც სიტყვათა კლასების ისეთი ჩამონათვალი, რომელსაც არ აწესრიგებს არავითარი ექსპლიციტური პრინციპი თუ შინაგანი ლოგიკა. ყველაზე გავრცელებული ვერსიით

იგი აყალიბებს ათიოდე კლასს, რომელთა შორის არსებული სისტემური მიმართებები საერთოდ არ განიხილება. ის არ ქმნის ისეთ იერარქიულ სტრუქტურას, რომელიც მოგვცემდა კლასებს შორის მიმართებათა შესწავლის საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ მეტყველების ნაწილთა თეორიის მოწინააღმდეგე ენათმეცნიერები ერთი მხრივ სრულიად უარყოფენ აღნიშნულ კლასიფიკაციას, მეორე მხრივ, ისინი ცდილობენ შემოგვთავაზონ მისი ალტერნატიული ვარიანტები. ასე მაგალითად, დამურეტი და პიშონი (1911, 77-109) მთლიანად ცვლიან ანტიკურ ნომენკლატურას და აყალიბებენ სიტყვათა თორმეტ კლასს, რომელთაც ისინი უწოდებენ — **essences logiques**. მათი ნაშრომი გადატვირთულია ბუნდოვანი ტერმინოლოგიით, რაც ართულებს მის გაგებას და მით უმეტეს გამოყენებას პრაქტიკაში. ა. დოზა (1947, 48-50) ენაში არსებულ სიტყვებს ორ დიდ ჯგუფად ყოფს: სრულმნიშვნელოვან და დამხმარე სიტყვებად. ამასთან იგი აღიარებს სიტყვათა შუალედური ჯგუფის არსებობასაც. ტრადიციული კლასიფიკაციის ალტერნატიულ ვარიანტებს გთავაზობენ ასევე ბრენდალი, იელმსლევი, ამერიკული დესკრიპციული ლინგვისტიკის, გენერაციული გრამატიკის წარმომადგენლები და ბევრი სხვა.

ენათმეცნიერთა შორის არიან ისეთებიც, ვინც კრიტიკის გარეშე ეთანხმება ტრადიციულ კლასიფიკაციას და თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებში სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობა. უნდა აღინიშნოს, რომ „საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება გააჩნიათ ისეთ თანამედროვე ლინგვისტებს, რომელთაც ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ კონსერვატიულობაში“ (ლაგარდი, 1988, 103) უნდა ითქვას, რომ მეტყველება გვიჩვენებს ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლს, მაშინ როცა პრაქტიკა მის უპირატესობაში გვარწმუნებს. ყ. ლაგარდის აზრით „ისინი (მეტყველების ნაწილები) იზიარებენ სიტყვის ცნების ბედს და მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია მუდმივად კრიტიკის ობიექტია, ის ამავდროულად შეუცვლელიცა“ (ლაგარდი, 1988, 103)

ნაცვალსახელსა და ზმნიზედასთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხადაა მიჩნეული რიცხვითი სახელის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში. არადა, რიცხვითი სიტყვები, რიცხვის ლექსიკური აღნიშვნები არსებობს ყველა თანამედროვე ენაში. „ნებისმიერ ენას გაჩნია სიტყვები ამ სამი რიცხვის გამოსახატავად მაინც : ერთი, ორი და ბევრი“ (გოდარი, ვეჟბიკა, 1994, 45) თუ

ბევრ ენაში სიტყვების ეს ჯგუფი შემოიფარგლება პირველი ათეულის რიცხვთა დასახელებებით, ენათა უმეტესობაში ის მნიშვნელოვნად განვითარდა და გადაიქცა მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილად — რიცხვით სახელად. თუმცა ამ სიტყვათა დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყოფა საკამათოა როგორც ძველ, ასევე თანამედროვე თეორიულ ნაშრომებსა და ნორმატიულ გრამატიკებში.

ასე, მაგალითად, მ. ბეშერელი (1877, 58) საერთოდ არ ახსენებს ტერმინს — რიცხვითი სახელი (**nom de nombre**) და ყველა რიცხვითს, როგორც რაოდენობითს, ასევე რიგობითს ზედსართავ სახელს მიაკუთვნებს. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ისინი ზოგჯერ გამოიყენებიან როგორც ნამდვილი ზედსართავები, ზოგჯერ კი როგორც არსებითები (**substantivement**).

მ. რესტო (1879, 45) იყენებს ტერმინს **nom de nombre**, რომელთაც ის აერთიანებს ყველა სახის რიცხვით სახელს, მაგრამ მათი ქვეჯგუფებად დაყოფის დროს ისინი ერთიანდებიან ამჯერად არა ზედსართავების, არამედ არსებითი სახელების ჯგუფში: კრებითი (**noms collectifs ou d'assemblage : un million, une dizaine**), გამყოფი (**de distribution et de partition : une demie, un quart, un tiers, un cinquième**), გამრავლებითი (**d'accroissement ou d'augmentation : le double, le triple**) აქედან კარგად ჩანს, რომ ტერმინში **nom de nombre** რესტოსთან იგულისხმება არა ცალკე მეტყველების ნაწილი, არამედ უბრალოდ იმ სიტყვების ჯგუფი, რომლებიც მორფოლოგიურად და სინტაქსურად ახლოს დგანან არსებით სახელთან.

ლარუსი (1880, 37) ყველა ზედსართავ სახელს ყოფს თვისებით (**qualificatif**) და განსაზღვრებით (**déterminatifs**) ზედსართავებად. ზედსართავი სახელის ამ უკანასკნელ ქვეჯგუფში ათავსებს იგი რიცხვით სახელებს, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან ორ დიდ ჯგუფად : რაოდენობით რიცხვით ზედსართავებად (**adjectifs numéraux cardinaux**) და რიგობით რიცხვით ზედსართავებად (**adjectifs numéraux ordinaux**)

ბრაშე და დიუსსუშე (1911, 77) ასევე ზედსართავი სახელის ჯგუფს მიაკუთვნებენ როგორც რაოდენობით, ასევე რიგობით რიცხვითებს, თუმცა აქვე შემოაქვთ ახალი კატეგორია — **nom de nombre**, რომელსაც ისინი ყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებად : **noms de nombre collectifs (le double, le centuple** და ასევე **la centaine, la dizaine, le milliers** და სხვ.), **noms de nombre partitifs**, სადაც აერთიანებენ წილად რიცხვების აღმნიშვნელ სიტყვებს — **un quart, un tiers, une demie** და სხვ.

ლანუსი და ივონი (1938, 56) რიცხვითებს უწოდებენ **adjectifs numéraux**, ხოლო რაოდენობით რიცხვითებს ორი სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ — **adjectifs numéraux cardinaux** და **noms de nombre**. სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ გამრავლებას ან გაყოფას ისინი ზედსართავებს უწოდებენ და მათ ჯგუფში აერთიანებენ სიტყვებს: **simple, double, triple, centuple** და ასევე **demi**. წილადი რიცხვის გამომხატველ სიტყვებს კი (**tiers, quart**) რიგობით რიცხვით ზედსართავებს მიაკუთვნებენ იმის საფუძველზე, რომ ლათინური **tertius** და **quartus**, რომლისგანაც წარმოიშვა ფრანგული **tiers** და **quart** რიგობითი რიცხვითი სახელები იყო.

მსგავსი აზრთა სხვადასხვაობაა რიცხვით სახელთან დაკავშირებით ფრანგული ენის თანამედროვე გრამატიკებშიც. ასე, მაგ.: გრევისი (1969, 96-98) გამოყოფს რა ორ ქვეჯგუფს ზედსართავი სახელების ჯგუფში — თვისებით და არათვისებით ზედსართავებს, როგორც რაოდენობით, ასევე რიგობით რიცხვითებს ათავსებს არათვისებითი ზედსართავების ქვეჯგუფში კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი და განუსაზღვრელი ზედსართავების გვერდით.

ჟ. დიუბუა და რ. ლაგანი (1997, 70-73) მეტყველების რვა ნაწილს შორის ასახელებენ დეტერმინატივების კლასს, რომელშიც ისინი ათავსებენ რაოდენობით რიცხვითებს და უწოდებენ მათ რიცხვით დეტერმინატივებს (**déterminants numéraux**), ხოლო რიგობით რიცხვითებს — ზედსართავების კლასში სახელით **adjectifs numéraux**. აქვე აღინიშნება, რომ „თითოეულ რიცხვით დეტერმინატივს შეესაბამება რიცხვითი ზედსართავი (**adjectif numéral**), რომელიც რიგს აღნიშნავს“.

გიომის სკოლის წარმომადგენლები კ. ბეილონი და პ. ფაბრი (1995, 25-26) ასევე ზედსართავების კლასში აერთიანებენ რიცხვითებს და განასხვავებენ რაოდენობით და რიგობით რიცხვით ზედსართავებს. რიგობით რიცხვითებს ისინი უწოდებენ მარტივ თვისებით ზედსართავებს, ხოლო რაოდენობით რიცხვითებს ათავსებენ დეტერმინატივების, მათი ტერმინოლოგიით — არსებითი სახელის აქტუალიზატორების ჯგუფში არტიკლთან, კუთვნილებით, ჩვენებით, მიმართებით, კითხვით და განუსაზღვრელ ზედსართავებთან ერთად.

ე. ბეშადი (1994, 42) რიცხვით სახელებს ათავსებს ნაცვალსახელებისა და ზედსართავი სახელების ქვეჯგუფებში. ნაცვალსახელის კლასში პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი და სხვა სახის ნაცვალსახელების გვერდით ვხვდებით ტერმინს — რიცხვითი ნაცვალსახელი

(**pronom numéral**). არათვისებით ზედსართავებში (**adjectifs non qualificatifs**) კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი და კითხვითი ზედსართავების გვერდით — რიცხვით ზედსართავ სახელს (**adjectif numéral**). იგი ასხვავებს რაოდენობით და რიგობით რიცხვითებს და მათ ერთ ნაწილს რიცხვითი ნაცვალსახელის ჯგუფში აერთიანებს, ხოლო მეორეს რიცხვითი ზედსართავის ჯგუფში იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი წინადადებაში.

მ. ნოაი (1999, 20-21) რიგობით რიცხვით სახელებს მიიჩნევს ზედსართავ სახელებად, განსხვავებით რაოდენობითი რიცხვითებისაგან, რომლებიც ასრულებენ დეტერმინატივის როლს სახელად ჯგუფში. აღინიშნება, რომ რიცხვითებს გააჩნიათ „ნორმალური“ ზედსართავების სინტაქსი, ასრულებენ ეპითეტისა და ატრიბუტის ფუნქციებს. (გვ. 21)

არივე, გაღე და გაღმიში (1986, 40) გამოყოფენ რიცხვით სახელებს — **numéraux**, სადაც განასხვავებენ სამ სერიას: 1. რიცხვითი დეტერმინატივები — ტრადიციული გრამატიკის რაოდენობითი რიცხვითი სახელები. 2. რიცხვითი ზედსართავები — ტრადიციული გრამატიკის რიგობითები. 3. არსებითები, ზედსართავები და ასევე ზმნიზედათა ჯგუფი, რომლებიც გამოხატავენ რიცხვს სხვადასხვა ასპექტით.

ნორმატიული გრამატიკებისაგან განსხვავებით ფრანგული ენის ისტორიის მკვლევარები უმეტესწილად გამოყოფენ რიცხვით სახელებს ცალკე კატეგორიად და მათ სწორედ რიცხვით სახელებს — **noms de nombre** არქმევენ.

ფ. ბრუნო წიგნში „ფრანგული ენის ისტორია დასაბამიდან 1900 წლამდე“ (**Histoire de la langue française des origines à 1900**) იყენებს ტერმინს — **nom de nombre** და გამოყოფს ორ ქვეჯგუფს რიცხვითი სახელების კლასში: რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებს (**noms de nombre cardinaux, noms de nombre ordinaux**) ასეთი კლასიფიკაციის დასაბუთებას კი ის იძლევა თავის წიგნში „**Précis de grammaire historique de la langue française**“, სადაც აღინიშნება, რომ რიცხვითები არ წარმოადგენენ არც არსებით და არც ზედსართავ სახელებს, არამედ ეს არის „რიცხვის განსაკუთრებული კატეგორია, რომელიც მათემატიკის შესწავლის საგანია“ (გვ.109)

ბრუნო მხოლოდ რიგობით რიცხვითებს მიაკუთვნებს ზედსართავის კლასს, დანარჩენებს კი ყოფს შემდეგ ქვეჯგუფებად: 1. საკუთრივ

რიცხვითი სახელები — **un, deux, trois** და სხვ. 2. რიცხვითები, რომლებიც აღნიშნავენ ნაწილს — **demi, tiers, quart** და სხვ. 3. რიცხვითები, რომლებიც აღნიშნავენ გამრავლებას — **simple, double, triple** და სხვ. 4. კრებითი რიცხვითი სახელები — **dizaine, douzaine**.

განუსაზღვრელ ზედსართავ სახელებს (**nul, autre, chaque** და სხვ.) ის უწოდებს განუსაზღვრელ რიცხვით სახელებს, ასევე ამ ჯგუფში აერთიანებს სიტყვებს **divers** და **différent**, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში რაოდენობას გამოხატავენ. მაგ, შევ : **Différentes personnes sont venues** და **Il est venu des personnes différentes**.

ფრანგ ენათმეცნიერთა თეორიული ნაშრომების ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ფრანგულ გრამატიკაში რიცხვითი სახელი გამოიყოფა არა მარტო სემანტიკურ და სინტაქსურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ ისტორიული ნიშნის გათვალისწინებითაც, რამდენადაც ფრანგული რიცხვების დასახელებები მთლიანად ლათინური რიცხვითებისგან მომდინარეობს, სადაც ისინი ერთიანდებიან ცალკე მეტყველების ნაწილად — **numeralia**.

ფრანგული ენის ნორმატიული გრამატიკების შემდგენელი რუსი ავტორები განიხილა (1945), კოსტეცკაია, კარდამევესკი (1948) და სხვები რიცხვით სახელებს უმეტესად ზედსართავი სახელების ჯგუფში ათავსებენ.

ო. ბოგომოლოვა (1948) კი ცალკე მეტყველების ნაწილად სახელწოდებით **noms de nombre** გამოყოფს რაოდენობით რიცხვით სახელებს, რიგობითებს ზედსართავებად თვლის, ხოლო კრებითი რაოდენობის გამომხატველ სიტყვებს (**dizaine, centaine**) — არსებით სახელებად.

ი. დიბოვსკაია სტატიაში „რიცხვითი სახელის კატეგორიის შესახებ“ (დიბოვსკაია, 1954, 3-11) დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყოფს რიცხვით სახელს და მათ შემდეგ ქვეჯგუფებად ყოფს: 1. **Noms de nombre cardinaux**, 2. **Noms de nombre de fraction**, 3. **Noms de nombre de multiplication**, 4. **Noms de nombre collectifs**, ხოლო რიგობითებს ზედსართავი სახელების ჯგუფში აერთიანებს **adjectifs numériques ordinaires**.

მაშინ, როცა ევროპულ და რუსულ ენათმეცნიერებაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას რიცხვითი სახელის სტატუსი, საკამათოა რიცხვითი სახელის კლასის შიგნით ქვეჯგუფების გამოყოფა და არსებობს დღემდე გადაუჭრელი ტერმინოლოგიური ქაოსი, ქართულ ენათმეც-

ნიერებაში ეჭვს არ იწვევს რიცხვითი სახელის, როგორც მეტყველების დამოუკიდებელი ნაწილის არსებობა, არც ტერმინი „რიცხვითი სახელი“ ბადებს შეკითხვებს და არც მისი ქვეჯგუფებად დაყოფა. თუმცა ქართული ენის ძველ გრამატიკებში რიცხვითი სახელის განხილვას ნაკლებად ეთმობოდა ადგილი და იმდენად რამდენადაც ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიის — ბრუნების მიხედვით რიცხვითი სახელი ახლოს დგას არსებითთან და ზედსართავთან, სახელთა შესწავლისას გრამატიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ არსებითსა და ზედსართავზე, ხოლო რიცხვითი სახელის შესახებ მეტად ძუნწი ცნობები მოეპოვებოდათ. თანამედროვე ქართველი ენათმეცნიერები კი დაინტერესდნენ რიცხვითი სახელით, განსაკუთრებით კი რიცხვითი სახელის ისტორიული განვითარებისა და ქართული თვლის სისტემის ჩამოყალიბების საკითხებით (გვენცაძე, 1972), რომლებიც განიხილება ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

ა. შანიძე (1973) თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ენაში არსებული სიტყვების მთელ რიგს ჰყოფს 10 მეტყველების ნაწილად, რომელთა შორის თავისი ადგილი უჭირავს რიცხვით სახელსაც. იგი გაერთიანებულია ფორმაცვალებადი სიტყვების მორფოლოგიურ ჯგუფში არსებით, ზედსართავ და ნაცვალსახელებთან ერთად. რიცხვითი სახელი ჩათვლილია სინტაქსური თვალსაზრისით თავისთავადი, ანუ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვათა ჯგუფში, რამდენადაც ისინი წინადადებაში ძირითადად სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრებად გამოიყენება (რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები), ზოგჯერ კი წარმოდგებიან თვითონ სუბიექტისა და ობიექტის სახით (წილობითი რიცხვითი სახელები).

რიცხვითი სახელი განმარტებულია, როგორც სიტყვა, რომელიც რიცხობრივ წარმოდგენას გვაძლევს — საგანს განსაზღვრავს რაოდენობის ან რიგის მიხედვით, ან საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით გამოხატავს. აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე გამოიყოფა : რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები.

ჩვენი აზრით, რიცხვითი სახელის მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილად გამოყოფა სავსებით სამართლიანია, არა მარტო იმის გამო, რომ ისინი მომდინარეობენ ლათინური **numeralia**-დან, არამედ მათთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური და სემანტიკური ნიშნების საფუძველზეც.

რიცხვის გაგება არ წარმოადგენს საგნის თვისებას, არამედ გულისხმობს მის მიმართებას სხვა საგნებთან. ის ასრულებს უფრო სინტაქსურ ფუნქციას და ამიტომაც არ შეიძლება გაიგივდეს ზედსართავ სახელთან. ბუნებრივია, რაოდენობითმა რიცხვითმა სახელმა შეიძლება გამოხატოს ზედსართავის მსგავსად სინტაქსური განსაზღვრება ან ზოგჯერ პრედიკატიც, მაგრამ მორფოლოგიისა და სემანტიკის თვალსაზრისით ის უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად.

ამავე დროს, რაოდენობითი რიცხვითი სახელები ყოველთვის არ წარმოადგენენ არსებითი სახელის განსაზღვრებას. ისინი ძალიან ხშირად გამოიყენებიან განყენებული რიცხვის გამოსახატავად. როგორც ვ. ვინოგრადოვი (1947, 289) მიუთითებს, რიცხვის კატეგორია დასავლეთ ევროპის ენებში თავისუფალია საგნობრიობისაგან. რიცხვთა დასახელებები წარმოადგენენ ერთგვაროვანი საგნების რაოდენობის აბსტრაქტულ მაჩვენებელს, მათი თვლის აღნიშვნას. ვინოგრადოვს მოჰყავს მათემატიკური გამოთვლის მაგალითი  $2+2=4$ , სადაც აშკარად ჩანს, რომ ორს და ოთხს ვერ ვუწოდებთ ზედსართავებს. ეს სახელები ფუნქციის მიხედვით წინადადებაში უფრო არსებით სახელს უახლოვდებიან. მაგრამ აქ არ გვაქვს მოცემული არც კონკრეტული და არც განყენებული საგანი, თანაც ფრანგულში ამ სახელებს (*deux, quatre*) არ გააჩნიათ არც სქესი, არც რიცხვი და არც არტიკლი — არსებითი სახელის არცერთი ნიშანი. აქედან გამომდინარე, ეს სიტყვები უნდა შეადგენდნენ ცალკე, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გრამატიკულ კატეგორიას, რომელსაც საგნებით მიესადაგება ტერმინი — რიცხვითი სახელი (*nom de nombre*). მათემატიკურ ოპერაციებში, რიცხვითი სახელები ავლენენ თავიანთ ნამდვილ განყენებულ რიცხვით არსს, რომელიც არ უკავშირდება საგნის აღმნიშვნელ სახელებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ რიცხვითები ასრულებენ პირდაპირი და ირიბი ობიექტების სინტაქსურ ფუნქციას ზმნის გვერდით, ისინი არ გადადიან არსებითი სახელის კლასში. მათ არ გააჩნიათ აქ არც სქესი, არც რიცხვი და არც საგნობრივი არსი, ამიტომაც არ შეიძლება ისინი განისაზღვროს, როგორც არსებითი ან ზედსართავი სახელები.

ს. ოზნორსკი (1938, 327) რიცხვით სახელს მიიჩნევს ერთ-ერთ უძველეს კატეგორიად, რომელიც ჯერ კიდევ სქესისა და რიცხვის კატეგორიებამდე გაჩნდა ენაში. სწორედ ამით ხსნის იგი ამ უკა-

ნასკნელ კატეგორიათა არარსებობას რიცხვით სახელებში.

რაც შეეხება *dizaine, douzaine, centaine* ტიპის რიცხვით სახელებს და ასევე რიგობით რიცხვითებს *dixième, douzième, centième* გარდა იმისა, რომ სემანტიკურად ისინი ისევე გულისხმობენ რიცხვის ცნებას, როგორც რიცხვითები — *dix, douze, cent*, რომელთაგანაც ისინი არიან ნაწარმოები, მათ შორის არსებობს მორფოლოგიური სიახლოვე, კერძოდ საერთო ძირი, შევ: *dix- dizaine- dixième; douze- douzaine- douzième; cent- centaine- centième*. ამ მორფოლოგიური და სემანტიკური ერთიანობის გათვალისწინებით უფრო ლოგიკური იქნება გავაერთიანოთ ისინი რიცხვითი სახელების კლასში. ი. დიბოვსკაია (1954, 10) რიგობით სახელებს ზედსართავი სახელების კლასში აერთიანებს იმის საფუძველზე, რომ ისინი აზუსტებენ რა საგნის მდებარეობის რიგს, წარმოადგენენ მის გარკვეულ თვისებას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამავე დროს ისინი გულისხმობენ რიცხვის ცნებას, რაც წარმოადგენს კიდევ მათ ძირითად თვისებას. ამავე დროს, როგორც ცნობილია ზოგიერთ შემთხვევაში საგნის რიგი შეიძლება აღნიშნოს რაოდენობითმა რიცხვითმა სახელმაც, მაგ: *L'année mil neuf cent quatre vingt dix-neuf; la page dix* და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ისეთი კატეგორიების კავშირი, როგორებიცაა რაოდენობა და თვისება არც ერთ სხვა მეტყველების ნაწილში არ არის ისეთი ხარისხით წარმოდგენილი, როგორც რიცხვით სახელებში, უფრო ზუსტად კი რიგობით რიცხვითებში“. (ვინოგრადოვი, 1947, 230) რიგობითი რიცხვითი სახელები უახლოვდებიან მიმართებით ზედსართავებს, ფუნქციის მიხედვით წინადადებაში, ისინი ასრულებენ განსაზღვრების ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის როლს, თუმცა ამავე დროს განსხვავდებიან მიმართებით ზედსართავებისგან იმით, რომ ისინი არ უთანხმდებიან საზღვრულს. ამიტომაც დიბოვსკაიას მოსაზრება რიგობითი რიცხვითების ზედსართავ სახელებად განხილვის შესახებ, არც თუ დამაჯერებელია.

ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი რიცხვითი სიტყვების დანაწილება არსებით, ზედსართავ და საკუთრივ რიცხვით სახელებად. არამედ სიტყვათა ეს ჯგუფი უნდა გამოიყოს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად — რიცხვით სახელებად.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს რიცხვითი სახელების სემანტიკური თავისებურებების გამოკვლევას შესიტყვების დონეზე, უფრო გამართლებულად მიგვაჩნია რიცხვის

ცნების მატარებელი სიტყვების გაერთიანება ცალკე ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფად, რომელსაც ვუწოდებთ „ნუმერატივს“. ამ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება:

- ა) არითმეტიკული სისტემის რიცხვთა სახელები, ტრადიციული გრამატიკის რაოდენობითი რიცხვითი სახელები — **un, deux, trois, quatre...dix, vingt, trente...cent... mille...** და ასევე **un million, un milliard, un billion, un trillion** და სხვ., რომლებიც ტრადიციული გრამატიკის მიხედვით არსებით სახელებად ითვლება.
- ბ) რიცხვით სახელთა სერია დაბოლოებით — **aine**, რომელთაც წინ უძღვით არტიკლი და აღნიშნავენ მიახლოებით რიცხვს: **dizaine, douzaine, quinzaine, vingtaine, trentaine, centaine** და სხვ. ასევე ისეთი კრებითი სახელები, როგორებიცაა : **couple, duo, trio, triade, ennéade** და სხვ.
- გ) რიცხვითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საგნის რიგს, ტრადიციული გრამატიკის რიგობითი რიცხვითი სახელები — **premier, deuxième, centième, millième** და სხვ.
- დ) რიცხვითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ წილად რიცხვებს — **demi, tiers, deux cinquième** და სხვ.
- ე) რიცხვითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ გამრავლების მათემატიკურ ოპერაციას — **double, triple, quadruple, centuple.** და სხვ.
- ვ) განუსაზღვრელი არტიკლი რიცხობრივი მნიშვნელობით — **un, une.**

ყველა ჩამოთვლილ სიტყვას აერთიანებს რიცხობრივი მნიშვნელობა, სწორედ რიცხვის ცნება წარმოადგენს ნუმერატივების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის გამოყოფის საფუძველს. რიცხვის აღნიშვნები ობიექტური და აბსოლუტურია : „მათი მნიშვნელობა ეყრდნობა მათემატიკური რიცხვის ცნებას“. (ფამინა, 1986, 7) ამ ჯგუფის აღსანიშნად ტერმინი „ნუმერატივი“ მართებულად მიგვაჩნია არა მარტო იმიტომ, რომ იგი სწორედ რიცხვის ცნებას გულისხმობს, არამედ იმის გამოც, რომ იგი უკავშირდება ლათინურ ტერმინს **numeralia** და ასევე ფრანგულ ტერმინს — **numéral.**

რიცხვის ცნება, უკავშირდება რაოდენობის აზრობრივ კატეგორიას. რაოდენობის ცნებითი შინაარსი კი ეფუძნება ობიექტურად არსებულ რაოდენობრივ წარმოდგენებს. რაოდენობის აზრობრივი კატეგორია ყოფის რაოდენობითი განსაზღვრულობის ასახვის შედეგია, ამიტომაც „რაოდენობის კატეგორია უნივერსალური, ლოგიკური კატეგორიაა, სინამდვილის წვდომის აუცილებელი საფეხური“ (ფი-

ლოსოფიური ენციკლოპედია, 1962, 552) სწორედ ამიტომაც, რომ რაოდენობის აზრობრივი კატეგორია გამოხატულებას პოულობს ყველა ენაში, თუმცა სხვადასხვა ლექსიკური თუ გრამატიკული საშუალებებით.

ქართული ენის რიცხვითი სახელი მკვეთრად ჩამოყალიბებულ თვლის სისტემას წარმოადგენს. „ეს ძლიერ მაღალი საფეხურია საერთოდ რიცხვითი სახელის განვითარების ისტორიაში“ (გვენცაძე, 1972, 5). როგორც აღვნიშნეთ ქართულ ენაში რიცხვითი სიტყვები გამოიყოფა დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად და მოიცავს რაოდენობით, რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს. ნუმერატივთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი ქართულში მოიცავს შემდეგ რიცხვით სახელებს:

- ა) რიცხვითი სახელები, რომლებიც თვლის სისტემაში გამოიყენებიან, ტრადიციული გრამატიკის რაოდენობითი რიცხვითები — ერთი, ორი, სამი, ექვსი, ათი, ოცი, ოცდაშვიდი, სამოცი, ასი, ათასი და სხვ.
- ბ) რიგობითი რიცხვითი სახელები — პირველი, მეორე, მესამე, მეათე, ოცდამეერთე, მესამოცე, მეასე და სხვ.
- გ) წილობითი რიცხვითი სახელები — მესამედი, მეოთხედი, მეთერთმეტედი, მეოცედი, ოცდამეერთედი, ნახევარი და სხვ.
- დ) მიახლოებითი რიცხვის გამომხატველი სიტყვები — ორიოდე, სამიოდე, ათიოდე, ასიოდე და სხვ.

- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ
1. ფრანგული ენის მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის პრობლემა დღესაც რჩება გადაუჭრელად. ამ პრობლემათა რიგს შეადგენს რიცხვითი სახელისა და რიცხვითი სიტყვების ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში.
  2. რიცხვითი სიტყვები, რომლებიც გადანაწილებულია არსებითი, და ზედსართავი სახელების, ასევე ზოგჯერ ნაცვალსახელების კლასებში უნდა გაერთიანდეს მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილად — რიცხვით სახელებად.
  3. რაოდენობის, რიგის, ნაწილის, გამრავლების, მიახლოებითი რიცხვის გამომხატველი სიტყვები ერთიანდება რიცხვითი სახელების ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში — „ნუმერატივები“.
  4. ნუმერატივების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი ეყრდნობა რიცხვის ცნებას და მოიცავს სხვადასხვა ტიპის რიცხვით სახელებს.

**ბრუნო, 1922** — Brunot F. La pensée et la langue; Paris. Masson, 1922.

**კურილოვიჩი, 1966** — Kurylowicz J. "L'évolution des catégories grammaticales " Problèmes du langage, Gallimard, 1966

**ლაგარდი, 1988** — Lagarde J-P. "Les parties du discours dans la linguistique moderne et contemporaine." Les parties du discours. Languages. Décembre 1988. N92.

**კულიოლი, დეკლი, 1981** — Culioli A., Descles J. P. Systèmes de représentations linguistiques et métalinguistiques. Les catégories grammaticales et le problème de la description des langues peu étudiées. Université de Paris 7. D.G.L. 1981

**დამურეტი, პიშონი, 1911** — Damourette J., Pichon E. Des mots à la pensée. Essai de grammaire de la langue française. vol. I, Paris, éd. D'Artrey, 1911

**დოზა, 1947** — Dauzat A. Grammaire raisonnée da la langue française, Lyon, 1947.

**გოდარი, ვეუბიკა, 1994** — Godard, Wierzbicka A. Semantic and lexical Universals, 1994.

**ბეშერელი, 1877** — Bécherelle M. Grammaire nationale, 1877

**რესტო, 1879** — Restaut M. Principes généraux et raisonnés de la grammaire française, Amstredam 1, 1879.

**ლარუსი, 1880** — Larousse P. Grammaire supérieure, 1880

**ბრაშე, დიუსუსე, 1911** — Brachet et Dussouchet Grammaire française, Cours supérieur. Ed.Hachette et C-ie 1911

**ლანუსი, ივონი, 1938** — Lanusse et Yvon Grammaire française 1938.

**გრევისი, 1969** — Grevisse M. Précis de grammaire française, Ducu-  
lot, 1969.

**დიუბუა, ლაგანი, 1997** — Dubois J. Lagane G. La nouvelle gram-  
maire du français Larousse-Bordas, 1997.

**ბელიონი, ფაბრი, 1995** — Baylon Ch. Fabre P. Grammaire  
systématique de la langue française éd. Nathan, 1995.

**ბეშადი, 1994** - Béchade H-D. Grammaire française. PUF.1994.

**ნოაი, 1999** — Noailly M. L'adjectif en français Ophrys 1999.

**არივე, გადე, გალმიში, 1986** — Arrivé M. Gadet F. Galmiche M. La grammaire d'aujourd'hui, guide alphabétique de linguistique française. Ed. Flammarion, 1986.

**განშინა, პეტერსონი, 1945** — Āaĩøèà È. À. Īãððññ Ī.Ī. Ñĩãðãĩĩĩũ ðõññèèè ÿçũè.

**კოსტეცკაია, კარლაშევსკი, 1948** — Êĩnðàøèàÿ Á.Ī. Èãðãøãã-  
ñèèè Á.È. Āðãĩĩãðèèè ððãĩøçñèĩĩĩ ÿçũèã, Ī.1948.

**ბოგომოლოვა, 1948** — Áĩĩññèĩãã Ī.È. Ñĩãðãĩĩĩũ ððãĩøçñèèè ÿçũè, ðãĩðãðè÷ãñèèè èððñ, Ī. 1948.

**დიბოვსკაია, 1954** — Äũãĩãñèàÿ È.È. Ī èãðãĩñðèè èãĩè ÷èñèè-  
ðãèũĩĩĩĩ ãĩ ððãĩøçñèĩĩ ÿçũèã, "Èññððãĩĩũ ÿçũèè à øèĩèã" 1954 N 6.

**გვენცაძე, 1972** — ა. გვენცაძე, ქართული ენის რიცხვითი სახე-  
ლი, 1972.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვ-  
ლები, 1973.

**ვინოგრადოვი, 1947** - Āèñãðããĩã Ā.Ā. Ðõññèèè ÿçũè, Ó÷ĩãããèç,  
1947.

**ობნორსკი, 1938** — Īãñññèèè Ñ.Ī. Çãĩãðèè ñ ðõññèèè ÷èñèèðãèũĩĩũ  
ñã.ĀĪ ÑÑÑÐ, 1938.

**ფამინა, 1986** — Ôãĩèã Ī.Ā. Āãðèãðèãĩññðũ çĩã÷ãĩèè ÷èñèè à  
ãĩãèèñèĩèè ðã÷è è ã ãĩñãèñðĩãũã ðñèĩãèÿ. Āãð.ĩã ãèññ.ĩã  
ññèñè.ó÷.ñð.èãĩã.ðèèĩè.ĩãóè. Ī.1986.

**ფილოსოფიური ენციკლოპედია, 1962** — Ôèèññõñèàÿ  
ÿñòèèññããèÿ, ð. 2 Ī. 1962.

EKATERINE ZHORZHOLIANI

### The Place of the Numeral in the Part of Speech System and the Lexical-Semantic Group "Numerical"

#### Summary

The problem of classification of parts speech remains unsolved in the French language. One of the questions connected with it is the place of the numeral and that of the words expressing the concept of number in the part of speech system. In French traditional grammars the words expressing various notions of number - quantity, order, approximation, multiplication, partition are generally distributed among the noun, adjective and sometimes pronoun classes. The paper argues that numerals, together with the words expressing



the concept of number should be united into a separate class of numericals.

სსმთ უონია

### დანიშნულების ზოგიერთ სახელთა მორფოლოგიური ცვლილებები ზანურში

ზანურის მასალის განხილვამ ცხადყო, რომ წარმოქმნილ ფორმებში მორფემათა ზღვარზე იქმნება არაბუნებრივი ბგერათკომპლექსები, რაც მორფოლოგიურ ცვლილებათა მიზეზი ხდება. არაკანონიკური ბგერათკომპლექსები იცვლება, რაც, ბუნებრივია მორფოლოგიურ და ფონოლოგიურ მოდელთა წინააღმდეგობის შედეგია. ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად გამოყენებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, იდენტურ ხმოვანთა ერთ ხმოვანად შერწყმა, ანაბტიქსური ხმოვნის ჩართვა და ა.შ.

დანიშნულების სახელები ქართულში იწარმოება სა—ო, სა—ე, სა—ურ, სა—არ და სა- აფიქსებით. მათი საერთო თავსართი სა — გ. ახვლედიანს მყოფთა საერთო მაწარმოებლად მიაჩნია (ახვლედიანი, 1923, 9).

სა—ე და სა—ო კონფიქსთა მიერ განსხვავებული ფუნქციების გამოვლენას ქართულში რამდენიმე მკვლევარი ეხება. ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას ცდილობდა აეხსნა, რომ სა—ე კონფიქსით ნაწარმოები სახელი დანიშნულების გამომხატველი იყო, სა—ო მაწარმოებლიანი კი განეკუთვნება ვისობას (ჟორდანია, 1889, 188). ამ თვალსაზრისს იზიარებს თ. ზურაბიშვილიც, რომელსაც აღნიშნული აფიქსების სრული მნიშვნელობითი გაიგივება უმართებულოდ მიაჩნია, რადგან „თვით აფიქსთა სხვადასხვაობა მიუთითებს მათ განსხვავებულ ფუნქციაზე... მკრთალად მაგრამ მაინც დღესაც იგრძნობა ამ აფიქსთა განსხვავებული ფუნქცია მნიშვნელობა (ზურაბიშვილი, 1961, 154).

თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ დანიშნულების სა—ე და სა—ო წყვეტილ მორფემათა განაწილებაშიც საგრძნობლად შეიმჩნევა, რომ ლაბიალური ხმოვნით დაბოლოებული სახელები ამჯობინებენ სა—ე მაწარმოებელს: საკალოე, საჯიგოე... ამათ გვერდით იშვიათად გვხვდება ამ ტიპის ფუძეებთან სა—ო მაწარმოებელიც: საბოლოო, საუცხოო...

ასეთი წარმოება გვიანდელია და უკავშირდება სა—ე და სა—ო სუფიქსების ფუნქციურ დიფერენციაციას არალაბიალურდაბოლოებიანი ფუძის მქონე სახელებთან, როგორცაა მაგალითად: სა-კაც-ე და სა-კაც-ო, ამის კვალობაზე უპირისპირდება საბოლოე და საბოლოო (საბოლოე შალი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება) (უთურგაიძე, 1970, 20). მ. ტუსკიას მოსაზრებით სა—ე და სა—ო კონფიქსთა ამგვარი დაპირისპირება არასისტემურია და მისი განზოგადებისათვის საფუძველი არ არსებობს (ტუსკია, 1997, 34).

დანიშნულების სახელები ზანურში წარმოდგენილია ო- და სა-პრეფიქსებით. პრეფიქსთან ერთად სიტყვას ჩვეულებრივ სუფიქსები ახლავს. მაგ. მეგრ. ო-ცხენ-ე (საცხენე), მეგრ. ო-გვაჯ-ე (საბუღარი), მეგრ. ო-ხვამ-ერ-ი (სალოცავი) მეგრ. ო-ჭკადირ-ე || ო-ჭკად-ურ-ე || ო-ჭადგ-რ-ე (სამჭედლო), მეგრ. სა-კაბ-ო (საკაბე), მეგრ. სა-ჩილ-ო (საცოლე), ლაზ. ო-ქოთუმ-ალ-ე (საქათმე), ლაზ. ო-ტრიკ-ე (სამტრედე), ლაზ. ო-ნჩამ-უ-ე (საცხველი), ლაზ. ო-ფუტ-ე (ეხო), ლაზ. ო-ჯიმ-ოლ-ო (სამარილე), ლაზ. ო-კანდალ-ე (პლანტაცია).

შ. ძიძიგური ცნობილ წერილში „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში“, აღნიშნავს რომ ყველანაირი ხმოვანთა კომპლექსი განსხვავებული სახის ცვლილებებით ქართულსა და ზანურში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა.

სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში ზანური ო-, ნო- პრეფიქსებს იყენებს, პირველი ქართულ სა-ს უდრის, მეორე ნა-ს.

მეგრულში ნა- და სა- პრეფიქსებიც შეგვხვდება ქართულიდან შეთვისებული (ჩიქობავა, 1942, 193).

დანიშნულების სახელების წარმოებისას მეგრულში ფონეტიკური ცვლილებები შემდეგნაირად ხორციელდება: თუ სახელის ფუძე ა ხმოვანზე ბოლოვდება, მაწარმოებლის დართვისას ხდება ამ ხმოვნის მოკვეცა. მაგ.: ჭგჭგტია „ჭიანჭველა“ >\*ო-ჭგჭგტია-ე > ო-ჭგჭგტ<sup>ი</sup>-ე. ვიწ. არქაბ. დუმჭკუ. ხოფ. დიმჭკუ, სენაკ. ჯგიჯგიტია || ჭკიტკიტია, ზუგდ.-სამურზ. ჯგჯგტია || ჭკჭკტია, ძვ.ქართ. ჯინჭველი.

ჭანურის ვარიანტიდან დუმჭკუ || დიმჭკუ ამოსავლად მიჩნეულია დიმჭკუ || დიჭკუ დუ-მჭკუ ითვლება დიმჭკუსაგან მიღებულად ასიმილაციის გზით. ჭანური დიმჭკუს პირველადობას მხარს უჭერს მისი ქართული შესატყვისი ჯინჭველი >\*დი-ჭველი (ჩიქობავა, 1938, 242). გ. როგავას აზრით, ქართული ჯინჭველი <\*დი-ჭველ უნდა

იყოს მიღებული. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში გვაქვს არა ჯინჭველი, არამედ ჯინჭველი (როგავა, 1962, 58) მისი აზრით ჯგიჯგიტია || ჭკიტკიტიაში -**ტია** შეიძლება კინობითობის სუფიქსი იყოს.

მაწვრლია > \*ო-მაწვრლია-ე > ო-მაწვრლი-ე. ათინ. მაწულეს || მაწურლე, ხოფ. აწირლე < \*აწვრლე < \*აწურლე; არქ. აწილი < \*აწული („ბზიკი“); ზუგდ.-სამურზ. მაწვრლია < \*მაწურლია („ბზიკი“); ბაძგარია (ეკალა) > ო-ბაძგარი-ე > ო-ბაწკარი-ე, ლებია (ლობიო) > ო-ლები-ე, მაბჯალია (რძინა) > \*ო-მაბჯალია-ე > ო-მაბჯალი-ე, ჯამფეზია (ჭიაფერა) > \*ო-ჯამფეზია-ე > ო-ჯამფეზი-ე, ქამენია (გვირილა) > \*ო-ქამენია-ე > ო-ქამენი-ე, პურასქია (პრასა) > \*ო-პურასქია-ე > ო-პრასქი-ე, კუმა > ო-კუმ-ე.

რამდენადაც მორფემათა შესაყარზე მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგია, ფონემათა სინტაგმურმა მიმართებებმა, რომლებიც მორფემის ფარგლებში მოქმედებს, თავი უნდა იჩინოს მორფემათა შესაყარზე მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებში (უთურგაიძე, 1970, 16), როგორც კი შეიქმნება პოზიცია V—V მაშინათვე აღდგებადეტერმინანტისეული თანხმოვანი **ლ**. მაგ.: ჩხოუ (ძროხა) > ო-ჩხოუ-ლ-ე > ო-ხუ-ლ-ე > ო-ჩხუ-ლ-ე, თხა (თხა) > ო-თხა-ლ-ე, ჯიმუ (მარილი) > ო-ჯიმ-ოლ-ო, ჯიმა (ძმა) > სა-ჯიმ-ალ-ო, ქოთუმი (ქათამი) > ო-ქოთუმ-ალ-ე.

ლაზურ ენაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი ხოფელი, არქაბელი და ვიწელი ლაზი პალატალიზებულ ლ-ს წარმოთქვამს შუა და უკანა რიგის ხმოვანთა წინაც. ლ'-ს მეგრულისებური დარბილება მთელ ლაზურს კი არ ახასიათებს, არამედ ცალკეული ინდივიდების მეტყველების თავისებურებაა, რომელიც მეტნაკლები ინტენსივობითაა რეალიზებული (კარტოზია, 41).

ლ-ს პალატალიზაცია ასე წარმოგვიდგება მეგრული ენის მარტვილურ კილოში: ო-ბჟა-ლ-ე > ო-ბჟა ე (სამზეო), ო-კაკ-ულ-ე > ო-კაკ ე (საწყისი), ო-ძვალ-ე > ო-ძვა ე (საძვალე), ო-ლა-ჭვათ-ირ-ე > ო-აჭვათ-ირ-ე (საწვეთელა), სა-რწკვ-ე-ლ-ი > სა-რწკვ-ე (საძირკველი), სა-ფულ-ე > სა-ფუ- ე (საფულე).

ლიტერატურა

**ახვლედიანი, 1923** — გ. ახვლედიანი, „სა-“ და „ურ-“ მნიშვნელობა. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, №2-3, 1923.

**ზურაბიშვილი, 1961** — თ. ზურაბიშვილი, „ტოპონიმის შესწავლისათვის“, „ქართული ენის სტრუქტურის საკითხები“, ტ. 2, თბ., 1961.

**ჟორდანი, 1889** — თ. ჟორდანი, ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თბ., 1889.

**როგავა, 1962** — გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

**ტუსკია, 1997** — მ. ტუსკია, ენათმეცნიერება, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 187, 1997.

**უთურგაიძე, 1970** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1970.

**ჩიქობავა, 1938** — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1938.

**ჩიქობავა, 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

## ASMAT SHONIA

### Morphological Changes in Some Zan Nouns of Purpose

#### Summary

In Zan unnatural soundcomplexes are evidenced on the boundary of morphemes in derived forms. The non-canonical soundcomplexes change because of morphological and phraseological incompatibility.

მეფა რიშვაჰი

### ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები საშუალო ქართულში

ანთროპონიმთა ძირითად სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მათ ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები. მიჩნეულია, რომ მოფერებითობა-ალერსობითობის გადმოცემა, რაც გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითობის გამოხატვის საშუალებებთან, წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას. იგი უშუალო კავშირშია ანთროპონიმთა ძირითად ფუნქციასთან — მიმართვა-დაძახების დანიშნულებასთან. აღნიშნული თავისებურება, თავის მხრივ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პირის სახელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე (ნოზაძე, 1989, 101).

პირის სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები ქართულში ფართოდ არის გავრცელებული, ამგვარ ფორმათა საწარმოებლად ქართულს მოეპოვება მრავალფეროვან და ამასთანავე რთულ აფიქსთა მთელი სისტემა. ეს ფორმანტები: -ა, ია — ი + ა, იკა — იკ + ა, ელა — ელ + ა, უტა- უტ + ა, იტა-იტ + ა, უნიკა — უნ + იკ + ა და სხვა

სასაუბრო ენაში — ქართული ენის დიალექტებში — ანთროპონიმები წარმოდგენილია კნინობითი ფორმებით და ნაწარმოებია რომელიმე აფიქსით. ყველაზე გავრცელებული მათ შორის -ა სუფიქსია. იგი შედის თითქმის ყველა კნინობით-მოფერებითი მაწარმოებლის შემადგენლობაში.

საგულისხმოა, რომ ანთროპონიმთა კნინობით-მოფერებითი ფორმები ქართული სამწერლო ენის ადრინდელ ძეგლებშივე იჩენს თავს. ასეთად მიიჩნევა ძნელა (ბოლნისის სიონის აღმ. კედელზე), გულა (წყისის წარწერაში 616-619), კახა (მოიხსენიება 853 წ. ატენის წარწერაში), ნაწარმოები „კახ“ ეთნონიმისაგან. სულა (მოიხსენიება ატენის 885 წლის წარწერაში) ნაწარმოები „სულ“ ძირისაგან. კრა-ვა (იხსენიება მეათე საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში), წარმოქმ-

ნილი „კრავ“ ძირისაგან, კუპრა (გრ. ხანძთელის ცხოვრება), მორჩა (იშხნის ერთ-ერთ წარწერაში 1032 წ) და სხვა. (მარტიროსოვი 1953, 109-110).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ ტექსტის ერთ-ერთ ნუსხაში ვხვდებით ანთროპონიმ გივის კნინობით ფორმას — გივა:

ანუ ვისმცა ქება მოხდომოდა..... მსგავსთა როსტომისთა და გივაებთა (ქ.ც., II, 65).

XV-XVIII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებში არამ მარტიროსოვმა დაადასტურა არაერთი კნინობით-მოფერებითი ფორმა: ავთანდილა, თამთა, ნიკოლოზა, დათუა, ქიტუა, მახარია, გოვანა, ივანელა, როსტომელა, მგელიტა და სხვა. (მარტიროსოვი 1953, 259).

საინტერესო ჩვენებას იძლევა კახეთში 1700 წელს შედგენილი ერთ-ერთი ისტორიული საბუთის ტექსტი:

„არის ამის მოწამე, თავად ღმერთი, კაცთაგან ბარამიშვილი მღვდელი ეპიფანე, ალავერდის მეღვინეთუხუცესი სულხან, კაკაბეთის მოურავი ბანდურაშვილი ბეჟან, ბეჟანისშვილი კახაბეთს შერმაზან, ნაცვალის ოთარი, შიბლიანელი თამაზა, კიდემ ალაკას ქემბა, ჭიკაძე ქრისტესია, შიბლიანში კიდემ ქემბა, მგელიტა და იქვე მლთისია, კიდემ ალაკას ჯანგირა და ეშმაკურა და მე, მოურავს სახლთუხუცეს დავითს, დამიწერია და მოწამეცა ვარ.... ალავერდელი ნიკოლოზ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1965, 3).

სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში მდივანმწიგნობარი თავის თავს მოიხსენიებს კნინობითი ფორმით : აბრამა (სვ.საისტ.ძეგ., 18). აქვე დასტურდება არღონა (იქვე, 49), იგი „არღუნი“ კნინობითი ფორმის ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს. კნინობით სახელებს ვხვდებით XI-XVI სს. სიგელ-გუჯრებშიც. „ტბეთის სულთა მატთანეში“ გვხვდება ივანა (ტ.ს.მ., 505, 93). საინტერესოა, რომ ივანა ფორმა საკმაოდ გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში:

კიდევ ეს მოდებამე მამისა და გიორგა, ანტონა, მახარებელი და ივანაი ბატონის ანნას მოაღაპე არის (მას. დას.საქ. III, 43, 18)

... მოდებამენი პავლია, ივანა, ბეროზაი (იქვე, 45, 15).

ელიშაყასშვილი აბრამა და მისი ძმა იაკობა და იოსება მათის ცოლ-შვილით (იქვე, 64, 5).

-ია დაბოლოებიანი კნინობითი ანთროპონიმები ბლომდაა „ტბეთის სულთა მატთანეში“:

სულსა ქლუტისშვილისა ვაჟისა ბექიას შეუნდვენ ღმერთმან (ტ.ს.მ., 10)

სულსა ცივნარისძისა პეპიასასა შეუნდვენ ღმერთმა (იქვე, 79)

სულსა ჭანისძისა ცქირიასასა და მეუღლესა მისსა ნათელი-სასა შეუნდვენ ღმერთმან (იქვე, 273.)

სულსა გოვისშვილსა საგიასასა შეუნდვენ ღმერთმან (იქვე, 320).

... სულსა მისისა მეუღლისა შურიასა შეუნდვენ ღმერთმან (იქვე, 338).

სულსა კარქისძისა ნონიასა და მის მეუღლესა გუანცასა შეუნდვენ ღმერთმან (იქვე, 570).

სულსა ბევანასასა, მისისა ძმისა გოდანიასასა, სულსა მათისა ძმისა მანანასასა შეუნდვენ ღმერთმან (იქვე, 512).

„სვანეთის კრების მატთანეში“ დასტურდება ანთროპონიმები: გოგია, ტაბუღია.....

რამდენიმე ასეთი სახელი გვაქვს „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“:

ამით თაუსდებად მომიცემია მთავარანგელოზი მუზერისა — კაც-თავან: დავით აგბენი, თვალაი გელანი..... (სვ.საისტ.ძეგ., 100).

მე ნინიასა დამიწერია და მოწამეცა ვარ (იქვე, 90).

მე აბუგიანმან ივანე და ჩემთა შვილთა დუღიაი და გიგლა და ბეჟან დაგიწერეთ და მოგეცით დაწერილი ესე (იქვე, 88).

ამისნი მოურავნი არიან: ნანიაკახიანი, ფორთოხ იოსელიანი .. (იქვე, 79)

მერმე გვიღალატეს და თავს დაგვესხა, ფაცა მოკლა და მისი ძმისწული ბესია (იქვე, 51).

-ია დაბოლოებიანი კნინობითი ფორმები გვხვდება სხვა საბუთებშიც:

თემია (სიძე; II, 12);

პავლია (იქვე, 45, 15);

ბეჟია (მას. დას. საქ. III, 50—16);

მიქია (იქვე, 47-3);

მგელია (იქვე, 14);

„ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენება მსგავსი წარმოების სახელი გოჩია (ქ.ც., IV, 85-95).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ია დაბოლოებული კინობითის ფორმები უფრო დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. მოყვანილი მაგალითები კი დასტურია იმისა, რომ ასეთი წარმოების ფორმები არც აღმოსავლური დიალექტებისთვისაა უცხო.

-უა სუფიქსიანი ალერსობითი ფორმებიდან ისტორიულ დოკუმენტებში შეგვხვდება:

ოქრუა (სიძვ. II, 93),	პაპუა (სიძვ. II, 113),
ტატუა (სიძვ. II, 181),	ბიძუა (დოკ. II, 107),
კახუა (სიძვ. I, 124),	ბესუა (სიძვ. I, 124).

ტბეთის და სვანეთის სულთა მატთანებში -უა სუფიქსიანი კინობითი სახელები მეტად იშვიათია. ტბეთის ეპარქიაში, როგორც ჩანს, ასეთი ფორმები საერთოდ არ ყოფილა გავრცელებული, „სვანეთის კრების მატთანეში“ ორჯერაა დადასტურებული ერთი და იგივე ანთროპონიმი დათუა (სვ. კრ. მ., 159 და 143).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -უა სუფიქსიანი კინობითის ფორმები დამახასიათებელია ხევსურეთისათვის და, საერთოდ, აღმოსავლური დიალექტებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიულ საბუთებში დადასტურებული სახელები: ძალლუა, გლუხუა, ბუჭუა (მას. დას... წ. II, 68).

მსგავსი ფორმაა „ქართლის ცხოვრებაში“ მოძიებული დათუა (ქ.ც., II, 437-24). ამავე ტექსტში დასტურდება ფორმა დათულია (504, 364), „ტბეთის სულთა მატთანეში“ მოხსენიებულია ფოცუნა.

სულსა სალიბასძე ფოცუნასასა და მისისა მეუღლისა.... ხუარაშანისა შეუნდვენ ღმერთმან (ტ.ს.მ., 72).

გვხვდება ფოცუნაც (იქვე, 522), რაც ფოცუნას შემოკლებული დაწერილობა უნდა იყოს. აქვეა გუგუნა (ტ.ს.მ., 523), რომელიც გუგუნ-ს მოფერებითი ფორმაა. აღსანიშნავია, რომ გუგუნ ანთროპონიმი გვხვდება როგორც „ტბეთის სულთა მატთანესა“ და „სვანეთის საისტორიო დოკუმენტებში“ (სვ. საისტ. ძეგ., 15), ასევე „საქართველოს სიძველენის“ გამოცემაში მოთავსებულ სიგელ-გუჯრებში (სიძვ. II, 98), ერთი სიტყვით, იგი ფართოდ გავრცელებული ანთროპონიმია.

სამმაგი სუფიქსი უნდა გამოიყოს „ტბეთის სულთა მატთანეში“ დადასტურებულ სახელში — ჩხუტუნია; უნ + ი + ა.

სულს გოგანისძის ზაქარიასასა და მისისა მეუღლისა ჩხუტუნისასა შეუნდვენ ღმერთმან (ტ.ს.მ., 39).

საინტერესოა, სვანურ დოკუმენტებში გამოვლენილია -ელა და -ილა სუფიქსიანი კინობითის ფორმები. ერთი ასეთი სახელი თ. ყორდანისა მიერ გამოცემულ ქრონიკებშიცაა — დავითელა (ქრ.400).

-ელა სუფიქსიანი კინობითის ფორმები მრავლადაა „სვანეთის კრების მატთანეშიც“

აქუნელა (126)	ხუბუნელა (120)
ბახრანელა (120)	ხათუთელა (139)
ყვიცინელა (118)	დადეშგელა (133)
ჭაბუკელა (328)	ღაღანელა (121)
ტაბაგელა (125)	სამსონელა (118)

აქვე გვაქვს რამდენიმე ფორმა, რომლებიც, ვფიქრობთ, კინობითისაა:

ბედილა (69)	ვაჟილა (9)
გუგაილა (66)	თუთაილა (136)
ცხორებილა (127)	კახაბილა (127)

სვანურ დოკუმენტებში დავადასტურეთ დუდილა (შდრ. დუდია) და ადილა ანთროპონიმები. აქვე გვაქვს დუდა და ადა. ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული სახელები ამ უკანასკნელ ანთროპონიმთა კინობით-ალერსობითი ფორმებია.

„სვანეთის კრების მატთანეში“ მოძიებულია ანთროპონიმები გეგუჩი (147), დედაჩი (134), რომლებიც ენმაურება დასავლეთ საქართველოში დადასტურებულ ქაქიჩი (მას.დას. II, 69), პაპუჩი (იქვე, II, 67) სახელებს, შესაძლოა ესენიც ალერსობითი ფორმები იყოს.

მოვიპოვეთ კინობითის — იტ-ა, -უტ-ა მაწარმოებლიანი სახელები:

ხახუტას მოაღაპე იყენენ ესენი (მას.დას. III, 521).

ამ კაცებში მივართვი გიორგი ჟღენტისა და ზაზუტა ავალიანის ხელით ერთი კარგი დარაი.... (იქვე, 58)

მას უკან კიდევ აყარეს შოშიტაკაპანაძე (იქვე, 58).

გოგიტა (იქვე, 63)

ყურადღებას იქცევს ფორმა გიორგიტი, გორგიტი (იქვე, 66).

დასავლეთ საქართველოში გვაქვს — იკ სუფიქსიანი კინობითი

ფორმები. იკ-იკო, ან-იკა.

მოსახლე ბუჭუკი, ხელოსანი ცერცვაძე და მისი ძმა გულა, კვალად შოშიკი ცერცვაძე, ბეჟიკი ცერცვაძე (მას.დას... III, 63,30).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია იმ გლეხთა სახელ-გვარები, ვისაც მართებდა რაიმე სახის ბეგარა. სიაში ბევრია — იკ-ა დაბოლოებული სახელები: სვიმონიკა, ივანიკა, ბერიკა, ნანიკა, დათიკა, გრიგოლიკა. (იქვე 65).

საშუალო ქართულში მრავლადაა ანთროპონიმთა მოკლე ფორმები. საკუთარი სახელის ფუძე იკვეცება მეორე ხმოვან ფონემამდე, ან თანხმოვანით დაბოლოებულ პირველ მარცვალზე, რომელსაც დაერთვის -ო ფორმანტი — წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშანი. იგი უხორცდება ფუძეს.

შემოკლებული ანთროპონიმები გვაქვს „ტბეთის სულთა მატია-ნეში“:

გოგა (ტსმ, 52)

გოგი (იქვე, 69,70)

თამრო (იქვე, 143)

ნათო (იქვე, 157)

„სვანეთის კრების მატიანეში“ დასტურდება ნათაც. იგი უფრო გავრცელებულია, ვიდრე ნათო. ნათო ფორმა ჭარბობს „ტბეთის სულთა მატიანეში“ (ტ.ს.მ., გვ.120, გვ. 123, გვ.126, გვ.127) აქ — ო აშკარად მაწარმოებელია და შესაძლოა — ა-ს ბადალიც იყოს.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ საშუალო საუკუნეებში მაწარმოებლის თვალსაზრისით მრავალფეროვანი კნინობითი ფორმები გვაქვს, რომლებიც უმთავრესად მდაბიოთა სახელებს ეწარმოებოდათ. კნინობითი ფორმებით, როგორც მოპოვებულმა მასალამ ცხადყო, უფრო მდიდარია დასავლეთ საქართველო. მაწარმოებელ სუფიქსთა მიხედვით დასავლური დიალექტები უფრო ხშირად მიმართავენ — ა, -იტა, -იკა... სუფიქსებს, „ტბეთის სულთა მატიანეში“ და „სვანურ წერილობით ძეგლებში“ ბატონობს — ია, -უა, -ჩი სუფიქსები. თუმცა ეს გამიჯვნა ძალზე პირობითია. საინტერესოა ისიც, რომ ზოგ ანთროპონიმში ერთდროულად ორი და მეტი სუფიქსია: (ჩხუტუნია, ტაბაგელა...).

ლიტერატურა

**თოფურია, 1975** — ვ. თოფურია, კნინობითი ქართველური ენებში, შრომები, III, თბ; 1975.

**მარტიროსოვი, 1953** — ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII ს. სვანურ ისტორიულ საბუთებში, ი.კ.ე. IX, თბ; 1953.

**ნოზაძე,** — ლ. ნოზაძე, ფუძეთანხმოვნიან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში იკე, XXVII, თბ.

**ჟორდანი, 1969** — თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. III, თბ; 1969.

**საქართველოს სიძველენი, 1899** — საქართველოს სიძველენი, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ; 1899.

**სვანური წერილობითი ძეგლები, 1986** — სვანური წერილობითი ძეგლები, ვალერი სილოგავას რედაქციით, თბ; 1986.

**ტბეთის სულთა მატიანე** — ტბეთის სულთა მატიანე, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ; 1997.

**ქართლის ცხოვრება,** — ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, ტ. II, 1959, ტ. IV, 1973.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ; 1973.

**ჭუმბურიძე,** — ზ. ჭუმბურიძე, კნინობითი სახელები სვანურში, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 20.

MEDEA RIZHVADZE

## Diminutive Forms of Anthroponyms in Georgian

### Summary

As is known, in Georgian anthroponyms take the suffixes a, ai – a+i, ika – ik + a, ela – el + a to form diminutives; the suffix a being the most productive. Such forms are encountered in Old Georgian manuscripts: Dzne-la, Guda, Sula, Morcha etc.

The diminutive forms are also evidenced in the Medieval Georgian manuscript "Tbetis Sulta Matiane" (The Annals of Tbeti).

The name Ivana was common in Western Georgia. The suffix ua was more common in Eastern Georgia – Okrua, Papua, Besua, Kakhua. In Middle Georgian shortened forms of Christian names are also attested (Goga, Gogi, Tamro, Nato etc.).

In should be noted that in the low social class diminutive forms were used as Christian names.

ციცინო კვანთალიანი

#### და- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება

**და-** ზმნისწინი ითვლება **დაბ** (მიწის) აღმნიშვნელი ძირიდან მიღებულად (შანიძე, 1980, 268; ჩიქობავა, 1942, 15-16, 26-27). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, **და-** ზმნისწინის „თავდაპირველი ფუნქცია მიწისკენ (ე. ი. ძირისკენ, ქვევითკენ) მიმართული მოძრაობის გადმოცემა უნდა ყოფილიყო. შემდეგში მიწისკენ მიმართულების ჩვენების ფუნქცია **და-** ზმნისწინს ქვევითკენ მიმართულების ჩვენების ფუნქციით შეეცვალა. ე. ი. კონკრეტული მიმართულებიდან ზოგადი მიმართულება ჩამოყალიბდა“ (ვეშაპიძე, 1967, 131-132).

დ. ჩუბინაშვილი **და-** ზმნისწინს ზედაპირზე მოქმედების აღმნიშვნელად მიიჩნევს (ჩუბინაშვილი, 1855, 73). ნ. მარის განმარტებით, **და-** ზმნისწინი ზემოდან ქვემოთ მიმართულებას უჩვენებს „ჩვენს სიმაღლემდე“ (მარი, 1925, §202).

აკ. შანიძე წერს, „**და-** ზმნისწინის ხმარების არე ზევიდან ქვევით მიმართულების აღსანიშნავად ძალიან შეზღუდულია... ამ მნიშვნელობით დღევანდელ ენაში გაბატონებულია **ჩა-**, რომლის პირვანდელი მნიშვნელობა მეტია, ვიდრე „ზევიდან ქვევით“ (შანიძე, 1980, 249, შენიშვნა).

ირ. ვეშაპიძე ფიქრობს, რომ „თუ **და-** აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას — „ჩვენს სიმაღლემდე“, **შთა- (ჩა-)** აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას „ჩვენს ქვემოთ“. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ **და-** ზმნისწინი მიმართულების აღსანიშნავად ხშირად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სინამდვილეში კი ზევიდან ქვევით მიმართულების აღმნიშვნელი **და-** ზმნისწინიანი ზმნების დიდი სიუხვე იგრძნობა ძველ ქართულში. მათ შორის ბევრი ისეთიცაა, რომელშიც დღეს ზევიდან ქვევითა მიმართულება ან სულ აღარ, ანდა ძალზე შესუსტებულად იგრძნობა“ (ვეშაპიძე, 1967, 132-133). ირ. ვეშაპიძეს მაგალითებად მოჰყავს **დაჰჰუა** და **დაბეჰდა** ზმნები და

მიუთითებს, რომ ძველად ამ ზმნებში ზევიდან ქვევით მიმართულება იგულისხმებოდა: „შთააგდო იგი უფსკრულსა და დაპვმა კარი“, აშკარად ჩანს, რომ კარი ზემოდან არის დახშული. ასევე **დაბეჭდვა** ზმნაში, თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ ბეჭდის ზემოდან დას-მა იყო“ (ვეშაბიძე, 1967, 135). მკვლევარი ვარაუდობს, რომ **დაწერს** ზმნაც ძველად აღნიშნავდა ზევიდან ქვევით მიმართულებას, ასევე დათრგუნავს, დაიძინებს (დაწოლით იძინებს) ზმნებიც.

რა თქმა უნდა, მიმართულების ჩვენება ძველ ქართულში **და-** ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია იყო. და საერთოდაც, მტკიცდება რწმენა, რომ თავდაპირველად ზმნისწინი მიმართულებას აღნიშნავდა, უფრო სწორად, მიმართულების საჩვენებლად გაჩნდა, მერე კი ხშირ შემთხვევაში დაკარგა მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია. ამიტომ არის ჩვენი გამოყოფილი **ნეიტრალური ზმნისწინები** უმეტესად **გა-** და **და-** ზმნისწინები. აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ გეზისა და ორიენტაციის აღუნიშვნელობა ყველაზე ხშირად **გა-** და **და-** ზმნისწინებს ახასიათებს და ისინი ხშირად გვევლინებიან მეორეული მნიშვნელობით (შანიძე, 1980, 253).

ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად ამ ზმნისწინებშიც მიმართულება აღინიშნებოდა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, შემდეგში კი მათ დაკარგეს ეს მნიშვნელობა და დღევანდელ ქართულში **წერს — დაწერს, ხატავს — დახატავს, თრგუნავს — დათრგუნავს** ზმნები ასპექტით უპირისპირდება ერთმანეთს. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში ზმნისწინით არ გადმოიცემოდა ასპექტის გაგება და **წერს — დაწერს** ზმნები მიმართულებით უპირისპირდებოდა ერთმანეთს.

დღეს **და-** ზმნისწინიანი ზმნების დიდ ნაწილში მიმართულება არ ჩანს, მაგრამ დროისა და ასპექტის გაგების გარდა, ზმნისწინის სხვა, სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები ივარაუდება.

**და-** ზმნისწინის ზოგ მნიშვნელობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. **დაათხოვებს** ზმნაში **და-** ზმნისწინი მიანიშნებს ობიექტის სიმრავლეზე. ეს არის მნიშვნელობა, რომელიც მოქმედების ინტენსივობას აღნიშნავს და რასაც აკ. შანიძე „თითობის და-ს“ უწოდებს (შანიძე, 1980, 255). მაგ.: **დაამწკრივებს, დაარიგებს** (წიგნებს), **დაშლის** (საათს) და ა. შ.

**და-** ზმნისწინით **და-აქორწინებს, და-აცოლშვილებს, და-აფუძნებს, და-აარსებს** ზმნებში ერთ ადგილზე დაფუძნება, ადგილზე

მიმართული მოქმედება იგულისხმება. ეს არის მნიშვნელობა, რასაც შ. აფრიდონიძე უწოდებს „თავმოყრას, კონცენტრაციას, ერთ ადგილზე დაფუძნებას“ (აფრიდონიძე, 1980, 90). ამიტომ აღინიშნება **დააფუძნებს, დააარსებს** ზმნების საპირისპირო მნიშვნელობა — **და-ანგრევს, და-ამხსვრევს, და-ლეწავს** იმავე **და-** ზმნისწინით. აქ ინტენსივობის ან თითობის **და-** ზმნისწინიც იგულისხმება, როგორც **და-შლის** (საათს) და **და-შლის** (სახლს) ზმნებში, მაგრამ აშკარად ჩანს ადგილზე, ქვემოთ მიმართული მოქმედებაც.

**და-** ზმნისწინით **და-აბერებს, და-აჩაჩანაკებს, და-აბატარავებს, და-ამცირებს** ზმნებში ცენტრიდან მოქმედების გაშლის, განვითარების უკუპროცესი — დაქვეითება, დაბატარავება ჩანს. შ. აფრიდონიძე **და-** ზმნისწინის ამ მნიშვნელობას „საგნის (ან მიერ დაკავებული სივრცის) მოცულობის კლების მიმართულებით“ გამოხატულ მოქმედებას უწოდებს (აფრიდონიძე, 1980, 89). **დააწვრილებს, და-შრებს** და მსგავსი შინაარსის ზმნებიც ამ მოქმედებას გამოხატავენ. თანაც პროცესი ნელ-ნელა, თანდათანობით მიმდინარეობს. ამ ზმნებში ეს ნიუანსი **და-** ზმნისწინს შეაქვს, თორემ ეს ზმნები რეგრესული შინაარსის მატარებელი უზმნისწინოდაც არიან: **აბერებს, აჩაჩანაკებს, აბატარავებს, ამცირებს** და ა. შ.

**ფინალობა**, მოქმედების დასრულება ჩანს **და-** ზმნისწინიან ზმნებში: **და-ასრულებს, და-ამთავრებს, და-ლეგს, და-შრეტს...**

**და-** ზმნისწინი **საზედაო სიტუაციაზე** მიანიშნებს **და-გარდა, და-ეცა, და-ანარცხა, და-რჩა, და-აწყობს, და-აგდებს, და-ყრის** ზმნეში. მოქმედება მიწისკენ თუ არ მიემართება, აშკარად მისი ადგილზე, ზედაპირზე მიმდინარეობა იგულისხმება. ვფიქრობთ, **და-** ზმნისწინით ეს ფუნქცია გადმოიცემა **და-წერს, და-ხატავს, და-ამაგრებს, და-აცემინებს, და-აბეტონებს...** ზმნებში.

**და-** ზმნისწინი ასეთ შემთხვევებში ზედაპირისკენ, ადგილისკენ მიმართულ მოქმედებას გამოსახავს, მაგრამ მისი თავდაპირველი ფუნქცია, აღნიშნოს საერთოდ ზემოდან ქვემოთ მიმართულება, ჩანს რამდენიმე ზმნაში. აქ გვულისხმობთ მიწის ქვეშ მიმართულ მოქმედებას: **და-მარხა, და-ასამარა, და-ასაფლავა, და-ფლა** და სხვა. ირ. ვეშაბიძე ამ შემთხვევებს ასე ზმნის: „რადგან **შთა-** ზმნისწინი რთულია და შედგება **შე-** და **და-** ზმნისწინებისაგან (შე+და=შედა → შდა→შთა), ადვილი გასაგებია, რომ **შთა-** ზმნისწინი უფრო ახალგაზრდაა ასაკით, ვიდრე **და-**. როცა **შთა-** ჩამოყალიბდა, მაშინ **და-**



უკვე არსებობდა. აქედან გამომდინარე, სანამ **შთა-** ზმნისწინი ჩამოყალიბდებოდა, მანამდე **და-** ზმნისწინი გადმოგვცემდა საერთოდ ზემოდან ქვევით მიმართულებას როგორც ზედაპირმდე, ისე მის ქვევით — მიწის ან წყლის სიღრმეში და აქედან, აბსტრაქციის შედეგად, — ყოველგვარ სიღრმეში“ (ვეშაბიძე, 1967, 142).

ზოგ ზმნასთან **და-** ზმნისწინი „აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც მიემართება ირიბ ობიექტს ზემოდან (სრულდება მის ზემოთ): და-ჰკივის (ის მას), და-ჰხარის, და-ს-ტირის, და-ჰბზუის, და-ს-დახის, და-ჰმღერის, და-ს-ცქერის... (შდრ.: კივის, ტირის, ბზუის...)“ (ჯორბენაძე, 1988, 98). ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობაში იგივე საზედაო სიტუაცია ჩანს.

**და-** ზმნისწინი ერთი რიგის ზმნებში უფროსისადმი, ზემდგომისადმი დაქვემდებარება-დამოკიდებულებას მიაჩნებდა. მოქმედება მიემართება ზემოდან ქვემოთ, მაგრამ ახლა ამ ზმნებს ნამდვილად არა აქვს მიმართულების (ორიენტაციის ან გეზის) გაგება. ეს ზმნებია: **და-არიგა (ჰკუა), დამოდგრა, და-იქვემდებარა, და-იმორჩილა, და-იმონა, და-იმოწაფა** და ა. შ.

**და-** ზმნისწინთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი მოვლენა: „იმ შემთხვევებში, როცა გამოიხატება სვლისა და ტარების ნაირსახეობები, აგრეთვე მოძრაობის თანმდევი მოქმედება, **და-** ზმნისწინიან ფორმებს, ჩვეულებრივ, აწმყოს გაგება აქვთ: **„და-კუნტრუშობს, და-ცოცავს, და-ლაქლაქებს...“** საჭიროების შემთხვევაში აწმყოსა და მყოფადის გარჩევა კონტექსტით ხდება: „ბიჭი ძალს ეზო-ეზო დაატარებს“ (აწმყო) — „ხვალ სტუმარს მთელ ქალაქს დაატარებს“ (მყოფადი) (ჯორბენაძე... 1988, 99).

#### ლიტერატურა

**აფრიდონიძე, 1980** — შ. აფრიდონიძე, გა(ნ) და და- ზმნისწინები ანტონიმებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, VII, 1980.

**ვეშაბიძე, 1967** — ირ. ვეშაბიძე, ზმნისწინი ძველ ქართულში, 1967.

**მარი, 1925** — Ìàðð Í., Æðàìàòèèà ãðááíáèèòãðòòóðííáí ãðóçèíñèíáí ÿçúèà, 1925.

**შანიძე, 1980** — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის სა-

ფუძვლები, შრომები, ტ. III, 1980.

**ჩიქობავა, 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.

**ჩუბინაშვილი, 1855** — ×óáèíñ Ä., Êðàòèèÿ ãðóçèíñèÿ ãðàììàòèèà, 1855.

**ჯორბენაძე, 1988** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988.

TSITSINO KVANTALIANI

### The Wordbuilding Functions of the Preverbs da

#### Summary

Showing direction was the basic function of the preverb da in Old Georgian Though later on the preverb da in most cases lost this function.

In the verbs da-akorçinebs, da-acolšvilebs, da-apuznebs, da-aarsebs the preverb da show settlement in one place, direction towards a particular place.

In the verbs da-aberebs, da-açaçanaçebs, da-apařaravebs, da-amcirebs the preverb da indicates the spread of action from the centre towards the periphery, or the action reverse to it.

The completion of an action is revealed in the verbs: da-asrulebs, da-amtavrebs, da-levs, da-šreçs.

The preverb da indicates the action carried out on the surface, or directed towards it: da-çers, da-xařavs, da-amagrebs, da-acessmentçebs, da-varda, da-eca, da-anarçxa etc.

## ჰეთეგან ბიზაზვილი

თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული  
შრტიმართმობარტებისათვის ჰართულში

თემის ნიშანთა შესახებ ბევრი უმსჯელიათ ჰართველ თუ უცხოელ ენათმეცნიერებს და ახლაც მსჯელობენ. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ თემატურ სუფიქსთა ფუნქციების საკითხი პრობლემურია, რამდენადაც ის დაკავშირებულია არა მხოლოდ აწმყოს ფუძის, არამედ საერთოდ უღვლილების სისტემის ჩამოყალიბებასთან ჰართულში (და ზოგადად ჰართველურ ენებში) (ჩიქობავა, 1948, 109).

საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე, თემის ნიშნებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლეოდათ. ზოგი მკვლევარი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ კაუზატივის სუფიქსებთან (ჩიქობავა, მაჭავარიანი, შუხარდტი).

გ. მაჭავარიანის აზრით, კაუზატივის მაწარმოებლებად მიჩნეული ფორმანტები თავდაპირველად მხოლოდ აწმყოში (*resp.* დრო-კილოთა I ჰგუფში) უნდა გვექონოდა. კაუზატივის სუფიქსები და თემის ნიშნები ისტორიულად ერთი და იმავე ფუნქციის მქონე ფორმანტები უნდა ყოფილიყო და არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა საკუთრივ კაუზატივის წარმოებასთან. კაუზატივის სუფიქსები თემის ნიშნებიდან უნდა მომდინარეობდნენ და არა პირიქით (მაჭავარიანი, 1988, 86). ამავე დროს მეცნიერი თემატური სუფიქსების მაქტიურებელ ხასიათზეც მიანიშნებს: „ფუძის „გააქტიურება“ და შესაბამისად ერგატიული კონსტრუქციის ნომინატიურით შეცვლაც სწორედ თემის ნიშნის დართვას მიეწერება, როგორც ამას ვართულობდა შუხარდტი“-ო (მაჭავარიანი, 1974, 129). შესაბამისად გ. მაჭავარიანი **გკლავ** ტიპის ზმნათა „აქტიურ“ ბუნებას თემის ნიშნებით ხსნის, ხოლო უთემისნიშნო **გწერ** ტიპის ზმნათა „აქტიურობას“ **გკლავ** ტიპის ზმნათა გავლენას მიაწერს (იქვე, 130).

ვლ. ფანჩვიძის აზრითაც, კაუზატივის ერთ-ერთი მაწარმოებელი ჰართული **-გვ** სუფიქსი მაქტივებელი (*resp.* ფუძეში გართამავლობის შემტანი) ელემენტი უნდა ყოფილიყო (ფანჩვიძე, 1940, 489-900).

ბ. ჯორბენაძეც თემის ნიშნებს „აქტიური ფუძის“ საწარმოებელ ფორმანტებს უწოდებს (ჯორბენაძე, 1975, 112). ასევე არნ. ჩიქობავა და ჰ. შუხარდტი მათ გვართის მიმართ ნეიტრალური ზმნური ფუძის მაქტიურებელ სუფიქსებად (მოქმედებითი გვართის მაწარმოებლებად) თვლიან (ჩიქობავა, 109; შუხარდტი, 67). საკუთრივ მოქმედებითი გვართის მაწარმოებლები, რა თქმა უნდა, ისინი ვერ იქნებოდნენ, რადგან მოქმედებითი გვარი (გვარი საერთოდ) შედარებით ახალი ფორმაციისა და თემის ნიშნები რომ ყალიბდებოდა, გვართის კატეგორია, მით უფრო დღევანდელი სამპირიანი ზმნები, მაშინ არ არსებობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში, კარგა ხანია, გართკვეულია, რომ ჰართული ზმნის პირვანდელი ფუძე ათემატური უნდა ყოფილიყო. ასეთი ფუძე, ბუნებრივია, ნეიტრალური იყო გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ე. ი. არ განართჩევა არც სტატიკურობა-დინამიკურობას, არც გართდამავლობა-გართდაუვლობას, რომ აღართაფერი ვთქვათ გვართის, ქვევისა თუ კონტაქტის კატეგორიებზე.

გ. მაჭავარიანის სამართლიანად თვლის, რომ ზმნის ათემატურ ფუძეს, რომელიც შეიძლებოდა საზიართო ყოფილიყო სახელთან, ისტორიულად მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობა უნდა გადმოეცა (მაჭავარიანი, 1986, 49). ვფიქრობთ, ასეთი ფუძე აუცილებლად საზიართო იქნებოდა სახელთან. იყო ერთი ათემატური ფუძე, თავისუფალი ზმნური თუ სახელური ფორმანტებისაგან. ეს უნდა ყოფილიყო ზოგადი (საერთო) ფუძე, იგივე პირველფუძე, რასაც შემდგომში დაეყრდნო როგორც სახელი, ასევე ზმნა. სახელური ნიშნების დართვამ პირვანდელი ფუძე სახელად გაართორმა. ზმნური ნიშნების დართვამ — ზმნად. გ. მაჭავარიანის აზრით, ფუძე ზმნად პირის ნიშნების დართვით იქცა. ე. ი. ზოგადი ფუძის გაზმნაგების პროცესი პირის ნიშნებმა დაიწყეს. რომელიმე **სუქ** ფუძე, რომელიც საზიართო იყო სახელისა და ზმნისათვის, პირის ნიშნების დართვით იქცა ზმნად — **სუქ**-ს.

გ. მაჭავარიანის მიხედვით, ზმნის ათემატურ ფუძეს არ უპირისპირდებოდა სათანადო თემატური ფუძე: ასეთ იზოლირებულ ზმნურ ფუძეს შეეძლო მხოლოდ ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა გადმოეცა. ამდენად, ის ყოველთვის სტატიკური შინართისის იყო (მაჭავარიანი, 1986, 49).

პირველფუძის გაზმნაგების სათაგეები თუ პირის ნიშნებშია სა-

ძიებელი, სტატისტიკური შინაარსის გადინამიკურების პროცესი თემის ნიშნებსა და ზმნისწინებს უკავშირდება. ვთვლით, რომ თემის ნიშნების თავდაპირველი ფუნქცია მაღინამიკურებელი იყო, ისევე როგორც ზმნისწინებისა. ამ კონტექსტში შეიძლება დაისვას თემის ნიშნებისა და ზმნისწინების ურთიერთმიმართების საკითხი.

ამ უკანასკნელთა თავდაპირველ ფუნქციად სამეცნიერო ლიტერატურაში მიმართულების აღნიშვნა სახელდება (შანიძე, 1953, §382; მარტიროსოვი, 1953, 73; ვეშაპიძე, 1963, 90; ჭუმბურიძე, 1967, 340). აღნიშნულია, რომ ზმნისწინები, ისევე როგორც თანდებულები, ძირითადად ზმნიზედური წარმოშობისანი არიან. ადგილის ზმნიზედა სახელთან დაკავშირების შემთხვევაში თანდებულად, ხოლო ზმნასთან დაკავშირების შემთხვევაში ზმნისწინად იქცეოდა (დეეტერსი, 1930, §14). ამავე დროს ცალსახად მიუთითებენ, რომ სტატისტიკური შინაარსის ზმნები ზმნისწინებს არ დაირთავენ: ირაკლი ვეშაპიძეს მონოგრაფიაში „ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში“ სპეციალური პარაგრაფი აქვს გამოყოფილი სათაურით: „სტატისტიკური ზმნა უზმნისწინოა“, სადაც წერია, რომ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები ძველ ქართულში არ ჰქონდათ სტატისტიკურ ვნებითებს და რომ ამ ჯგუფის ზმნისწინი ზმნას დინამიკურად აქცევდა (ვეშაპიძე, 1967, 255).

ა. შანიძე და არნ. ჩიქობავაც აღნიშნავენ, რომ მიმართულებითი ზმნისწინის დაურთველობა სტატისტიკური შინაარსის ზმნათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა (შანიძე, 1953, §388; ჩიქობავა, 1948, §24). ახალ ქართულში გამონაკლისის სახით ზოგიერთი სტატისტიკური ზმნა მიმართულებითს ზმნისწინსაც დაირთავს, მაგრამ ამით სტატისტიკურობის გაგებას არ კარგავს: მიაჩნია, გააჩნია. ქართულში მიმართულებით ზმნისწინს არც საშუალო გვარის ზმნა დაირთავს, თუკი მას მოძრაობა-გადაადგილების შინაარსი არა აქვს. ეს წესი თანაბრად ეხებათ როგორც მედიოპასივებს, ისე მედიოაქტივებს (შანიძე, 1953, §382; ვეშაპიძე, 1967, 257).

არნ. ჩიქობავას მითითებით, სხვადასხვა ჯგუფისა და წარმოების სტატისტიკურ ზმნებს, რომლებიც სხვადასხვა აღნაგობისა და ნაირ-ნაირი დიალექტური კუთვნილებისანი არიან, საერთო დადებითი მორფოლოგიური ნიშანი აღარ ეძებნებათ. საერთო აქვთ უარყოფითი ნიშანი: არც ერთი მათგანი არ იგუებს პრევერბს (სრული სახით გადმოსაცემად). პრევერბი მათთან მხოლოდ სივრცეში დეტერმინაციას გამოხატავს, ისევე როგორც ჭანურში, მეგრულსა და აფხაზურში

(ჩიქობავა, 1948).

მ. სუხიშვილმა დაასკვნა, რომ ზმნისწინის დართვით ქართულში ზმნის სტატუსი არ იცვლება, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა სტატისტიკურმა ზმნამ დინამიკური (აქტიური) ელფერი მიიღოს: აქუს, ჰყავს, მაგრამ მიაქუს, მიჰყავს, მოჰყავს, გრამატიკული შინაარსი ამ ზმნებისა სტატისტიკური რჩება პირიანობით, გარდამავლობა-გარდაუვლობით, გრამატიკული კატეგორიების ნაკლული წარმოებით (სუხიშვილი, 1978, 78).

ასე რომ, ზმნისწინის მაღინამიკურებელი როლი სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის თავდაპირველ ფუნქციად მაინც მიმართულების აღნიშვნა სახელდება. ჩვენი აზრით, მაღინამიკურებელი ფუნქციიდან მიმართულების აღნიშვნის ფუნქციის განვითარება ლოგიკურია. დინამიკა მოძრაობას ნიშნავს, მოძრაობა კი უმრავლეს შემთხვევაში მიმართულების აღნიშვნას გულისხმობს.

დავუბრუნდეთ ისევ თემის ნიშნებს. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი **სუქ** იყო სტატისტიკური, ათემატური ფუძე და მისგან მივიღეთ **სუქდება** — დინამიკური, თემატური ფუძე. ე. ი. უთემისნიშნო **სუქ** არის სტატისტიკური, თემისნიშნისანი **სუქდება** არის დინამიკური. ამდენად, თავდაპირველი სტატისტიკური ზმნებიდან იქმნება დინამიკური ზმნები და მათ შორის განსხვავებას ქმნის თემის ნიშანი. ლოგიკურად აქედან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: **თემის ნიშანთა ისტორიული ფუნქცია მაღინამიკურებელია.**

ზმნათა პირველი დაყოფა სწორედ სტატისტიკურობა-დინამიკურობის მიხედვით მოხდა. შესაბამისად, პირველი საოპოზიციო წყვილები სტატისტიკური და დინამიკური (რა თქმა უნდა, გარდაუვალი) ზმნები უნდა ყოფილიყო.

ეს იყო ზმნათა პირველი საკლასიფიკაციო ნიშანი. ამაში ეჭვის შეტანა ლოგიკურად გაუმართლებელია. არნ. ჩიქობავაც ხაზს უსვამს, რომ სტატისტიკურობა-დინამიკურობა არის ქართული ზმნის ნიშანდობლივი თვისება უძველესი დროიდან, რომ მისი გათვალისწინების გარეშე უღვლილების წარმოქმნის ნამდვილი ვითარება ქართულში ვერ გაირკვევა (ჩიქობავა, 1948, 112). ხოლო ბ. ჯორბენაძის მითითებით: „უეჭველია, რომ ზმნების თავდაპირველი დაყოფა ფუნქციის საფუძველზე მოხდა დინამიკად და სტატისტიკად, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდნენ მნიშვნელობის მიხედვით მოქმედებითისა (ერთი მხრივ) და

მდგომარეობის (მეორე მხრივ) აღმნიშვნელი ზმნები“. საზღვარი მათ შორის არ იყო და ზოგჯერ არც ახლავს მკვეთრად გამიჯნული. მართალია, მისი აზრით, თემის ნიშნები არ განარჩევენ დინამიკურ და სტატიკურ ფუძეებს, ერთნაირად დაერთვიან როგორც ერთს, ასევე მეორეს და, აქედან გამომდინარე, ვერ მიიჩნევიან დინამიკური ან სტატიკური ფუძის მაწარმოებლად, მაგრამ სტატიკური ფორმების დინამიკურად გადაქცევის ერთ-ერთ საშუალებად მეცნიერი ზმნისწინს ასახელებს. ამ გზით მიღებული დინამიკური ფორმა ფაქტობრივად მოქმედებითი გვარის ფუნქციის მატარებელია (ჯორბენაძე, 1980, 74-109).

თავდაპირველი სტატიკური ზმნები, რა თქმა უნდა, უთემისნიშნო იყო. **ჭკიდავს, ახურავს** ტიპის ზმნებში თემის ნიშნის დართვა მეორეულია. სტატიკა თემის ნიშანს გამოორიცხავს. თემატურმა სუფიქსმა ზმნას დინამიკური შინაარსი მისცა: **წითს — წით(ლ)დების, წუხს — წუხდების, სუქს — სუქდების, \*შავ — შავდების, \*თეთრს — თეთრდების, \*ყვითს — ყვით(ლ)დების** და ა. შ. **წით**. ფუძის ანალოგიით აღდგება **\*შავ, \*თეთრ, \*ყვით** სტატიკური ფუძეები. ამ ტიპის ზმნებში თემატური სუფიქსისა და გარდაქცევითობის **-დ** სუფიქსის დართვა თანადროული უნდა ყოფილიყო: თემის ნიშანი სტატიკური ზმნის გადინამიკურებას იწვევს, სტატიკა წითელ, შავ, ყვითელ... მდგომარეობაში **ყოფნაა**, ხოლო დინამიკა — წითელ, შავ, ყვითელ... მდგომარეობაში **გადასვლა, ანუ გარდაქცევა**.

ასე რომ, მადინამიკურებელი თემატური სუფიქსი ამ ჯგუფის ზმნებში მოიყოლებს **-დ** გარდაქცევითობის სუფიქსსაც, საფუძველი ეყრება გვარის გრამატიკულ კატეგორიას. ხაზს ვუსვამთ: საფუძველი ეყრება და არა ყალიბდება! (რამდენადაც იქმნება საოპოზიო წყვილები: **წუხს — წუხდების** ტიპის). ჩვენი დაკვირვებით, თუ აწმყოს ფუძის გადინამიკურება თემის ნიშნებს უკავშირდება, II სერიის მწკრივებში ეს ფუნქცია ზმნისწინებმა იკისრეს. სერიებსა და მწკრივებს ამ შემთხვევაში თანამედროვე გაგებით ვხმარობთ (და ამდენად სამუშაო ტერმინის დატვირთვა უფრო აქვს), რადგან ამოსავალ ვითარებაში სერიები და მწკრივები არ არსებობდა და ზმნებიც ამ მხრივ ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა. უფრო ზუსტნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დინამიკური ფუძე ერთ შემთხვევაში იქმნებოდა სტატიკურ ფუძეზე თემის ნიშნის დართვით, ხოლო მეორე შემთხვევაში — იმავე სტატიკურ ფუძეზე ზმნისწინის დართვით.

აქვე ვიტყვით, რომ თავდაპირველი ფუძე ახლანდელსა და წარსულ დროებს არ განარჩევდა. მას შემდეგ, რაც ადამიანის ცნობიერებაში ეს ორი დრო ერთმანეთისაგან გაიმიჯნა, ის ერთსა და იმავე ფუძეს საჭიროების მიხედვით სხვადასხვა დროის მნიშვნელობით იყენებდა. თავდაპირველი ზმნების მორფოლოგიური გამიჯვნა დროის თვალსაზრისით შემდგომ მოხდა და ამ გამიჯვნაში უდიდესი როლი შეასრულეს თემის ნიშნებმა და ზმნისწინებმა.

ვთქვათ, ნებისმიერი **გწევ** იყო ნეიტრალური ფუძე დროისა და აგრეთვე სერიებისა და მწკრივების მიხედვით. მას შემდეგ გადმოეცა როგორც აწმყოს შინაარსი, ისე ნამყოსი. ძველ ქართულში ამ ზმნას ეს ვითარება ისევ შენარჩუნებული აქვს — იგი აწმყოც არის და წყვეტილიც. ისტორიულად ასეა სავარაუდებელი ყველა პირველადი სტატიკური ზმნისთვის. ამ ნეიტრალურ ფუძეს ერთ შემთხვევაში დაერთო თემის ნიშანი და გაფორმდა აწმყოს ფუძე — **გ-წვ-ებ-ი**, ხოლო მეორე შემთხვევაში დაერთო ზმნისწინი და გაფორმდა აორისტის ფუძე — და-გ-წვე. ორივე შემთხვევაში მივიღეთ დინამიკური ზმნა. აქედან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს II სერიის მწკრივები ამოსავალი პირველი სერიის მწკრივებისთვის, რადგან I სერიის მწკრივებს თემის ნიშნები არ დაერთვის, ხოლო I სერიის მწკრივებს დაერთვის (და ამდენად ის ნაწარმოებია). II სერიის ფუძე კი არ გახდა საყრდენი I სერიის მწკრივებისთვის, არამედ თავდაპირველი გაუდიფერენცირებელი ფუძე, რომელიც გარკვეული ფორმანტების დართვის შემდეგ I სერიის მწკრივებად ჩამოყალიბდა, გარკვეული ფორმანტების დართვის შემდეგ კი — II სერიის მწკრივებად.

შესაბამისად **წუხდა / შეწუხდა, სძულდა / შესძულდა, უყუარდა / შეუყუარდა...** ზმნათა ოპოზიციებიც ამ კუთხით უნდა გაშუქდეს. როგორც მ. სუხიშვილი აღნიშნავს, ამ დაპირისპირებათა ურთიერთობა საკვლევი (სუხიშვილი, 1980, 133). წუხს / წუხდების ფორმათა შორის დაპირისპირება იყო სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით, **წუხდა / შეწუხდა** ზმნებს შორის — აგრეთვე. ამ ჯგუფის ზმნათა შორის მწკრივული განსხვავება მეორეულია. **წუხს** ზმნას დინამიკურად თემის ნიშანი აქცევდა (**წუხდების**), ხოლო **წუხდა** ზმნას იმავე შინაარსს ზმნისწინი აძლევდა (**შეწუხდა**). ამას უნდა მოჰყოლოდა ასპექტური განსხვავებაც მათ შორის: სტატიკური ზმნა, შინაარსიდან გამომდინარე, გამოორიცხავს დროში მოქმედების დასრულ-

ლებას, ხოლო დინამიკური ზმნა გულისხმობს მას. დინამიკა მოძრაობაა, რომელსაც დროში დასრულების ტენდენცია აქვს. იგი დასრულებადია. ასე რომ, ზმნისწინიანმა დინამიკურმა ზმნამ თანდათან შეიძინა დროში დასრულების მნიშვნელობა და იქცა წყვეტილობის გამომხატველად. ასე დაუბირისპირდა **შეწუნდა წუნდა**-ს, როგორც მომენტობრივი ასპექტის ფორმა განგრძობითი ასპექტის ფორმას, შესაბამისად წყვეტილი — უწყვეტელს.

ნ. ნათაძე შენიშნავს, რომ აწმყოს ფუძის, ე. ი. თემის ნიშნებით გართულებული ფუძის არსებობა უთავსდება უღვლილებაში ასპექტური სისტემის არსებობას და, ამდენად, თემის ნიშნების ფუნქციას დროის, როგორც ასეთის, გამოხატვა არ შეადგენდა. ეს გარემოება არ უნდა იყოს უმნიშვნელო თემის ნიშანთა კვალიფიკაციის თვალსაზრისითაც. ეს სუფიქსები თავისი ფუნქციით სხვა, დროის კატეგორიაზე უფრო ძველ, ზმნურ ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებს ეკედლებიანო (ნათაძე, 1959, 149).

ხოლო მაჭავარიანის დაკვირვებით, ნამყო უსრულის ძველისძველი ფუნქცია არ უნდა ყოფილიყო იგივე, რაც დღეს. ქართველურ ენათა განვითარების უძველეს ეტაპებზე ეს უპირატესად უსრული, უწყვეტი ასპექტის (უფრო ზუსტად, ამ ასპექტის რომელიღაც ნაირსახეობის) გამომხატველი ნაკვთი უნდა ყოფილიყო. ნამყო დროის აღნიშვნა თანმხლებ მომენტს წარმოადგენდა (მაჭავარიანი, 1980, 216).

ამ ოპოზიციის შესახებ დამატებით აღვნიშნავთ, რომ თუ ზმნა სტატიკურია, ის იქნება აუცილებლად უზმნისწინო და უწყვეტელი (**წუნდა**), ხოლო თუ დინამიკურია, ის იქნება აუცილებლად ზმნისწინიანი და წყვეტილი (**შეწუნდა**). თემატური სუფიქსი და ზმნისწინი მხოლოდ დინამიკურ ზმნებში გამოჩნდება, სტატიკურ ზმნებში ორივე გამოირიცხება. ამ ტიპის ზმნები უფრო გვიანდელია, ვიდრე **აწევ** ტიპის ზმნები. ამიტომაცაა, რომ მათ დღევანდელი უწყვეტელი მოეპოვებათ. **წევს, დგას, ზის...** ზმნებს კი ეს მწკრივები არა აქვთ.

ამდენად, ამოსავალ ვითარებაში თემატური სუფიქსისა და ზმნისწინის ურთიერთობა, უფრო ზუსტად, საერთო ფუნქცია ეჭვს არ იწვევს. საერთო ფუნქციას ფორმათა (რომლებსაც ისინი დაერთვოდნენ) ერთმანეთისაგან გამიჯვნა უნდა მოჰყოლოდა, რაც შესრულდა კიდევ. თემატური სუფიქსები მხოლოდ I სერიის მწკრივებში დამკვიდრდნენ და II სერიის მწკრივებში ზმნებს არ გადაწყვიტდნენ, ხოლო II სერიაში მადინამიკურებელ ფუნქციას ზმნისწინები

ასრულებდნენ. ასეა სავარაუდებელი ისტორიულად. დროთა ვითარებაში კი თემის ნიშნებმაც გაიფართოვეს ფუნქციები და შესაბამისად მოხმარების სფერო და ზმნისწინებმაც (ეს უკანასკნელნი უკვე პირველი სერიის მწკრივებსაც დაერთვოდნენ).

ლოგიკურია, რომ დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა უდიდესი ნაწილი II სერიის მწკრივებში უზმნისწინოდ არ გვხვდება. ამ შემთხვევაში ისინი შესაბამის სტატიკურ ზმნებს დაემთხვეოდნენ. ვთქვათ, **დაწევ** ფორმას რომ და ზმნისწინი ჩამოვამოროთ, მივიღებთ **აწევ** ფორმას, რომელიც უკვე სტატიკურია. ასევე, **გაწითლდა** ზმნას რომ ზმნისწინი მოვაცილოთ, დაგვრჩება **წითლდა** ფორმა, რომელიც **წითს** სტატიკური ზმნის უწყვეტელია. ასევე გამოირიცხულია II სერიაში **თეთრდა, შავდა, ყვითლდა, ქარ, შრა, თბა...** ფორმები.

**აწევ, ვდებ, ვჭედ** ზმნები ძვირფასი ნიმუშებია ძველ ქართულში ზმნათა უძველესი ვითარების აღსადგენად, ისინი ჩვენ არაერთი პრობლემის გადაწყვეტაში გვეხმარებიან. საერთოდ კი სტატიკური ზმნები სანდო საბუთია იმისათვის, რომ თემის ნიშანთა და ზმნისწინთა თავდაპირველ ფუნქციად მადინამიკურობა ცნოთ. **წვების** ფორმაში -**ებს** შეაქვს დინამიკური შინაარსი, **დაწვა** ფორმაში -**და**-ს. გ. მაჭავარიანი მიუთითებს, რომ **კრთება** ტიპის ზმნებისთვის დინამიკურობის მეტი ხარისხია დამახასიათებელი, ვიდრე **კრთის** ტიპის ზმნებისთვის. ის ფაქტი, რომ აღნიშნული განსხვავება -**ებ** სუფიქსთან არის დაკავშირებული, შემთხვევითი არ უნდა იყოსო (მაჭავარიანი, 1988, 71).

ვფიქრობთ, ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავაცენათ, რომ თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული ფუნქცია მადინამიკურებელი იყო. სწორედ მათ გამიჯნეს თავდაპირველი ზმნები ორ დიდ ჯგუფად — სტატიკურებად და დინამიკურებად და შექმნეს პირველი საკლასიფიკაციო ნიშანი ქართული ზმნისა — სტატიკურობა-დინამიკურობა. **წვების** ფორმაში -**ებმა** შეიტანა დინამიკური შინაარსი, **დაწვა** ფორმაში — **დამ**. რაც შეეხება უყუარდა/შეუყუარდა, სძულდა/შესძულდა... ოპოზიციას, მათ შორის პირველი განსხვავება სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით უნდა ყოფილიყო. მწკრივული განსხვავება მათ შორის მეორეულია. უზმნისწინო და უთემისნიშნო ფორმები სტატიკური იყო, ხოლო ზმნისწინიანი, ან თემისნიშნისანი ფორმები — დინამიკური. სტატიკურობისთვის ზმნისწინი და თემის ნიშანი შეუთავსებელი იყო. ეს ისტო-

რიულად. შემდგომში კი ზმნისწინებმაც განივითარეს სხვა ფუნქციები და გაიფართოვეს მოხმარების სფერო და თემის ნიშნებმაც.

ლიტერატურა

**დეეტერსი, 1930** — Gerard Deeters, Das khartwelische verbum, Leipzig, 1930.

**ვეშაპიძე, 1963** — ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინის, ზმნისზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის: თსუ, შრ. ტ. 96, 1963.

**ვეშაპიძე, 1967** — ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.

**მარტიროსოვი, 1953** — არ. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1953.

**მაჭავარიანი, 1974** — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

**მაჭავარიანი, 1986** — გ. მაჭავარიანი, ზმნის ათემატურ ფუძეთა მნიშვნელობისათვის ქართველურ ენებში: იკე, XXV, 1986.

**მაჭავარიანი, 1988** — გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში: იკე, XXVII, თბ., 1988.

**მაჭავარიანი, 1980** — გ. მაჭავარიანი, ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში: იკე, XXII, თბ., 1980.

**ნათაძე, 1959** — ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში: იკე, XI, 1959.

**სუხიშვილი, 1978** — მ. სუხიშვილი, მყოფადის წარმოება და სტატიკურ ზმნათა პარადიგმა ქართულში: იკე, XX, 1978.

**სუხიშვილი, 1980** — მ. სუხიშვილი, სუფიქსიან ვნებითა წარმოების ზოგი საკითხისათვის ქართულში: იკე, XXII, 1980.

**ფანჩიძე, 1940** — ვლ. ფანჩიძე, კაუზატივის -ევ/-ვ სუფიქსი უღურში, II: სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №6, 1940.

**შანიძე, 1953** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

**შუხარდტი, 1950** — Å. Ørnbjærd, Í rannnæfirn ðaðaðbðððá íððóirfirfi

ðæððirè à èàðèàçñèð ÿçñèàð: Ýððàðèáráy éirðððéðèy, ñáirðèè ñirððààèè Å. Å. Áirèððáá; Åñðóirèððæúiráy ñðàðúy írðr. Å. Ñ. ×èirðáàà, I., 1950.

**ჩიქობავა, 1948** — არნ. ჩიქობავა, ერგატიკული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიკული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948.

**ჭუმბურიძე, 1967** — ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: ორიონი, აკაკი შანიძეს, თბ., 1967.

**ჯორბენაძე, 1975** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში; თბ., 1975.

**ჯორბენაძე, 1988** — ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე, XXVII, 1988.

KETEVAN GIGASHVILI

### On the Historical Relationship between Thematic Markers and Preverbs in Georgian Summary

The study has shown that the initial function of the preverb and that of the thematic marker was to make verbs dynamic. On the one hand, primary, grammatically undifferentiated stem took a thematic marker to form the Present stem, on the other hand the initial stem took a preverb to form the Past stem. In both cases the result was a dynamic verb. This was the first grouping of the verbs on the basis of static-dynamic principle and the classifying markers were created by thematic markers and preverbs.

### ჰეთეგან ბიგაზვილი

#### ასპექტის გამოხატვის დაკავშირებული საკითხები საშუალო ქართულში

ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით საშუალო ქართული ერთგვარ ზღვარს დებს ძველსა და ახალ ქართულს შორის. თანამედროვე ქართულში ერთმანეთს ძირითადად სრული და უსრული ასპექტი უპირისპირდება და მათ შორის სხვაობას ზმნისწინი ქმნის, ხოლო ძველ ქართულში, როგორც აღნიშნავენ, საოპოზიციო წყვილებს წარმოადგენდნენ მომენტობრივი (წყვეტილი) და დიურატიული (განგრძობითი) ასპექტური ფორმები. მომენტობრივი ასპექტის იყო ორი ნაკვეთი: აორისტი და II კავშირებითი, განგრძობით ასპექტს კი ხოლმეობითი და აწმყოს წყების ნაკვეთები გამოხატავდნენ, ე.ი., მათი გარჩევა ფაქტობრივად I-II სერიათა შორის ოპოზიციას ემყარებოდა. მიუთითებენ, რომ ქართველური ენებისთვის ისტორიულად ძველ ქართულში მოქმედი სისტემა ამოსავალი (მაჭავარიანი, 1974, 140).

საშუალო ქართულში ასპექტის გამოხატვის ორივე სისტემა მოქმედებს, ძველი (სერიათა შორის ოპოზიცია) უფრო ნაკლებ, ახალი (ზმნისწინის საშუალებით სრულ და უსრულ ფორმათა გარჩევა) — მეტად და ნარევი სისტემა ხშირად ისეთ თავისებურებებსაც წარმოაჩენს, რაც მხოლოდ ენის ისტორიის ამ პერიოდისათვის არის ნიშანდობლივი.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ცალსახად ასპექტურ წყვილებად სახელდება ერთგზისი და მრავალგზისი ფორმებიც, რომლებიც იმავე ლიტერატურაში ჯერობის კატეგორიასაც განეკუთვნებიან. ასპექტი და ჯერობა (ხოლმეობითობა) ხშირად იმდენადაა ერთ კონტექსტში მოხსენიებული, რომ ჭირს კიდევ მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება. ვფიქრობთ, ეს ძველი გრამატიკოსების გავლენითაც აიხსნება. ჯერ კიდევ ნ. ჩუბინაშვილი ხოლმეობითებს სრულ და უსრულ ფორმათა ანალიზის დროს ასახელებს. იგი წერს: „ზმნათა აქუს ერთგუარი საქცევი განშირებითი, რომელ ზემოხსენებულთა

მარცვალთაცა თანა დაშთებიან მნიშვნელობასა შინა აწმდგომისა დრო სასა უცუალბებულად. მაგ., განვაქარვი, განაქარვი, განაქარვის... არამედ უკეთუ დაერთოს ამათ ლექსი ხუალმე, მაშინ ჰნიშნავენ განვლილსა უსრულსა დროსა“ (ჩუბინაშვილი, 1961, 110-111).

დიმიტრი ყიფიანმა ასპექტის ხუთნაირი ფორმა დაასახელა, მეოთხე-მეხუთეებად გამოყო „გავლილი ერთგზისი“ და „გავლილი მრავალგზისი“, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ესენი ქართულში არ არსებობსო (ყიფიანი, 1882, 69-70).

პ. კვიციანიძე კი ასპექტის კატეგორიის დახასიათების დროს ყურადღება გაამახვილა ზმნის უნარზე, „გამოხატოს მოქმედების ხანგრძლივობა თუ ხანმოკლეობა“. ზმნის ფორმაში ამას წინამძღოლი თანდებულები გამოხატავენო (კვიციანიძე, 1888, 123).

მიუთითებენ, რომ ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია ისტორიულად სწორედ განგრძობითი, დიურატიული, საზოგადო ასპექტის ჩვენება იყო. ამ ფუნქციასთან არის დაკავშირებული მისი II ფუნქცია — განმეორებითი, მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა (დეტერსი, 1930, 112; მაჭავარიანი, 1974, 124). ამის დამადასტურებელ საბუთად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ხოლმეობითის სუფიქსი **-ი** სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფის აწმყოს ფუძის საწარმოებლად არის გამოყენებული (იცის, უწყის, არის, ზის...), სტატიკური ზმნის ბუნება კი სავსებით გამორიცხავს ყოველგვარ მრავალგზისობას, რადგან ის მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას ხოლმეობითის **-ი** სუფიქსი თავდაპირველად განგრძობითი ასპექტის გამომხატველი იყო (მაჭავარიანი, იქვე).

ქართული ზმნის ისტორიული განვითარების პროცესში, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, ხოლმეობითისათვის ძირითადი განხილვა მოქმედების მრავალგზისობის, ხოლმეობითობის აღნიშვნა, განგრძობითი ასპექტის გაგება კი მჭიდროდ დაუკავშირდა პირველი სერიის მწკრივებს. მომენტობრივი მოქმედება მხოლოდ ერთგზისობის გაგებას იგულებს, ამიტომ მომენტობრივი ასპექტი მხოლოდ ერთგზისია, განგრძობითი (დიურატიული) ასპექტი კი შეიძლება იყოს ერთგზისიც და მრავალგზისიც (ჭუმბურიძე, 1986, 15).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, თავდაპირველი ზმნები ასპექტების (და არა დროების) მიხედვით იუღლებოდა. განგრძობით ასპექტს ხოლმეობითი გადმოსცემდა, ხოლო მომენტობრივს — აორისტი (ჩიქობავა, 1943, 92-93).

თუ ამოვალთ ასპექტის კატეგორიის იენს ჰოლტისეული სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული განმარტებიდან, რომ ამ კატეგორიით ყოველთვის მოიაზრება ზმნის უნარი — სხვადასხვა სახით წარმოგვიდგინოს მოქმედების მიმდინარეობის პროცესი (ჰოლტი, 1943, 6), მაშინ მხოლოდ სრულობა — უსრულობა ვერ ამოწურავს ქართულში ასპექტის კატეგორიის შესაძლებლობებს. აქ აუცილებლად ერთგზისი და მრავალგზისი ფორმებიც შემოვა. სრულობაც და უსრულობაც მოქმედების მიმდინარეობის რავგარობის აღწერენ და ერთგზისობა — მრავალგზისობაც. ძველ ქართულში მოქმედების რავგარობის ეს ორი სახე მკვეთრადაა გამოხატული. ყველა ძირითად, წამყვან მწკრივს თავისი ხოლმეობითი გააჩნია. ხოლმეობითის მწკრივები ყველა სერიაში გვაქვს, ამავე დროს, სრულ და უსრულ ფორმათა გარჩევა სერიათა ოპოზიციას ემყარება.

უთუოდ ეს გარემოება აფიქრებდა ა. შანიძეს, როდესაც წერდა: „უსრული ასპექტი სხვა კატეგორიაა და მრავალგზისობა — სხვა, რაც იქიდან ჩანს, რომ უსრულ-ასპექტიან ზმნებს თავისი ხოლმეობითი აქვს“ (შანიძე, 1953, 273).

საინტერესოა, რომ ზ. ჭუმბურიძემ საჭიროდ ჩათვალა ახალი ცნების — მოქმედების სახის შემოღება იმ ზმნათა სემანტიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც ქართულში არსებობენ, სემანტიკურად ახლოს დგანან ასპექტთან, რადგანაც ასახვენ რაღაც სხვაობას ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედების მიმდინარეობის წესში, მაგრამ ასპექტისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენენ გრამატიკულ კატეგორიას. მოქმედების ერთ-ერთ სახედ ზ. ჭუმბურიძემ მიიჩნია ხოლმეობითობა თანამედროვე ქართულში (ჭუმბურიძე, 1986, 32-33).

ჩვენთვის მოქმედების მიმდინარეობის რავგარობას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე ყველაზე უკეთ (თავი რომ დავანებოთ სემანტიკურ ჯგუფებს) სწორედ სრულობა-უსრულობა და ერთგზისობა-მრავალგზისობა გამოხატავს, მათ თანაბარი უფლებები აქვთ, გაერთიანდნენ ერთი საერთო ნიშნის ქვეშ და ამ საერთო ნიშანს უნდა დაერქვას სწორედ მოქმედების სახე. იგი გვიჩვენებს, თუ რა სახისაა მოქმედება — სრული თუ უსრული, ერთგზისი თუ მრავალგზისი). შეიძლება დავასკვნათ, რომ მოქმედების სახე ქართულში ორი კატეგორიითაა რეალიზებული — ასპექტისა და ჯერობის კატეგორიებით. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ აღრევას სწორედ მათი სემანტიკური მსგავსება განაპირობებს.

ვფიქრობთ, ხოლმეობითს ისტორიულად მხოლოდ ერთი ფუნქციის — მრავალგზისობის გამოხატვა ევალებოდა. განგრძობითი ასპექტი მხოლოდ ხოლმეობითით კი არ გადმოიცემოდა, არამედ საერთოდ | სერიის მწკრივებით. განგრძობითი ასპექტი და ხოლმეობითობა ერთმანეთს არ ფარავდა. ამისი დასტური ძველი ქართულია — აწმყო და უწყვეტელი განგრძობით ასპექტს გადმოსცემდნენ, მიუხედავად ამისა, მათ თავიანთი ხოლმეობითები ეწარმოებოდათ — აწმყოს ხოლმეობითი და უწყვეტლის ხოლმეობითი. თავდაპირველ ზმნებს არც ასპექტის კატეგორია ჰქონდათ და არც ჯერობისა. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს პირვანდელი ზმნები განგრძობითი ასპექტის ფორმები იყო (ჩიქობავა, 1943). საწყის ეტაპზე ზმნები მარადიულ დროს გამოხატავდნენ, ანუ ისეთ მოქმედებას, რომელიც მარადის ხდება. ეს განგრძობითი ასპექტი არ იყო, რადგანაც ასპექტური წყვილები არ არსებობდა, იყო ერთი ნეიტრალური ფუძე, რომელიც კონტექსტის მიხედვით გამოხატავდა ახლანდელ თუ წარსულ დროებს. ამ ეტაპზე ასპექტისა და ჯერობის კატეგორიებზე საუბარი, ვფიქრობთ, არ შეიძლება. ასპექტის კატეგორია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ნეიტრალურ ფუძეს დროის შინაარსი დაუკავშირდა და აორისტიის ფუძეც გაფორმდა, ანუ ახლანდელი და წარსული დრო დაუპირისპირდა ერთმანეთს. დიურატიული შინაარსის ზმნების გაჩენა თანხვედრა ასპექტის კატეგორიის წარმოშობის დროს.

განგრძობითობა თავისთავად უსრულობას გულისხმობს (და არა მრავალგზისობას), დიურატიულობა კი სრულობას. სრულობა-უსრულობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საშუალებად უკვე ძველ ტექსტებში ზმნისწინი იქცა. ა. შანიძემ ახალი სისტემის პირველი ნიმუში ზაქარია წინასწარმეტყველის ერთ ადგილას დაადასტურა, ხოლო ზ. სარჯველაძემ ასეთი მაგალითები სინურ მრავალთავშიც იპოვა (შანიძე, 1981, 269; შანიძე, 1942, 953-958; სარჯველაძე, 1984, 505).

ზმნისწინიანმა აწმყომ ასპექტის ახალი სისტემის მოქმედების პირობებში მომავალი დროის შინაარსი შეიძინა. ასე რომ, ასპექტის კატეგორია გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, მოქმედება სრულია თუ უსრული, არამედ იმასაც, მოქმედება დასრულებადია თუ არა. სრული ასპექტი მხოლოდ წარსულ დროს გულისხმობს, ანუ სრულობა სემანტიკურად მხოლოდ წარსულ დროშია შესაძლებელი, უსრული ასპექტი სამივე დროის ფორმით შეიძლება გადმოიცეს, რაც შეეხება დასრულებადობას, იგი მხოლოდ მომავალ დროში გამოიხატება.



საშუალო ქართულში მთავრდება მყოფადის მწკრივის განმტკიცების პროცესი. აწმყოს ზმნისწინიანი ფორმები ძირითადად მომავალი დროის შინაარსის შემცველია. ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ფაქტია და ამიტომ ორიოდ ნიმუშით დავკმაყოფილდებით:

### ნიმუშები:

„ვირე ისი დიდი ვეშაპი არ **მოკუდების**, უმცროსისა არა სარგებელი არსო“ (ამირანდ., 344, 2-3); მოკვდეს **Q** „ვინცაღა მუნ **შევა**, გამო — ღმერთო — იცდება, რა ძი ჭაბუკი არის“ (იქვე, 797, 2-3). „შენ ქალი არ **დაგელევა**“ (იქვე, 779,1); **დაგელევის** **LG**. კაცი მისთუის **დამჭლდების**, **დასუსტების**“ (კარაბ., II, 590,2). „ღმერთი ამას არ **მოგვიწონს**“ (შაჰ-ნამე, I, 563, 2084). „მგზავრს **გასცრცვიან**“ (სამ.ძ., I, 141, 36-37), და სხვა მრავალი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძველი სისტემა ახლის პარალელურად ჯერ ისევ მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ I სერიის ზმნისწინიანი ფორმები არცთუ იშვიათად გამოხატავენ განვრძობით, ანუ უსრულ ასპექტს.

**ზმნისწინიანი აწმყოს ნიმუშები:** „ავთანდილსცა ცრემლი **წასდის**“ (ვეფხ., 661 (659), გ); ჩასდის **G**, მისდის **L**. „ხედავთ მუხთლობასა, რომე თუთ არა **გამოვლენ** და ლაშქარს **გამოუშვებენ**“ (ამირანდ., 630, 4-5). „ამას ჭენთა მეფესა ხვალე იგი ასული მისი **წაჰყავს** ზღუათა მეფესა შვილისათუის შერთვად“ (ამირანდ., 437, 10). მიყავს **FQS**, წყავსთ **O**, მიჰყავს **G**. „ვისის გუერდით სხუა ვინმე ზის და მისგან სხუა ვინმე **გაიხარებს**“ (ვისრ., 45-46); „მიამების, **მოვითმენ** და ჯერ ვარ“ (იქვე, 105, 12-13); „ბიკტორ, ბიკენტი წამიტანს, სადაც იგ ორნი **წადიან**“ (თეიმურაზ I, 145, 2,4); „იქვე ყრიან, ვერვინ **წარბისა**“ (იქვე, 121, 5,4). „არ დაამხვეს სახლი მათი, ნეტარ სხვაგან სად **წადიან**“ (არჩ., I, 161, 203,2). **წა** ზმნისწინთან დღეს მხოლოდ მომავალი დროის შინაარსია დაკავშირებული.

ხდება ისეც, რომ ზმნისწინიან აწმყოს ფორმებს დაკარგული აქვთ დროის შინაარსი და მარადიულ დროზე მიგვივითებენ, ანუ ისეთ მოქმედებებს აღწერენ, რომლებიც მარადის ხდება: „სწავლა განაბრძნობს, თავისუფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა და შიშსა მისსა დანერგავს, მოაცურებს ზღუასა ზედა და ახილვებს მას შინა სრულიადსა, აღაფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა და ნიშატსა ვარსკვლავთა, ცხოველთა და ნერვთა, განსდევნის ბოროტსა,

შეაყუარებს მოყუასსა, შემოიყვანს კეთილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვიდებს, სულგრძელ ჰყოფს მეფეთა და დიდებულთა პატივისცემს, და ერთა მოუტრნე ექმნების, მტერთა დაამდაბლებს და მშისრეულ ჰყოფ, თჳსთა აღამაღლებს და აკადნიერებს“ (ქ. ცხ., IV, 2, 3-12).

**მოვალს** ზმნას ძველ ქართულში ახლანდელი დროის გაგება ჰქონდა. საშუალო ქართულში იგი ახლანდელი დროის მნიშვნელობითაც გამოიყენება (ასპექტის ძველი სისტემა) და მომავალი დროის მნიშვნელობითაც (ასპექტის ახალი სისტემა). პირველი შინაარსით მას უკვე **მოღის** ზმნა ენაცვლება.

**მაგალითები:** „იაგერ, ჩუენცა მათად შევლად **მივალთო** და სადა არიან, წავგიძელ და გვაცნობეო“ (ამირანდ., 802, 20). შდრ.: „მოგვესმა, დელარის ძე ჭიმმედ **მოღისო**“ (იქვე, 766., 9). თუთ გა-მოსცან, ისი კაცი ვინ არისო, ანუ სით **მოვალსო**“ (იქვე, 644, 4-5). „მიკუირს, კარგნი ჭაბუკნი არიან და არა **გამოვლენ**, რა ღონე არსო? (იქვე, 629, 6-7). „მდეგარი არავინ **მოვა** და ვირემდის სცნობდენ, ჩუენ, სადა გინდა, **მივალთო**“ (იქვე, 509-510); შდრ.: მოღისო **FQ**, მოღის **L**. „**მოვალ** მარტო, მინადირებია გზასა და, ვითა ლომსა, უმგზარი ჯორცი მიჭამია“ (ვისრ., 275, 12-14). „ამამო, ამდენი ხანია, სამეფო ჩემი დამიგდია და **მოვალ** ამა ხმისათვის და უფრო მესმის“ (რუსულ., 340, 22-23); „მამო, ეგების ფეხსაცმელი გქონდეს, ამდენი ხანია, ფეხშიშველი **მოვალო**, ღმთის გულისათვის მომეცი“ (იქვე, 340, 30-32), და სხვა მრავალი.

დავიმოწმებთ ნიმუშებს, სადაც **(მო)ვალს** ზმნა მომავალი დროის მნიშვნელობას გადმოსცემს: „აწ **მოვლენ** მტერნი ჩემნიო“ (ამირანდ., 221,7); **მოვლენან Q**. „ამირან დარეჯანისძე **წავალს** მის ვეშაპისა ბრძოლადო“ (იქვე, 341,4); წარვალს **M**. „**წავა** ბრძოლად“ (იქვე, 340, 8); **წავალს** **COE**; „ქუაბსა შიგან გზა **გავალს** ქუეშე, რომე მისგან კიდე სხუა გზა არა არისო“ (იქვე, 294, 2-3); გავა **L**. „ვინცაღა მუნ **შევა**, გამო-ღმერთო-იცდება, რა ძი ჭაბუკი არის“ (იქვე, 797, 2-3), და სხვა მრავალი.

**უწვევების ნიმუშები:** „ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს, მკურნალნი და დასტაქარნი წამალთა-ყე **მოვითანდეს**“ (ვეფხ., 529 (26), ა-ბ); „ჩემად ნახვად **მოვიდოდეს**, შენ ვითამცა გაშიკობდეს“ (იქვე, 386(83), გ). „ზოგნი ველსა მემთხუიენეს, ზოგნი **მაკოცებდეს**“ (ამირანდ., 382, 6); „გვმოსდა დედოფალი და **გვიბოძებდა** მრავალ-

სა“ (იქვე, 691, 11-12) „არავინ გაუშუნა, საბოძუარსა **უბოძებდა**“ (იქვე, 603, 3-4); უბოძის Q, უბოძებდის H. „თვით მათვე **მისცემდა**, რომელთა აუცალოებდა“ (ქ. ცხ., II, 130, 33-34); „არა მორჩილობდეს და არცა ხარკსა **მოსცემდეს**“ (იქვე, 276, 2-3); მოსცემდეს d, აძლევდეს Dc. დღეს უწყვეტელში ძველ **მოსცემდეს** ფორმას სწორედ **აძლევდნენ** ფორმა ენაცვლება. „საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან **გამდიდრდებოდნენ** და **...იშოვნიდნენ** მამულებსა“ (იქვე, 424, 5-6); „რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქურდინი, **გამოიყვანებდნენ** და **გაპყიდდნენ**“ (იქვე, 424, 29-30); „ამჯამად განძლიერდნენ თურქნი, რამეთუ **დაუტევებდნენ** ბერძენნი აღმოსავლეთსა და **წავიდოდნენ**“ (ქ. ცხ., IV, 154, 8-9); „**მოსპობდნენ** და **განახებდნენ** ერისთავთა გიორგი მეფისათა და რომელთამე **დაიმორჩილებდა** და აქუნდა ბაგრატცა მარადის მწედ“ (იქვე, 286, 18-20), და სხვა მრავალი.

უწყვეტლის ზმნისწინიანი ფორმები ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მყოფადის წრის ხოლმეობითის მწკრივად ჩამოყალიბდნენ. ახალი ხოლმეობითის ხმარების შემთხვევები საკმაოდ ხშირია საშუალო ქართულში.

**მაგალითები:** „ასრე ფიცხლად წავიდა, რომელ მტურესა მისსა ნიავი ვერ **მიწევოდა**“ (ვისრ., 45, 12-13). „სანამ **მივიხედვედი**, აღარც მთა იყო, აღარც მეცხვარე“ (რუსულ., 527, 11-12). „ეკუხათ: „თუ არ გაგუსწრებოდეს, თავებს **დავსჭრიდით** და მკუდარს ასო-ასო **ავიქმოდით**; და ეს გუექნა თუ, მარტვილებსაც არ **გაუშვებდით** ცოცხალსა“ (ქ. ცხ., II, 518, 23-25). „არ იცოდენ, ბოლოს ჯამსა მათ **დასწევდათ** სიყვარული!“ (თეიმ. I, 25,7,4). „ვიდრე ამას ზედა **გამოსახვედი**, რომელსაცა ბუნებასა მსგავსებოდის, მას ზედა დაიჭერე“ (კარ. I, 74, 40-41), და სხვა მრავალი.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „ასპექტის ახალმა სისტემამ აწმყოს ფორმიან ზმნისწინიან ზმნებთან ერთად მნიშვნელობა რამდენიმე უზმნისწინო ზმნასაც გამოუცვალა: „ვეფხისტყაოსანში“ „ილოცავს“ და „იტყვის“ ჯერ კიდევ ეხლანდელი დროის გაგებით იხმარება... მიზეზი ასეთი დროის გადაწევისა (ეხლანდელი → მომავალი) იმით აიხსნება, რომ სათანადო ფორმებმა II სერიის სრული ასპექტის გაგება უზმნისწინოდაც შეინახეს და I სერიის ფორმებმა მათ აუბეს ფეხი, სრული ასპექტი შეიძინეს“ (შანიძე, 1973, 274-275). ასეთ ზმნებს ჩვენ პირობითად „ეყოფის“ ტიპის ზმნებს ვუწოდებთ.

„**ეყოფის**“ ტიპის ზმნები საშუალო ქართულში თანაბრად ეკუთვნის აწმყოს წრესაც და მყოფადის წრესაც. **ეყოფის** || **ეყოფოდა** || **ეყოფოდეს** შესაბამისად, კონტექსტის მიხედვით, აწმყო || უწყვეტელი || აწმყოს კავშირებითი შეიძლება იყოს და მყოფადი || ხოლმეობითი || მყოფადის კავშირებითიც.

#### **აწმყოს ნიმუშები:**

„რადგან შენ მაგას **მეტყვი**, შენ ხარ მესისხლე ჩემი“ (ამირანდ., 287, 3-4). „თუთი გული ვით **გეტყუის** ჩემსა მომორებასა?“ (ვისრ., 270, 27-28). შდრ.: წავალ, ღრუბელთა **ვეუბნები**: შენ იგი ხარ, რომელ ჩემის ვისისა თქუმათა ჰსახობდი“ (იქვე, 162, 2-4), „ვითა არა მაქუს ღონე თმობისა, ვერე არცა **ვეცდები** და არცა მწადიან“ (იქვე, 219, 9-10). „ჯერეთ მისი სურნელი სული **მეცემის**“ (იქვე, 81,28). „ქუეყანასა ზედა ყოველსა ადამის-ტომსა მე სამართალს **უზამ** და ჩემი ბედი ათასსა უსამართლოსა **მიზამს**“ (იქვე, 140, 1-3). „მე იგი ნუგეშინის-მცემელად **მეყოფის** და მესნელად“ (იქვე, 172, 18-19), და სხვა.

აწმყოს მნიშვნელობით ხშირად იხმარება **ვიქმ** ზმნაც: „ვიცი, რომე დიდსა კადნიერებასა **ვიქმ**, მაგრა რა მეწევის მოწუნებისაგან კიდევ“ (ამირანდ., 10, 4-5). „რეგუნობითა დღეს ერთსა საქმესა **იქმ**, რომლითა ხვალე გული გეტკივნების“ (ვისრ., 158, 37-38).

**უწყვეტლის ნიმუშები:** „დიდებულთა თავყანის-სცეს, **აკოცბედეს**, ვინცა ღირს-ა“ (ვეფხ., 677(75), გ). „მოსთქუმიდა და **იტყოდა**“ (ვისრ., 196, 17-18). „ვარჯიშს **ვიქმოდით** მისის ხმარებისათვის“ (რუსულ., 540. 2-4), „რცა სწაღდა, **იქმოდა**“ (იქვე, 458, 32-33). „უყნოსდა მრავალსა სურნელებასა და **ეცდებოდა** მისსა რგებასა“ (იქვე, 9, 35-36). „თვით მათვე **მისცემდა**, რომელთა აუცალოებდა“ (ქ.ცხ., II, 130, 33-34). „ღონე თუმცა იყო, **ეცდებოდეს**, რათა არა აუფლონ სიკუდილსა შემოსლვად“ (იქვე, 145, 12-13). შდრ.: მეფე კოსტანტინე **მცდელობდა** შენება-მაგრებასა ქუეყანისასა“ (ქ. ცხ., IV, 390, 26-27), და სხვა.

უწყვეტელში ურთიერთმონაცვლეობენ **ვიდოდა** || **დიოდა** ფორმები (დღეს **ვიდოდა** ხოლმეობითს ეკუთვნის, **დიოდა** — უწყვეტელს): „ცეცხლი **გამოვიდოდა** პირისა მისისაგან“ (ამირანდ., 343, 1-3); **გამოსდიოდა** BEG, **გამოდიოდა** H, **აღმოსდიოდა** O. „**გამოვიდოდა** სინათლე იგი“ (იქვე, 312, 3); **გამოდიოდა** FQ, გამოვიდოდეს L. „**მივიდოდით** და არა ვიცოდით, თუ სადა ვართო“ (იქვე 300,

2); მოვიდოდით KLG, მივიდოდით MO, და სხვ.

**მეოფადის ნიმუშები:** „ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები“ (ვეფხ., 658 (56), დ). „სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ, ვით მეოტანი“ (იქვე, 1386(87),2). **გვეყოფა JOT.** „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“ (იქვე; 1297, ა). „ველარა ვიქმ ამას“ (ამირანდ., 314, 8); **ვიქმნ FS,** ვიქ **KQ.** „მაგას, ღმერთო, არცა მაშინ ვიტყუი ვგრე“ (იქვე, 295, 8-9) „მერმე ზოგნი ჩემსა ძებნასა ეცდებიან“ (ვისრ., 84, 25-26). „თუ მნახოლა, ვგრე იტყუი, არ იგი არისო“ (იქვე, 142, 36-37). „ხანთა ნუ დაზამ, აღარ შეიქნას რებული“ (ს.ს. ორბ., II, 333, 3-4). „თვალთა სინათლე აღარ ექონების“ (იაღდ., 461, 31). „ჩვენთვის ღვინად ეს გვეყოფის“ (თეიმ. I, 28, 30, 2), და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც აწმყოს უზმნისწინო ფორმები მომავალი დროის შინაარსს გადმოსცემენ: „რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება“ (ვეფხ., 1397 (98),1). **ესმას** ქ კარ აბ ჰ ინ 57წ. „ჯოგნი წავუღლოთ, მოსრულნი ვესმათ ჯოგისა წაღებად“ (იქვე, 1575(76),1); **ვესმნათ J.** „თუ ვპოვებ მიწისა მზესა, არ ვეძებ ცისა მზესა“ (ვისრ., 36, 30); „შეპფიცა, თუ ქალი-ვილი მომეცეს, შენ შეგრთო და სენი ცოლი არი!“ (იქვე, 37, 2-3); იყოს **GKLQ.** „შევეწყალები და სისხლთა ჩემთა ექებსო“ (ამირანდ., 614, 3-4). „ამა ჭირისგან ნუ მიჯნასა ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქუსლა“ (ვისრ., 208, 10-11). „მუნამდის გღევ და გემუდარები, ვირე ჩემი სიმართლე და შენი უსამართლობა არა სცნა“ (იქვე, 209, 21-22); „ამას წიგნსა თუ კლდესაცა ზედა წაიკითხავ, კლდისაგან კუნესა, ვითა ჩანგისაგან ჳმა, **გესმის**“ (იქვე, 282, 20-22). „მოვალ და აღარა გეკრძალვი ჩამოგდებისათვის“ (იქვე, 246, 6). „უკეთუ ვებრძვით, დიდით მცირემდის მოგუწყუედენ“ (ქ. ცხ., II, 209, 11). „განაღამცა მოგახსენოთ, თუ აწ ბედი ასულს გვივის“ (არჩ., I, 149, 115,4) და სხვ.

აწმყოს უზმნისწინო ფორმები მომავალი დროის მნიშვნელობით განსაკუთრებით ხშირია „ვისრამიანის“ ტექსტში. სხვა ძეგლებში შედარებით ნაკლებ გვხვდება. რა ახსნა შეიძლება მოექმნოს ამ ფაქტს? ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც ითქვამს, აწმყოს უზმნისწინიანმა ფორმებმა მომავალი დროის მნიშვნელობა შეიძინეს, შესაძლოა, მას მხარი ერთხანს უზმნისწინო ფორმებმაც აუბეს, მათ რიტმს აპყვნენ. რადგანაც ძველ ქართულში აწმყოს

ზმნისწინიანსა და უზმნისწინო ფორმებს საერთო გრამატიკული დრო (ახლანდელი) ჰქონდათ, საშუალ ქართულში ახალი სისტემის მოქმედების პირობებიც ამ ინერციის გამო თითქოს ისევ ერთი გრამატიკული დრო უნდა ჰქონოდათ (ახლა უკვე მომავალი).

საშუალ ქართულში მომავალ დროს აწმყოს ხოლმეობითიც გამოხატავს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც. ძველ ქართულში აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. საშუალ ქართულშიც ხშირია ასეთი შემთხვევები და, რადგანაც აწმყოს ზმნისწინიანი ფორმები მეოფადის მნიშვნელობით იხმარება, აწმყოს ხოლმეობითის ფორმებიც ზოგჯერ მათ რიგში დგებიან.

„ამრისხანი კაცი მსგავს არს ბზიკითა, რომელი უცემნ, კაცთა ავნებნ და თავსაც მოიკლავენ“ (ს.ს. ორბელ., III, 118, 1-3). „უკეთუ დავრდონილ იქმნა კაცი იგი სიმდიდრისაგან და არღარა ძალუც აღნადგინებისა მიცემა, შეიპყრობნ და შეაშოთბნ და პირველსა სიყუარულსა გინებად შეუტვალებს და ესოდენ შეაჭირვებს“ (იქვე, 107, 14-18). როგორც ვხედავთ, აქ აწმყოს ხოლმეობითი მეოფადის ფორმების გვერდით არის გამოყენებული. „წყალდიდობას შემოვალს კაპოეტნი და ჳამად ორაგულნიცა“ (ქ. ცხ., IV, 342, 6-7); შდრ.: **შემოვალნ d** „ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი“ (იქვე, 343, 24-25); შდრ.: **შევალნ Ro** „რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწრად, არამედ ფრიალცა ფრთხილად **ისმენნ** წინაშე თვსსა მკითხველისასა, **გამოეძიებნ, ჰკითხავენ**, უფროლა თვთ **განმარტებნ** ძალსა“ (ქართ. ცხ. I, 348, 7-9); ისმენენ ACMო გამოეძიებენ A, ჰკითხავენ Mo, განმარტებენ A. „უკეთუ ვინმე შეეხებიან, თავი თვისი სიკუდილად განწირის და იტყუნ“ (იქვე, 89, 11-12). ამ შემთხვევაში აწმყოს ხოლმეობითი II ხოლმეობითების გვერდით იხმარება და გამოხატავს მომავალ დროს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის პროცესი საშუალ ქართულში ფაქტობრივად დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ძველი სისტემის კვალი საბოლოოდ ვერ კიდევ არ არის წაშლილი — აწმყოს წრის ზმნისწინიანი მწკრივები ხშირად კვლავ განგრძობით (უსრულ) ასპექტს გადმოგვცემენ, „ეყოფის“ ტიპის ზმნებიც საბოლოოდ არ არის გამოსული აწმყოს წრიდან (იგივე ითქმის **მოვალს, მოვიდოდა** ფორმებზე, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა უკვე ახალ სისტემას აქვს მოპოვებული. ძველი და ახალი სისტემის თანაარსებობა ზოგჯერ მხოლოდ საშუალო

ქართულისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოგვიჩინს, რაც ენის ისტორიისათვის უდაოდ მნიშვნელოვანია. იგი ამა თუ იმ კატეგორიის (ჩვენ შემთხვევაში ასპექტის) ჩამოყალიბება — ფორმირებისა და საბოლოოდ დამკვიდრების პროცესს გაცილებით ნათლად ასახავს, ვიდრე ძველ და ახალ ფორმათა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები (თუნდაც ერთი წინადადების ფარგლებში, ან სხვადასხვა ხელნაწერში). აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მიერ მომავალი დროის შინაარსის გადმოცემა, თანაც, არცთუ იშვიათად, სწორედ ასეთ ფასეულ და საინტერესო თავისებურებებზე მიგვაჩნია.

ლიტერატურა

**დეეტერსი, 1930** — Gerard Deeters, Das Khartwelische Verbum, Leipzig, 1930.

**კვიციანი, 1888** — პ. კვიციანი, ქართული სწორმეტყველება, თბ., 1988, გვ. 123.

**მაჭავარიანი, 1974** — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქესს, IV, 1974, გვ. 124.

**სარჯველაძე, 1984** — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

**ყიფიანი, 1882** — დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, 1882.

**შანიძე, 1942** — А. Г. Шанидзе, Изменение системы выратжения глагольной категории вида в грузинском и его последствия, Сообщения Академии наук Грузинской ССР, т. III, №9, 1942.

**შანიძე, 1953** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.

**შანიძე, 1981** — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1976.

**ჩიქობავა, 1943** — არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში; სმამ, IV, №1, 1943.

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

**ჭუმბურიძე, 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

**ჰოლტი, 1943** — J. Holt, Etude d' aspect, Kobenhavn (“Acta Jutlandica”, 15/2), 1943.

წყაროები

**ვეფხ.** — შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1966.

**ამირანდ.** — მოსე ხონელი, ამირანდარეჟანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

**ვისრამ.** — ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

**რუსუდ.** — რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

**ქართლის ცხოვრება, ტ. II,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

**ქ. ცხ. IV** — ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

**შაჰ-ნამე** — შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, თბ., 1916.

**ქართ. სამ. ძეგლ. I** — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963.

**თეიმ. I** — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, აღ. ბარამიძისა და გ. ჟაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934.

**იად. დაუდ.** — დავით ბაგრატიონი, იადგარ დაუდი, გამოსაცე-

მად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

**კარაბ., I** — ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, I, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. შენგელიამ, თბ., 1986.

**კარაბ., II** — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, II, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ. თბ., 1989.

**არჩ., I** — არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული, ორ ტომად, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფ., 1936.

**ს.ს. ორბ., II** — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.

#### KETEVAN GIGASHVILI

### Some Problems Connected with the Expression of Aspect in Medieval Georgian

#### Summary

The paper maintains that in Medieval Georgian the process of transition to the new aspectual system is already completed, though some traces of the old system are not completely ousted. Sometimes the co-existence of the two forms reveal the peculiarities that are characteristic of only Middle Georgian. One of the peculiarities is the expression of futurity by means of the Present and Present Permissive. The peculiarities of this kind are important from the standpoint of the history of Georgian.

#### ზაზუკი ძირია

### ზანური ზმური ფორმები გახმოვანების თვალსაზრისით

ტრადიციული დეფინიციით, აბლაუტი მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობაა. „მისი დახასიათება სრული არ იქნება, თუ ერთმანეთისაგან არ გაიმიჯნება ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა და მარტივი ხმოვანთმონაცვლეობა, რომელიც მოკლებულია მორფოლოგიურ ღირებულებას და მთლიანად ენის ფონოლოგიურ დონეს განეკუთვნება... ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა ანუ აბლაუტი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საზიარო მოვლენაა; იგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მორფოლოგიური მოვლენა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 176-178).

აბლაუტისაგან განსხვავდება ხმოვანთა უბრალო ალტერნაცია, რომელიც მთლიანად ფონოლოგიის განეკუთვნება (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 165, 178). „მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობა, ანუ აბლაუტი წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს, შეპირობებული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებული ფონეტიკური გარემოცვით. ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა ხმოვანთმონაცვლეობამ შესაძლებელია გარკვეული მორფოლოგიური ფუნქცია შეიძინოს და წმინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანთმონაცვლეობად იქცეს მას შემდეგ, რაც მოისპობა ამ მონაცვლეობის გამომწვევი ფონეტიკური მიზეზები. ამგვარი მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მონაცვლეობა სინქრონიულად უკვე მოკლებულია ფონეტიკურ მოტივაციას; იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც შედეგი ოდინდელ ფონოლოგიურ მონაცვლეობათა მორფოლოგიზაციისა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 177). ამ დებულების საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შემდეგი მაგალითი ინგლისური ენიდან: „ველ ინგლისურში f@t „ტერფი“ ფორმის @ გახმოვანების გადაბგერება @ გახმოვანებად აწარმოებს მრავლობით რიცხვს f\$T ფორმის სახით. @ : \$ მონაცვლეობა აქ მთლიანად მორფოლოგიური ღირებულებისაა; სინქრონიული თვალსაზრისით აღნიშნული

მონაცვლეობა ფონოლოგიურად არამოტივირებულია. მაგრამ გენეზისში © : § აბლაუტი ფონეტიკური ბუნებისაა, შეპირობებული ფონეტიკური გარემოცვით, რომელსაც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -i ფორმანტი ქმნიდა f@ti > f§ti > f§t. o:e აბლაუტი დიაქრონიული თვალსაზრისით განიხილება, როგორც შედეგი სუფიქსში არსებული პალატარული ხმოვნით გამოწვეული უმლაუტის მორფოლოგიზაციისა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 177-178).

წარმოდგენილი მაგალითი ერთობ საყურადღებოა აბლაუტის არსის გასააზრებლად. დიაქრონიულად ფონეტიკური ხასიათის ცვლილებამ ფორმები გახმოვანების თვალსაზრისით გააჩნია ერთმანეთისაგან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს გახმოვანების სხვადასხვა საფეხურის მქონე ფორმათა დაპირისპირება, დაპირისპირება რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა გარჩევა ემყარება ფუნქციონალური დატირთვის მქონე ალტერნაციას — აბლაუტს. მხოლოდ ამ ალტერნაციის საშუალებითაა შესაძლებელი ფორმათა სტატუსის განსაზღვრა რიცხვის კატეგორიის მიხედვით.

ქართული აბლაუტის ანალიზისას ყურადღება ზმნურ ფუძეებზე გამახვილებული, მიჩნეულია, რომ „სწორედ ზმნის სისტემამ შემოგვინახა სრული სახით აბლაუტური მექანიზმი...“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 179); მხედველობაში აქვთ „გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნები და მათი შესაბამისი გარდაუვალი კორელატები, რომლებსაც ჩვეულებრივ ე.წ. „უნიშნო ვნებითის“ კატეგორიას მიაკუთვნებენ“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 179).

მაგრამ აბლაუტის განხილვა მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობად ამ ალტერნაციის ფუნქციური დატირთულობის გამოკვეთილობას უნდა გულისხმობდეს, ანუ: ეს გრამატიკული საშუალება ცალსახად უნდა იყოს ფორმათა განმასხვავებელი გრამატიკული ნიშანი (ამის ილუსტრაციაა ზემოთ წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითი ინგლისური ენიდან). სხვაგვარად, როდესაც ამა თუ იმ სახის აპოფონიას მკაცრად განსაზღვრული გრამატიკული (მორფოლოგიური) ფუნქცია არა აქვს, მისი სახელდება მორფოლოგიურ ნიშნად, ალბათ, გაჭირდება (სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად არის შენიშნული, რომ „ქართველური აბლაუტი, მსგავსად ინდოევროპულისა, მორფოლოგიური სიჭარბის მოვლენაა, ისე რომ აპოფონიური მონაცვლეობა ა/ე ზმნისა და სახ-

ელის ფუძის განსასხვავებლად (მეგრ. ბერგი „თოხი“, მაგრამ ბარგუს „თოხნის“; მეგრ. ტყები „ტყავი“, მაგრამ ტყაბარანს „ატყავენს“; მეგრ. ჭვეთი „წვეთი“, მაგრამ ჭვათუნს „წვეთავს“ და სხვ.), ან ე/ი მონაცვლეობა ზმნის აწმყოსა და ნამყოს ფუძეების საწარმოებლად (სახელის ბრუნვის ნიშნები, ზმნის პირის ნიშნები და სხვა აფიქსები) საკმარისია ამავე დაპირისპირებათა გამოსახატავად. ეს კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როგორცაა მეგრ. თასი „თესლი“ / თასუნს „თესავს“ ან ქართ. წერ-ს / წერ-ა და სხვ., მსგავსად იმისა, როგორც ეს გვაქვს ინდოევროპულში, სადაც მონაცვლეობა ei > i სიტყვაში / diktós (< leiq“) არის ჭარბი ნიშანი, რადგან ისეთი ფორმები, როგორცაა \*pektós (< \*peq“), მოწმობენ, რომ -tó საკმარისია იმავე კატეგორიის გამოსახატავად“ (წერეთელი, 1964, 015-016).

ვფიქრობთ, ამგვარი გააზრება საკითხისა წინააღმდეგობრივია აბლაუტის, როგორც მორფოლოგიურად დატირთული აპოფონიის გაგებასთან; ან კიდევ შეიძლება დადგეს აბლაუტის ტრადიციული გაგების ანუ დეფინაციის საკითხი.

როდესაც ლაპარაკია ფორმათა განსხვავებაზე, როგორც ჩანს, ფუძის „ფორმა“ იგულისხმება, მაგრამ არც სახელი არსებობს წმინდა ფუძის სახით და არც ზმნა („ფუძე ლინგვისტური ანალიზის საჭიროებით გამოყოფილი ნაწილია სახელისა. რეალურ, მოქმედ ენაში არ არსებობს, სახელი ყოველთვის რომელსამე ბრუნვაში“ (უთურ-გაიძე, 1983, 10).

ამ დებულების განზოგადება ზმნის სისტემაშიც შეიძლება: არც ზმნა არსებობს მოქმედ ენაში ფუძის სახით (ის ყოველთვის ამა თუ იმ ნაკვთის ფორმით არის წარმოდგენილი), იგი სხვა გრამატიკულ ელემენტებთან კომბინაციაში ქმნის ამა თუ იმ მორფოლოგიური სტატუსის მქონე ერთეულებს.

საინტერესოა, რომ ვდრკები — შევდერკ სახის მაგალითებში სინქრონიულ დონეზე დაპირისპირება ნოლზმოვნიანი საფეხური — ხმოვნიანი საფეხური აღარ არის (გვაქვს: ვდრკები — შევდრკი), თუმცა ამას ფორმათა მორფოლოგიურ სტატუსზე გავლენა არ უნდა მოეხდინა და არც მოუხდენია (აბლაუტის თეორიის მიხედვით დრკ/დერკ ოდენ მორფოლოგიური დაპირისპირებაა და ეს ფორმები ერთიმეორისგან არ გამოიყვანება. დაპირისპირების საფუძველია განსხვავებულად გახმოვანებული ფუძეები. მაგრამ საკითხავი სწორედ ის არის, რა დანიშნულება აქვს ამ დაპირისპირებას, ფუძეთა დაპი-

რისპირებას, რამდენად არსებითია იგი და რისთვის არის არსებითი, ანუ, რამდენად შეიძლება ამ დაპირისპირების ფუნქციონალურ ასპექტზე მსჯელობა).

არის თუ არა ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში და თუ არის, რა ნიშნები ახასიათებს მას? — სვამს კითხვას ტ. გუდავა (გუდავა, 1974, 132). პასუხი დადებითია: „მეგრულში დასტურდება ფუძედრეკადი ზმნები, ე.ი. ისეთი ზმნები, რომლებიც სხვადასხვა ნაკვთა წარმოების დროს ფუძისეულ ხმოვანს იცვლიან. ეს მონაცვლეობა ხმოვნებისა მორფოლოგიური ხასიათისაა“ (იქვე, 132). მკვლევარი მსჯელობს ფუძედრეკადი ზმნებისთვის ნიშანდობლივ „მკაფიოდ გამოხატულ ნიშნებზე“: „ასეთი ზმნები ხასიათდებიან ფუძის გახმოვანების სამი სხვადასხვა ფორმით“ (იქვე, 132). ფუძის ისეთ ფორმას, როდესაც სუფიქსურ ნაწილში ი ხმოვანი გვაქვს (ცორიდ, შქირიტ-), ტ. გუდავა უწოდებს ფუძის გახმოვანების ი საფეხურს, ა ხმოვნის შემცველს (ცორად-, შქირატ-) — ფუძის გახმოვანების ა საფეხურს, ხოლო ამავე ფუძის ისეთ ვარიანტს, რომელსაც სუფიქსურ ნაწილში ხმოვანი არა აქვს (ცორდ-, შქირტ-), — ფუძის გახმოვანების ნულ საფეხურს.

მკვლევრის დაკვირვებით, „ზოგჯერ დასტურდება ო გახმოვანებაც (ამგვარ ზმნებს მეტწილად აკლიათ ნულ საფეხური), რომელიც აქაიქ გამოდის როგორც პარალელური ფორმა სხვა საფეხურისა (ღირიკ- — ღირაკ- — ღიროკ-||ღირკ „ღრეკა“):

მეგრულ ფუძედრეკად ზმნათა ქართულთან შედარების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები: ერთი და იგივე ზმნა ფუძედრეკადია ქართულშიც და მეგრულშიც (ასეა მეტწილად): ა) ღრეკ-/ღრიკ-/ღრკ- — ღირაკ-/ღირიკ-/ღირკ-... ბ) მეგრულში ზმნა ფუძედრეკადია, ქართულში — არა: -ცეთ „შეცდომა“ — ჩილათ-/ჩილით-/ჩირთ-... გ) ქართულში ზმნა ფუძედრეკადია, მეგრულში — არა: კრებ-/კრიბ-/კრბ- — კოროფ- „კრეფა“... (გუდავა, 1974, 134).

ფუძეთა არაერთგვაროვანი გახმოვანება ფაქტია, მაგრამ მეორე საკითხია ამ ალტერნაციის ფუნქციონალური (მორფოლოგიური) დატვირთულობა.

მეგრულში დ რ ე კ ს / დ რ ი კ ა ტიპის ანალოგიური ფორმობრივი მიმართებები მოქმედებითი გვარის ზმნებში საერთოდ არა გვაქვს. ამ ტიპის, ე.წ. •-საფეხურიან ფუძედრეკად ზმნას მთელ პარადიგმაში ეს • ექნება; ამის ილუსტრაციაა თავად ტ. გუდავას მიერ წარმოდგენილი ზოგადი პარადიგმატური სურათი (ცორიდ-უნს „აღბობს“;

ცორიდ-უნდუ, ცორიდ-უნდას, ცორიდ-უ, ცორიდ-ას...).

უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო გარდაუვალი ფორმების შესატყვისი გარდამავალი ფორმები ზანურში სამი ტიპისაა:

1. ის ზმნები, რომელთაც ა. შანიძე ფუძედრეკადებს უწოდებს და სერიათა მიხედვით (მოქმედებითი გვარის პარადიგმაში) ე/ი მონაცვლეობით გამოირჩევიან, ზანურშიც ცალკე ჯგუფს ქმნიან. ესენია, **ღირიკუნს, წირიდუნს, შქირიტუნს, ღირიკუნს, ჭყილიტუნს, ყორიდუნს...**

2. „კაუზატიური წესი“ წარმოებისა აქვთ ცალმორფემიანი „უნიშნო ვნებითების“ უმრავლესობას: ხუმუ („ხმება“) — ოხუმუანს („ახმობს“)...

3. იშვიათად გვხვდება სუბლექტური წარმოება: ღურუ („კვდომა“ — ყვილუნს („კლავს“), ხორცქუ („სკდება“, „იხევა“, „წყდება“) — ხოფუნს („ხეთქავს“, „ხევს“, „წყვეტს“).

„კოლხურში, წერს კ. დანელია, — ვნებითი გვარის ფუძე რედუქციას განიცდის, მოქმედებითისა კი — არა. მაგალითები: შქირიტ-უნს „აქრობს“ („შრეტს“) და შქირტ-უ-(ნ) „ქრება“ („შრტება“)... (დანელია, 1976, 167).

არაფერია ნათქვამი ფორმათა მიმართებაზე წარმოების თვალსაზრისით, მაგრამ ვნებითის ფორმები რედუქციებულად მიიჩნევა (თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელი ხმოვანი უნდა ამოვარდნილიყო სათანადო ფუძიდან).

ჩვენი აზრით, ნული გახმოვანების (რედუქციებულ) ფუძეებში უნდა აღვადგინოთ ის ა ხმოვანი, რომელიც თურმეობითებში ჩანს: წირდ-უ < \*წირ-ად-უ „იწრიტება“ (დოწირადე „დაწრეტილა“, დოწირადუე „თურმე იწრიტებოდა“), ღირკ-უ < \*ღირაკ-უ „იღრიკებ“, შქირტ-უ < \* შქირატ-უ „იშრიტება“...

ეგვე ა გახმოვანება ჩანს ზმნის უპირო ფორმებში: წირადა — წირადილი, ღირაკა — ღირაკილი, შქირატა — შქირატილი...

ა გახმოვანება ზანურში III-IV სერიის ფუძეებისა და ზმნის უპირო ფორმებში (მასდარებსა და მიმღეობებში) იჩენს თავს, რაც, ბუნებრივია, ურთიერთკავშირშია განსახილველი. ამ შემთხვევაში ა გახმოვანება (ღირაკ/უ, ღირაკილი, გოდირაკე) ქართული ე გახმოვანების ფარდია (მდრ.: ღრეკა, ღრეკილი, ღრეკილა). აწმყოს ფუძეში ნულოვანი გახმოვანება ისევე იხსნება რედუქციის საფუძველზე, როგორც ქართულში (ღრეკება > ღრკება).

რაც შეეხება **ღირიკუნს, წირიდუნს** ტიპის ზმნებს, მათი უშუალო ამოსავალი ფორმები არ შეიძლება იყოს სათანადო გარდაუვალი ცალეები; ანუ: **ღირიკუნს** ვერ მიიღება **ღირკუ**-საგან, არც **წირიდუ** ფორმაა ამოსავალი **წირიდუნს** ფორმისათვის და ა.შ. ეს ფორმები ქართული გათემატურებელი ფუძედრეკადი ზმნების ზუსტი სტრუქტურული (და არამხოლოდ სტრუქტურული) შესატყვისობებია: ღირიკავს — ღირიკუნს, წირიტავს — წირიდუნს, შირიტავს — შქირიტუნს, ღირიკავს — ღირიკუნს, ჰყლიტავს — ჰყლიტუნს...

საინტერესოა **წყვედ-** ფუძის წარმოების თავისებურებები: მისი ზანური ფონეტიკური შესატყვისობაა **ჰყვად-**, რომელიც მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმას **ჰყვად-უნს**-ს სახით წარმოგვიდგენს, რაც ქართული „წყვეტ-ავს“ ფორმის ანალოგიაა. პარალელურად დასტურდება **ჰყვინდ-უნს**, — ეს უკვე მოქმ. გვარის ზმნათა წარმოების საერთო წესის მიხედვით გაკეთებული ფორმაა (შდრ. ქართ. წყვიტ-ავს).

**ა**-გახმოვანების მქონე მასდარები არქაულადაა მიჩნეული. აღნიშნულია, რომ ამგვარ მასდართა პარალელურად ფუძედრეკად ზმნებს გამოყენებული აქვთ გახმოვანების **ი** საფეხურზე მყოფი ფუძისაგან ნაწარმოები მასდარიც. ასეთი მასდარი მუდამ **უ** თემიანია და მოქმედებითი გვარის შინაარსისაა, რითაც უპირისპირდება ზემოთ განხილულ ფორმებს (ცორად-ა, ჩილათ-ა), რომლებიც გვარის თვალსაზრისით ნეიტრალური არიან (ან ვნებითი შინაარსის, თუ **ი** ფუძიან მასდარებს დავუპირისპირდებით), მაგ.: ცორიდ-უ-ა „დალპობა“ (ძალით, საგანგებოდ), შდრ. ცორად-ა „ლპობა“, ჩილით-უ-ა „გაცდენა, შეცდენა“ (ძალით, საგანგებოდ), შდრ. ჩილათ-ა „ცდენა, ცდომა“, შქირიტ-უ-ა „ჩაქრობა“ (მოქმედებითი გვარი), შდრ. შქირატა „ქრობა“ (არა მოქმ.) და მისთ. (იხ. გუდავა, 1974, 137).

უფრო ადრე ვ. თოფურიაც მიუთითებდა, რომ „მეგრულში მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა უნდა გვქონდეს საერთო ძირის მქონე მოქმედებით და ვნებით ზმნებსა თუ ნაზმნარ სახელებში, როგორცაა: შქირიტუა „შრეტა“, შქირატუა „შრტომა“ (თოფურია, 1941, 62).

ზმნის უპირო ფორმათა დაპირისპირება აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ანარეკლია მათი ამოსავალი პირიანი ფორმების სათანადო მორფოლოგიური სტატუსისა: მოქმედებითი გვარის ზმნის მასდარი სახელია აქტიური შინაარსის ზმნისა, ამდენად, ეს ფორმა სათანადო

ამოსავალი ფუძის სტრუქტურას წარმოაჩენს; ასევე: პასიური შინაარსის პირიანი ფორმა იქნება ამოსავალი სათანადო მასდარისათვის; ამდენად, მეგრ. შქირიტუა — შქირატუა („შრეტა“ — „შრტომა“) მაგალითი აბლაუტის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება გამოდგეს. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ ერთეულთა სემანტიკური დიფერენცირებისათვის სხვა ფორმალური (*resp.* გრამატიკული) ნიშანი არ ჩანს, ამდენად, ი – ა მონაცვლეობას ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. თუმცა, ამგვარ ფუნქციონალურ ხმოვანთმონაცვლეობას იმდენად სპორადული ხასიათი აქვს, რომ მისი გრამატიკული როლი პრაქტიკულად ნულს უტოლდება.

ლიტერატურა

**გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965** — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

**გუდავა, 1974** — ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე, №4, თბ., 1974.

**დანელია, 1976** — კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1976.

**თოფურია, 1941** — თოფურია, **რ** და **ნ** თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში, თსუ შრომები, XVIII, 1941.

**უთურგაიძე, 1983** — თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

**წერეთელი, 1964** — გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, წინასიტყვაობა წიგნისა — სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1964.



### The Zan Verb Forms from the Standpoint of Vocalisation

#### Summary

According to the traditional definition the ablaut is a functional vowel gradation. This definition is somewhat incompatible with the viewpoint which considers the ablaut a redundant marker. The ablaut in Georgian is morphologically irrelevant, i.e. it is redundant. Zan rarely distinguishes grammatical forms on the basis of ablaut. To some extent, the non-finite forms of the verb through their activity or passivity reflect the corresponding morphological status of the initial finite verbs e.g. the masdar of the active voice presupposes the verb with an active meaning, and hence reveals the structure of the initial stem. Correspondingly, the passive form of a finite verb is the basis for the corresponding masdar form, consequently the Megrelian *škiriṭua* – *škiraṭua* can be considered a classical ablaut example. In the given case the ablaut is the only marker for the semantic differentiation of the two forms, hence the interchange *i* – *a* is functionally loaded. However, in zan the functional vowel gradation is of sporadic nature.

It is concluded, that similar to Georgian, in Zan the mechanism of ablaut does not work.

ნარგიზ ახვლედიანი

### ერთი ზანური ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ დიალექტებში

სამხრული დიალექტების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა გამოკვლევებიდან უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ძველად ზანურ მოსახლეობას ეკავა ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აჭარლები არიან დასახლებული: „ლაზიკას ერთ ღროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც, ახლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით (მარი, 1910, 110). იგივე შეხედულება განავითარეს შემდგომში ივ. ჯავახიშვილმა, ი. ყიფშიძემ, არნ. ჩიქობავამ, ს. ყლენტმა და სხვებმა.

წინამდებარე ნაშრომში წარმოგიდგენთ მხოლოდ ერთ ლექსიკურ ერთეულს. ასე მაგ.:

ქვიჯა — მაგარი ხის კუნძიდან გამოთლილი ჯამი, რომელშიც ნაყავენ ნიორს, ნიგოზს, მარილს და სხვა (ნიჟარაძე, 1971, 356). „ჩეირბინე აიშე ბებიასთან და ქვიჯა ამომიტაი“ (ბსკიფა). ქვიჯა — მწვანის სანაყი ჯამი. „ქვიჯაში დავნაყავთ წუანილებსა“ (ფუტკარაძე, 1993, 602). ქვიჯა ხულოს რაიონში იხმარება საცეხველისა და ქვიჯის (როდინის) მნიშვნელობით. ქვიჯა — „მცირე როდინი“ (სულხან-საბა, 1993, 244). დ. ბაქრაძე „ქვიჯა“-ს ასე განმარტავს: ქვიჯა შემოკლებული ქვის ჯამია, იმას რითაც ნაყავენ იმერეთში — ქვასანაყს ეძახიან, გურიაში სანაყ ქვას, აჭარაში — ქვიჯა-ს (ბაქრაძე, 1987, 152). მეგრულში იხმარება ქვიჯე || ქვანჯე (ყიფშიძე, 1994), ქვინჯე || ქვინჯა — როდინს ნიშნავს (ჭარაია, 1997, 141).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ქვიჯა“ კუთხური სიტყვა ფილთაქვას სინონიმურია, იგივეა, რაც როდინი და ქვემოიმერული და გურული დიალექტების კუთვნილებადაა მიჩნეული (ქეგლ., 1990, 970-991).

ი. მეგრულაძე თვლიდა, რომ „ქვიჯა“ კომპოზიტია და შედგება

ქართული „ქვა“-ს და ლაზურ-მეგრული „ჯა“-ს(ზე)-საგან (მეგრელიძე, 1938, 116-117), ე.ი. „ქვიჯა“ თხზული სახელია, რომლის პირველი კომპონენტი „ქვი“ უნდა იყოს ნათესაობით ბრუნვაში დასმული ქართული „ქვა“ (ქვის), რომელსაც კომპოზიტურ ფორმაში ნათესაობითის „ს“ თანხმოვანი დაჰკარგვია და მხოლოდ „ი“ ხმოვანი დარჩა (დ. ბაქრაძე „ქვიჯა“-ს „ქვის ჯამ“-ად განმარტებისას „ს“ თანხმოვანს აღადგენს), რაც შეეხება მეორე ნაწილს „ჯა“-ს, შესაძლებელია იგი „ჯამ“-ის შეკვეცილი ფორმა იყოს, მაგრამ სხვა ვარაუდის დაშვებაც შეიძლება. ჩვენ ვიზიარებთ ი. მეგრელიძის აზრს, იმის შესახებ, რომ საკვლევი ლექსიკური ერთეულის მეორე კომპონენტი „ჯა“ არის ზანური „ჯა“, რომელსაც ქართულში შეესატყვისება „ძელ“. ზანური სიტყვა „ჯა“ აჭარულსა და სხვა ქართული დიალექტებისათვის უცხო არ არის, ასე მაგ.: ჯარა, ჯარგვალი და სხვა. ჩვენი აზრით, ზანურია არა მარტო საკვლევი ლექსიკური ერთეულის მეორე ნაწილი, არამედ მთლიანად კომპოზიტი „ქვიჯა“. ვფიქრობთ, ამ ტერმინმა შემდეგი გზა გამოიარა: ქუჯა → ქუიჯა → ქვიჯა, ე.ი. ქვა ხე, რომლისგანაც სანაყს აკეთებენ (ძელქვა).

ძელქვა ერთ-ერთი ხის ჯიშია ზელცოვა ცარპიროჰილია კხ. ალუხი; ავლუხი, მეგრ. ქერქვა, ქართ. ნეკერჩხალი, აჭ. ლუკმაკენჩხა, გურ. ლეკენჩხალი (მაყაშვილი, 1991, 74, 89, 130), რომელიც სიმაგრითა და გამძლეობით ხასიათდება. იგი დედამიწის უძველესი მცენარეა. მისი მაგარი, მკვრივი, მტკიცე მერქნისაგან დამზადებული ფიცარი არ იბრიცება, არ სკდება. სანაყი, ანუ როდინი, სწორედ გამძლე ხის მასალას მოითხოვს.

ასეთია ნაშრომში მოყვანილი ერთი ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიის ახსნის ჩვენული ცდა.

ლიტერატურა

**ბაქრაძე, 1987** — დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.

**მარი, 1910** — Н. Я. Марр, Из поездки в Шавшетию и Кларджетию, Л., 1910.

**მაყაშვილი, 1991** — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

**მეგრელიძე, 1938** — И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слой в Гурийском. М., 1938.

**ნიყარაძე, 1971** — შ. ნიყარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ., 1971.

**ორბელიანი, 1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ბთ., 1993.

**ფუტყარაძე, 1993** — შ. ფუტყარაძე, ჩვენებულების ქართული, ბათ., 1993.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1990.

**ყიფშიძე, 1994** — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

**ჭარაია, 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

**NARGIZ AKHVLEDIANI**

### On One Zan Lexeme of the Southern Dialects

#### Summary

The trace of the Zan substratum is still evidenced in the Acharan and Shavsh-Imerkhebian dialects. It is revealed at the phonetic, grammatical, as well as, lexical levels.

The paper argues that the word "kviža" is of Zan origin.

## ინზა ზაფური

აფხაზური ზმნის დერივაციულ მნიშვნელობათა  
ლექსიკალიზაცია და მისი ამოცნობის კრიტერიუმები

დერივაციული მნიშვნელობები ანუ დერივაციები იმდენად ხშირად განიცდიან ლექსიკალიზაციას, რომ ეს შეიძლება ჩაითვალოს მათი და გრამემატიკის (ფლექსიური მნიშვნელობების) ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად. ამ მხრივ გამოჩენის არც აფხაზური ზმნური დერივაციები შეადგენენ — ლექსიკალიზაციას მეტ-ნაკლებად ყველა მათგანი განიცდის.

აფხაზურ ზმნაში რეგულარულად გამოიხატება შემდეგი დერივაციები: აპლიკატივი, რეფლექსივი, არაკონტროლირებადობა („უნებურობა“), კაუზატივი, რეციპროკი, ასოციატივი და რეფაქტივი. ლექსიკალიზაცია უცხობა პოტენციალისათვის, რომელსაც ჩვეულებრივ მოიხსენიებენ დერივაციულ კატეგორიათა რიცხვში და აკავშირებენ არაკონტროლირებადობის მნიშვნელობასთან (ლომთათიძე, 1955, 254). ჩვენ მას კვაზიგრამების კვალიფიკაციას ვანიჭებთ: ერთი მხრივ, მოცემულ მნიშვნელობას არ გააჩნია გრამემატიკა მთავარი თვისება — ობლიგატორულობა; მეორე მხრივ, პოტენციალის მარჯვენა ბელი არ აისახება მასდარში, ხოლო ძირითად დიაგნოსტიკურ საშუალებად აფხაზურში ფლექსიურ და არაფლექსიურ (როგორც დერივაციულ, ისე ლექსიკურ) მორფემათა განსასხვავებლად სწორედ მასდარში მათ გამოვლენა / არგამოვლენას ვთვლით. ამ ნიშნის მიხედვით პოტენციალის დერივაციას არ წარმოადგენს.

ქვემოთ განვიხილავთ რეგულარულ დერივაციებათა ლექსიკალიზაციის შემთხვევებს და ვაჩვენებთ, რა გზით შეიძლება ამგვარ შემთხვევათა ამოცნობა.

აპლიკატივის კომპლექსური კატეგორია შედგება შემდეგი დერივაციებისაგან: ბენეფაქტივი / მალეფაქტივი (მარკერი {ზ-} და {ც-}), კომიტატივი (მარკერი {ც-}) და ინსტრუმენტივი (მარკერი {ლა-}). ყველა მათგანში ზმნის ვალენტობა იზრდება ერთი აქტან-

ტით — ირიბი ობიექტით, მაგალითად, ირ-ზე-ლგაპ „იგი-მდ“ მათ მას წაუღებს“, ირ-ც-ლგაპ „იგი-მდ“ მათ მას წაართმევს“ (ზედმ.: „მათგან წაიღებს“); ილ-ც-ზბეიტ „მასთან-მდ“ ერთად ვნახე იგი-არაგონ“; და-ლა-ხ-მარტეიტ „იგი-გონ“ თამაშობს [რალაციით].

ბენეფაქტივის ლექსიკალიზაციის შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, აზწაარა ზმნაში (ს -ა-ზ-წააიტ „იგი-მამრ“ მოვიკითხე“), რომლისგანაც შეიძლება ვაწარმოოთ ისეთი ფორმები, როგორცაა უსგ-ზ-ი-ზწაა „იგი-მამრ“ მოვიკითხე!“ (მასდარი აზგ ზწაარა) (ლომთათიძე, 1947, 414). აქ ერთდროულად წარმოდგენილია ბენეფაქტივის ლექსიკალიზებული და არალექსიკალიზებული მაჩვენებლები. დერივაციების, მათ შორის, ბენეფაქტივის ორჯერ გამოხატვა აფხაზურს არ ახასიათებს. {ზ-} ლექსიკური, პირველადი ზმნური ფუძის ნაწილია აგრეთვე აზწაარა „მომატება“, „ზრდა“ ზმნაში (ლომთათიძე, 1947, 414), რასაც ადასტურებს ის, რომ {-ჰა-} განეკუთვნება ბმული ძირების რიცხვს, იგი სხვა ლექსიკური მორფემების გარეშე არ გვხვდება. ლექსიკალიზაციის ფაქტზე მიუთითებს ამ ზმნის ისეთი ერთპირიანი ფორმების არსებობაც, როგორცაა ი-ზ-ჰა-ტე ტ „იგი <არაგონ> იზრდება“. ერთპირიანი ფორმათა პარალელურად იხმარება ორპირიანი, -ა-ზ-ჰა-ტე ტ „მას<არაგონ> იგი<არაგონ> ემატება“ ტიპის ფორმები (ლომთათიძე, 1947, 414). მსგავსი ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები აქვს ამავე ძირის შემცველ აც-ჰა-არა ზმნასაც, მაგალითად, დე-ც-ჰა-ტე ტ „იგი-გონ“ ილანძლება“, დ-ა-ც-ჰა-ტე ტ „იგი-გონ“ მას-მამრ“ ლანძლავს“. აპლიკატივის დერივაციები ლექსიკალიზებულია როგორც აზწაარა, ისე აც-ჰა-არა ზმნის ყველა მოყვანილ ფორმაში.

აპლიკატივის კიდევ ერთი დერივაციება, კომიტატივი, ლექსიკალიზაციის შედეგად შეიძლება შეერწყას როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას. მაგალითად: დღე-ც-ნ „იგი-გონ“ მას-მდ“ ახლდა“, ზედმ.: „მასთან ერთად იყო“ (ლომთათიძე, 1960, 279) (ამ ფორმაში {ც-} პრევერბი დართულია კოპულის ბმულ ნულთან ძირზე); იშ-ც-ლო ტ „წონაში“ იმატებთ“, ზედმ.: „გემატებათ იგი<არაგონ>“ (მასდარი აცლარა); ძირეული {-ლა-} მორფემა ბმულია. შდრ. აგრეთვე აშ-ა-ც-ლო ტ „დღე მატულობს“, ზედმ.: „დღეს ემატება იგი<არაგონ>“, სადაც წარმოდგენილია ე.წ. ცარიელი, უფუნქციო პირის ნიშანი /ა-/.

ინსტრუმენტივი ზმნაში იწვევს იმავე ცვლილებებს, რასაც აპლიკატივის დანარჩენი დერივაციები, მაგრამ ეს მნიშვნელობა თითქმის

არ განიცდის ლექსიკალიზაციას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ტიპობრივ დერივატივას არ წარმოადგენს. ამასვე მოწმობს ის ფაქტი, რომ მასდარში შეიძლება ჩაითვალოს *ალაკრა* ზმნა: *ა-ლე-კუეიტ > ა-ლა-კუეიტ* „იგი<მამრ> მას<არაგონ> [რალაციით] იჭერს“ (ჯანაშია, 164).

**არაკონტროლირებადობა**, პოტენციალისაგან განსხვავებით, დერივატივად მიგვაჩნია, რადგან მისი მაჩვენებელი, როგორც წესი, აისახება მასდარში. ამავე დროს, იგი უდავოდ ახლოსაა პოტენციალისთან, რაც იმაშიც ვლინდება, რომ ეს დერივატივა ლექსიკალიზებული სახით გვხვდება შედარებით იშვიათად. ამ შემთხვევათა ამოსაცნობად ფორმალური კრიტერიუმების გამოყენება ზოგჯერ შეუძლებელია. მაგალითად, უნებლიობის გაგება ამჟამად აღარ აქვს ერთვალენტურიან *ამხარა* „შესივება“ ზმნას ( *-ამხა-ჩიტ* „შესივდა“, შდრ.: *იჩიტ* „გასივდა“), რაც ლექსიკალიზაციის შედეგს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ამას ფორმალურ საფუძველზე ვერ დავასაბუთებთ.

**კაუზატივის** კატეგორიაში ზმნის ვალენტობა იზრდება ერთი აქტანტით — საწყის ლექსემას ემატება კაუზატორი, რომელიც გამოიხატება სუბიექტურში პირის ნიშნით. მაგალითად: *ისლე-რ-წო ტ* „იგი<მდ> მას მასწავლის“ (მასდარი *არწარა*), შდრ.: *ილწო ტ* „იგი<მდ> მას სწავლობს“ (*აწარა*); *დი-რ-ჭოიტ* „მან<მამრ> მას<გონ> ფიცი დაადებინა“ (*არჭორა*), შდრ.: *დჭოიტ* „მან<მამრ> ფიცი დალო“. კაუზატივის {რ-} მარკერს აქვს სტანდარტული პოზიცია — ძირის უშუალოდ მარცხნივ, მაგრამ ზმნათა ერთ მცირე ჯგუფში {რ-} თავსდება პრევერბის წინ, რის შედეგადაც იგი ფუძის ნაწილად აღიქმება (ლომთათიძე, 1945, 92). მაგალითად: *ისდგრლაწე ტ* „დამათესვინეს იგი“ (მასდარი *არლაწარა*), შდრ.: *ილასწე ტ* „დავთესე“; *სირფხამე ტ* „მან<მამრ> შემარცხვინა“ (*არფხამარა*), შდრ.: *დფხამმე ტ* „მას<გონ> არ შერცხვა / არ დაიმორცხვა“. ამ მოვლენას თანმიმდევრული ხასიათი არა აქვს, რადგან იმავე კაუზატიური ლექსემის ფუძე შეიძლება დაიყოს უარყოფის პრეფიქსით: *ისდგრლამწე ტ* „იგი არ დამათესვინეს“, *სირფხამმე ტ* „მან<მამრ> არ შემარცხვინა“.

**რეფლექსივის** ლექსიკალიზაციის უტყუარ მაგალითებს წარმოადგენენ ისეთი ფორმები, როგორიცაა *დ-ჩ-გ-რბო ტ* „იგი<გონ> კეკლუტობს“ და *დგ-ჩ-ბ-ო ტ* „იგი<გონ> ტრაბახობს“ (შდრ.: ქართული *თავს იწონებს* და *თავი მოაქვს*). ორივე ზმნა ერთპირიანია და, ამდენად, გარდაუვალი, მაშინ როდესაც რეფლექსურობის კატე-

გორიაში ზმნური ფორმა უნდა იყოს გარდამავალი (მინუმიმ ორპირიანი) და ჰქონდეს კუთვნილების გამომხატველი პრეფიქსი, რომელიც გამოხატავს იმავე გრამემებს, რასაც სუბიექტის ნიშანი. მაგალითად, *ი-ჩ-იწ-ახტე ტ* „იგი<გონ> იმალება“, ზედმ.: „თავს მალავს“. აღსანიშნავია, რომ ფორმაში *დჩ-გ-რბო ტ* (ზედმ.: „იგი თავს აჩვენებს“) ლექსიკალიზებულია კაუზატივიც: შდრ., მაგალითად, *ი-ჩ-დ-ი-რ-დგრტე ტ* „იგი<მამრ> მათ ეცნობა“, ზედმ.: „თავს აცნობს“, სადაც {ჩ-} რეფლექსურობის დერივატივის მაჩვენებელია, ხოლო {რ-} — კაუზატივის დერივატივისა.

განსაკუთრებით ხშირია **რეციპროკის** ლექსიკალიზაციის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის გამომხატველი *ია-ა* მორფი ფართოდ არის გავრცელებული, იგი უპირატესად გვევლინება ზმნის პირველადი ფუძის შემადგენლად. ლექსიკალიზაციას განიცდის აგრეთვე რეციპროკის *ია-ბა-ა* მაჩვენებელი. რამდენადაც ამგვარ ფორმებში არცთუ იშვიათად შენარჩუნებულია ურთიერთმიმართების სემანტიკა, *ია-ა* და *ია-ბა-ა* მორფების შემცველი და ამ მორფებს მოკლებული ფუძეების შედარების გზით ზოგჯერ ჭირს იმის გარკვევა, მომხდარია ლექსიკალიზაცია თუ არა. რეციპროკის მაჩვენებლების იდენტიფიკაცია უფრო ადვილია იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის არც ერთი პირის ნიშანი არ გამოხატავს მრავლობითი რიცხვის გრამემას; მაგრამ ზმნური ლექსემის სემანტიკა ხშირად სწორედ ამ გრამემის გამოხატვას მოითხოვს. ქვემოთ მოგვყავს მაგალითები, რომლებშიც *ია-ა* და *ია-ბა-ა* წარმოდგენილია ხან როგორც რეციპროკის მაჩვენებლები, ხან კი როგორც ზმნის პირველადი ფუძის კომპონენტები.

*ჰ-ა-სტე ტ* „ერთმანეთს ვურტყამთ“ / „ვჩხუბობთ“, *დ-ე-სტე ტ* „იგი<გონ> ჩხუბობს“, *დ-ე-სტე ტ* „იგი<გონ> მას<მამრ> ეჩხუბება“ (მასდარი *ა სრა*), შდრ.: *დისტე ტ* „იგი<გონ> მას<მამრ> ურტყამს“ (*ასრა*) (ლომთათიძე, 1960, 277); შდრ., აგრეთვე: *ამშვგ ე-სტე ტ* „ზღვა დელავს“; *შ-ე-კანტან* „ერთმანეთს ეცილებოლით“, *დ-ე-კანტან* „იგი<გონ> მას<მამრ> ეცილებოდა“ (მასდარი *ა კანრა*); *ე-ბა-გე ტ* „დაქორწინდნენ“, ზედმ.: ერთმანეთი წაიყვანეს“, შდრ.: *აშაქ ე-ბა-გე ტ* „თოფმა გაისროლა“ (*ა ბაგრა*); *ჰ-ა-ბა-კიტ* „ერთმანეთი დავიჭირეთ“, შდრ.: *დ-ე-ბა-კიტ* „იგი<გონ> გაბრაზდა“, *ამცა ე-ბა-კიტ* „ცეცხლი გაჩაღდა“ (*ა ბაკრა*).

*ია-ა* მორფი უეჭველად პირველადი ფუძის კუთვნილებას წარ-

მოადგენს ა უარა ზმნაში: *დ-ს-ე -ჟაბ* „იგი<გონ> მომატყუებს“, შდრ.: *შ-ე ბა-ჟაბ* „ერთმანეთს მოატყუებთ“ (ა ბაჟარა), *სუჟაბ* „შენ<მამრ> მომატყუებ“ (აჟარა). ამაზე მიუთითებს როგორც ამ მორფის პოზიცია, ისე *დ-ს-ე -ჟაბ* ტიპის ფორმათა ორპირიანობა: რეციპროკის დერივატივის /ა -/ პრეფიქსი გვხვდება ერთპირიან ფორმებში.

აფხაზურში ფართოდ არის გავრცელებული რთული პრევერბები, რომელთა პირველი კომპონენტია {ა -}, მაგალითად: *-ე მ-პჟან* „იგი<არაგონ> იფშენებოდა“ (მასდარი ა მპჟრა), *-ე ნგ-სყაბ* „ერთმანეთზე დავარტყამ მათ“ (ა ნყარა), *-ე წე-გუ ტ* „მან<გონ> იგი<არაგონ> გამოტენა“ (ა წაგარა). ამგვარი პრევერბების იდენტიფიკაცია შედარებით ადვილია. ზოგ მათგანში ურთიერთმიმართების სემანტიკა აღარ იგრძნობა, მაგალითად: *-ე ხა-შ'ტე ტ* „იგი <არაგონ> დულდება“ (მასდარი ა ხაშ'რა), *დ-ე ქ-ხო ტ* „იგი<გონ> „გადარჩა“ (ა ქხარა).

ლექსიკალიზაციას შეიძლება განიცდიდეს /ა -/ მორფისა და ბენეფაქტივის ან მალეფაქტივის კომბინაციაც, რომელიც ასეთ შემთხვევებში გაიგება როგორც პრევერბი. მაგალითად, ერთპირიანი აცარა „წასვლა“ ზმნის ძირისა და /ა -ზ-/ პრეფიქსის შეერთებისას ხდება იგივე ცვლილებები, რაც ამავე ძირზე ლოკატიური პრევერბების, ე.ი. ლექსიკური ერთეულების დართვისას — ორივე შემთხვევაში მიიღება გარდაუვალი ფუძეები: ა ზ-ცარა „ერთ ადგილას მორეკვა“, ალაცარა „შერეკვა“, აქცარა „ჩამორეკვა“ და მისთ. ცხადია, ა ზ-ცარა ზმნისათვის ამოსავლად ვერ ჩავთვლით ბენეფაქტივის მაჩვენებლიან გარდაუვალ ზმნას ა-ზ-ცარა „-თვის/-თან წასვლა“. ამ მხრივ ნიშანდობლივია /ნა-/ პირის ნიშნის შემცველი ფორმა *-ე ზ-ნა-ცე ტ* „მან <არაგონ> ერთგან მორეკა [საქონელი]“: ეს პირის ნიშანი გვხვდება მხოლოდ რთული ლექსიკური ფუძის მქონე და / ან სამპირიან ზმნებში (გრამატიკა, 96). შდრ., აგრეთვე ავარა „წაღება“, ა ზგარა „-თვის/-თან წაღება“ და ა ზგარა „შეკრება“.

**ასოციაციის** დერივატივა, რომელიც დიაქრონიულად რეციპროკისა და კომიტატივის დერივატივებს უკავშირდება (ლომთათიძე, 1960, 279), მიუთითებს იმაზე, რომ ზმნის ერთ-ერთი აქტანტი ერთობლიობის სახითაა წარმოდგენილი, მაგალითად: *-ე ც-იბე ტ* „მან<მამრ> ისინი ერთად დაინახა“. ასოციაციის მაჩვენებლებიდან მომდინარე /ა ც-/ პრეფიქსი აღიქმება პირველადი ფუძის ნაწილად ზმნაში *-ე ც-იხიტ* „მან<მამრ> იგი<არაგონ> გამოაკლო“ (მასდარი

ა ცხარა), რასაც მოწმობს მოცემული პრეფიქსის გამოყენება ბმულ ძირთან. ამავე საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კომიტატივის {ც-} ლექსიკალიზებულია აცხარა ზმნაში: *-ა-ც-იხიტ* „მან<მამრ> მას<არაგონ> იგი<არაგონ> გამოაკლო“.

რეციპროკთან დიაქრონიულად აკავშირებენ **რეფაქტივსაც** — დერივატივს, რომელიც გამოხატავს განმეორებით მოქმედებას (ლომთათიძე, 1960, 278). მისი მაჩვენებელი ფორმით ემთხვევა {ა -} კომპონენტიან რთულ პრევერბს, რომლის მეორე შემადგენელია მარტივი პრევერბი {თა-} („შეგნით“, „შემოსაზღვრულ სივრცეში“). მაგალითად, ზმნაში ა თანე აა რა „ერთმანეთში მიმოსვლა“ წარმოდგენილია რთული {ა -თა-} პრევერბი — შდრ. ა თაცარა „კვლავ წასვლა“, ა თალაგარა „კვლავ დაწყება“, ა თაშთრა „კვლავ გაგზავნა“. რეფაქტივი არ იწვევს ზმნის აქტანტური სტრუქტურის გარდაქმნას, ამიტომ მისი ლექსიკალიზაციის შემთხვევათა დადგენისას ხშირად გვიწევს შემოვიფარგლოთ წმინდა სემანტიკური კრიტერიუმით. ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ {ა თა-}ს შემცველ ლექსემათა ერთი ჯგუფი გამოხატავს ადგილის შეცვლას, და ზოგ შემთხვევაში ამავე ვოკაბულის ლექსემით აღინიშნება რეფაქტივის მნიშვნელობაც, მაგალითად: ა თაფარა „განზე გახტომა“, ა თაწრა „გადაადგილება“, „გადასახლება“; ა თაგარა „გადატანა / გადაყვანა“ > „გადარგვა“, „გადათარგმნა“; „კვლავ წაღება / წაყვანა“; ა თაკრა „გადაღება [სხვა ჭურჭელში]“; „კვლავ დაჭერა“. როგორც ცნობილია, ხსენებული მნიშვნელობები ერთმანეთს უკავშირდება სხვა ენებშიც (შდრ. ლათ. **re-**: **re-ficio** „კვლავ კეთება“, **re-scindo** „კვლავ გახლეჩა“; **re-lēgo** „გადაგზავნა“, „სხვაგან გადატანა“, **re-moveo** „განზე გაწევა“, „გადაწევა“; რუს. **пере-**: **передвинуть** „გადაწევა“ **переиздать** „ხელმეორედ გამოცემა“ და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი მნიშვნელობის დაკავშირება ძნელი არ არის, ისინი ერთ დერივატივად, ცხადია, არ გაერთიანდება.

გრამემები ძალიან იშვიათად ერწყმიან ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას. შეიძლება შეგვხვდეს უარყოფის ლექსიკალიზაციის ცალკეული შემთხვევები, რომელთა ამოცნობაში გვეხმარება მასდარი. ერთ-ერთი ასეთი იშვიათი მაგალითია ა ზგ<sup>ა</sup>მთარა: *დრგ-ზ-გ<sup>ა</sup>-მ-თე ტ* „ვერ შენიშნეს იგი <გონ>“ (უარყოფის მარკერია {მ}). აღსანიშნავია, რომ ამ ზმნაში ლექსიკალიზებულია პოტენციალისიცი (მისი მარკერია {ზ-}), რომელიც გარდამავალ ზმნაში იწვევს ე.წ. ინვერსიას; შდრ.:

დგარით ტ „შენიშნეს იგიგონ“ (ავთარა). უარყოფის ლექსიკალიზაცია საკმაოდ ხშირია სუბსტანტივირებულ მასდარში: ახნეკვლარა „თავშეუკავებლობა“, შდრ. ახნეკვლარა „თავის შეკავება“ / „თავშეკავება“, შდრ. აცარა „დაძინება“ და სხვ.

ლიტერატურა

**გრამატიკა, 1968** — Грамматика абхазского языка. Фонетика и морфология. Сухуми, 1968.

**ლომთათიძე, 1945** — ქ. ლომთათიძე, სმამ, ტ. VI, №1, 1945.

**ლომთათიძე, 1947** — ქ. ლომთათიძე, „თსუ შრომები“, XXX/18, 1947.

**ლომთათიძე, 1955** — ქ. ლომთათიძე, სმამ, ტ. XVI, №3, 1955.

**ლომთათიძე, 1960** — ქ. ლომთათიძე, იკე, ტ. XII, 1960.

**შადური, 2004** — ი. შადური, „ენათმეცნიერების საკითხები“, 2004.

**ჯანაშია, 1954** — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954.

INGA SHADURI

### Lexicalization of the Derivational Meanings of the Abkhazian Verb and Criteria for their Interpretation

#### Summary

The paper deals with the instances of lexicalization of the regular derivational meanings of the Abkhazian verb \_ (applicative, reflexive, associative, refactive, causative, uncontrollableness, reciprocity). In contrast the potentiality is not lexicalised, hence the question of its being a derivateme is debatable.

The expression of the above-mentioned derivatemes in the masdar as well as their deviation from the formal and semantic norms should serve as a proof of lexicalization.

### მხედველობითი აღქმის ძირეული ზმნები და რაციონალური თანამედროვე თურქულ ენაში

თურქულ ენაში ზმნების სხვადასხვა ფორმალური ჯგუფების არსებობა დიდი ხანია შემჩნეულია, თუმცა ამ საკითხს მკვლევარები, როგორც ჩანს, სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. (ნ. ჯანაშია 1973, 1981, 1987, 1999).

ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ამ საკითხს სპეციალურად ექცევა ყურადღება და მათი სიმრავლეც, ალბათ, ამით არის გამოწვეული. ამ ნაშრომებში თურქული ზმნის ფორმალური ჯგუფების კლასიფიკაციის საკითხები განხილულია სხვადასხვა ავტორის (ფრანგი, გერმანელი, უნგრელი, ბულგარელი, რუსი) გამონათქვამთა ურთიერთმიმართების ფონზე.

ამ ავტორების თვალსაზრისის ანალიზის საფუძველზე და ამ შეხედულებების განზოგადების შედეგად, საკითხისადმი სისტემური მიდგომის გზით მოცემულია თურქულ ენაში ამჟამად არსებული ზმნების ფორმალური ჯგუფების, როგორც ერთიანი სისტემის წევრების, ურთიერთმიმართების მწყობრი სურათი. ამ კლასიფიკაციაში თურქული ზმნის ყოველ ცალკე აღებულ, ფორმალურ ჯგუფს სხვა ჯგუფებთან მიმართებაში მიკუთვნებული აქვს თავისი მყარი ადგილი.

საქმე იმაშია, რომ ყველაფერი ეს განთავსებულია ერთ ცხრილში და თანამედროვე ლიტერატურულ თურქულ ენაში არსებული ზმნების ყველა ფორმალურ ტიპს მოიცავს.

ასეთი სისტემური ცხრილის შემუშავებამ აშკარა გახადა ყოველი ცალკეული ჯგუფის არა მარტო მკაცრი ადგილი სათანადო სისტემაში, არამედ მკვლევარს დაანახა ახალი პერსპექტივა მათი შემდგომი შესწავლის გასაღრმავებლად. სწორედ აქ გამოჩნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცნობილი ფაქტების სწორ დალაგებას, ერთიან სისტემაში მოქცევას ეს იძლევა, როგორც აღნიშნულია, სისტემის შიგნით ენობრივი ფაქტების ერთიერთმიმართების ღრმად და ახლ-

ბურად გააზრების, ახალი ინტერპრეტაციის გამომუშავების შანსს, საშუალებას იძლევა აიხსნას ადრე აუხსნელი მოვლენები და წინასწარი ვარაუდიც კი გამოითქვას (ნ. ჯანაშია, 2003).

1. პირველ ასეთ პრობლემას წარმოადგენს სემანტიკური ველის ერთობლიობის საფუძველზე ზმნების გამოვლენა (ცალქამანიძე, 1987; ჯანაშია, 2000 და სხვ.).

2. სემანტიკური ველის საფუძველზე გაერთიანებული ძირეული ზმნების შესწავლა (JI Θ C, 1990), პარამონიული პარალელიზმების (ჩერკასკი, 1965) სახელით ცნობილი დიდი რაოდენობის ზმნების სრული ნუსხის გამოვლენა და მათი სემანტიკურ-გრამატიკული ურთიერთმიმართების ანალიზი.

3. პირველადი და მეორადი ზმნები ერთმანეთის მიმართ, დიათეზურ (ლელ, 1990, ხოლოდოვიჩი, 1978) ურთიერთობაში იმყოფებიან. დიათეზა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ზმნის სინტაქსური პოტენციალის მოდელი, რომელსაც სემანტიკის ფარგლებში ვალენტობისა და აქტანტების ურთიერთმიმართება უდევს საფუძვლად.

ამ ფონზე საჭირო გახდა ე.წ. ძირეული ზმნების სრული ნუსხის დადგენა (და არა მარტო თურქულ ენაში), რაც აქამდე არ იყო გაკეთებული, შემდეგ კი ურთიერთმიმართების გარკვევა ძირეულ ზმნასა და მისგან ნაწარმოები ნებისმიერი დიათეზის, კერძოდ კი რეციპროკის წარმოებას შორის.

ასეთ შემთხვევაში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ძირეული ზმნების სემანტიკას, მის აქტანტურ და ვალენტურ შემადგენლობას და ამავე დროს რეციპროკის მაწარმოებლის სემანტიკას, რომელზეც არის დამოკიდებული ყოველი კონკრეტული ზმნისა და რეციპროკის მაწარმოებლის სემანტიკური შეთავსებადობის საკითხი.

ამგვარი სამუშაოს ჩატარებამ გაარკვია, რომ ზოგი ძირეული ზმნა მიუხედავად იმისა, რომ ერთ ფონეტიკურ სამოსელშია გახვეული, კონტექსტის შესაბამისად შეიწყობს ერთ, ორ ან სამ აქტანტს, პოლისემანტიკურია და საჭიროებს იმის დაზუსტებას თუ რომელია ამ სამი ვარიანტიდან, ჩვენს კერძო შემთხვევაში, რეციპროკის წარმოების საშუალება:

**1. Cevriye'nin kalbi h?zla vuruyordu.** ჯვრიეს გული სწრაფად უცემდა. (4.102)

**2. Beyaz torbas?-n? omuzu-na vur-du.** თეთრი ტომარა ზურგზე მოიგდო. (3.87)

**3. Babas?-n? jandarmalar vurdular.** მამამისი ყანდარმებმა მოკლეს (4.128)

როგორც დავინახეთ, ერთიდაიგივე **vur-mak** ზმნა აქ სამ სხვადასხვანაირ დიათეზას ქმნის: 1. ერთაქტანტიან და ერთვალენტუიან დიათეზას; **kalb? vuru-yordu.** გული უცემდა; 2. **torbas?-n? omuzu-na vur-du.** ტომარა ზურგზე მოიგდო და 3. **Babas?-n? jandarmalar vurdular.** მამამისი ყანდარმებმა მოკლეს.

ამ მაგალითებიდან ირკვევა, რომ რეციპროკის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია **vur-mak** ზმნის მესამე ვარიანტს **-n? N vurdular,** სადაც **-n?** პირდაპირი ობიექტი და პირდაპირი დამატებაა, **N** სუბიექტია სახელობით ბრუნვაში და **vur-** ზმნა, რომელიც მოკვლას ნიშნავს, რადგან **jandarmalar** არის ის ცოცხალი, სულიერი საგანი, ანუ აქტიური პარტიციპანტი, რომელიც მოითხოვს მეორე ასევე აქტიურ პარტიციპანტს ანუ სემანტიკური აქტანტის არსებობას, ეს ის აქტანტია, რომელიც შეძლებს იმავე მოქმედების საპასუხო განმეორებას.

ასეთი მიმართების წარმოჩენამ, კიდევ ერთხელ მოითხოვა, ძირეულ ზმნათა სრული ნუსხის გამოვლენა და მათი ურთიერთმიმართებისა და რეციპროკის მათთან დამოკიდებულების გაანალიზება.

ყოველივე იმან, რაც ზემოთ ითქვა, განაპირობა შრომის აგებულების ხასიათიც.

წინამდებარე სტატია დიდი თემის ერთი პატარა ნაწილია. რომელშიც უნდა გამოჩნდეს ძირეული ზმნებისა და რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსის კონტაქტის ყველა მხარე, თუ ლექსიკური, თუ გრამატიკული.

ასეთი შესავალი, რასაკვირველია, გასაგებს ხდის წინამდებარე სტატიის კონკრეტულ მიზანს — მხედველობითი აღქმის (მაზ) ორი ძირეული ზმნიდან რეციპროკის წარმოების შესაძლებლობას, მხედველობითი აღქმის ზმნების და რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსის სემანტიკური შეთავსებადობის შესაძლებლობას და მათი კონტაქტით მიღებულ შედეგებს.

იმისათვის, რომ ძირეული ზმნიდან ვაწარმოოთ რეციპროკი (საურთიერთო მოქმედება), ახალი ზმნა (მეორედი ზმნა), საკმარისი არ არის გვეჩვენებს უბრალოდ ზმნა და რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსი.

რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსი, როგორც იტყვიან, რეციპ-

როკის მაწარმოებელი სუფიქსია და მას სხვა რამ არ შეუძლია, მაგრამ მასთან კონტაქტის დროს საჭიროა არა ნებისმიერი ზმნა, არამედ სრულიად გარკვეული დიათეზის მქონე ზმნა.

ეს ზმნა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას:

1) იყოს გარდამავალი (ორაქტანტიანი, ორვალენტიანი)

2) ორივე აქტანტი სულიერი საგანი უნდა იყოს, ანუ აქტიური პარტიციპანტი, რომ რეციპროკის მაწარმოებელთან კონტაქტის შემთხვევაში სუბიექტმაც და ობიექტმაც ერთმანეთის მიმართ ერთი და იგივე მოქმედება შეასრულოს.

სხვა შემთხვევაში, თუ ზმნა არ აკმაყოფილებს ზემოხაზოვლილ მოთხოვნებს, მაშინ რეციპროკი, ანუ საურთიერთო მოქმედება არ შედგება.

მხედველობითი აღქმის ზმნებიდან, რომლებიც დღეს თურქულში გვაქვს, ძირეული მხოლოდ ორია (**Bak-mak; Gör-mek**) დანარჩენები არის **“Göz” –Tvali** სიტყვისგან ნაწარმოები ნასახლარი ზმნები, ან ამავე **“Göz”** სიტყვის მონაწილეობით ნაწარმოები რთული ზმნები.

თვით იმ ორი ძირეული ზმნიდან **Gör-mek** ზმნა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ნაწარმოები უნდა იყოს იმავე **“Göz”** სიტყვისგან აბლაუტის საშუალებით. (ბასკაკოვი, 1979; ახვლედიანი, 1999).

მეორე მხრივ, მართალია **Gör-mek** და **Bak-mak** ზმნები ორივე მხედველობითი აღქმის ზმნებია, მაგრამ მათ შორის ერთი შესამჩნევი სხვაობაც არის როგორც გრამატიკულად, ისე სამანტიკურად.

გრამატიკული თვალსაზრისით ის განსხვავებაა, რომ ორივე ზმნა ორვალენტიანია, მაგრამ **Bak-mak** ზმნა შეიწყობს (სახელობით ბრუნვაში მყოფ სუბიექტს და მიცემით ბრუნვაში მყოფ ობიექტს) ორ აქტანტს, თუმცა არა აქვს ფიქსირებული გარდამავლობა (ჯანაშია, 1981). ე. ი. კონტექსტის შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, იგი ერთ შემთხვევაში გარდამავალი მნიშვნელობით იხმარება, მეორეში გარდაუვალი მნიშვნელობით, სემანტიკურად ეს ზმნა პოლისემანტიკურია, ნიშნავს: 1. ცქერას (გარდაუვალი)

2. მოვლა-პატრონობას (გარდამავალი)

რაც შეეხება **Gör-mek** ზმნას ისიც ორაქტანტიანი და ორვალენტიანია, შეიწყობს ნომინატივს და აკუზატივს, მაგრამ იგი, როგორც ცნობილია, ფიქსირებული გარდამავლობის მქონე ზმნათა რიცხვს განეკუთვნება. სემანტიკურად ეს ზმნა **ხედვას** ნიშნავს, **Bak-mak**

ზმნისგან განსხვავებით, უფრო ღრმა აღქმას. ეს იძლევა იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ მხედველობითი აღქმის სიღრმე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ამ ორ ზმნას სხვადასხვანაირი აქვს: ერთი ზერელე (**Bak-ცქერა**), მეორე ღრმა (**Gör-ხედვა**).

განვიხილოთ ეს ზმნები ცალ-ცალკე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ **Bak-mak** ზმნა გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით ნეიტრალური და პოლისემანტიკურია მაგ:

**1. Aç?k pencereden gökyüzüne bak?yordu.**

ღია ფანჯრიდან ცას გასცქეროდა.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში კი იგი გარდამავალია და შინაარსობრივად მოვლა-პატრონობას გამოხატავს:

**2. Kad?nlar iş dönüşü çocuk bak?yorlar, yemek haz?rl?yordu.**

ქალები სამსახურიდან დაბრუნებისას ბავშვებს უვლიდნენ, საჭმელს ამზადებდნენ.

**Bak-mak** ზმნას უფრო დაწვრილებით ბაკ-მაკ ზმნის ჰარმონიულ ბუდეში (**C.V.C.**) შევხვდებით.

**Bak-mak** ზმნის პოლისემანტიკურობის გამო რეციპროკი იწარმოება მისი პირველი მნიშვნელობისგან (ცქერა), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დებულებას, რომ რეციპროკის მისაღებად საკმარისი არაა გვექონდეს უბრალოდ ზმნა და რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსი. საჭიროა ორივე აქტანტი ისეთი იყოს, რომელსაც შეეძლება იმავე მოქმედების განმეორება სუბიექტის მიმართ.

1) **Göz göze bak-?ş-ma-dan ayr?ld?lar.**

ისე დაშორდნენ, რომ ერთმანეთისათვის თვალებში არ შეუხედავთ.

2) **AAnnem ve babam birbirine bak?şt?lar.**

დედაჩემმა და მამაჩემმა ერთმანეთს გადახედეს (8,118).

ზემომოყვანილ პირველ მაგალითში რეციპროკი გამოხატულია მხოლოდ მორფოლოგიური საშუალებით, მეორეში კი როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საშუალებით.

**Gör-mek** ზმნაზე რეციპროკის მაწარმოებელი სუფიქსის დართვისას ვიღებთ შემდეგ მნიშვნელობებს:

1. შეხვედრას: **Bir hafta sonra gör-üş-ürüz.** ერთი კვირის შემდეგ შევხვდებით. (გლ.146)

2. საუბარს: **Dün telefonda gör-üş-müş-tük, de.....**

გუშინ ტელეფონით ვისაუბრეთ, აკი (16,57)



ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მხედველობითი აღქმის ზმნებზე რეციპროკის სუფიქსის დართვით გამოიხატება:

1. იმავე ზმნის რეციპროკი
2. ახალი მნიშვნელობა-შეხვედრა-მოლაპარაკება.

ლიტერატურა

**ახვლედიანი, 1999** — გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, ისტორიული ანუ ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა. აბლაუტი. თბილისი, 1999

**ბასკაკოვი, 1979** — Н. А. Баскаков, Русские фамилия тюркского происхождения. Изд. “Наука”, М., 1979

**ჯანაშია, 1973** — Н. Н. Джанашиа, О формальных группах турецкого глагола. Восточная филология 3 Изд. “Мецниереба” Тб., 1973

**ჯანაშია, 1981** — Н. Н. Джанашиа, Морфология турецкого глагола. Издательство Тб. Университета.

**ჯანაშია, 2000** — Семантика и грамматика выражения “Бытийности” и “Обладаемости” в турецком языке. Изд “эгриси”, Т.Б. 2000.

**ლეღ, 1990** — Лингвистический энциклопедический словарь, Поле, “Советская Энциклопедия”, М., 1990.

**ჩერკასკი, 1965** — М. А. Черкасский, Тюркский вокализм и сингармонизм. Изд. “Наука” главная редакция восточной литературы. М., 1965.

**ცალქამანიძე, 1987** — А. А. Цалкаламанидзе, Семантико-синтаксические группы глаголов в узбекском языке. “Мецниереба”, Т.Б., 1987.

**ჯანაშია, 1998** — ნ. ჯანაშია, ზმნა თანამედროვე თურქულ ენაში. თსუ გამომცემლობა, თბ., 1998.

**ჯანაშია, 2003** — ნ. ჯანაშია, სუბიექტური პირის ნიშნები თურქულ ენაში. აღმოსავლეთი და კავკასია. თსუ თბ., 2003

**ხოლოდოვიჩი, 1978** — А. А. Холодович, Теоретические проблемы реципрока в современном японском языке. Проблемы теории грамматического залога, “Наука”, Л., 1978.

ELIZABETH BJKHALAVA

## The Verbs of Visual Perception and Reciprocity in Current Turkish

### Summary

The paper deals with the semantic peculiarities of the initial verbs of visual perception bak-mak/gör-mak.

The verbs in question are polysemantic. The paper explains how the general semantics and valency of the verbs in question may condition the development of reciprocity.

## ნათია ზვიადაძე

ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლინება  
კ. ლ. პაიკის თეორიაში

ყოველგვარი კვლევა საერთო არსის წვდომისაკენ არის მიმართული, რადგან ყოველი არსება ცდილობს გაერკვეს საკუთარ არსში: „არსება უკვე არს თავით თვისით მყოფი (+ ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი); ხოლო შემთხვევითი არსებისა შინა ხილული, ვერ შემძლებელი თავსა შორის (შინა) თვისსა ყოფისა, არამედ სხვისა შორს მქონებელი ყოფისა( )“ (ორბელიანი, 1991, ტ. I: 537). კაცობრიობა, მიუხედავად მრავალი უღირსი საქციელისა, დღიდან გაჩენისა ქვეცნობიერად მიისწრაფვის იყოს „თავით თვისით მყოფი“, რადგან უფალმა შეგვქმნა ჩვენ არსებებად: „სხეულად, მგრძობელად, ცხოველად, სიტყვიერად და მოკუდავად“ (ორბელიანი, 1991, ტ. I: 563). ასევე, ყოველ მოვლენას გააჩნია საკუთარი შინაარსი ე.ი. ის, რაც მასშია ჩადებული. თუკი არსებულ საკითხს ენათმეცნიერული კუთხით მივუდგებით, არსი და მოვლენა იმ ოპოზიციურ წყვილს წარმოადგენს, რომლის ლოგიკური გამოვლენა ენა და მეტყველებაა. რადგან ადამიანი ენობრივი არსებაა, ენობრივი პრობლემებით დაინტერესება ყველა დროში აქტუალურია. ამ კუთხით ხშირად საინტერესო აღმოჩენის მოწმენიც ვხდებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ამერიკელი ენათმეცნიერის კ. ლ. პაიკის მრავალმხრივი მოღვაწეობა და კერძოდ, ენობრივი სისტემის შინა და გარეგანი ხედვის მისეული პრინციპი, რამაც კიდევ უფრო მეტად განსაზღვრა მისი როლი XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაში.

ადამიანი, როგორც ენობრივი არსება ცხოვრობს არსის, მოვლენათა სამყაროში. სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარად აღიქვამს ერთსა და იმავე მოვლენას, რაც სავსებით აიხსნება კულტურათაშორისი განსხვავებების არსებობით. სწორედ ამიტომ ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის არსის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია, თანმიმდევ-

რულად განვიხილოთ ის, დაახლოებით სინონიმური დებულებები, რომლებიც არსისა და მოვლენის ოპოზიციური წყვილის ლოგიკური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს. სწორედ, ასეთი ორმხრივი განზომილებიდან კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ ჩავწვდეთ ენის რთულ ფენომენს.

ენისა და მეტყველების სოსიურისეული დაპირისპირების ერთგვარი ინტერპრეტაციაა ჰოკეტის განმარტება, რომლის მიხედვით არის ენა (*langue*), სტრუქტურა — (*parole*). მოდელი არის კულტურა, სტრუქტურა — კულტურის ქცევითი მანიფესტაციაა (ჰოკეტი, 180). თუმცა, ჰოკეტთან ენისა და მეტყველების დაპირისპირება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კვლევის ობიექტი როდია. მისთვის ენათმეცნიერების ობიექტი ერთ მთლიანს წარმოადგენს. ამავე შეხედულებას იზიარებს კ. ლ. პაიკი. იგი უარყოფს მენტალური და ფიზიკური ქცევის გამიჯვნას და გვთავაზობს იდეალურ ვარიანტს, რომელიც ორივე მხარეს გულისხმობს.

პაიკი განიხილავს ენას, როგორც ქცევას ორი სხვადასხვა თვალსაზრისით. სისტემის შიგა და გარეგნულმა ხედვამ, მისმა ორმხრივმა კვლევამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. პაიკი გვთავაზობს ხელსაყრელ ტერმინებს: *emics* და *etics*. (ხშირად ფონოლოგიის სინონიმად დესკრიპტივისტები იყენებენ ფონემიკას, საიდანაც წარმოდგება ტერმინი *emics* (შარაძენიძე, 208). რა თქმა უნდა, ეს ტერმინები უფრო ზოგადი გამოყენებისაა და მხოლოდ ფონოლოგიასა (ფონემიკასა) და ფონეტიკასთან კავშირში არ გვხვდება. თავის მხრივ, ფონოლოგია — ენის, ხოლო ფონეტიკა — მეტყველების სინონიმურ წყვილად განიხილება. ვიღებთ თანმიმდევრულ ხაზს, ერთი მხრივ: არსი — ენა — ფონოლოგია — *emics*; ხოლო მეორე მხრივ — მოვლენა, მეტყველება — ფონეტიკა — *etics*.

ადამიანი, როგორც ენობრივი არსება ცხოვრობს როგორც: 1) ზოგადი ენით აგებულ სამყაროში, ასევე 2) კონკრეტული ენით აგებულ სამყაროში. პაიკის მიხედვით ენობრივი ელემენტები *etic* ერთეულებია, ხოლო მათი კატეგორიზაციის შედეგი — *emic* ერთეულები. შესაბამისად *etic* მიდგომა ეხება ყველა კულტურას ან მათ შერჩეულ ჯგუფს ერთდროულად. *emic* მიდგომა კულტურულად სპეციფიკურია და მხოლოდ კონკრეტულად ერთ ენას ან კულტურას მოიცავს. ე.ი. კულტურათაშორის ოპოზიციასთან გვაქვს საქმე. *etic* და *emic* შეხედულებებით განზოგადებული ენის თეორია შესაძლოა ეხებოდეს ფი-

ლოსოფიურ პრობლემებს. ჩნდება კითხვები: როგორ გავლენას ახდენს ენობრივი ემიკური სისტემა ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობაზე? რეალობის რომელი მახასიათებლები განსაზღვრავს ადამიანის ემიკური სისტემის აღქმით და ლინგვისტურ საზღვრებს? „სტერეოსკოპული თვალსაზრისით მიდგომა ნათელს ხდის, თუ რატომ უძნელდებათ სხვადასხვა კულტურის ადამიანებს ერთმანეთის გაგება. ისინი აღიქვამენ ხალხს, ჩვეულებებს, მოვლენებსა და პრობლემებს მხოლოდ მათი ემიკური სტრუქტურის მიხედვით. რაც უნდა იყოს ამ გაურკვევლობის მიზეზი — გამოცდილების ნაკლებობა, სხვათა მიმართ ნაკლები ინტერესის ქონა, თუ თუნდაც რაღაც „ეგოისტური“ გამოვლინება, მას მიეყვარება გაუგებრობამდე, კულტურულ კონფლიქტამდე ან გნებავთ, კულტურაზე სერიოზული ზიანის მიყენებამდეც კი, რაც განპირობებულია არა განზრახ ქმედებით, არამედ სიყვარულის იმ ელემენტების ნაკლებობით, რაც შეგვაძლებინებდა ნელა და მოთმინებით დაგვეყარებინა ურთიერთობა სხვებთან“ (პაიკი, 37). არ შევზღუდულიყავით მხოლოდ ეთნიკური ხედვით, თუმცა ეს როდი გულისხმობს ეთნიკურ აღრევას ან რაიმე კულტურული ქაოსის შექმნას.

ერთი ეროვნების ხალხი (სოც. კლასი, საზოგადოება, ჯგუფი და ა.შ.) მეორეს (სხვას) შესაძლოა გაუგებრად მოეჩვენოს მხოლოდ იმიტომ, რომ დამკვირვებელი დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ უცხო თვალთახედვით აღიქვამს მოქმედებას. თითოეული პიროვნება შეესაბამება ცალკეულ ქვეკულტურას თავისი სტრუქტურით, რაც სავსებით კანონზომიერია.

სეპირის მიხედვით, ყოველ ადამიანურ ქმედებას გააჩნია ვარიანტების გარკვეული რიგი. არც ერთი სხვა ვარიანტი არ იქნება აღქმული, გარდა ვარიანტების იმ სერიისა, რომელიც შეესაბამება ნორმასა და ტიპს (სეპირი, 1925, 34).

მორალური პასუხისმგებლობაც ნაწილობრივ ენათესავება გარკვეულ მორალურ კოდს, რომელიც ჩადებულია მოცემულ კულტურაში, თუმცა ერთი ეთნიკური ჯგუფის კოდი მკვეთრად განსხვავდება მეორე ეთნიკური ჯგუფის მორალური კოდისაგან. უნივერსალური კოდის არსებობა, რომლის ფარგლებში ყველა კულტურის კოდი შედის, პაიკის მიხედვით გენეტიკურია.

ჰუმბოლდტის თეორიით, კულტურას ენობრივი ფესვები გააჩნია. „ენა არ არის ქმედების პროდუქტი (Ergon), იგი თვით ქმედებას წარმოადგენს (Energia). აქედან გამომდინარე, მისი ნამდვილი გან-

საზღვრა მხოლოდ გენეტიკური შეიძლება იყოს... ჩვენ სამართლიანად წარმოვიდგინებთ ენას კიდევ უფრო დიდ ფენომენად, ვიდრე უბრალოდ ადამიანური პროდუქტია. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს სულიერი მხარეც, რადგან კაცობრიობის ენათა სტრუქტურების განსხვავება გამოწვეულია ერების სულიერი თვითმყოფადობით“ (ჰუმბოლდტი, 70). არსებული უამრავი ვერბალური ქცევიდან ენები არჩევენ ვერბალური ქცევის იმ ფორმას, რომელიც უკეთ ერგება მათი ენის ემიკურ სტრუქტურას. პაიკის მიხედვით, ვერბალური და არავერბალური ქმედების ერთობლივი შესწავლით წარვმართავთ ენის კვლევას სწორი მიმართულებით. ჰუმბოლდტანაც „ერის გონის“ შესაცნობად ამოსავალი ენაა. ზოგადი ვარიანტებიდან ადამიანი ირჩევს მისი კონკრეტული ენის ვარიანტებს. ე.ი. ენაში არსებული მოდელები არის etics და რასაც ვიყენებთ emics. ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის შედარებაც კარგად ასახავს თუ რომელ ემიკურ ვარიანტს ირჩევს თითოეული იმ ეტიკური მოდელებიდან, რომლებიც გააჩნია ინგლისურ ენას:

BE	AE
1) autumn	fall
2) sweet shop	candy store
3) over the road	across the street
4) tinned (preserved in a tin/can as food)	canned
5) close shave (narrow escape; an incident almost fatal)	close call
6) bobby (a policeman)	cop (colloq)
7) flat (producing no electric current)	dead
8) public school (a school usually private, preparing pupils primarily for colleges and universities)	preparatory school
9) passage-way (corridor)	aisle
10) cot (a baby's or small child's bed with enclosed sides)	crib
11) at present	presently (adv. of time)

12) directly

immediately after

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ორივე ვარიანტი გამოიყენება ბრიტანულ თუ ამერიკულ ინგლისურში, თუმცა ასეთი სახის კლასიფიკაცია იმ ვარიანტებს წარმოგვიდგენს, რომლებიც უფრო მშობლიურია თითოეული კულტურის ხალხისათვის.

ზოგადად, ეტიკური ანალიზი გარეგანი და უცხოა მოცემული სისტემისთვის, ემიკური აღწერა კი თავად სისტემაში არჩეული კრიტერიუმით მის შინაგან სახეს გამოხატავს. ეტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ანალიზის ადრეულ ეტაპზე ნაწილობრივი ინფორმაციით. მათი საშუალებით კავშირს ვამყარებთ სისტემასთან — ანალიზის საწყისი ეტაპი. საბოლოო ანალიზი ან პრეზენტაცია ემიკურ ერთეულებშია მოცემული. საწყისი etic-ური აღწერილობის გადამუშავების შედეგად, თავის მხრივ, emic-ური ერთეული არის ფიზიკური ფორმისა და სოციალური მნიშვნელობის სინთეზი, ანუ ვერბალურ და არავერბალურ ქცევათა ჯამი. დამკვირვებელი, შესაბამისად ჩართულია გარემოს კონტრასტულ კატეგორიზაციაში ორი ემიკურად კონტრასტული ერთეულის ფიზიკური იზომორფიზმის შემთხვევაშიც.

მაგალითად: ორმა ადამიანმა შესაძლოა ვინმე მოკლას ავტომობილით. მაგრამ თუ ერთმა ეს უნებლიეთ ჩაიდინა, სოციალური კომპონენტი ამ ინციდენტის უბედურ შემთხვევად კატეგორიზაციას ახდენს, ხოლო თუ ეს განზრახ იყო ჩადენილი, მაშინ იგი მკვლელობად განიხილება. კატეგორიზაციის დროს გათვალისწინებულია მენტალური ჩარევა ფიზიკური ფაქტის ჩადენისას. ყოველივე ეს ემიკური კატეგორიზაციის ნაწილია. პაიკი უარყოფს კვლევისას ფიზიკური და მენტალური ქცევის გამიჯვნას და გვთავაზობს იდეალურ ვარიანტს, სადაც ეს ორი მხარე ერთმანეთს ნაწილობრივ მოიცავს.

**ფიზიკური მენტალური → გარეგანი ფორმის თანაარსებობა თავად ფორმა ქცევა მის შინაგან გამოხატულებასთან.**

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა რეაქცია იდენტურობისა თუ განსხვავების გაგებაზე ანალიზის მეთოდის რელევანტურია. პიროვნება, დამკვირვებელი ემიკურად უკავშირდება საგანს (ან მის შინაარსს) განსხვავებების, მსგავსებისა თუ შესაბამისობის აღქმის გზით.

**ანალოგია:** პარალელი შეიძლება გავავლოთ ჰომოფონემის წყვილებთან: seal (ბეჭდის დასმა) / seal (სელაპი); flat (ვაკე) / flat (ბინა); branch (ხის ტოტი) / branch (ფილიალი); ring (ბეჭედი) / ring (დარე-

კა); change (შეცვლა) / change (ხურდა), mean (გულისხმობა) / mean (ძუნწი); kind (კეთილი) / (სახეობა); strike (გაფიცვა) strike (დარტყმა). ან კიდევ წარმოთქმის მიხედვით მსგავსი, მაგრამ მართლწერითა და მნიშვნელობით განსხვავებული ჰომონემები: sun / son (მზე / ვაჟიშვილი); right / write — (მარჯვენა, უფლება / წერა); sea / see — (ზღვა / შეხედვა); know (ცოდნა); / no (არა) hour (საათი) / our (ჩვენი); wear / where — ჩაცმა, ტარება / სად); eye/I — (თვალი / მე); hear / here — (მოსმენა / აქ); two / too — (ორი / აგრეთვე).

მოცემულ შემთხვევაში გარეგანი, ვიზუალური ფორმა მსგავსია, სიტყვების მნიშვნელობები კი — განსხვავებული. იმ პასუხების გამო, რომელთაც ისინი მსმენელთაგან იღებენ, განსხვავებულია აგრეთვე ის ვერბალური ნაკადი, რომელშიც ისინი ერთვება.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კულტურათშორისი განსხვავებები. მაგ.: ბუზის მოკვლა ჩვენი კულტურის სისტემაში მყოფი ადამიანის მიერ შესაძლოა აღვიქვათ სისუფთავის აქტად, მაგრამ ჰინდუს მიმდევარის მიერ შესრულებულ იგივე აქტს რელიგიური მნიშვნელობა ენიჭება. მხედველობაშია მათი რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანთა სულიერი რეინკარნაცია შეიძლება მოხდეს ცხოველთა სხეულში.

ჩვენს კულტურაში არსებობს მრავალი სპეციფიკური პროცედურა, რომლებიც გვეხმარება ფიზიკური მსგავსებისა და ფონემიკური სხვაობების დადგენაში.

სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია etic-ურად განსხვავებული, მაგრამ emic-ურად მსგავსი შემთხვევების განხილვა\*

გარე დამკვირვებლისათვის აშკარა განსხვავებანი საგნებსა და შინაარს შორის მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის უგულებელყოფილია სპეციფიკური შესწავლის გარეშე. ემიკური გამოკვლევა შედარებით ადვილია, როცა ორი, გარკვეულწილად მსგავსი ელემენტი გვხვდება შესაბამისად მსგავს პოზიციაში ქცევის ტიპური მსვლელობისას, მაგრამ არსებობს ბევრი შემთხვევა, როცა ქცევის რელევანტური ერთეულები ამავე ქცევის კონტრასტულ პოზიციებზე გვხვდება.

მაგალითად: ბგერები p და t კონტრასტულია სიტყვების pie და tie ან კიდევ rig და tick პოზიციაში, მაგრამ ორი p ბგერა სიტყვაში paper ან preposition სხვადასხვა პოზიციას იჭერს და ერთი შეხედვით მსგავსია, სემანტიკური თვალსაზრისით განსხვავებას არ წარმოშობს. მეორეს მხრივ, თუ სიტყვა pie-ს ათასჯერ გავიმეორებთ, მანქანა თი-

**Humboldt's Sociolinguistic Inheritance in  
K. L. Pike's Theory**  
Summary

The paper deals with K. L. Pike's theory of language in relationship to Humboldt's sociolinguistic views. At is known, Pike distinguishes between emic and etic approaches to linguistic analysis. The paper focuses on the points where these approaches cross each other. It is argued that Pike's notions of emics and etics correspond to Humboldtian concepts of general and concrete in languages.

თოეული წარმოთქმის განსხვავებებს ჩაიწერს. ეს ეტიკური ვარიანტებია, რომელთაც არანაირი იმპლიკაცია არ ახლავს თან.

ანალოგია: ქადა არ არის კვერი. ჩვენს კულტურაში ეს ორი სიტყვა ემიკურად განსხვავებულია. მაგრამ ქადა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, თუმცა ის მაინც ქადა იქნება.

ორივე, **etic** და **emic** კვლევა დიდი ღირებულების მქონეა ქცევის ანალიზის გარკვეული ფაზებისთვის. ამ ორი მიდგომით კვლევისას წარმოიშობა ე.წ. „სამგანზომილებიანი ეფექტი“, „ბრტყელი“ **etic**-ური კვლევადან ადამიანის „სამგანზომილებიანი“ გაგებამდე.

აღნიშნული ერთეულების ღირებულების კიდევ უფრო ახლებურად დავინახავთ, თუ პაიკის თეორიას ჰუმბოლდტს დავუკავშირებთ. ჰუმბოლდტისეული „ზოგადი და შენი ენით აგებული სამყარო“ პაიკის **etic** და **emic** ერთეულებშია წარმოდგენილი. თუ ამ ლოგიკის ხაზს გავყვებით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პაიკი ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლენაა.

ლიტერატურა

**ზვიადაძე, 1981** — გ. დ. ზვიადაძე, თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი (ბრიტანულთან შეპირისპირებით, თბ., 1981.

**პაიკი, 1982** — Pike K. L. Linguistic Concept. An Introduction to Tagmemics. Lincoln. University of nebraska press, 1982.

**პაიკი, 1996** — Pike K. L. With Heart and Mind USA, 1996.

**ორბელიანი, 1991** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

**საპირი, 1925** — Sapir E. Selected writings, 1925.

**ფრანკლინი, 1996** — Franklin K. J. Geview of Emics and Etics. Summer Institute of Dallas, 1996.

**შარაძენიძე, 1972** — თ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972.

**ჰუმბოლდტი, 1984** — Гумбольдт В. Ф. Избранные Труды по языкознанию, М., 1984.

## ენო უზღავს

## მოდალობის რაობა

მოდალობის პრობლემა ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი კვლევისა და პოლემიკის საგანია. მოდალობის შესახებ მრავალი თეორია არსებობს. სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად უდგებიან მოდალობის ცნების განსაზღვრას.

ტერმინი „მოდალობა“ ნაწარმოებია ლათინური სიტყვისაგან, რომელიც გამონათქვამის ნამდვილობას ნიშნავს. მოდალობა ენათმეცნიერ ს. ლერხს ესმის როგორც მოუბარი სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილის აღქმასთან, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს წინადადებაში.

მოდალობა როგორც სუბიექტური კატეგორია, რომელიც გრამატიკული საშუალებებით გადმოგვცემს მოუბარის სულიერ განწყობილებას, ჯერ კიდევ არისტოტელესათვის იყო ცნობილი. იგი მოდალობას აღნიშნავდა სახელწოდებით „*Eyxeiis*“ რაც „გადახრას“ ნიშნავს, ვინმესადმი ან რაიმესადმი მიდრეკილებას, სიმპათიას, განწყობას, ანტიპათიას ან სიძულვილს.

ენათმეცნიერი მაიერი კი მოდალობის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი გვიჩვენებს რაიმეს არსებობას, ჩანაფიქრს. იგი წერს, რომ კანტის ფილოსოფიური ტერმინოლოგიის თანახმად, მოდალობა გამოხატავს დამოკიდებულებას სუბიექტისადმი. ეს დამოკიდებულება, მაიერის აზრით, შეიძლება სამი სახის იყოს: შესაძლებელი, ნამდვილი, აუცილებელი და შესაბამისად მსჯელობები იქნება პრობლემატური, ასე-ტორიული და აპოდექტიკური.

პრობლემატური მსჯელობა გულისხმობს ფაქტს, როგორც არსებულს. შესაძლებელია მისი აღიარება, მტკიცება ან უარყოფა.

ასეტორიული მსჯელობა განიხილავს მოვლენას? როგორც ნამდვილად არსებულს, ხოლო აპოდექტიკური აუცილებლად მიიჩნევს ან გარდაუვლად თვის ამ ფაქტის არსებობას.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის პირველ ნა-

ხევრამდე ენათმეცნიერებაში გაბატონებული იყო ლოგიკის პრინციპები, რაც მექანიკურად გადაიტანეს ენობრივ მოვლენებზე. ფორმალურ-ლოგიკური სკოლის წარმომადგენლები მოდალობას განიხილავდნენ როგორც ლოგიკურ კატეგორიას, ე. ი. როგორც მსჯელობაში სუბიექტთა და პრედიკატს შორის დამოკიდებულებას.

ამ მიმართულების მიმდევარი ზოგჯერ პირდაპირ ეყრდნობოდნენ კანტს, ზოგჯერ კი მხოლოდ მოიხსენიებდნენ მის მოსაზრებას. კანტისთვის მოდალობა მხოლოდ გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ხდება მსჯელობაში რაიმეს მტკიცება ან უარყოფა. მოდალობა კანტს ესმოდა, როგორც წმინდა სუბიექტური კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს „მთელ მსჯელობის დამოკიდებულებას შემეცნების უნარისადმი“. თვით მოდალობის ცნება, რომელიც გამოიყენება ლირიკულ მსჯელობაში, შემოდებულ იქნა კანტის მიერ.

გასულ საუკუნეში მოდალობის ლოგიკური გაგება დაჰყავდათ გრამატიკაში კილოს ცნებამდე. მსჯელობას აიგივებდნენ ზმნის გრამატიკულ ფუნქციასთან. მართალია, გრამატიკულ ფორმებით გამოხატული მოდალობა მჭიდროდა დაკავშირებული მოდალობის ლოგიკურ გაგებასთან, მაგრამ მისი ადეკვატური არ არის. ლოგიკაში მოდალობისაგან განსხვავებით, მოდალობას გრამატიკაში აქვს გამოხატვის სპეციფიკური გრამატიკულ-მორფოლოგიური ან სინტაქსური ფორმები. „მსჯელობის მოდალობა და წინადადების მოდალობა ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. ასე მაგ.: თუ მატარებელზე ვაგვიანდებათ და თქვენს თანამგზავრს დაუსვამთ კითხვას: ჩვენ, როგორც ჩანს, ვაგვიანებთ? მსჯელობის თვალსაზრისით ამ წინადადებას შეიძლება არც კი ჰქონდეს შეკითხვის ხასიათი, ხოლო გრამატიკული თვალსაზრისით იგი ყოველთვის იქნება კითხვითი წინადადება“. მსჯელობის მოდალობისაგან განსხვავებით, რომელსაც განიხილავს ლოგიკა, ენობრივ მოდალობას აქვს მნიშვნელობათა გამოხატვის უფრო ფართო ჰორიზონტი, მას შეესაბამება არა მარტო სინამდვილე, აუცილებლობა და შესაძლებლობა, არამედ გამოთქმული აზრის სხვადასხვა ნიუანსები, მიმართული ობიექტური სამყაროსადმი, მაგ.: სურვილი, გარდაუვალობა, თხოვნა, მისწრაფება, წაქეზება. ასევე მცდარ საფუძვლებს ემყარებიან ენათმეცნიერებაში ფსიქოლოგიისტური სკოლის წარმომადგენლები. ამ მიმართულების მიმდევრები ენობრივ მოვლენებს ფსიქოლოგიური პრინციპებით ხსნიან. ისინი გრამატიკულ კატეგორიებს განიხილავენ როგორ წმინდა ფსიქოლოგიურ ცნებებს, რომელ-

იც მათი აზრით, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგ.: ფსიქოლოგისტური სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ვ. ვუნდტი ვერ ხედავს ვერავითარ თვისობრივ განსხვავებას სინტაქსურ და მოდალურ დამოკიდებულებებს შორის და განსხვავებას სქესსა და ზმნური კილოს კატეგორიებს შორის ეძებს სუბიექტურ აღქმაში. ეს კატეგორიები მისთვის არსებობენ მხოლოდ წარმოდგენებში. მან ვერ შენიშნა, რომ სქესი და კილო ორი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა, ორი გრამატიკული კატეგორიაა, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრული გრამატიკული მოვლენის დროს. ვ. ვუნდტის მიხედვით კილოს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ობიექტურ სინამდვილესთან. მას, როგორც ფსიქოლოგ-ენათმეცნიერს აინტერესებს მხოლოდ პიროვნების სულიერი, შინაგანი ფსიქიკური სამყარო.

ზოგიერთ ენათმეცნიერთა ფსიქოლოგისტური კონცეფცია დაკავშირებულია ლოგიკისტურთან, რის ნიადაგზედაც იქმნება განსაკუთრებული სისტემა, ასეთი წარმოქმნა ადვილია, რადგან შემოქმედი სული, ქმნის სხვადასხვა სახის ზმნის კილოს თავისი სულიერი განწყობების მიხედვით. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დოიჩ-ქაინის სისტემა, რომელიც უბრალო მათემატიკური ოპერაციის — გამრავლების შედეგად აყალიბებს ინგლისურ ენაში 16 კილოს. იგი მას განსაზღვრავს, როგორც გააზრებულს, სასურველს, მოლოდინის ენობრივ გამოხატულებას. ე. ი. კილოს განიხილავს არა როგორც ზმნის ფორმას, არამედ როგორც გამოთქმული აზრის მნიშვნელობათა დანაწევრების გამოხატულებას. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ იგი გამოსავალს ხედავს მნიშვნელობათა სხვადასხვა ნიუანსებში და მთლიანად უგულებელყოფს გრამატიკულ ფორმებს.

არსებობს მოდალობის კატეგორიის განსაზღვრის კიდევ მესამე მიმართულება, რომელიც ვაკერნაგელმა მოდალობის კატეგორიის თავის განსაზღვრას დაუდო საფუძვლად. მოდალობის კატეგორიის განსხვავებული ნიშანია მოქმედების მიმართება რეალური სინამდვილისადმი. ეს მიმართულება შეიძლება შეიცავდეს დიდი ან მცირე ოდენობით სინამდვილის ელემენტს. აქედან გამომდინარე იგი ვარაუდობს მოდალობის სხვადასხვა სახით არსებობას განუსაზღვრელად დიდი რაოდენობით. მოდალობის გამოხატვის შეზღუდვა სამი და მეტი სახით, შემთხვევითია და თვითნებური.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ძლიერდება ინტერესი წინადადე-

ბის სტრუქტურის შესწავლისადმი. დამუშავდა ის გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც უშუალოდ კომუნიკაციის პროცესში წარმოიქმნება.

კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს ა. შახმატოვის თეორიული დებულებები მოდალობის შესახებ. იგი წერდა, რომ დასრულებული აზრი შეიცავს სამ ფსიქოლოგიურ მომენტს. სუბიექტს, პრედიკატს და გრძნობით (ემოციურ) კავშირს სუბიექტსა და ობიექტს შორის, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსაუბრის ემოციური განწყობილება. ეს განსაზღვრა მიუთითებს, რომ მოდალობის კატეგორია ა. შახმატოვის აზრით სუბიექტურ ხასიათს ატარებს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოდალობის საერთო უნივერსალური კატეგორიის განსაზღვრა არ არის ადვილი, რადგან ფილოსოფიასა და ლინგვისტურ სემანტიკაში სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ამ ტერმინს. მოდალური ლოგიკის ცენტრალური გაგება მოიცავს ორ პირობას: აუცილებლობასა და შესაძლებლობას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ენათმეცნიერები განასხვავებენ ობიექტურ მოდალობას, რომელიც შეიცავს შემდეგ აზრობრივ კომპონენტს „ეს ასეა“ და სუბიექტურ მოდალობას აზრობრივი კომპონენტით „მე ვამბობ ამას“. ობიექტური მოდალობა ასახავს რეალობასთან ნათქვამის კავშირის ხასიათს და გვევლინება წინადადების კონკრეტული შინაარსის შემადგენელ ნაწილად, სუბიექტური მოდალობა კი არ არის რეზულტატი ობიექტური სინამდვილის ასახვისა, ის მხოლოდ ამ ასახვის იმ ადეკვატურ შეფასება იძლევა, რომელიც გვევლინება აზრის სუბიექტად, ე. ი. მიუთითებს წინადადების შინაარსის ჭეშმარიტების ხარისხზე მთქმელის შეხედულებიდან გამომდინარე.

ლინგვისტურ ლიტერატურაში გავრცელებულია მოდალობის ორი სახის განმარტება:

\* როგორც სინამდვილესთან ნათქვამის შინაარსის დამოკიდებულება (ვ. ვინოგრადოვი).

\* როგორც მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამთან (ფრეი)

მე ვფიქრობ, მეორე განმარტება უფრო მისაღებია, რადან ამ დამოკიდებულების გამოვლენის ყველაზე ფართო სფეროებს მოიცავს. დამოკიდებულება გამონათქვამის რეალობისა მის შინაარსთან სხვა არაფერია თუ არა პრედიკატულობა ანუ საშუალება, რომლითაც ხდება წინადადების კონსტიტუირება. ნ.ე.პეტროვმა ანალოგიური აზრი გამოთქვა იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იქნება უფრო გან-





იზა შინაძე

**არბუმენტირება, როგორც დისკუსიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული**

ოჯახში, სამსახურსა თუ მეგობრების წრეში ხშირად გვიწევს სხვადასხვა პრობლემის განხილვა, ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბება, მისი დაცვა — მოკლედ, **დისკუსიებში** მონაწილეობა. დისკუსიაში, ცხადია, სულ ცოტა ორი მხარეა ჩართული. მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშეთა მსგავსად, რომლებიც ბურთს მონაცვლეობით ურტყამენ, დისკუსიის მონაწილეებსაც მონაცვლეობით მოჰყავთ არგუმენტები მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. „სუსტი არგუმენტის“ მოყვანისას კი ამბობენ, ერთმა მხარემ მეორეს „სატოპკე“ აუგდო. სწორედ ამგვარი შანსის მარჯვედ გამოყენება წყვეტს ხშირად პაექრობის ბელს.

დისკუსია იმთავითვე გულისხმობს საკამათო საკითხის (პრობლემის) არსებობას. დისკუსიაში ჩართული მხარეები, ჩვეულებრივ, პრობლემის გადაჭრას განსხვავებულად უდგებიან და ცდილობენ თავიანთი მოსაზრების მართებულობის დამტკიცებას. ამისთვის კი საკუთარი მოსაზრებების მხოლოდ დეკლარირება არ კმარა, რადგანაც კამათში მონაწილეობა უპირველესად პოზიციის დასაბუთებას — არგუმენტირებას — გულისხმობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება განდეს იგი მესამე მხარისთვის — აუდიტორიისთვის — მისაღები.

დისკუსიისას სხვადასხვა სახის არგუმენტები გამოიყენება. მოვიყვანთ ძირითად სახეებს, მათი ფუნქციონირების კონტექსტში:

დასაბუთების სახეობა	მოსალოდნელი შედეგი	შესაძლო პრობლემები
<b>ავტორიტეტის მოხმობა</b> (ექსპერიმენტების, გამოჩენილი პიროვნებების მოსაზრებების მოხმობა)	მსმენელი აღირებს დასახელებული პიროვნების კომპეტენტურობას	მეორე მხარეს შეუძლია სხვა ავტორიტეტის მომწველია, რომელსაც განსხვავებული პოზიცია აქვს
<b>ფაქტების მოყვანა</b> (სტატისტიკური მონაცემები)	მსმენელი ეთანხმება გამოთქვამის (მონაცემების)	ნაკლებად მოქმედია ეს არგუმენტი, როდესაც

ბის, გამოკვლევების შედეგების დასახელება)	ღირებულებას)	მოყვანილი ფაქტი მხოლოდ ცალკეულ მაგალითს წარმოადგენს
<b>ზოგადი ღირებულებების მოხმობა</b> (მოცემულ კულტურულ სივრცეში მოქმედი ნორმებისა და ღირებულებების დასახელება)	მსმენელი საკუთარი გამოცდილებიდან ან მსოფლმხედველობიდან გამომდინარე იზიარებს დასახელებულ ღირებულებებს	პლურალისტურ საზოგადოებაში დასაშვებია განსხვავებული ღირებულებები
<b>საკუთარი გამოცდილების წარმოჩენა</b>	მსმენელი ეთანხმება ნათქვამს, ვინაიდან მას ანალოგიური გამოცდილება აქვს	გამოცდილება „შემთხვევითი“ შეიძლება იყოს; მსმენელს შეიძლება არ ჰქონდეს მსგავსი გამოცდილება
<b>ანალოგიების მოყვანა</b> (მსგავსი შემთხვევების აღწერა, შედარება)	შედარების შედეგად ნათქვამის მართებულობაში დარწმუნება	ამგვარი ტაქტიკური სვლა „მოიკოჭლებს“, რადგანაც შედარება განსხვავებული პირობების ფონზე ხდება
<b>ლოგიკური მჭხელობა</b> (კაუზალური კავშირების გამოკვეთა, გამოთქვამების ლოგიკური დაკავშირება)	მსმენელი ვერ პოულობს შესაბამისებელ პუნქტებს	მოჩვენებითი ლოგიკა, მცდარი დანასკვნების გამოტანა

დისკუსიაში გამოყენებული არგუმენტები გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს:

- არგუმენტი უნდა იყოს სიტუაციის შესაბამისი;
  - არგუმენტი უნდა იყოს კამათის არსზე მიმართული;
  - არგუმენტი უნდა იყოს მოკლე;
  - არგუმენტი უნდა იყოს გასაგები;
  - არგუმენტი უნდა იყოს ადვილად აღქმადი.
- არგუმენტირებას, როგორც კომპლექსურ სამეტყველო ქმედებას,

მკვეთრად გამოხატული შინაგანი სტრუქტურა აქვს. ამ სტრუქტურის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი ავტორი (I. Berg, M. Meier) თვლის, რომ სრულყოფილი არგუმენტაცია ხუთი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: მტკიცება (Behauptung), დასაბუთება (Begründung), დამოწმება (Beleg), მაგალითი (Beispiel), დასკვნა (Schlußfolgerung). ასე მაგალითად:

**მტკიცება:** კერძო ავტოტრანსპორტის შეუზღუდავი ზრდა სახიფათოა,

**დასაბუთება:** ვინაიდან ეს უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოზე.

**დამოწმება:** ავარიებში დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა, ისევე როგორც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები, დიდ ქალაქებში საგანგაშოა.

**მაგალითი:** ასე მაგალითად, დედაქალაქში წელიწადში X ადამიანი იღუპება ავტოკატასტროფებში, ხოლო ჰაერის დაბინძურებამ X-ჯერ გადააჭარბა დასაშვებ ზღვარს.

**დასკვნა:** ამიტომ კერძო ავტოტრანსპორტის შეუზღუდავი ზრდა დაუშვებელია, განსაკუთრებით ძრავების დღევანდელი მდგომარეობის პირობებში.

არგუმენტაციის ხუთსაფეხურიან, მაგრამ ოდნავ განსხვავებულ მოდელს, ემხრობიან სხვა ავტორებიც (Bose, Geißner, Guttenberg). ისინი არგუმენტირების ე.წ. „ხუთი წინადადების ტექნიკის“ (Fünfsatztechnik) გამოყენებას გვთავაზობენ. კამათისას ხუთი წინადადებით შემოფარგვლა ყურადღების დიდ კონცენტრაციას მოითხოვს. გამოსვლა მოკლე და ზუსტი ხდება. ხუთწინადადებიანი ჩარჩო ადგილს არ უტოვებს ემოციებსა და განყენებულ მსჯელობას. არგუმენტაციის ასეთი მოდელით აგებისას საჭიროა ნაბიჯების წინასწარ გათვლა, რათა მსმენელი ჩვენი აზრის გაზიარებამდე მივიყვანოთ.

ხუთწინადადებიანი მსჯელობა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესაა:

1. შესავალი წინადადება, რომელიც დამოკიდებულია მოცემულ სიტუაციაზე. შესავალი წინადადება ერთგვარ ხიდს უნდა აგებდეს მოპაექრის ნათქვამთან. თუ ჩოგბურთის ანალოგიას გავიხსენებთ, იგი ჩვენს საპასუხო დარტყმას უნდა ამზადებდეს.

2. საკუთრივ არგუმენტები. როგორც წესი, ერთი არგუმენტის მოყვანა არ არის საკმარისი მსმენელის დასარწმუნებლად, ასევე არ არის რეკომენდებული არგუმენტების ერთმანეთზე დახვევა, ოპტიმალურად მიჩნეულია სამწინადადებიანი არგუმენტაციით შემოფარგვლა.


3. დამასრულებელი წინადადება. სწორედ დამასრულებელი წინადადებაა ჩვენი ძირითადი „მესიჯი“, ანუ მთავარი შეტყობინება — საკუთრივ ის, რისი თქმაც გვინდა. დამასრულებელ წინადადებას ხშირად გარკვეული ქმედებისკენ მოწოდების ფორმა აქვს, თუმცა ის ასევე დასკვნის, შეკითხვის, თხოვნის სახითაც ფორმდება.

საპაექრო რეპლიკის დაგეგმვისას პირველ რიგში სწორედ დამასრულებელი (მესხუთე) წინადადება უნდა მოვამზადოთ. კარგად უნდა ჩამოვავალიბოთ, თუ რისი თქმა გვინდა, რა არის ჩვენი მიზანი. კამათისას არც თუ იშვიათად, პრობლემის მხოლოდ გარკვეულ (ზოგჯერ პერიფერიულ) ნაწილს გამოჰყოფენ ხოლმე და მის გარშემო ტრიალებენ, ისე, რომ პრობლემის არსს არც კი უახლოვდებიან. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დისკუსიაში ჩართვამდე გავიაზროთ, თუ რა არის მთავარი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ვაპირებთ. შემდეგ კი გამოვკვეთოთ სტრატეგია და შესაბამისი სამეტყველო ქმედებები და ისე ჩავებათ კამათში. ჩვენი მთავარი სათქმელი (მე-2 — მე-4 წინადადებები) ისე ავაგოთ, რომ ყურადღების არედან არ გამოგვრჩეს პრობლემის არსი. პირველი, შესავალი წინადადება მთლიანად არსებულ სიტუაციაზე დამოკიდებული და ამიტომ მისი წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია. ის უშუალოდ კამათში ჩაბმის წინ ყალიბდება.

ჩვენი გამოსვლისას შუა ნაწილის — საკუთრივ არგუმენტაციის — სტრუქტურირებისას შესაძლებელია სხვადასხვაგვარი მოდელის გამოყენება. ესაა:


1. საბაზო მოდელები:
- 1.1. ერთმანეთის ტოლფასი სამი არგუმენტის ჩამოყალიბება:

- ჩვენ ახლა ვმსჯელობთ, ღირს თუ არა ამ საკითხზე მუშაობა.
- ამ საკითხზე მუშაობა არ არის **რთული**.
- ეს **საინტერესოა**.
- ეს **საჭიროა**.
- ამიტომ ვიმუშაოთ ამ საკითხზე!




1.2. კლასიკური ლოგიკური სილოგიზმი, ანუ წინადადებების ლოგიკური გადაბმის ისეთი ხერხი, რომელიც სულ ცოტა ორ უეჭველ ფაქტზე დაყრდნობით გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგალითად:

- ჩვენ ვიმსჯელებთ, იმ საკითხზე, თუ ვინ უნდა დაიშვას მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე.
- შევთანხმდით, რომ გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სტუდ., ვისაც უმაღ. ქულები აქვთ.
- X-ს უმაღლესი ქულები აქვს.
- აქედან გამომდინარე, X-ს აქვს უფლება გავიდეს გამოცდაზე.
- შესაბამისად, X უნდა გავიდეს გამოცდაზე!



3. დიალექტიკური (თეზა, ანტითეზა) აგებულება, მაგალითად:
  - გამომსვლელმა საკამათო საკითხი წამოჭრა...
  - ერთი მხრივ...
  - მეორე მხრივ...
  - პრობლემის გადაჭრა შესაძლოა, თუ...
  - ამიტომ გთავაზობთ...



2. საბაზო მოდელების ვარიანტები:  
წარმოდგენილ მოდელებზე დაყრდნობით შემუშავებულია არგუმენტების განსხვავებული ვარიანტები:

მოდელის „1.1“ მსგავსად შესაძლებელია არა სამი ტოლფასოვანი, არამედ სამი სხვადასხვა „წონის“ მქონე არგუმენტის დაჯგუფება. რეკომენდებულია (მდრ.: Slembek, 1992) ძირითადი, ყველაზე „ძვირი“ არგუმენტის მსჯელობის დასასრულს მოთავსება, ვინაიდან სწორედ უკანასკნელი არგუმენტია ყველაზე შთამბეჭდავი.


მოდელის „1.2“ საფუძველზე შესაძლებელია ლოგიკური ჯაჭვის შემუშავება, რომლის დროსაც დასკვნები ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, ანუ ფორმალური ლოგიკიდან ცნობილი ენთიმემის მსგავსი მსჯელობის აგება:

- წელს ხორბლის უხვი მოსავალი მოვიდა.
- ამიტომ ბაზარზე ხორბლის დიდი რაოდენობა იქნება გამოტანილი.
- შესაბამისად შემცირდება ხორბლის შესასყიდი ფასი.
- შედევად არსებული სახსრებით შევძლებთ ხორბლის საჭირო რაოდენობის შესყიდვას.
- ამიტომ აღარ ავიღოთ კრედიტი ბანკში!

„1.3“ მოდელის მოდიფიკაციის შედეგად შეიძლება მივიღოთ არგუმენტაციის შემდეგი ვარიანტები:


კომპრომისის მოძებნა:

- X-ს თვლის, რომ...
- Y-ს აზრით კი...
- მე მეჩვენება, რომ ორივე მოსაზრება ერთ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა...
- შესაძლებელია, სწორედ ეს იყოს გამოსავალი.
- ამიტომ ამ მიმართულებით გავაგრძელოთ მსჯელობა!



ორი პოზიციის შედარება:

- X-ს აზრით...
- რასაც ადასტურებს...
- Y-ს აზრით კი...
- რაც დსტურდება...
- როგორ შეგვიძლია ჩვენ ამ მოსაზრებების შეჯერება?



დისკუსიებში დამაჯერებლად მონაწილეობა საკმაოდ ძნელია,

განსაკუთრებით კი თუ უცხო ენაზე გვიწევს არგუმენტირება.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ იმ სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებსაც ენობრივი პრობლემები თითქმის არა აქვთ, უჭირთ თავისი მოსაზრებების გამოხატვა და დასაბუთება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უცხო ენის სწავლებისას ნაკლები ყურადღება ეთმობა თავისუფალი მეტყველების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა თავისუფალი მეტყველების ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს, ის ისევე ექვემდებარება დიდაქტიზირებას, როგორც დანარჩენი ფორმები (ზეპირი თხრობა, აღწერა, ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

დისკუსია რთული ტექსტობრივი ტიპია, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, არა ერთ ენობრივ ქმედებას აერთიანებს და რომელთაგანაც ძირითადი სწორედ არგუმენტირებაა. ამდენად დისკუსიის ტექნიკის დაუფლება არგუმენტირების სწავლებით უნდა დავიწყოთ.<sup>1</sup> ამ პროცესში შესაძლებლად მიგვაჩნია ორი საფეხურის გამოყოფა.

პირველი საფეხური შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მარტივი ინტენციების რეალიზების დონე. იგულისხმება, რომ სწავლებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს სხვადასხვა ინტენციის გამომხატველ ენობრივ კონსტრუქციებზე, ანუ იმაზე, რასაც გერმანულად — გრამატიკულ და ლექსიკურ ელემენტებთან მიმართებაში „Bausteine“-ს („საშენ მასალას“), უწოდებენ, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს „საშენი მასალა“ კომუნიკაციურ-პრაგმატული ბუნების იქნება.

კამათის დროს მრავალი ინტენციის გამოხატვა გვჭირდება — დათანხმება, უარყოფა, შეჭამება, დასკვნის გამოტანა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა და სხვ. ყოველი ამ ინტენციის გამოსახატავად სხვადასხვა ენობრივი რეპერტუარი არსებობს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს.

საკუთარი აზრის, პოზიციის, შეხედულების გამოხატვისათვის შესაძლებელია შემდეგი კონსტრუქციების გამოყენება:

**Meiner Meinung / Ansicht nach...**

**Meines Erachtens...**

**Ich glaube / meine / denke, dass...**

<sup>1</sup> ცხადია, სიტყვიერი პაექრობის კომპეტენციის განვითარებას ვიწყებთ ისეთ სტუდენტებსა და მაგისტრანტებთან, რომლებიც ფლობენ მდიდარ ლექსიკურ მარაგს და წინადადების გრამატიკას, აქვთ სპონტანური ზეპირი მეტყველების გამოცდილება.

**Ich bin der Überzeugung, dass...**

**Ich bin der Meinung, dass...**

**Nach meiner Auffassung...**

**Ich stehe auf dem Standpunkt, dass...**

**Ich vertrete den Standpunkt/die Meinung, dass...**

და ა.შ.

ფრთხილად გამოთქმული პოზიცია ასე შეიძლება გაფორმდეს:

**Soviel ich weiß...**

**Sowiet ich unterrichtet bin,..**

**Wenn ich mich nicht irre/täusche...**

**Wenn ich mich recht erinnere...**

და ა.შ.

დასკვნის გამოტანისას შესაძლებელია ამგვარი ფორმულირებები გამოვიყენოთ:

**Daraus/Aus dem Gesagten ergibt sich...**

**Ich ziehe daraus folgende Konsequenz/die Schlussfolgerung...**

**Ich komme zu der Schlussfolgerung...**

**Daraus lässt sich folgern/erschen, dass...**

**Daraus ist zu folgern/erschen, dass...**

**Zusammenfassend möchte ich folgendes sagen:**

და ა.შ.

არგუმენტირებისას ხშირად საჭირო ხდება სხვისი ნათქვამის გა-  
მეორება, ან რომელიმე ციტატის მოყვანა:

**X schreibt (sagt) dazu Folgendes...**

**Ich zitiere...**

**Ich berufe mich auf...**

**Ich beziehe mich auf...**

**Ich stütze mich auf...**

**Ich belege das mit...**

**Ich folge den Gedanken/Ausführungen/Darlegungen/der Meinung/der These von...**

არგუმენტირებისას მხარეებს ხშირად უწევთ ოპონენტის ნათქვამში ეჭვის შეტანა:

**Ich bezweifle/möchte bezweifeln die Gichtigkeit Ihrer Ausführungen/These...**

**Ich habe Bedenken gegen Ihre Ausführungen.**

Ich bin von der Gichtigkeit Ihrer Ausführungen nicht überzeugt.

Mir scheint, dass Ihre Ausführungen nicht (ganz) richtig sind.

Ihre Behauptungen erscheinen mir tewas gewagt.

Meiner Meinung nach treffen Ihre Ausführungen nicht zu.

Es scheint mir fraglich, ob...

და ა.შ.

სწავლების ამ საფეხურის მიზანს წარმოადგენს არგუმენტირებისას გამოყენებული ენობრივი ქმედებების ათვისება-ავტომატიზაცია.

შემდეგი საფეხურია უკვე შესწავლილი კონსტრუქციების გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში. ასეთ დროს შესაძლებელია ენის შემსწავლელთათვის კონკრეტული საკამათო თემების მიცემა (ან ისინი თვითონ ასახელებენ საკამათო თემებს) და არგუმენტირებისას განსხვავებულ მოდელზე ვარჯიში. არგუმენტირების აგების სწავლებას სავარჯიშოთა მთელი სისტემა ემსახურება. მათგან ერთ-ერთ ყველაზე მიზანშეწონილად მიჩნეულია ე.წ. „ამერიკული დებატები“.

„ამერიკული დებატების“ დროს ვარჯიში ჩვეულებრივ შემდეგნაირად მიმდინარეობს: მონაწილეები განსაზღვრავენ საკამათო საკითხს. იქმნება ორი (ან მეტი) ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფი. ჯგუფები ცალკე-ცალკე ემზადებიან დისკუსიისათვის, ანუ აგროვებენ არგუმენტებს, ადგენენ მათ თანამიმდევრობას, შემდეგ კი ირჩევენ გამომსვლელს (**Sprecher**), რომელსაც ევალება ჯგუფის მოსაზრების პრეზენტაცია. ასეთი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ იწყება საკუთრივ მინიდისკუსია, რომელიც მკაცრად განსაზღვრულ სამ ფაზას გულისხმობს: თავიდან მხარეების წარმომადგენლები წარმოაჩენენ წინასწარ მომზადებულ არგუმენტაციას. მეორე ფაზაში შეკითხვებს უსვამენ და აფასებენ მეორე მხარის მიერ წარმოჩენილ პოზიციას, რის შედეგადაც მოდავე მხარეებს შორის იწყება თავისუფალი კამათი.

„ამერიკული დებატების“ პირველი ფაზა, როგორც ვთქვით, თემის შერჩევით იწყება. თემა ესა თუ ის აქტუალური და წინააღმდეგობრივ საკითხი უნდა იყოს. სადისკუსიო თემის შერჩევას ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ ასპექტებს:

- კამათის საგანი ყველა მონაწილისათვის საინტერესო უნდა იყოს.
- სავარჯიშოს შემსრულებლები კამათის თემატიკას უნდა იცნობდნენ, ანუ — გარკვეულწილად მაინც — კომპეტენტური

უნდა იყვნენ აღნიშნულ საკითხში.

- კამათის თემა არ უნდა იყოს არც ძალიან ზოგადი და არც ძალიან სპეციფიკური. პირველ შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ კამათი „გაიშლება“, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეძლებს მასში მონაწილეობას.

თემის შერჩევის შემდეგ ჯგუფის წევრები იწყებენ არგუმენტების მოძიებას და მათ დახარისხებას. ეს სამუშაო შეიძლება 15-20 წუთი გაგრძელდეს. არგუმენტების შეგროვება ბრეინშტორმინგის სახით შეიძლება წარიმართოს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფში „ლიდერიც“ გამოჩნდეს. რეკომენდებულია არგუმენტების წერილობით დაფიქსირება. სასურველია, რომ არგუმენტები საკვანძო სიტყვების სახით დაფიქსირდეს. თავი უნდა აგარიდოთ დასრულებული წინადადებების წერას, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს.

პირველი ფაზის მანძილზე ენის შემსწავლელები სწავლობენ მტკიცების დასაბუთებისაგან გამორჩევას (**Bechauptung vs Begründung**), ხოლო შემდეგ თვით არგუმენტების შეფასებასაც (რამდენად „ხარისხიანია“, დამაჯერებელია ესა თუ ის არგუმენტი). არგუმენტი კი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

- კომუნიკაციის პარტნიორისათვის გასაგები
- კომუნიკაციური სიტუაციის შესაფერის ფორმაში მოცემული
- თვალსაჩინო (ცალკეული მაგალითებით გამაგრებული)
- მიზანმიმართული
- ენობრივად გამართული.

არგუმენტაციის პრეზენტაცია გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს გამომსვლელსაც. ესაა:

- თავისუფალი მეტყველება;
- აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება, ხედვითი კონტაქტი (**Blickkontakt**), გაღიმება და სხვ);
- საკუთარი აზრის იმგვარი ფორმულირება, რომ კამათი პირად დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს;
- მოკამათე მხარისთვის გარკვევით ჩვენება, თუ რომელ საკითხებში ეთანხმება მას და რომელში არა;
- არავერბალური (ჟესტიკულაცია, მიმიკა) და პარავერბალური (ხმის ვარირება, პაუზები) საშუალებების ადეკვატური გამოყენება.

სავარჯიშოს შემსრულებლები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება

მეტი ინფორმაცია მიაწოდონ მსმენელს და, თავის მხრივ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვონ. ამერიკული დებატის შემთხვევაში სხვისი პოზიციის გამოკითხვის შესაძლებლობა ჯგუფის ვარჯიშის მეორე ფაზაში ეძლევა. აქ კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სმენითი აღქმის უნარის (Hörverstehen) გამომუშავება იძენს, რომელიც არა მარტო უცხო ენის, არამედ მშობლიური ენის პრობლემაცაა. მშობლიურ ენაშიც კი ნათქვამის სმენითი აღქმა დაახლოებით 20-25% შეადგენს (შეადარე Slembek 1992, Glatthorn/Adams 1983; Slembek 1988), ხოლო უცხო ენაში ეს მაჩვენებელი, ცხადია, კიდევ უფრო დაბალია.

სწორედ ამიტომ თანამედროვე სახელმძღვანელოებში სმენითი აღქმის უნარის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. შემუშავებულია სავარჯიშოთა სხვადასხვა ფორმა. ვარჯიშის ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს ე.წ. „კონტროლირებული დიალოგი“ (kontrollierter Dialog) ამ სავარჯიშოში მონაწილეობს სამი პიროვნება. სავარჯიშოს ორი მონაწილე ელაპარაკება ერთმანეთს. მონაწილე A გამოთქვამს რაიმე მოსაზრებას, მონაწილე B იმეორებს ნათქვამს და ამატებს საკუთარ გამოხატვას. შემდეგ პირველი მონაწილე იმეორებს B-ს ნათქვამს და ამატებს ახალ მოსაზრებას და ა.შ. მესამე მონაწილე აკონტროლებს, თუ რამდენად ზუსტად იქნა გაიმეორებული წინადადებები. არც ისე იშვიათად მონაწილეები აღმოაჩენენ, რომ მათ მხოლოდ ნაწილობრივ ესმით ერთმანეთის.

ამერიკული დებატის მესამე ფაზა არგუმენტირებულ კამათს ეთმობა. სწორედ ამ ფაზაშია სასურველი ხუთი წინადადებისაგან შემდგარი პასაჟების გამოყენება.

სასურველია, რომ ვარჯიშის დასრულების შემდეგ მოხდეს მისი შეფასება. მონაწილეებს უნდა მიეცეთ საშუალება, თუნდაც მშობლიურ ენაზე, შეაფასონ გამოვლენილი დადებითი ან უარყოფითი მომენტები, შეუდარონ ერთმანეთს კამათის დროს მოყვანილი არგუმენტები.

და ბოლოს, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არგუმენტირების ორივე საფეხური — როგორც ინტენციების ენობრივი რეალიზაცია, ისე არგუმენტაციის სტრუქტურირება — სამეტყველო ოპერაციების დონეს განეკუთვნება. განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს დისკუსიის, როგორც ტექსტის ტიპის სტანდარტულ (კლიშირებულ) ენობრივ გამონათქვამებთან, ხოლო მეორეში —

არგუმენტირების, როგორც დისკუსიის საბაზო ელემენტის, სტრუქტურირებასთან. ორივე ტიპის მასალაზე მუშაობისას გამოიყენება ე.წ. წინასამეტყველო სავარჯიშოები (предречевые упражнения). მათი მიზანია, შესაბამისი საკომუნიკაციო ოპერაციების ავტომატიზმამდე აყვანა. ხოლო ავტომატიზებული სამეტყველო ოპერაციების შემდგომი და ჭეშმარიტი დანიშნულებათა, მათი გამოყენება სამეტყველო ქმედების — მთლიანი დისკუსიის — დონეზე.

ლიტერატურა

**ალხაზიშვილი, 1984** — Алхазышвили А.А. Теория и практика обучения устной речи на иностранном языке. Ганатлеба, Тб., 1984.

**ბერგ, მაიერი: 1973** — Berg, I/Maier, M; u.a. (1973) Situation, 31 Kapitel Deutsch für berufliche Schulen, Klett Verlag, Stuttgart.

**გაისნერი, 1994** — Bose, L.; (1994): Gesprächsfähigkeit als Ziel im Fremdsprachenunterricht Deutsch für Fortgesrittene; in: Breiting, H. (Hg); Phonetik-Intonation-Kommunikation. München.

**გაისნერი, 1980** — Geißner, H.; (1980) Über das Dialogische im Fünfsatz. Ein Beitrag zum Sprechdenken und Hörverstehen beim Argumentieren. — in Kühlwein, W./Gasch, A. (Hg): Sprache und Verstehen, Tübingen.

**გაისნერი, 1986** — Geißner, H.; (1986 a) Ghetorik und politische Bildung, Kronberg (1 Aufl. 1975).

**გაისნერი, 1986** — Geißner, H.; (1986 b) Sprecherziehung. Didaktik und Methodik der mündlichen Kommunikation. Frankfurt/Main (1 Aufl. 1982).

**გლათჰორნი, 1983** — Glatthorn, A./Adams, H.G.; (1983) Listening: Your Way to Management Success. Glenview III

**გუტენბერგი, 1994** — Guttenberg, N. (1994) Grundlagenstudien zu Sprechwissenschaft und Sprecherziehung, Kümmerle Verlag, Göppingen.

**სლემბეკი, 1992** — Slembek, E.; (1992) Argumentieren lernen. Ein Kapitel handlungsorientierten Unterrichts mit ausländischen Studierenden. in.: Jahrbuch Deutsch als Fremdsprache 18.

## Argumentation as One of the Basic Structural Elements of Discussion

### Summary

Discussion is a complex discourse genre which embraces various types of verbal behaviour, argumentation being the most important. Two stages can be singled out in the process of teaching the skill of argumentation in a foreign language: realization of simple intentions, and structuring of argumentation. Both stages belong to the domain of spoken discourse. When working on both types of skills the following pre-task activities should be used - "controlled dialogue" and "American debates". The aim of the drills in question is to make communicative moves automatic.

ლია გოძსაძე

### ასპექტის ფორმირების ფუნქცია დისკუსიაში

(ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე)

როგორც ცნობილია, ლინგვისტურ ლიტერატურაში ასპექტი განიხილება იზოლირებულად, წინადადების/გამონათქვამის დონეზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა სრულად ვერ ავლენს ასპექტის პრაგმატულ მახასიათებლებს. როგორც დაკვირვება ცხადყოფს, ერთი და იგივე ასპექტური ფორმის მქონე გამონათქვამმა განსხვავებულ კონტექსტში შესაძლებელია განსხვავებული საკომუნიკაციო გამიზნულობა მიიღოს. ასპექტური ფორმის ინტერპრეტაციისათვის კონტექსტი განმსაზღვრელი ფაქტორია ქართულ და რუსულ ენებშიც კი, სადაც ასპექტის კატეგორიას ფორმალური მარკერი აქვს და ასპექტური ხასიათი თვით ზმნის ფორმაში ვლინდება. დისკუსიის მნიშვნელობა ასპექტის შესწავლისას არსებითია ინგლისურთან მიმართებაში, სადაც ზმნის ასპექტი დროის ფორმებისა და კონტექსტის დონეზე ვლინდება.

ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ასპექტის პრაგმატიკის კვლევისას მნიშვნელოვანია გამონათქვამის დისკურსული მახასიათებლების გათვალისწინება. როგორც ცნობილია, წინადადებას აქვს ილოკუციური პოტენციალი, გამონათქვამს ილოკუციური ფუნქცია, თუმცა აღნიშნული ფუნქციის გამოვლენისათვის საჭიროა დისკურსული ფონი. სწორედ დისკურსში ვლინდება ასპექტის ისეთი მნიშვნელობები, როგორცაა თანადროულობა და წინსწრება.

ნაშრომში საკვლევ მასალად გამოვიყენე როგორც ზეპირმეტყველებითი, ასევე წერილობითი დისკურსის ნიმუშები:

(ტელერეპორტაჟი, საგაზეთო სტატია, სამეგზურო წიგნი, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, რეცენზია და სხვა)

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ დისკურსში ასპექტი შემ-

დეგი ფუნქციების მატარებელია:

- ა) ემფაზა
- ბ) შენელებული კადრის ეფექტი
- გ) ახლო ხედის ეფექტი
- დ) ჩაბმის სტრატეგია/თანაგანცდის სტრატეგია

შეიძლება ითქვას, რომ ასპექტი 'ego'-ზე ორიენტირებული კატეგორიაა. იგი ხდომილებას მოსაუბრის თვალთახედვით წარმოგვიდგენს. დაკვირვებამ დამანახა, რომ მოსაუბრის ინტენცია შესაძლებელია ზემოთხსენებულ ფუნქციათაგან ერთ-ერთს მოიცავდეს. თუმცა ხშირად ძნელია გამოვყოთ მოცემული ფუნქციები, ვინაიდან ასპექტური ფორმები შესაძლებელია ერთზე მეტ ფუნქციას გამოხატავდნენ.

განვიხილოთ თითოეული ფუნქცია ცალ-ცალკე:

დაკვირვებამ დამანახა, რომ სამივე ენაში საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათაურებში გვხვდებით აწმყო დროის ფორმებს, რომლებიც გადმოსცემენ ან წარსულში მომხდარ მოვლენებს, ან მოვლენებს, რომლებიც მომავალში უნდა განხორციელდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურში ე.წ. ისტორიული აწმყოს ხმარება უფრო ეკონომიურია, თუმცა სამივე ენაში აწმყო დროის გამოყენება საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სათაურებში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოკვეთის საშუალებაა.

მაგ.

1. (სტატიის სათაური) **Suicide car bomber kills 8 in Baghdad**

(ნაწყვეტი სტატიიდან) **BAGHDAD, Iraq (CNN) -- A suicide car bomb exploded early Monday morning outside the Green Zone, the area where the seat of Iraq's interim government and the U.S. Embassy are situated, killing eight people and wounding 15 others.**

2. (სტატიის სათაური) — **თელასი პასუხისმგებლობას იხსნის**

(ნაწყვეტი სტატიიდან) **როგორც ჟურნალისტებს „თელასის ტექნიკურმა დირექტორმა განუცხადა, დედაქალაქის მოსახლეობის ელექტრომომარაგებაში პრობლემები „თელასიდან“ დამოუკიდებელი მიწების გამო წარმოიქმნა.**

3. (სტატიის სათაური) **Áéýðò ìàíñýð ààíéñé óààð**

(ნაწყვეტი სტატიიდან) **Á ññááèùéè æèáñé ñáñòùþ á Èñáíñá ñðàèí ãðñéñá çàýæèáñéá ìáæéñá, éíðíðúá ññíááþòñý, --òí Áýàèà Èáèèè, ðàñéðúáðèé ñáðàññáèè á "èðàèñéñ ññüá", ññéñ--èè æèçíú ñàñóáéèñðáñ.**

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ახალი ამბების გადმოსაცემად ინგლისურში მარტივი აწმყოს პარალელურად სრულ აწმყო დროსაც ვხვდებით.

მაგ. **Izraeli 'spy' has been released.**

ემფატურობის მიზნით ისტორიულ აწმყოს მიმართავს ჟურნალისტი ლიდშიც.

მაგ. **Egypt frees an Arab-Israeli man jailed on spying charges in a prisoner swap which may herald better relations.**

ინგლისურში საგაზეთო სტატიების სათაურებში მარტივი აწმყო, განგრძობითის პარალელურად ვხვდება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სტატიის ტემპორალური მოქმედებაა ნაჩვენები.

(სტატიის სათაური) **Thais drop origami 'peace bombs' .**

(ნაწყვეტი სტატიიდან) **Millions of paper birds are being dropped on Thailand's Muslim south in a peace bid after a surge of violence.**

მოყვანილ სათაურში აწმყო დროის ფორმით გამოხატულია ტემპორალური მოქმედება, რომელსაც დიალოგურ რეჟიმში აწმყო განგრძობითი შეცვლიდა. ამ შემთხვევაში კონტექსტი, ისევე, როგორც ზმნის ფორმა, გვიჩვენებს, რომ ზმნა მოცემულ სათაურში უსრული ასპექტისაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ასპექტური მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას დისკურსის კუთხით განვიხილავთ.

როგორც უკვე აღინიშნა, მარტივი აწმყო საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში ხმარება არა მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენის გადმოსაცემად, არამედ მომავლის მნიშვნელობითაც.

მაგ (სტატიის სათაური) **Bush nominates health secretary**

(ნაწყვეტი სტატიიდან) **President Bush will be nominating EPA Administrator replace Tommy Thompson as Health and Human Services secretary.**

აღსანიშნავია, რომ საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში წარსული და მომავლის მნიშვნელობით ხმარებული აწმყო დროის ფორმები, სრული ასპექტისაა.

ინგლისურ ენაში კომუნიკანტი ემფატურობის მიზნით მიმართავს მარტივი აწმყოს ფორმას ექსპერიმენტის ჩატარებისას, ან ფოკუსის დემონსტრირებისას.

მაგ.

**He spectator shuffles the cards to their content and then removes two**



seemingly random prediction cards from the deck; the nine of clubs and the queen of hearts. The deck is given back to the spectator who **places** the prediction cards face up anywhere in the deck he likes... only to find that right next to the nine of clubs is the nine of spades and right next to the queen of hearts is the queen of diamonds. **Error! Bookmark not defined.** (Conjuring cabaret).

ადრესანტი მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე ყურადღების მისაპყრობად მიმართავს მარტივ აწმყოს, თუმცა ანალოგიურ ლინგვისტურ კონტექსტში, როგორც ცნობილია, უფრო ბუნებრივი იქნებოდა აწმყო განგრძობითის გამოყენება. ამრიგად, განგრძობითი ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ არამარკირებულად, მარტივი კი მარკირებულად.

მაგ.

**I drop** the two balls together, they separate just a little bit. The bottom one **hits** the ground first, and rebounds. As it is on the way up, it hits the top ball, which is still on its way down. So you have a head-on collision, between balls of very different masses. When this happens, a lot of the energy of the first ball **gets** transferred to the second ball, and - watch out! The top ball, the small

ხშირად ნარატიულ რეჟიმში დროით-ასპექტური ფორმების მონაცვლეობა ემფაზის განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

მაგ.

1. Mrs. Tabitha Twitchit is expecting friends for tea so she watches her kittens and dresses them in their best clothes. (Beatrix Potter. Little hide-and-seek books)

2. ბევრი იარა, გავიდა მეორე სახელმწიფოში. დაუღამდა. მიდის და ერთი ბუმბული ანათებს მთვარეზე მეტად. აფრინდება ეს ბუმბული, რაში რომ მიდის და იძახის...

ეს ბიჭი, ხელმწიფის შვილი, დაღონებულია, არ იცის სად ნახოს ისეთი ადგილი, რომ მიწა მიუტანოს და მით მოარჩინოს მამა. ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ, ის ბუმბული გაახსენდა, ამოიღო, შუქზე გაესინჯავო, მაგრამ ისე გაანათა, რომ მეფის სასახლის შუქიც კი სიბნელედ ეჩვენებოდა...

ბიჭი მივიდა დილით, ნახა, რომ ქალს პირი მზისკენ აქვს და სძინავს. გადახტა ბიჭი, დაუჭირა თმები. იწვილა, იკივლა, იფიცა,

მაგრამ ამ ბიჭმა ხელი არ გაუშვა, სანამ ის ფრინველი არ დაიფიცა. (ქართული ზღაპრები)

3. *Ōñāñȳ èìò á óǎěó è ñòàèè ìùøè ïáíà çà äðóáíé ïðïñíäèòù ìèì ïááí. Ìðïñíäȳò è èèáíȳòñȳ áìó. À èìò ñèàèò ñèðñ.*

*Áááí æèè ïé. Íá ïíéíááò ñòàðèé ïé-ááí, òàè è áíáñá áíéíááò.*

*Ìòíòñòèè ñòàðèé ðñáó á ðáèó, ñàì áñíé ïðáè. Òíéúéí, éíááà ïðøáè, óçíàòù ïé-ááí*

*íá ïñáò; ñòíèò áíáñòí øàèàøà èç ááòíé áñ èç èðáíèèò áðá-ááí, à á áñíá òñ áñòù ïðñíòñíá èàáèè; ÷ðíáú áññòáé óññáèòù, è ñòíȳò òàì óáéíá áéþáà ááéíáí ðèñá, ÷ðíáú áññòàò ïñáñòù... Áíáíðèð ñòàðèé ñáíáé æáíá..(Ñèàçèè ïáðñíá ìèðà)*

პირველ ნაწყვეტში ინგლისური ზღაპრიდან მოქმედი პირის უჩვეულო ქმედებაზე ყურადღების გასამახვილებლად, ავტორი აწმყო განგრძობითი დროიდან მარტივ აწმყოზე გადადის, ანუ სრულიდან უსრულ ასპექტზე.

ქართულსა და რუსულში კი აწმყო და წარსული დროის მონაცვლეობა გვაქვს.

სამივე ენაში ახლო ხედისა და შენელებული კადრის ეფექტს გვხვებით ტელე-რადიო სპორტულ რეპორტაჟებში. ინგლისურ ენაში განგრძობითი ფორმის ნაცვლად მარტივი აწმყოს ხმარება შენელებული კადრის ეფექტს ქმნის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მარტივი აწმყოს ხმარება ეკონომიის პრინციპის გამოვლენაა. ქართულსა და რუსულ ენებში აწმყო დროის ფორმა ენაცვლება წარსულისას. ამ შემთხვევაში გვაქვს ახლო ხედისა და შენელებული კადრის ეფექტი. მოცემული ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადიორეპორტაჟებში, სადაც კომენტატორი ერთგვარი ვიზუალური ეფექტის შექმნასაც ცდილობს. ამ შემთხვევაში საუბარი ნარატიულ რეჟიმში მიმდინარეობს. ერთი შეხედვით, მოსაუბრე სინქრონულად ახდენს მოვლენების კონსტატაციას, თუმცა რეალურად, იგი უკვე შესრულებული მოქმედების გახმოვანებას ახდენს. ამგვარი ასპექტური სემანტიკა მხოლოდ ზეპირმეტყველებით დისკურსში გვხვდება:

ტელერეპორტაჟი სპორტული კომენტარი —

1. He kicks the ball and passes to the opposition .

Jimenez wins by one shot in Hong Kong.

თამაშის მნ-ე წუთია და „ლივერპული“ მოწინააღმდეგეს 2-1 უგებს, მაგრამ ეს ჯგუფიდან გასასვლელად საკმარისი არ არის. ბურ-



ნია განისაზღვროს ისეთი ფაქტორი, როგორცაა მოსაუბრის/ მთხრობელის საკომუნიკაციო გამიზნულობა. როგორც ცნობილია, განსხვავებულ კონტექსტში გამონათქვამი განსხვავებულ საკომუნიკაციო ინტენციას გამოხატავს, რაც ასპექტური ფორმების საკომუნიკაციო მნიშვნელობის ცვალებადობაშიც აისახება.

ლიტერატურა

**შანიძე, 1953** — შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. ტომი I. მორფოლოგია, თბილისი, 1953.

**კუერკი, 1981** — Quirk R. et al. A Comprehensive Grammar of English; Cambridge University Press, 1981.

**იული, 1988** — G. Yule, Pragmatics; Oxford University Press, 1997.

**პადუჩევა, 1996** — Падучева Е. В. Семантика Времени и Вида в Русском Языке. Семантика нарратива. Школа "Языка Русской Культуры", Москва, 1996.

წყაროები

გ. რობაქიძე, გველის პერანგი. ქართული პროზა, წიგნი XXX. გამომცემლობა საქართველო, თბილისი, 1997.

ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები. საბავშვო და ახალგაზრდობის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1963.

ინტერნეტსტატიები: BBC, CNN, Rambler Mass Media, Internet. ge.

Potter B. Little Hide-and-seek books. Tom Kitten. Penguin Books Ltd, Harmondsworth. 1994.

Куприн А. И. Повести и Рассказы, Собрание сочинений в двенадцати томах. том I, Москва Издательство "Правда", 1982.

Сказки Народов Мира. Библиотека Мировой Литературы для Детей. Москва "Дутская Литература", 1985.

LIA GOKSADZE

## Some Functions of Aspect in Discourse

(on the material of the English, Georgian and Russian Languages)

### Summary

The paper considers the aspect as a discourse category and attempts to reveal discourse functions that are expressed through the variation of aspectual forms in different contexts. In the paper the following discourse functions of the aspectual forms have been singled out:

- a) Emphatic
- b) Slow motion effect
- c) Close-up effect
- d) Involvement Strategy

The research has shown that the choice of aspectual forms largely depends on the communicative intentions of the speaker. The study has proved that in discourse one or more of the enumerated functions can be realized in a single utterance.

## სოფიო ჩხობაძე

## შეფასებითი გამოთქმების ლასანიათება

(ინგლისური საბაზეთო რეცენზიის მასალაზე)

შეფასება სამეტყველო ჟანრის „საგაზეთო რეცენზიის“ დომინირებული კომუნიკაციური მიზანდასახულობაა, ამიტომ იგი მოცემული სამეტყველო ჟანრის არსებითი კომპონენტია.

შეფასებითი გამოთქმები მათი კომუნიკაციური მიზნის საფუძველზე განსაკუთრებულ ჯგუფში ერთიანდებიან. გ. ფრეიზერის სამეტყველო აქტების კლასიფიკაციაში, ეს გამოთქმები გამოიყოფა განსაკუთრებულ ჯგუფში „შეფასებითი აქტები“ (ფრისერი, 1974).

მსჯელობის განსაკუთრებული ჯგუფის — შეფასებითი მსჯელობის გამოყოფა ლოგიკაშიცაა მიღებული. შეფასებითი მსჯელობის გაგების ექსპლიკაციისათვის მიზანშეწონილი იქნება შეფერდეთ შეფასების სტრუქტურაზე, რომელიც საერთოა ენაში გამოხატული ყველა შეფასებისათვის. შეფასების სტრუქტურა შეიცავს ოთხ კომპონენტს: შეფასების სუბიექტი, შეფასების საგანი, შეფასების ხასიათი და საფუძველი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**შეფასების სუბიექტი** — პირი, რომელიც საგანს აფასებს, ე. ი. ვინც ახორციელებს შეფასებას, გამოხატავს მას.

**შეფასების საგანი** — ობიექტი ან ობიექტები, რომელთაც აფასებენ ან რომელთა ფასეულობებს ადარებენ.

**შეფასების ხასიათი** — თვით შემფასებელი პრედიკატია. შეფასების ხასიათს მიეკუთვნება ისეთი პრედიკატები როგორცაა „კარგი“, „ცუდი“, „სიკეთე“, „ბოროტება“, „ლამაზი“, „უშნო“, „უკეთესი“, „უარესი“ და ა. შ.

**შეფასების საფუძველი** განისაზღვრება როგორც სუბიექტის აზრის გამოხატვითი, უარყოფით ან სხვადასხვა საგნებისადმი გულგრილი მიმართების გამოხატვითი პოზიცია (ივინი, 1970).

ლოგიკაში შეფასებითი მსჯელობების გამოყოფა ხდება ფაქტიურ

(არაშეფასებით, თეორიულ) მსჯელობებთან შეპირისპირებით.

ფაქტიური (თეორიული, არაშეფასებითი) მსჯელობა — არის წინადადება, რომელიც მეტყველებს არსებულზე, მიუთითებს როგორც არის ან არ არის იგი.

შეფასებითი მსჯელობა — არის წინადადება, რომელშიც ჩანს ადამიანისათვის ღირებული, ცუდი ან ინერტული.

ამგვარად, თეორიული მსჯელობა გადმოგვცემს ფაქტიურ ინფორმაციას მომხდარზე. ეს გამოთქმები ობიექტურია, მაგალითად:

**The Matrix Reloaded left ordinary life as we know it, behind. Mr. Anderson is now full realized as Neo. He has found Zion, the underground city that is populated with people who know about the false world of the Matrix. (Film Review 11/07/03)**

შეფასებითი მსჯელობა, მათგან განსხვავებით, წარმოადგენს შესაფასებელი საგნისადმი ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატულებას. მაგალითად:

**But I found it unique mesmeric and sublime. (Cuardian Weekly 4/20-26/03)**

ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეფასებითი მსჯელობა შეიძლება შეესაბამებოდეს არა მხოლოდ წინადადებას, არამედ სიტყვათშეთანხმებასაც, მაგალითად:

**Picture form the irrepressible Joel Schumacher. (The Times 07/12/03)**

მოცემული სიტყვათა შეთანხმება, როგორც მთლიანი წინადადება, შეესაბამება შეფასებით სტრუქტურას და მოიცავს როგორც შეფასების საგანს, ასევე შეფასების პრედიკატს. შეფასების საგანია ფილმის შემქმნელი **Joel Schemacher**, ხოლო შეფასების პრედიკატი **irrepressible**.

შეფასების რეალიზაციისათვის ენაში სხვადასხვა საშუალებები არსებობს. შესაბამისად, ლინგვისტიკაში განსხვავებულ პრინციპებზე დაფუძნებული, შეფასების გამომხატველი საშუალებების, სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციები გვაქვს (ვოლფი, 1981; გერლენი, 2004; ჩერნიახოვსკაია, 1976). ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების გამომხატველი საშუალებების დაყოფას ექსპლიციტურად და იმპლიციტურად.

ექსპლიციტურ (პირდაპირ, აშკარა, უშუალო) შეფასებად იგულისხმება შეფასება, რომლის დროსაც შესაფასებელი საგნის უპირატესობა ან მისი უარყოფა, უშუალოდ გამოყენებული ენობრივი ერ-

თეულების მნიშვნელობაში ჩანს. ამ შემთხვევაში გამოიყენება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ შეფასებით კომპონენტს თავიანთ ერთ-ერთ მნიშვნელობაში. ამ ერთეულებისათვის შეფასება წარმოადგენს ძირითად ფუნქციას კომუნიკაციური რეალიზაციის დროს. მათ შეფასებითი ერთეულები ეწოდება.

იმპლიციტურად (ფარულად, ირიბად) გაგებულია შეფასება, რომლის გამოხატვის დროსაც განსაზღვრული დენოტაციის უპირატესობა ან უარყოფა უშუალოდ გამოყენებული ენობრივი ერთეულების სემანტიკიდან არ ჩანს. შეფასების იმპლიციტური საშუალებების ანალიზი მოითხოვს მათ ექსპლიციტურ შეფასებით განხილვასთან, მათი კავშირის უფრო დაწვრილებით აღწერას.

შეფასების გამომხატველ ექსპლიციტურ საშუალებებში უნდა გამოვყოთ სამი ტიპის ერთეული:

1. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც პირდაპირ არიან მიმართულნი შეფასების გამოსახატავად. ინგლისურ ენაში ეს სიტყვებია: **good, excellent, fine, nice, splendid, bad, terrible, awful etc..**

2. ლექსიკური ერთეულები, რომელთათვის შეფასება ლექსიკური მნიშვნელობის ერთ-ერთი კომპონენტია. ისინი ამავდროულად აღნიშნავენ საგნის რაიმე ნიშანს. ამ სიტყვების საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობებს განსაზღვრული დადებითი ან უარყოფითი კონოტაცია გააჩნიათ. მაგალითად, **dilicate, amateurish, clumsy, clever, interesting, angelic.**

ამ ორი ჯგუფის სიტყვებში შეფასებითი მიმართულება მათ მნიშვნელობაში დევს და ისინი კონტექსტის გარეშეც განისაზღვრება როგორც შეფასებითი.

3. გარდა ზემოთ აღწერილი ჯგუფებისა, არსებობს სიტყვები, რომელთა შეფასებითი მნიშვნელობა მათი კონტექსტუალური მნიშვნელობის საკუთრებას წარმოადგენს. ასეთი სიტყვები ერთ გამოთქმაში შეიძლება იყოს დადებითი, მეორეში — უარყოფითი. ამ ერთეულების შეფასებითი მიმართულების ექსპლიციტისათვის შეიძლება გამოვიყენოთ პირობითი ფორმულა „ეს კარგია / ეს ცუდია“ (გერლერი, 2004).

შეფასებითი გამოთქმები, შეიცავენ სიტყვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფს. ჩვენ მათ მივაკუთვნებთ ექსპლიციტურ-შეფასებითი გამოთქმების რიგს.

შეფასების საგნის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის

შეფასებითი გამოთქმა: სტატიკური და დინამიკური. სტატიკურ შეფასებით გამოთქმაში მოცემული გვაქვს თვით საგნის ან ობიექტის შეფასება.

I. სტატიკურ შეფასებით გამოთქმების დიდ ჯგუფს შეადგენს ის გამოთქმები, რომელთათვის დენოტაციური სიტუაციის სტრუქტურაა „შესაფასებელი ობიექტი“ — „შეფასება“. მათთვის დამახასიათებელია შეფასებული ობიექტის სინტაქსურ სუბიექტთან შეფარდება, ხოლო შესაფასებელი პრედიკატის — სინტაქსურ პრედიკატთან. ზედაპირული სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ასეთი გამოთქმები არის წინადადებები შედგენილი სახელობითი შემასმენელით, რომელშიც სახელობითი ნაწილი გამოხატულია ზედსართავის სახელით.

**Brad Pitt is exquisite as Achilles. (Guardian Weekly 05/20-26/04)**

II. სტატიკურ შეფასებით გამოთქმებს მიეკუთვნება გამოთქმები, რომელშიც დენოტაციური სიტუაციის სტრუქტურაა „შეფასების საგანი“ — „საგანთა კლასი“. ასეთ გამოთქმებს შეიძლება ვუწოდოთ მაკლასიფიცირებელი. მათში შეფასება ხორციელდება შესაფასებელი საგნის იმ კლასზე ან საგნების ჯგუფზე მიკუთვნების ხარჯზე, რომლებსაც დადებითი ან უარყოფითი თვისებები გააჩნიათ. მათი ზედაპირული სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ასეთი გამოთქმებიც წინადადებებს წარმოადგენენ შედგენილი სახელობითი შემასმენელით, რომელთა სახელობითი ნაწილი შეიცავს ლექსიკურ ერთეულს შეფასების მნიშვნელობით. სახელობითი ნაწილი სხვადასხვა საშუალებებით გამოიხატება:

ა) სახელობითი ნაწილი გამოხატულია არსებითი სახელით:

**But this production remained a classic bore (The Times 01/02/03)**

ბ) სახელობითი ნაწილი გამოხატულია არსებითი სახელით შეფასებით ზედსართავთან ერთად:

**It is a mystical film... (The New York Times 04/12/03)**

გ) არსებითი სახელი ინფინიტივთან განსაზღვრების ფუნქციაში:

**It is a comedy to kindle the spirit, warm the heart and win the kind of laughter that leaves an afterglow of good feelind... (Guardian Weekly 07/2-8/04)**

ამ ტიპის გამოთქმებში ხშირად გამოიყენება შესაფასებელი საგნის მიერ გამოწვეული გრძნობების, ემოციების აღმნიშვნელი ზმნები: **to enjoy, to move, to charm, to excite etc.**

III. სტატიკური შეფასებითი გამოთქმების დენოტაციური სიტუაცია შეიძლება იყოს „საგანი“ — „რაიმე ნიშნის არსებობა“. ჩვეულებრივ ეს გამოიხატება ზმნით **to have** ან **there is, there are** კონსტრუქციებით, მაგალითად:

**It has the hand of a master. (The New York Times 02/12/03)**

ზემოთ მოყვანილი მაგალითები დადებითი შეფასების გამოხატულებას წარმოადგენენ. უარყოფითი ემოციის გამოსახატავად გამოიყენება იგივე კონსტრუქციები ან ზმნა **to have** უარყოფით ფორმაში, ან კონსტრუქციები დადებით ფორმაში უარყოფითი შეფასების გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით. გარდა ამისა უარყოფითი შეფასების გამოსახატავად ხშირად გამოიყენება ზმნა **to lack**. მაგალითად:

**The play lacks the mystery. (The New York Times 07/02/03)**

სტატიკური გამოთქმებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ყოფნის აღნიშვნელი ზმნების გამოყენება. ეს ზმნებია: **to be, to remain, to provide, to become, to appear, to have, to lack**. ამ ზმნებს აქვთ დაბალი სემანტიკური წონა (ჩერნიახოვსკაია, 1976). აქედან გამომდინარე, ამ გამოთქმებში, დიდი აზრობრივ დატვირთავს ნიშნების თვისებების აღნიშვნა იძენს.

დინამიკური შეფასებითი გამოთქმები — ისეთი გამოთქმებია, რომლებშიც რაიმე მოქმედების, პროცესის შესრულება ფასდება. ასეთ გამოთქმებში მოცემული გვაქვს სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედების დახასიათება, თუმცა სუბიექტის მოქმედების შეფასებით, ჩვენ თვით სუბიექტს ვაფასებთ.

დინამიკური შეფასებითი გამოთქმებისათვის დამახასიათებელია სტატიკური შეფასებითი გამოთქმებისაგან განსხვავებული დენოტაციური სიტუაცია. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ამ გამოთქმებში ზმნებს, რომლებიც სხვადასხვა მოქმედებებს, პროცესებს აღნიშნავენ, დიდი სემანტიკური წონა აქვთ.

დინამიკური შეფასებითი გამოთქმების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელია გამოთქმათა სამი ტიპის გამოყოფა:

ა) შეფასება გამოხატული მხოლოდ ზმნით, რომელიც არა მარტო მიუთითებს მოქმედებაზე, არამედ მის შეფასებაზეც, მაგალითად:

**Linda Bassett shone in the few items assigned to her. (Theater Review 06/05/03)**

ასეთი ტიპის გამოთქმებისათვის დამახასიათებელია იმ ზმნების

გამოყენება, რომელთა სემანტიკა შეიცავს დადებითად ან უარყოფითად მოქმედების დახასიათებას. ზმნებს **to shone, to charm** აქვთ დადებითი კონოტაცია და ამიტომ ზემოთ მოყვანილი გამოთქმა მიიღება როგორც დადებითი შეფასება.

ბ) შეფასებითი საშუალება წარმოადგენს ერთ-ერთი საბაზო ზმნის კომპონენტის განსაზღვრებას, მაგალითად:

**David Franzoni has created persuasive masculine heroes, and director Antoine Fuqua provides a dazzling, cold and fierce medieval landscape for these men to exploit the beginning of the king Arthur and the Knights of the Round Table legend. (Film Review 09/15/04)**

გ) შეფასებითი საშუალება წარმოადგენს დამატებით ზმნურ კომპონენტს.

ასეთ გამოთქმებში სიტუაცია აღნიშნულია ზმნით მის სემანტიკურ კომპონენტებთან. ერთ-ერთ სემანტიკურ კომპონენტს წარმოადგენს პროცესის დახასიათება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კომპონენტი განიხილება დამატების ფუნქციაში, გამოთქმის ძირითადი ინფორმაციულობის გამო ის ხდება მთავარი:

**Petersen's movie is competently put together, does not drag and manages its unwieldy story reasonably well. But the narrative focus is diffuse. The problem is milksop blandness in the male leads. Troy just rolls evenly across the burning Maltese sands, as stately and inert as that famous horse. (Guardian Weekly 5/20-22/04)**

ექსპლიციტური შეფასებითი გამოთქმების რიგს შეიძლება ასევე მივაკუთვნოთ წინადადებები ე. წ. კერძო შეფასებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი შეფასება გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას საგანთან, თუმცა მოყვანილ მაგალითებში სუბიექტი მხოლოდ იგულისხმება. სუბიექტი შეიძლება გამოხატული იყოს ექსპლიციტურადაც. ასეთ შეფასებით გამოთქმებს ეწოდებათ კერძო შეფასებითი გამოთქმები. ჩვეულებრივ ეს გამოიხატება | პირის ნაცვალსახელით და | პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით.

ანალიზმა გვიჩვენა, შეფასების ფორმირების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ იმპლიციტური შეფასებითი გამოთქმების რამდენიმე ჯგუფი.

იმპლიციტური შეფასებითი გამოთქმების ერთ ჯგუფს ქმნიან ის გამოთქმები, რომლებიც მათი მთლიანი სემანტიკის ძალით აღიქმე-

ბიან როგორც შეფასებითი. მათში შეფასება კონტექსტის ანალიზის გარეშეც მყლავნდება. ასეთ გამოთქმებს ვუწოდებთ საკუთრივ იმპლიციტურ-შეფასებით გამოთქმებს. მათ მიეკუთვნება გამოთქმები რჩევის ფორმით და მოდალური ზმნებით.

საგაზეთო რეცენზიაში რჩევა ხშირად გამოიყენება როგორც მთელი სარეცენზიო ნაწარმოების, ასევე მისი ცალკეული ნაწილის შესაფასებლად.

იმპლიციტური შეფასებითი გამოთქმების მეორე ჯგუფს ქმნიან გამოთქმები, რომლებშიც შეფასება ფორმულირდება მკითხველის თეზაურუსის გათვალისწინებით. ასეთი შეფასების გასაგებად მკითხველს ესაჭიროება გარკვეული ცოდნის მარაგი. ასეთ გამოთქმებში შეფასება ხორციელდება ცნობილი პიროვნების ან საგანთა ჯგუფების ხასიათებზე დაყრდნობით და ხშირად გამოიყენება საკუთარი სახელები.

იმპლიციტურ-შეფასებითი გამოთქმების კიდევ ერთ ჯგუფს განეკუთვნება გამოთქმები, რომელთა შეფასებაც მხოლოდ მოცემულ კონტექსტშია გასაგები. მათ ვუწოდებთ გამოთქმები ლოკალური იმპლიციტურობით. მაგალითად:

**We have been waiting a long time for Michael Boyd's debut production as the RSC's artistic director.** But, after the eccentric brilliance of his earlier works, Boyd's Hamlet turns out to be a surprisingly orthodox affair: strong on narrative sweep, enlivened by telling detail but yielding an intellectually undemanding lead performance from Toby Stephens. (Guardian Weekly 08/6-12/04)

საზგასმული წინადადება, ცალკე აღებულ, კონტექსტის გარეშე არ წარმოადგენს შეფასებას, მაგრამ მას მოსდევს ავტორის მიერ გამოხატული აზრი Boyd-ის წინა ნამუშევრებზე და მის ახლანდელ დადგმაზე. ამგვარად, ორივე წინადადება ერთად აღებულ გამოხატავს ავტორის უარყოფით შეფასებას.

იმპლიციტურ-შეფასებითი გამოთქმების ჯგუფს, რომლებშიც შეფასების მიმართულება მხოლოდ მთლიანი ტექსტის ფარგლებში გაიგება, შეიძლება ასევე მივაკუთვნოთ წინადადებები, რომლებშიც მოცემულია მთელ ნაწარმოებზე ან მის ცალკეულ ნაწილებზე მსჯელობის რეაქციის აღწერა.

... the audience remained in its seats applauding, long after the actor left the stage. (Theater Review 08/03/03)

რეცენზიაში მოცემული გამოთქმა ავტორის დადებით შეფასების გამოხატულებას წარმოადგენს.

შეფასებითი გამოთქმების სრული შესწავლა ნაშრომის მთავარი მიზანი არ არის. ჩვენ შევეცადეთ მასში გადმოგვეცა შეფასებითი გამოთქმების შესწავლის ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა. მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციური წინადადებებისა და მათი ქვესახეების ენობრივი თვალსაზრისით განხილვა ძალიან საინტერესოა.

ლიტერატურა

**გერლენი, 2004** — Gorlach M. Text Types and History of English - Trends in Linguistics. Mouton de Gruyter Berlin - New York, 2004.

**ვოლფი, 1981** — Áíëüò Á. Ì. Í ññòñðáíèè éááèèðèèàðèèáíé è äáñèðèìèèáíé ñòðèðòð ã ñááíàíðèèá ñèíáà è áññèáçèááíèý. - Èçá. ÁÍ, ÍÈÈ, Ì, 1981, ò.40, 14.

**ივინი, 1970** — Èàèí À. À. Íññááíèá èñáèèè ìòáíé. - Ì., Èçá-áí ÍÁÓ, 1970.

**ფრისერი, 1974** — Friser B., A partial analysis of vernacular performative verbs. - In: Towards tomorrow's linguistics. Ed. by R. Shuy, Boston. 1974.

**ჩერნიახვსკაია, 1976** — ×áðíýðíñèàý È. À. Íáðááíá è ñññèíááý ñòðèðòðð. - Ì.: èíñòèòòð ìáæáóíàðíáíñ òññáíéé, 1976.

**Characteristics of Evaluative Expressions**

(on the material of English newspaper reviews)

## Summary

The paper maintains that evaluative speech acts are typical of newspaper reviews. Structurally evaluative expressions consist of four components: the evaluator, the topic, manner and basis of evaluation. The paper discusses two types of evaluative speech acts-explicit and implicit. According to the topic, two kinds of evaluations - static and dynamic are singled out. The former evaluates objects, whereas the latter focuses on the evaluation of processes.

## მარია შარაზაღიშვილი

**ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები**

ცნობილია, რომ არსებობს ტრადიციული სინტაქსი თავისი შესიტყვებით და სემანტიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული გარკვეული სტრუქტურები, რომლებიც ვლინდება ფრაზეოლოგიზმის დონეზე. ამ უკანასკნელს პირობითად ფრაზეოლოგიზმის ან სიტუაციური სინტაქსი ვუწოდოთ.

ფრაზეოლოგიზებული ჰქვია წინადადებას, რომელსაც ახასიათებს კომპონენტთა ინდივიდუალური მიმართება და ინდივიდუალური სემანტიკა. ასეთ წინადადებებში სიტყვათა ურთიერთკავშირი იდიომატურია. აქ მოქმედი სინტაქსური წესების დაცვით არ ფუნქციონირებენ დამხმარე სიტყვები, ნაწილაკები, შორისდებულები.

გამოიყოფა ფრაზეოლოგიზებულ წინადადებათა შემდეგი ძირითადი ტიპები: 1) კავშირიანი, 2) ნაწილაკიანი, 3) შორისდებულიანი.

ეს კლასიფიკაცია, ისევე როგორც ნებისმიერ ფრაზეოლოგიზმათა კლასიფიკაცია, პირობითია, რადგან წინადადებათა ცალკეული ტიპები შეიძლება აგებული იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე დამხმარე კომპონენტით.

რთულ ნაწილაკებში გამოიყოფა ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები — ერთად შერწყმული რამდენიმე სიტყვა (ან დამხმარე სიტყვა და მისი კლასისაგან იზოლირებული ზმნიზედა, შორისდებული ან ზმნა), რომელთა შორის ცოცხალი კავშირი თანამედროვე ენაში აღარ არის.

ეს ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები (მასში შემავალი სიტყვებითურთ), გრამატიკულ-სტილურად გაჩარხული, ფაქტობრივ, ერთი სემანტიკური ველისაა (მეშველ ზმნა-შემასმენლიანი და მასთან გათანაბრებული სხვა ზმნები), მათ განვიხილავთ., როგორც ფრაზეოლოგიზებული წინადადების კომპონენტს.

ფრაზეოლოგიზებული ნაწილაკებია: ცოტა არ იყოს, სხვა საქმეა, ვნახოთ, ეჭვი არაა, ცოტას გაწყდა, არა-არა და, ერთი კია, ვილაც იქნება, ეს კია, ლამის არის, მაინც არის, ეგეც არის, ერთი ვნახოთ,



კარგი და, ვიცოდე ნეტავი, თუ იცი, ხომ იცი შენ, ერთია კიდევ, რა არის კიდევ, კიდევ ეგ არის და სხვ.

1. ჯერ ეს უამბო მერემეთუხუცესს, თუ რა საშინელი სენია ჟამი, ორგზის ბეწვზე ეკიდა ეგვიპტეში ჩემი სიცოცხლე, **ლამის იყო** არ მიმსხვერპლა წყეულმა, სარკინოზებს რომ არ გაჰქცეოდი, უთუოდ მომკლავდაო (გამს., 306);

აქ **ლამის** არის თავისი კლასისაგან იზოლირებული ზმნა, ქცეული ნაწილაკად, რომელიც **იყო** ზმნასთან ერთად გვაძლევს ფრაზეოლოგიზებულ წყვილს.

2. რა ფრთხილად ივლიდა დედის კალთას მოწყვეტილი ყმაწვილი, მან რომ იცოდეს წინასწარ უმცირესი ვნების გამოც განიკითხავს **ვიდაც იქნება** მას (გამს., 292);

აქ **ვიდაც** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **იქნება** ზმნასთან ერთად გვაძლევს ფრაზეოლოგიზებულ წყვილს.

3. **კაი და**, როდის იყო, თქვენხელა თანამდებობის კაცები ვინმეს დასაჭერად თვითონ რომ დადიოდნენ! (ამირ., 337);

**კაი და** შედგება **კარგი** ზედსართავი სახელისა და **და** კავშირ-ნაწილაკისაგან.

4. არ შეიძლება ჩემი წასვლა. ბატონ ირაკლისთან **არის და**, ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული, როგორც კლიენტი ვეჭილთან (ამირ., 336);

**არის და** ფრაზეოლოგიზებული სიტყვათშენაერთი შედგება **არის** ნაწილაკ-აქტუალიზატორისა და **და** კავშირ-ნაწილაკისაგან.

ფრაზეოლოგიზებულ წინადადებაში შეიძლება გამოიყოს: ა) **მთავრის ბადალი** წინადადება, ბ) **დამოკიდებულის ბადალი** წინადადება, გ) **თანწყობილის ბადალი** წინადადება.

ა) **მთავრის ბადალი წინადადება:**

1. **ეს კია**, რომ იანვრის ღამეებში, როცა ყინვით ცა გასკდომი-ზეა, ხშირად დახეტილობდა დაკონკილი ელიოზი ტყეში, მარტოდ-მარტო, ცის გახსნისა და იმ ნატვრის ხის ნახვის მოლოდინში (ლენ., 12);

**ეს კია** ნაწილაკ-ფრაზეოლოგიზში შეიძლება მივიჩნიოთ მთავრის ბადალ წინადადებად.

ანალოგიურადაა:

2. რა დროს ეგ არის! იმ დალოცვილმა არ იცის ეხლა რა გვეჭირვება?

**კიდევ ეგ არის**, რომ კარგად იცის,

გულსაც ეგ უტეხს და ეგ ალონებს (აკაკი, 224);

3. ქურდებისა და დათას ომის დროს საკანში რა ხდებოდა, დაწვრილებით ამისას ვერაფერს ვიტყვი, სხვებისთვის არ მეცალა. **ერთი კია** — ჩხუბში მონაწილეთა რაოდენობამაც იმატა, ტემპმაც და გაშმაგებამაც (ამირ., 671);

4. განა დედა ყველაზე საყვარელია ამ ქვეყანაზე? ან ძმა ყველაზე ძვირფასია? **ეგეც არის**, ვერც დედობას გაგიწევს სხვა ვინმე, ვერც ძმობას (გამს., 312);

5. **ერთია კიდევ**: ჩვენი გარიგება საიდუმლოდ უნდა დარჩეს ყველასათვის, აუცილებელია ეს (ამირ., 264);

6. რას ამბობ, ადამიანო, **ნეტავი ვიცოდე?** (ილია, 86);

„აბღუშაპილი თანდათან ალტაცებაში მოდიოდა და გუნებაში ჰფიქროდა: „აი, სად ყოფილა ქალი! **კიდევ ეს არის**, რომ ამდენი ხანია ქართველები გვიმკლავდებიანო“ (აკაკი, 345);

8. თვლაზე თუ მიდვა, ქურდების ერთ დარტყმაზე დათას სამი დარტყმა მოდიოდა. **ეგ არის**, ქურდები ოცამდე იყვნენ და დათა კი მარტოხელა იცავდა თავს (ამირ., 671);

9. მოდი, შევალ, **ერთი ვნახოთ**, რას იტყვიან დღევანდელ ამბავისასო (ილია, 213);

10. არ გამაწბილო, ახლა, **კი ვიცი მე**, დინამიტის კაფსული გაქვს ჩამოტანილი თბილისიდან (დუმბ., 186);

11. რაჟა სარჩიმელია-ცინგლიანის წასართმევი საყვარელი დათა თუთაშხიას სად ყავს, **ვიცოდე ნეტავი!** (ამირ., 236);

12. — უკვდავების წყარო და ნაძალადევი ჭა, ერთმანეთს ვინ შეადარა?!

— აგრე ჰკითხე კარისკაცებს!... მაგრე არ არწმუნებენ.

— **კიდევ ეგ არის**, შეილო, რომ პირფერობა ახდენს საქმეს! (აკაკი, 324).

ბ) **დამოკიდებულის ბადალი წინადადება:**

1. განა მარტო ეს იყო საფრთხე?

ყველისციხის პატრონი ისეთი თავაწყვეტილი ვინმეა (რომ), **ერთიც**, ვნახოთ (.) მოეწყინა მცხეთაში მომწყვედულს და ამ ჟამიანობის დროს ქორწილი მოუნდა? (გამს., 313);

2. სოსოია უღლეურო, რა დღეში ჩამაგდე, **თუ იცი** (დუმბ., 255);

3. რატომ უნდა მეშინოდეს თქვენთან შეხვედრის, ნეტავი? პირადი ნაცნობობა გვექონია როდისმე, გინახივართ და გარეგნობა იცით ჩემი, თუ **რა არის კიდევ?** (ამირ., 337).

4. კაცო, ღმერთი ცაშია, მის იმელად ჩემი მტერი დადგეს(,) **თუ უნდა**, და ამ ჭაში ჩაგდებული კაცის იმედი ვისაა, რომ აქვს (ამირ., 90).

გ) **თანწყობილის ბადალი წინადადება:**

1. — დაგბერდით, მარტო ველარ შევექვით, და... — ბებია თეკლეს ძილი მოუვიდა.

— ეჰ, **კარგი ერთი**, — ბაბუამ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა ბოლი და გრძელ სწორ ხაზად ამოუშვა ფილტვებიდან (ჩრ., 53).

აქ **კარგი ერთი** ფრაზეოლოგიზებული წყვილი შეიძლება მივიჩნიოთ თანწყობილის ბადალ წინადადებად.

2. აბა, მოდი, ეს მეთოდი ჯერ მარტენის საამქროში ვსინჯოთ, რა მოჰყვებაო.

**ერთიც ვნახოთ და** ჩავფლავდით. მთელი ქარხნის სასაცილო გახდებით (ფანჯ., 235);

3. — საიდან მევიტანოთ მერე ხორცი? — გაუკვირდა ილიკოს.

— დამზადებას ჩავაბაროთ! — თქვა ილარიონმა.

— ჩეიბარებენ? — ვიკითხე მე.

— მაგი **კია** საკითხავი, **ხომ იცი უენ!** (დუმბ., 202).

ლიტერატურა

**კვარაცხელია, 1995** — გ. კვარაცხელია, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995.

**კვანტალიანი, 1990** — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.

**სკიბა, 1969** — Скиба Ю. Г. Семантика и функции частицы как служебного слова. Черновцы, 1969.

წყარო

**აკაკი** — ა. წერეთელი, „ერთობა ჩვენთვის ტანტია“, თბ., 1991.

**ამირ.** — ჭ. ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“, თბ., 1978.

**გამს.** — კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“, თბ., 1966.

**დუმბ.** — ნ. დუმბაძე, თხზულებანი ოთხ წიგნად, I, თბ., 1988.

**ილია** — ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, II: თბ., 1985.

**ლეონ.** — გ. ლეონიძე, „ნატურის ხე“, თბ., 1993.

**რჩ.** — გ. რჩეულიშვილი, მოთხრობები, პიესა, თბ., 1965.

**ფანჯ.** — გ. ფანჯიკიძე, „ავვისტოს ცხელი დღე“, თბ., 1983.

MARIKA SHERAZADASHVILI

### Phraseological Particles-Components of Situational Syntax

#### Summary

The phraseological particle is a complex type of particle, which consists of a cluster of merged words (or several words + an isolated adverb, interjection or a verb). The link between the elements of the particle is frozen. Functionally phraseological particles are identical to simple particles. The paper considers the phraseological particle to be a component of a phraseological sentence. The phraseological sentence may consist of clauses equal to principal, subordinate and compound ones.

გელიტა კობალაძე

**განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების  
ერთი სახეობის შემსახებ ჰართულში**

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან რამდენიმე მოსაგვარებელი საკითხი დაკავშირებული. ერთ-ერთია მთავარი წინადადების ასახსნელი სიტყვისა და დამოკიდებული წინადადების ურთიერთმიმართების საკითხი. წესისამებრ, განსაზღვრებითი წინადადება უშუალოდ უნდა მოსდევდეს მთავარი წინადადების ასახსნელ, ანუ მისამართ სიტყვას, რაც ნათელსა და გამჭვირვალეს ხდის წინადადებით გადმოცემულ შინაარსს. მაგალითად: არჩილი და კესო უტკეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ (ილია). მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს არ არის აუცილებელი და ასახსნელ სიტყვასა და ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებას შორის მთავარი წინადადების სხვა წევრების არსებობა აზრის მკაფიობას ხელს არ უშლის. ეს ხდება მაშინ, როდესაც 1. ასახსნელ სიტყვას ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი. მაგალითად: ყველა დაჩუმდა და **იმ კუთხეს** მიაშტერდა, სადაც არსენა ეგულეობდათ (ჯავახიშვილი); 2. ასახსნელ სიტყვას ახლავს განკერძოებული განსაზღვრება. მაგალითად: სწორედ ამ დროს ცხოვრობდა კახეთში ახმეტის მებატონე **ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბუნებისაგან უნაკლოდ შემკული**, რომლის გულიც ვერაფრით ვერ მოიგეს თათრებმა (აკაკი) და 3. ასახსნელ სიტყვასა და დამოკიდებულ წინადადებას შორის მთავარი წინადადების შემასმენელი დგას. მაგალითად: ზაზა **შანშე მდივანს დაეთხოვა**, რომლის მეურვეობაშიც იგი იმყოფებოდა (გოთუა).

ჰართულში საკმაოდ ხშირად ხდება ასახსნელი სიტყვის გამეორება მასზე ყურადღების გამახვილების, მისი აქტუალიზაციის მიზნით. იხ. სათანადო ნიმუშები:

მზეს ირგვლივ **შავი ღრუბელი** შემოვლენოდა..., **შავი ღრუბელი**, რომლის კარმა ოქროსფრად ანათებდა (ლორთქიფანიძე); იმ

სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო **ჭუბას ჩაიცვამდა, ჭუბას**, რომელიც ერთიორად სიმაღლეს უმატებდა (ვაჟა); მის ვაჟკაცურ სახეს მრისხანე გამოხატულებას აძლევდა **ხმლის კვალი, ხმლის კვალი**, რომელიც შუბლზე აღმაცრივ ჩასდევდა (ბარნოვი).

ასახსნელი სიტყვის ტექსტიდან გამოყოფის, მისი აქტუალიზაციის შემთხვევებს ხშირად ვხვდებით ზეპირ მეტყველებაში, კერძოდ, საჯარო პირთა გამოსვლებში. იხ. რამდენიმე ნიმუში:

საქმე ძალაუფლების **ლეგიტიმიზაციას** ენება, **ლეგიტიმიზაციას**, რაც საყოველთაო ფარული არჩევნებით უნდა მოხდეს; შინაპარტიული **ჩხუბები** უნდა დამთავრდეს, **ჩხუბები**, რომლებიც ასე შემოგვეჩვია; დღემდე ვერ მოგვარდა ეს **საკითხები, საკითხები**, რომელიც ასე მტკივნეულია; აუცილებლად იქნება განხილული მოქალაქეთა **საჩივრები, საჩივრები**, რომელიც დღესდღეობით არის შემოტანილი; ეს არის მთავარი **პრობლემა, პრობლემა**, რომელიც გულდასმით შესწავლას მოითხოვს; ყოველ ღამე ხდება **შეტაკებები, შეტაკებები**, რომელთა სცენარი არ იცვლება; იქნება გარკვეული **უკმაყოფილებები, უკმაყოფილებები**, რომელიც საზოგადოებაში იჩენს თავს; გვინდა წარმოვიდგინოთ რამდენიმე **სიუჟეტი, სიუჟეტი**, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ; მიხედოს **ქვეყანას, ქვეყანას**, რომელიც დანგრევის პირას არის მისული.

მოსაუბრის მიზანი გასაგებია. იგი მსმენელის ყურადღების მისაპყრობად ახდენს მთავარი წინადადების ასახსნელი (მისამართი) სიტყვის აქტუალიზაციას.

არსებობს ასახსნელი სიტყვის აქტუალიზაციის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც სალიტერატურო ჰართულისათვის, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას აპყრობს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ის მოდელები, რომლებიც **რა, რომელი** და იშვიათად **როგორი** და **რამდენი** საკავშირებელი სიტყვებით (წევრ-კავშირებით) ექვემდებარებიან მთავარ წინადადებას. გასათვალისწინებელია, რომ ასახსნელი სიტყვა (კორელატივით თუ უკორელატივად) უპირობოდ არის მთავარი წინადადების წევრი, ხოლო წევრ-კავშირები — დამოკიდებულისა. თანამედროვე ჰართულში კი, კონკრეტულად ზეპირ მეტყველებაში, არის, ჩემი აზრით, სახიფათო ტენდენცია, ასახსნელმა სიტყვამ, ცხადია, უკორელატივად დამოკიდებულ წინადადებაში დაიმკვიდროს ადგილი. იხ. სათანადო მაგალითები:

წევრ-კავშირი **რა**

ეს იქნება **ის ფასი, რა ფასიც** იქნება მსოფლიო ბაზარზე; ოპერაცია ვმართოთ **იმ ფორმატით, რა ფორმატიც** წინასწარ იქნება შეთანხმებული; დავაფიქსიროთ **ის პოზიციები, რა პოზიციებიც** საქართველოს აქვს; დარეკეთ **იმ ნომერზე, რა ნომერიც** მითითებულია ბარათის უკანა მხარეს; მომავალ წელსაც იმავე **თანამდებობაზე** იქნებიან, **რა თანამდებობაზეც** ახლა არიან? მე ნაწილი ვარ **იმ კულტურისა, რა კულტურის** ნაწილიც არის დღეს საქართველო; ვეთანხმები **იმ პათოსს, რა პათოსითაც** დაიწყო ეს გადაცემა; ვლაპარაკობ **იმ დღიდან, რა დღიდანაც** საქართველოში ლტოლვილები გაჩნდნენ; **ის სტატისტიკური მონაცემები, რა სტატისტიკური მონაცემებიც** აქ განმიიანდა, არ შეეფერება სინამდვილეს.

წევრ-კავშირი **რომელი**

შეუძლია დარჩეს **იმ ბინაში, რომელი ბინაც** მათ ფონდმა შეუძინა; მას მოუვიდა **შეცდომა, რომელი შეცდომაც** მას არ ეპატიება; მინდა მივმართო ყველა **ადამიანს, რომელი ადამიანიც** ინსულინით ცხოვრობს; **იმ ხალხის** მხრებზე უნდა გადაიაროს, **რომელი ხალხიც** თქვენს წინაშეა წარმოდგენილი; უპირობო მხარდაჭერა **იმ კურსისა, რომელ კურსსაც** ახორციელებს პრეზიდენტი; პირველ მარტამდე **ის ტარიფი** მოქმედებს, **რომელი ტარიფიც** გაუქმებული იყო; შეცვალეთ **ის ხელისუფლება, რომელი ხელისუფლებაც** თქვენს პრობლემებს ვერ გადაწყვეტს; მოუტანა **ის უბედურება, რომელ უბედურებაშიც** ჩვენი ქვეყანაა; **იმ რეჟიმის** ჩემოყალიბებით, **რომელ რეჟიმსაც** ანალოგი არა აქვს...; ჩაეყარა **ის საფუძვლები, რომელ საფუძვლებსაც** ემყარებოდა შემდეგ ევროპა; ეს არის დამოკიდებული **იმ ბრალეულობაზე, რომელი ბრალეულობაც** ჩეჩნებს წაეყენებათ; ეს არის **იმ მოვლენების** ობიექტური ანალიზი, **რომელ მოვლენებსაც** ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით.

წევრ-კავშირი **როგორი**

გამოიტანეს ისეთი **განაჩენი, როგორი განაჩენიც** მართებულად ჩათვალეს; **ისეთი განცხადება, როგორი განცხადებაც** ახლა მოვისმინეთ, ყოვლად მიუღებელია; რა მიზანი აქვს **ისეთი გამოხმაურებას, როგორი გამოხმაურებაც** უპასუხოდ დარჩება; **ისეთი მობილიზაცია, როგორი მობილიზაციაც** ჩატარდა, არადამაკმაყოფილებელია; გადაცემას **ისეთი გულისკანკალით** ვუსმენდით, **როგორი გულისკანკალიც** არასოდეს განგვიცდია.

წევრ-კავშირი **რამდენი**

შეუძლიათ მიიღონ **იმდენი ინსულინი, რამდენი ინსულინიც** მათ სჭირდებათ.

სტატიაში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა რეალურ ვითარებას ასახავს, ანუ მთავარი წინადადების ასახსნელი სიტყვის დამოკიდებულ წინადადებაში გამეორება უფრო ინტენსიურად ხდება **რა** და **რომელი** წევრკავშირებიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, ვიდრე **როგორი** და **რამდენი** წევრკავშირიანებში.

ბუნებრივად გვეჩვენება საკითხის ასე დასმა: რამ შეუწყო ხელი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ამ მოდელის გააქტიურებას ზეპირ მეტყველებაში. ჩვენი წყაროა სხვადასხვა რანგის საჯარო პირების მეტყველება ტელეგადაცემების მიხედვით. ასეთი ფრაზები სისტემატურად ისმის ტელევიზიის არხებიდან, პარლამენტის დარბაზიდან. ასე მეტყველებს პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი. როგორც ჩანს, ამგვარად მეტყველება მათთვის ჩვეული და ბუნებრივია, რაც ამ მოვლენის გავრცელებას უწყობს ხელს. თქმა იმისა, რომ წინადადების ასე აგება ქართული ენის რომელიმე დიალექტიდან მომდინარეობს, სიმართლეს არ შეესაბამება. ვერც იმას გიტყვით, რომ დასავლეთი ან აღმოსავლეთი საქართველოს მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ასე შეიძლება კახელიც მეტყველებდეს და იმერელიც, მაგრამ წინადადების ასეთი წყობა მაინც პროვინციალიზმად უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ არგუმენტად ვერც მოსაუბრეთა განათლების დონე გამოდგება, რადგანაც განათლებული ადამიანებიც, რომელთა განსწავლულობაში ეჭვი არ გვეპარება, საკმაოდ ხშირად ასე აგებენ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კარგიც და უვარგისიც გადამდებია და ძნელია ჩვევად ქცეული უმართებულო ენობრივი ყალიბების უკუგდება, რა მოჰყვება ამ ვითარებას, რა გავლენას იქონიებს ეს მოვლენა სალიტერატურო ქართულზე? უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, როგორ რეაგირებს ჩვენი მწერლობა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ამგვარ მოდელზე. უნდა ითქვას, რომ კლასიკური მწერლობა (ილია, აკაკი, ვაჟა) მას არ იცნობს. როგორც ჩანს, შემდეგდროინდელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. არც ჩვენი ეპოქის სახელგანთქმული მწერლებისა და მოქართულეებისათვის (მ. ჯავახიშვილი, გ. ლეონიძე, ჭ. ამირეჯიბი, ძმები ჭილაძეები, ჯ. ქარჩხაძე...) არის ბუნებრივი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადე-

ბის ეს მოდელი, მაგრამ თანამედროვე მწერლობაში კანტიკუნტად მაინც გაივლევს (მაგალითად, დ. ტურაშვილის ასეთი ფრაზა: „როგორ აპირებდა ნემენცების ბადის დარბაზში **სურათების** ჩვენებას „ვეფხისტყაოსნიდან“; რომელი **სურათებიც** საგანგებოდ დაამზადებინა ქალაქ ლეიფციგში“. რაც შეეხება გ. ლოჩანაშვილს, იგი ასეთ კონსტრუქციას უფრო სტილისტიკურ დატვირთვას ანიჭებს. ამას გვაფიქრებინებს მისი ბოლოდროინდელი მოთხრობა „ძმისავ“, რომლის ენა და სტილი ერთგვარ ექსპერიმენტად გვესახება. ავტორი ენობრივად და სტილისტიკურად დახვეწილი მოთხრობებისა („კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“ და სხვ.) აქ ნაკლებად განათლებული, ნაკლებად მოფიქრალი ადამიანების ისეთი მეტყველების უტრირებას ახდენს, რაც, ჩემი შეხედულებით, ქალაქური მეტყველების დამახასიათებელი მოვლენაა. მას ყოველდღიურად ვაწყდებით, აქტიურად ზემოქმედების უნარი კი არ გაგვაჩნია. იხ. ნიმუშები:

ლარისა **ეკლესიას** ხანდახანურად მიეკედლა ნუგეშისათვის, **რომელი ეკლესიის** არსებობა მან მხოლოდ შენობითდა იცოდა („ძმისავ“, გვ. 3); ძალიანაც გაუღიმა **ლარისას, რომელი ლარისაც** სამარხვო საჭმლის ამოღებით იყო დატვირთული (გვ. 4); შედგა ფეხი **სკოლაში, რომელი სკოლაც...** (გვ. 16); გრძნობდა თუნდაც უხილავ იმედსა და **ძალას**, რომელი ამოუცნობი **ძალის** წყალობითაც თურმე მთვარით დამოკიდებულია თვით ოკეანეების წყალთა მიქცევა და მოქცევა (გვ. 23).

სად არის გამოსავალი?! ერთადერთი გამოსავალია საზოგადოების წიგნიერების დონის ამაღლება, რაც ოჯახისა და სკოლის საქმეა, აგრეთვე ენისა და მისი პრობლემებისადმი შეგნებულ დამოკიდებულების გამომუშავება. დიდი როლი ეკისრება რადიოსა და ტელევიზიას. მათ უნდა შეაჩვიონ საზოგადოება, რომ დიდი ილიას ერთერთი პოსტულატის დეკლარირება საკმარისი არ არის. ენას სერიოზული მოვლა სჭირდება, რაც ყოველი ჩვენგანის, ჩინიანისა თუ უჩინოს, მოვალეობაა.

ლიტერატურა

**კვაჭაძე, 195.** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინ-

ტაქსი, თბ., 195.

წყარო

**ლოჩანაშვილი, 2001** — გ. ლოჩანაშვილი, ძმისავ, თბ., 2001.

MELITA KOBALADZE

### On One Type of Attributive Clause in Georgian

#### Summary

The paper analyses one type of attributive clause which has become quite frequent in current Georgian spleen discourse, and is problematic for Standard Georgian. The clause in question repeats the modified word of the principal clause.

## სათუნა მაჭავარიანი

კონტაქტი და კითხვითი წინადადების ფუნქციური-  
სამანტიკური თავისებურებანი

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ურთიერთობას, რომელშიც ასახულია ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია — საკომუნიკაციო ფუნქცია. დღეისათვის, გლობალური მეტამორფოზების პირობებში, ადამიანს დროის ძალზე მცირე მონაკვეთში უხდება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული საკომუნიკაციო გარემოს გამოცვლა, რაც გულისხმობს შესაბამისი პირობების, აზროვნების, ინფორმაციის გაცვლისა და სხვა მრავალი სახის ცვლილებათა სიხშირეს. ყოველივე ეს კი აისახება სამეტყველო ურთიერთობაზე.

ლინგვისტთა უმეტესობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი თვალთახედვით შეისწავლის ენას, საკომუნიკაციო დანიშნულებას აღიარებს ენის უპირველეს ფუნქციად. არც ერთი სოციალური აქტის განხორციელება არ შეიძლება კომუნიკაციის გარეშე. მისი საშუალებით ადამიანები გამოხატავენ გრძნობებს, ცვლიან თვალსაზრისებს, აღწევენ დასახულ მიზანს და ა. შ. ენას სამეტყველო სიტუაციის რეალიზებისათვის უამრავი საშუალება გააჩნია. მათ შორის მნიშვნელოვანია წინადადების ისეთი კომუნიკაციური ტიპი, როგორცაა კითხვითი წინადადება. სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, რა განაპირობებს „ჩვეულებრივი“ კითხვითი წინადადების ტრანსფორმაციას რიტორიკულად.

მოგვხსენებთ, რომ წინადადება (ან ნებისმიერი სამეტყველო ერთეული) ყალიბდება ყველა იმ დეტალის გათვალისწინებით, რომელიც საკომუნიკაციო გარემოს კუთვნილებაა. კომუნიკაციის პროცესი თავისთავად რთული მოვლენაა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანებს შორის ურთიერთკავშირის დამყარებასა და ინფორმაციის გაცვლას. თუმცა საკომუნიკაციო მიზანი მრავალგვარი შეიძლება იყოს იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განსაზღვრული ნორ-

მები და წესები ურთიერთობის დაწყების, მსვლელობისა და დამთავრების, ანუ ის სოციალური გარემო, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება. იმისათვის, რომ ინფორმაციის გაცვლა (ან გადაცემა) ეფექტურად განხორციელდეს, ინფორმატორი უნდა ფლობდეს ყველა საჭირო ინსტრუმენტს, რათა სამეტყველო სიტუაციის მექანიზმი მის სასარგებლოდ ამოქმედდეს. კომუნიკაციისას აუცილებელია სამეტყველო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების ცოდნა და დაცვა, როგორც ერთი ენობრივი კოლექტივის შიგნით, ასევე სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა ურთიერთობის ფარგლებში. აღნიშნული ფაქტორი მკვეთრად განაპირობებს დასახული მიზნის წარმატებით შესრულებას.

ჩვენს ხელთ არსებული საილუსტრაციო მასალა გვაძლევს საშუალებას, აღვნიშნოთ, რომ რიტორიკული შეკითხვების სიმრავლე შეიმჩნევა როგორც მონოლოგურ, ასევე დიალოგურ მეტყველებაში. აღნიშნული მახასიათებელი ვრცელდება მეტ-ნაკლებად ყველა ფუნქციურ სტილზე. ჩვენი კვლევის ობიექტი არის რიტორიკული წინადადება, რომელიც მოცემულ კონტექსტში იქცა ამგვარი სტატუსის მატარებლად და არამც და არამც არ ვეხებით იმგვარ რიტორიკულ შეკითხვებს, რომლებიც ჩართულებად ცნობილი გამონათქვამებია, როგორც სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელი ელემენტები და ენაში სიტყვის მასალადაა დამკვიდრებული. ჩვენთვის ამ ეტაპზე საინტერესოა შეკითხვის ტრანსფორმაცია არა ჩართულად, არამედ — რიტორიკულად.

კითხვითი წინადადება, შეიძლება ითქვას, კომუნიკაციის ღერძია. მისი მთავარი დანიშნულებაა, მოიპოვოს ინფორმაცია, ზოგჯერ იმაზე მეტი, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული შეკითხვით; დადასტუროს ან უარყოს მოსაუბრის მოსაზრება. ამ თვალსაზრისით რიტორიკული შეკითხვა მკვეთრად განსხვავდება საკუთრივ კითხვითი წინადადების შეკითხვისაგან. იგი არ მოითხოვს პასუხს, თავად შეიცავს მტკიცებას ან უარყოფას და, რაც მთავარია, გამოიყენება როგორც სტილისტიკური საშუალება ემფატიკური კომუნიკაციის პროცესში.

ინფორმაციის გადაცემა არ არის მშრალი პროცესი (იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით). ნებისმიერ შეკითხვას ჰყავს აღრესატი პირველი ან მეორე პირის სახით. აქედან გამომდინარე, შეკითხვა შესაძლოა ატარებდეს შინაგან ხასიათს, როცა აღრესატი სა-

კუთარ თავს უსვამს კითხვას — ეს პასუხის მიღების გზა ინტროსპექტული აზროვნების საშუალებით, და გარეგან ხასიათს, როდესაც მიემართება მეორე პირს (ტენიერი, 1988, 206). ჩვენ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ადრესატი (რეალური ან მირაჟული) მეორე პირია. კომუნიკაციის დამყარების პირველივე წუთებიდან ამოქმედებას იწყებს ყველა ის მექანიზმი, რომელთა ოსტატურად გამოყენება წარმატებული ფინალის საწინდარია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელოვნებაა და საკმაოდ იშვიათიც. შემთხვევითი არ იყო, რომ რიტორიკულ კითხვას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, როდესაც მეტყველების სტილის ღირსება მის დამაჯერებლობაში, დარწმუნების ძალაში მოიძიებოდა (კანდელაკი, 1958, 378). ამ დროს მთხრობელი ან მწერალი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით. საჭიროა უამრავი სხვადასხვა სახის ინსტრუმენტი აუდიტორიის (იგულისხმება ადრესატი) „ხელში ასაყვანად“, თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად, უხერხული, მოულოდნელად ჩამოვარდნილი პაუზების შესავსებად ან თავიდან ასაცილებლად და ა. შ. ყოველივე ეს ვერბალური კომუნიკაციის მახასიათებლებია (ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კინესიკური სიგნალებიც დიდი როლს ასრულებს მსგავს კონტექსტებში ზეპირი კომუნიკაციისას). მის გარეშე შეუძლებელია ეფექტურად გადასცე ინფორმაცია, მოახდინო შთაბეჭდილება, შეიქმნა ავტორიტეტი, მიაღწიო დასახულ მიზანს.

„რიტორიკული კითხვა ზეპირი მეტყველების წიაღშია აღმოცენებული და წერით მეტყველებაში იმდენადაა ჩართული, რამდენადაც ეს უკანასკნელი ზეპირის ფიქსაციას წარმოადგენს (აფრილონიძე, 2003, 100). კომუნიკაცია შეიძლება იყოს ინფორმაციული, არაინფორმაციული ანუ უბრალოდ საურთიერთო (საკონტაქტო, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს სხვადასხვა ფუნქცია, გარდა ინფორმაციისა) და სინთეზური, სადაც ერთიც არის და მეორეც. სწორედ ეს უკანასკნელი იწვევს ჩვენს ინტერესს. სამეტყველო სიტუაციის ამგვარ კონსტრუქციაში რიტორიკული შეკითხვა მოთავსებულია არაინფორმაციულ ანუ „საკონტაქტო“ ნაწილში. აღნიშნული ნაწილების გასარჩევად საკმარისია ტექსტი გულდასმით წავიკითხოთ. ვინაიდან რიტორიკული შეკითხვა ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ავტორი, როგორც წესი, მას მეტყველების (ან წერის) იმ ნაწილში იყენებს, სადაც სურს ნათქვამისათვის

დამაჯერებლობისა და შემფასებლურ-ექსპრესიული ელფერის მინიჭება. ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„გონება ხედავს საგნების მუსიკას — ეს ქართული ხმაა. „შენ ხარ ვენახი“ ვიგალობთ! მანამდეც ვგალობდით, სანამ დაიწერებოდა, ხმა არსში მწიფდებოდა და დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა თავის თავს... მამული ჰიმნია... ამ ჰიმნს ვერ დაანაწევრებ. საქართველო გიგანტური ციური სხეულივით ირწევა ზესკნელსა და ქვესკნელს შორის, მისი დალოცვილი ყელიდან ეს ჰიმნი იფრქვევა. მას სამყარო უსმენს.

რას გამოხატავს მისი „ურმული“, „მუმლი მუხასა“, „ჩაკრულო“, „ლაშქრული“, „დიდოუნანა“, „ლილეო“, „კრიმანჭული“, „წინწყარო“, „მრავალყამიერი“, სიმღერების ფილოსოფია რას გვეუბნება, ხავერდოვანი ხმების მიღმა რა აზრი იტოტება, სხეულისა და სულის რა დადღასმული ანატომია გვიდნება ხმაში?

რამ მისცა ფერი და ფორმა ჩვენს სევდას, სიხარულს, აღმაფრენას, შემართებას? ქართულს ხომ ყველგან გამოარჩევ, რა ძალა გამოგვარჩევინებს? რატომ გვანან ქართული ტაძრები საქართველოს მშვენიერ ასულებს, რატომ მხოლოდ ისინი გვაჩოქებენ მუხლებზე?.. რამ შეგვადლებინა ქართველი ქალის ხასიათისათვის დაგვემგვანებინა წმინდა ტაძარი, რად გვეკრძალება მალლა ახედვის, მუხლებზე დაჩოქილთ „ცეცხლწაკიდებული ლტოლვა“ რატომ არ გვასვენებს? რად არის აუხსნელი თრთოლა და რიდი ქართველი ასულებისა, როცა საქართველოს ციხესიმაგრეებს გაჰყურებენ, რატომ დგებიან მათ ქონგურებზე ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ლანდები?

ფიქრი დაუმცხრალი სურვილით არის შეპყრობილი, განიცადოს მამული სრულად და როცა ერთ რიგიან ნახტომს მაინც გააკეთებს ამ გზაზე — განათდება ბენიერი წამი“ (ღვინჯილია, 1990, 93).

ბოლო წინადადება ერთგვარი დასკვნაა იმ ფიქრთა მდინარებისა, რომელიც მიჯრით მიწყობილ, ექსპრესიულად საკმაოდ დატვირთულ კითხვით წინადადებებშია თავმოყრილი. არც ერთი მათგანი არ მოითხოვს პასუხს. გრაფიკულად რომ წარმოვსახოთ ამ წინადადებათა ფუნქციურ-სემანტიკურ-ექსპრესიული მიმართება ყველა დანარჩენ წინადადებასთან, ისინი პიკის მდებარეობას დაიჭერენ.

„ანეგდოტური მდგომარეობაც კი შეიქმნა: გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ თეატრთმცოდნეები ვაჟა-ფშაველას მიაწერენ. ამავე დროს

ეს პიესა ვაჟას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შეაქვთ. არც თეატრებში დგამენ. თუ ვაჟასია, რატომ არ ბეჭდავენ და არ დგამენ? თუ ვაჟასი არ არის, მაშინ რა ნამუსით ვაკუთვანებთ „ლამარას“ დიდი ქართველ პოეტს? რატომ გვინდა ვაჟაც დღევანდელი უსინდისობის მონაწილე გავხადოთ? მაგრამ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ყოველგვარ სისაძაგლეს დასაშვებად მიიჩნევს“ (ბაქრაძე, 1990, 24); „ავიღოთ უბრალო მაგალითი: დღეს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარეობს AAI-ის მშენებლობა. ბავშმაც კი იცის, რომ ეს ხდება არა შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური ათვისების მიზნით, არამედ სამხედრო თავდაცვის ამოცანით. იქ, ჩინეთის სახით, რუსეთს დაუძინებელი მტერი ჰყავს... თუ ქართველი თავს რუსად არ თვლის, მაშინ მას AAI-ის მშენებლობაზე არაფერი ესაქმება. ტყუილად ღვრის იქ სისხლსა და ოფლს. ჩინეთი საქართველოს არ ემუქრება. ერთი ციკქნა ქართული ტერიტორია მას არაფრად სჭირდება. ეს ერთი. მეორეც: თუ ქართველი ეროვნულად თავისუფალი არ იქნება, განა სულერთი არ არის, ვინ იქნება მისი ბატონი — რუსი თუ ჩინელი? ანდაზა ამბობს: გინდ მგელს შევუჭმივარ, გინდ — მგლისფერ ძაღლსო. თუ იმდენად დაგვიჩლუნგდა გონება, რომ რუსის სტომაქზე უკეთესი ვერაფერი წარმოგვიდგენია?“ (ბაქრაძე, 1990, 17).

„რა უღვთობაა, ყმაწვილო კაცო, ამიხსენ გამაგებინე! — ვის რა დავუშავე, რა წავუხდინე? გეფიცები, ყოველდღე ვიგონებ ჩემს ცოდვებს, რომ შევინანო და ვერ მომიგონია და ახლა რად გადამხდა? ვის გულისთვის? ორი ათასი წელიწადია, ჩემი გვარი თავადობდა! რამდენი იყო ჩემი გვარისა — კაცი, ქალი!.. ახლა ამისთანა საწყალ მოხუცის წელზე უნდა გადატყდეს ჯოხი? მათი ცოდვები მე რათ უნდა ვზიდო, მე მარტოდმარტომ? ცოდვა არა ვარ? სამართალია? მერე რა ცოდვები მე მიმიძღვის, რა სისხლის მსმელი და მიწის დამარბეველი მე მნახეს?“ (ლეონიძე, 1990, 53).

დიალოგებში, სადაც ურთიერთობა ფამილიარულ საწყისებზეა აგებული, კიდევ უფრო მეტია რიტორიკული შეკითხვა. როგორც კი კომუნიკაცია ემფატიკურობის ფაზაში შედის, სასაუბრო ველი კარგავს ინფორმაციულობის ფუნქციას და „ოდენ საკონტაქტო“ (ექსპრესიულ-ემოციური ფონით) დანიშნულებას იძენს. ასეთ გარემოში მონვედრილი ჩვეულებრივი კითხვითი წინადადება გადაიქცევა რიტორიკულად, რომელიც პასუხს არ მოითხოვს და აღიჭურვება ზემოაღნიშ-

ნული ფუნქციებით. ამგვარი ტრანსფორმაცია ინფორმაციულობიდან ემფატიკურობისაკენ და პირიქით, შესამჩნევია მხოლოდ კონტექსტის ფარგლებში.

ქართული ენის ფუნქციურ სტილთა შორის რიტორიკული წინადადებებით მდიდარია მხატვრული სტილი. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილისთვის აღნიშნული საკომუნიკაციო ერთეული სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს, განსაკუთრებით გამოირჩევა მხატვრული პუბლიცისტიკა, ინფორმაცია-ქრონიკები კი უკიდურესად ობიექტურია და შაბლონის მიხედვით იგება, აქ ავტორის „მე“ უგულებელყოფილია. მზა სტერეოტიპური ბლოკებისაგანაა შემდგარი ნაკლებად სტანდარტული არაოფიციალური ინფორმაცია (კვარაცხელია, 1990, 126).

შედარებით ნაკლები, მაგრამ საკმაო რაოდენობით ვხვდებით რიტორიკულ შეკითხვებს სამეცნიერო სტილის ნაშრომებში: სალექციო კურსებში, ინტელექტუალურ საუბრებში, სამეცნიერო დისკუსიებსა თუ მონოგრაფიებში (მეცნიერების სხვადასხვა დარგში ბალანსი სხვადასხვაგვარია). აღნიშნული ფუნქციით რიტორიკული კითხვა ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაშიც. დღეისათვის მისი მოხმარების არეალი კიდევ უფრო ფართოვდება. ამის ნათელი დადასტურებაა რიტორიკული შეკითხვის ხვედრითი წონის ზრდა როგორც ქართულ სიტყვაკაზმულ პროზაში, ისე პოეზიის ენაში.

#### ლიტერატურა

**აფრიდონიძე, 2003** — შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, თბ., 2003 (სადოქტორო დისერტაცია).

**ბაქრაძე, 1990** — ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.

**დავითიანი, 1966** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

**კანდელაკი, 1958** — ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1958.

**კვარაცხელია, 1990** — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.



**კვაჭაძე, 1996** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

**ლეონიძე, 1990** — გ. ლეონიძე, ნატურის ხე, 1990.

**სერგია, 1989** — ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 1989.

**ტენიერი, 1988** — Ё. Оáíüáð, Íñíáñ Ñòððëòðííáí Ñèíòàèñèñà, Ё., 1988.

**ღვინჯილია, 1990** — ჯ. ღვინჯილია, წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1990.

## KHATUNA MACHAVARIANI

### Context and Functional-Semantic Peculiarities of Interrogative Sentences

#### Summary

The interrogative sentence with a specific semantics is an essential component of a communicative act. The paper examines the transformation of an interrogative sentence into a rhetorical one. The transformation in question requires a certain type of context viz. the addressee should be in the second person. The process should be accompanied by the skilful use of communicative mechanisms, which is an art in itself. As is known, for an efficient communication, the conveyance of factual information is not sufficient, involvement of the addressee is of crucial importance; the rhetorical sentence is one of the means of the involvement strategy. The paper maintains that rhetorical sentences are quite frequent in all the functional styles of the Georgian language, the highest frequency of occurrence is evidenced in literary and belletristic styles.

ოთარ აძინავია

### თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ქართულსა და მებრულში

უბრალო დამატება ქართულში ძირითადად მიცემითი ბრუნვის ფორმებზე -თან, -ზე, -ში თანდებულების დართვითაა წარმოდგენილი. სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში იშვიათად უთანდებულო უბრალო დამატებებიც იჩენს თავს („**სმალს** ხელი იკრა“, **ქუდს** ხელი იტაცა“, **თავს** ზარი დაეცა“...) -**თან** თანდებულებიან უბრალო დამატება სხვადასხვა მნიშვნელობისაა:

ა) გამომხატავს სამოქმედო საგანს:

მაგ. გამთენიიდან **მიწასთან** ნაბრძოლს დაღლილობას ახლა უწია.

**ნაღვარევთან** ბრძოლა ელვის სისწრაფით მთელმა სოფელმა გაიგო (ყაზბ.).

ბ) უფრო გავრცელებულია თანაობის გამომხატვა:

მაგ. დედაჩემს **ცნობისმოყვარეობასთან** შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა (წერ.).

-**თან** თანდებულებიან თანაობის დამატებას ახალ ქართულში გასაძლიერებლად ჩვეულებრივ **ერთად** ზმნიზედა დაერთვის, რომელიც უფრო ნათლად განაზავს დამატების აღნიშნულ მნიშვნელობას.

მაგ. ეზოში **მოხუცებთან ერთად** მრავლად მოეყარათ ახალგაზრდებს თავი.

**სხვებთან ერთად** გიოც შენიშნა ბეჟანამ (ქიაჩ.) თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება მიცემითში, თავის მხრივ, სხვადასხვა მნიშვნელობისაა. პირიან ფორმასთან იგი ორგვარია:

ა) შემასმენლით გამომხატულ მოქმედებას ასრულებს არა მარტო ქვემდებარე, არამედ უბრალო დამატებით გადმოცემული საგანიც, მაგრამ ისე, რომ ქვემდებარის მოქმედება თან სდევს უბრალო დამატებისას.

მაგ., მგლებიც **მეცხვარეებთან ერთად** მთა-ბარობენ (რაზ.)

ბეჟანა **გიოსთან ერთად** ეზოში შევიდა (ქიაჩ.)

მარტო დამტოვეთ ჩემს **შვილთან ერთად** (ჭავჭავ.)

**ერეკლესთან ერთად** ზურაც იდგა(ჯავახ.)

ბ) ეხება იგივე მოქმედება, რაც პირდაპირ დამატებას:

მაგ., გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხები **ბალახებთან ერთად** ყვავილებს (ვაჟა)

ტყვიის სადნობ ტაფაში სხვა ტყვიის **ნაჭყლეტებთან ერთად** ნინამ ერთი ტყვია ჩააგდო (ვაჟა)

-თან დართული უბრალო დამატების კიხთებია: ვისთან? რასთან? ვისთან ერთად? რასთან ერთად?

მაგ., ღვთისაგარ, **შენთან ერთად** ვინ მღეროდა? (ჯავახ.)

-**თან** თანდებულს მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი უძღვის ბოლო-მოგნიან ფუძეებთან. სხვა შემთხვევაში, თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში, ბრუნვის ნიშნად ნულოვანი ალომორფია წარმოდგენილი. მიცემითი ბრუნვის -ს ფორმანტის დაკარგვა ფონემატური მოდელის მორფოლოგიურ მოდელზე გავლენის შედეგად არის მიჩნეული (უთურგაიძე, 1979, 115). \*სახლსთან, \*კაცსთან, \*ვენახსთან და მისთანა ისტორიულად დასაშვებ ფორმებში ინტერვოკალურ პოზიციებში თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები ჩამოყალიბდა, რომელთა განაწილება ხმოვნებს შორის ენისთვის დამახასიათებელი ფონემატური სტრუქტურით განპირობებული კანონზომიერებით ვერ მოხერხდა. ქართული ენის დიალექტებში ეს პროცესი შორს წავიდა: სახლსთან → სახლთან → სახთან...

თანაობის, თანყოფის გამომხატველ -თან თანდებულს მეგრულში ეფარდება: — წკუმა || წკება (ზუგდიდურ-სამურზაყანულში) და — წკალა || წკალა თანდებული სენაკურ-მარტვილურში.

მაგ., სი ხოლო ბედუქო რაგადის **ჩქიმნკმა?** ხუბ., 81, 9 — შენ კიდევ ბედავ ლაპარაკს **ჩემთან**.

**სქანიწკმა** ვორდა მა ხოლო მაქ უწი: ხუბ., 43, 13 — **შენთან** ვიყო მეც — მეტქი, ვუთხარი.

ჩქიმი სქულაფე **თქვანიწკმა** ცოფენა: ხუბ., 144, 31 — ჩემი შვილები **თქვენთან** ყოფილან.

ჯიმუშიერი ვეზირიში **სქუაწკმა** ბურთის ილაყაფუ: ყიფშ., 74, 2 — ჯიმუშიერი ვეზირის **შვილთან** ბურთს თამაშობს.

ბალანაქ მინდორს ლაყაფი ქედიჭყუ შვა **ბაღანეფიწკმა**: ყიფშ., 34 — ბავშვა მინდორში თამაში დაიწყო სხვა **ბავშვებთან**.

ამსერი მეულუ **სქანწკმა** გიჩქუდას, ტიბუ ნორჩალ გირჩუდას (მეგრული ხალხ. სიმღერა) — ამაღამ მოვალ **შენთან** იცოდე, თბილი ლოგინი გქონდეს გაშლილი.

სატანა ორენია კოჩიში სახეთ **ჩქიმწკმა**: ხუბ., 43, 9 — სატანა არისო კაცის სახით **ჩემთან**.

ათე ოსურში ათე ოსურში **დიდა დო მუმაწკმა** ქუდმოხუნეთია: ხუბ., 45, 22 — ამ ქალის **დედ-მამასთან** დაგვსვითო.

ქუაქ გეურჩქინდუ თე ხენწფეში სქუას თე **ცირაწკმა**: ხუბ.: 46, 4 — შვილი გაუჩნდა ხელმწიფის შვილს ამ **ქალთან**.

**სქანწკმა** ოკო დობლურე შხვადო სოთინი ვამალინე: ყიფშ., 83, 12 — შენთან უნდა მოვკვდე, სხვაგან ვერსად წავალ.

ცხოვრენდეს მუნეფიში სქუა **ნოსაწკმა**, ქართ. ხალხ. სიტყვიერება, ტ. II, გვ. 5, 31 — ცხოვრობდნენ თავიანთ **შვილთან** და **რძალთან**.

მარა **ალიშქერიწკმა** მუ გალედუ: სიტყვ., II, 168, 19 — მაგრამ ალიშქერთან რა გაუვიდოდა.

ქუმასარგალუ მუში **ბარგიწკმა**: სიტყვ., II, 118, 20 — მოათრია მის **ტანისამოსთან**.

ართი **ინჭაწკმა** გამოლუ წყურიშიქ დო იშო ქენოლუ: სიტყვ., II, 192, 24 — ერთ **ჭასთან** მოძვრა კვირისტავი და შიგ ჩავარდა.

ხელეფი **დუდიწკმა** მეკვათითია: სიტყვ., 200, 4 — ხელები **იდაყვთან** მიაჭერთო.

მეგრულში ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში ასეთ სიტყვებთან **გ** ირაციონალური (ნეიტრალური) ხმოვნის ნაცვლად **უ** ხმოვანი გვხვდება:

სქუაწკუმა — შვილთან, ბოშიწკუმა — ბიჭთან, ხალხიწკუმა — ხალხთან, დემეფიწკუმა — დევებთან, წიგნეფიწკუმა — წიგნებთან, ჯალეფიწკუმა — ხეებთან და სხვა.

მაგ., **თეწკუმა** ქაყოთუ ალექ: სიტყვ., II, 136, 22 — **ამასთან** ისროლა ალემ.

თქვა მიქციით **ჩქიმწკუმა** უსვინდისეთ: სიტყვ., 144, 20 — თქვენ მოიქეციით **ჩემთან** უსინდისოდ.

ბოშიქ **ძღაბინწკუმა** ქენასხაბუ: სიტყვ., II, 150, 35 — ბიჭი **გოგოსთან** ჩახტა.

რაც შეეხება — წკალა || წკელა თანდებულის სახელებს, ისინი მეგრულ ტექსტებში საკმაოდ მოგვეპოვება:

**თავრობაწკელა** იყი ხემოჭარილი: ხუბ., 35, 4 — **მთავრობასთან** იქნება ხელმოწერილი.

სქანი პატიცემა დიდი რე **ჩქიმი წკალა**: ხუბ., 55, 4 — შენი პა-ტივისცემა დიდი **ჩემთან** (ჩემს მიმართ).

ათე ცირაში დიდა დო **მუმაწკელა** იპით დოხუნაფილქ: ხუბ., 43, 27 — გოგოს **დედ-მამასთან** აღმოეჩნდით დასმული.

რენა გურით დარწმუნებული **ართიანიწკელა**: ხუბ., 33, 10 — არიან გულით დარწმუნებული **ერთმანეთთან**.

მოკოდუა **სქანიწკელა** სეკრეტო ტყობაშე ქიბცხოვრიკოვე: ხუბ., 44, 22 — მინდოდა **შენთან** საიდუმლოდ მალულად მეცხოვრა.

პირველი ძღაბიწკალა ლეკური აშედუ შქას: ხუბ., 147, 13 — პირველ გოგოსთან ლეკური დაიდო შუაში.

გობლათ ოკო მალასი დო ქდობლათ ოკო თი **რაშიწკუმა**: სიტყვ., ტ. II, 112, 20 — გავვარდეთ უნდა ჩქარა და უნდა დავვარ-დეთ (გავჩნდეთ) იმ **რაშთან**.

**სუდიწკალა** მილუ საქმე, თუქ ოკო გომიტუევე: ხუბ., 47, 25 — **სასამართლოსთან** მაქვს საქმე, იქ უნდა გამიშვაო.

ბოდიში ვარე საჭირო **სქანი დო ჩქიმი წკელა**: სიტყვ., II, 120, 16 — ბოდიში არაა საჭირო **შენთან** და **ჩემთან**.

ალიშქერქოლქ ქუმორთუ მტუმი **შიმაღეფიწკალა**: სიტყვ., 172, 40 — ალიშქერქოლუ მოვიდა თავის **ძმებთან**.

მუ შქას რეთ **ართიანიწკალა** სი დო ენავა: სიტყვ., II, 198, 20 — რა შუაში ხართ **ერთმანეთთან** ის და შენო.

-წკუმა||წკემა, -წკალა||წკელა თანდებულის ეტიმოლოგიური ანა-ლიზი ამ ფორმებში — წ- სემენტის გამოყოფას გულისხმობს: -წ-კუ-მა||წ-კემა, -წ-კალა||წ-კელა. როგორც ქართულის სათანადო ფორმებ-ში, ისე მეგრულშიც საანალიზო თანდებულს ბრუნვის ნიშანი ახ-ლავს, რომელმაც ფონეტიკური ცვლილება განიცადა: \*ჯიმა-ში-კუმა → \*ჯიმა-შ-კუმა → \*ჯიმა-ს-კუმა → \*ჯიმა-წ-კუმა → \*ჯიმა-წკუმა. ე.ი. **კ** თანხმოვნის გავლენით ნათესაობითი ბრუნვის -შ ნიშნისაგან აბ-რუბტივიზაციით მივიღეთ -წ, რომელიც შემდგომ გაგებულ იქნა — კუმა თანდებულის შემადგენელ ელემენტად: -წკუმა.

მამასადამე, თანაობის გამომხატველი უბრალო დამატებები ქარ-თულსა და მეგრულში საკმაოდაა გავრცელებული, **-თან** თანდებულის მნიშვნელობით მეგრულში გამოყენებული — -წ- კუმა||წკემა თანდე-ბული უბრალო დამატებასთან იხმარება ზუგდიდურ-სამურზაყანულ

კილოში. ხოლო -წ- კალა||წკელა თანდებული დამახასიათებელია სე-ნაკურ-მარტილური კილოსათვის.

ლიტერატურა

**დანალია, ცანავა, 1991** — კ. დანალია, ა. ცანავა, მეგრული ტექსტები, თბ., 1991.

**კვაჭაძე, 1996** — ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.

**კიზირია, 1982** — ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენი-ლობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

**უთურგაიძე, 1979** — თ. უთურგაიძე, თანდებულის სახელთა ბრუნება ქართულში, კრებული „არნოდ ჩიქობავას“, თბ., 1979.

**ქაჯაია, 2001** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

**ყიფშიძე, 1994** — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები, თბ., 1994.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

**ჩიქობავა, 1936** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანა-ლიზი, თბ., 1936.

**ჩიქობავა, 1928** — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობ-ლემა ქართულში, I, თბ., 1928.

**ჩიქობავა, 1961** — არნ. ჩიქობავა, თანდებულის ბრუნვათა სა-კითხისათვის ქართულში, ქესს, ტ. II, თბ., 1961.

**ხუბუა, 1937** — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

OTAR ADZINBAIA

### The Simple Object with the Postposition *tan* in Georgian and its Corresponding Forms in Megrelian

Summary

The paper investigates the samples of the Simple Object with the postposition *tan* encountered in the works by Georgian fiction writers. The Georgian data is compared with the Megrelian material. It is concluded that Megrelian *č̣kuma//č̣koma* has the same meaning as the Georgian *tan*. The given form is attested in the Zugdidi-Samurzaqano variant of Megrelian, whereas the postposition *č̣kala-č̣kela* is characteristic of the Senaki-Martvili variant.

The above discussed forms are abundant both in Georgian and Megrelian.

ციალა საპარული

### პარცელაცია, როგორც მოღალატის რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება

აზრის გამოხატვის ძირითადი სინტაქსური ერთეულის — წინადადების სტრუქტურა და მისი ტრანსფორმირებული ვარიანტული ფორმები მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტია (1, 2, 4).

წინადადების სტრუქტურა ინტენსიონალური, ანუ პროგნოზირებადი, და ექსტენსიონალური, ანუ არაპროგნოზირებადი წევრების ერთიანობაა. პროგნოზირებადია ის ერთეულები, რომელთა არსებობა მოცემულ სინტაქსურ სტრუქტურაში განპირობებულია სხვა ოდენობებით; წინადადების არაპროგნოზირებადი ერთეულების არსებობა კი განპირობებული არაა. მაგალითად, განსაზღვრება, ისევე როგორც ერთგვაროვანი წევრების რეალიზაცია, შეიძლება სტრუქტურის სხვა ერთეულებით არ იყოს განპირობებული. შემსემნელთან გარემოების ადგილი შეიძლება განისაზღვროს ანუ რეალიზდეს, ახალი ექსტენსიონალური წევრი. შესაბამისად, წინადადების სტრუქტურაში ექსტენსიონალური კავშირები არამყარი და მოძრავია, ღიაა, ინტენსიონალი კი ჩაკეტილი სინტაქსური რიგია.

ექსტენსიონალური და ინტენსიონალური წევრების პარცელაციის ფორმალურ-სინტაქსური მახასიათებლების შესწავლას მიუძღვნა თავისი ნაშრომი ი. ვანიკოვი, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პარცელაცია უფრო ექსტენსიონალური წევრებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ავტორი პარცელაციის სტილისტური, ემოციურ-ექსპრესიული გამოყენების საკითხებით ნაშრომში ნაკლებადაა დაინტერესებული (ვანიკოვი, 1969).

ენობრივი ერთეულის (ერთეულების) პარცელაციის უნარი მეტად მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ფაქტორია. გარდა ინტონაციურად დამოუკიდებელი რეალიზაციის პარამეტრისა, პარცელაციის მოვლენას მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

ავტორთა უმეტესობა პარცელაციაზე საუბარს სწორედ მისი ინ-

ტონაციური და სინტაქსური დამოუკიდებლობით იწყებს. რაც შეეხება პარცელირებული ერთეულის (ერთეულების) შინაარსობრივი რეალიზაციის თავისებურებას — მოდალობას, მას კონტექსტთან მჭიდრო კავშირში განვიხილავთ.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ პარცელაციის — როგორც დამოუკიდებელი ფუნქციონალური ერთეულის კონტექსტის წევრებთან შეჭიდებისა და მისი შინაარსობრივი განფენილობის — ტექსტის მოდალურობის სარეალიზაციო ერთ-ერთი საშუალების თავისებურებანი.

იმის გამო, რომ წინადადების ლინეალური ჯაჭვის ყოველგვარი გარღვევა შესაბამისად იწვევს შინაარსის მოდიფიკაციას, პარცელაცია ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გამოყოფას, ხაზგასმას ემსახურება. პარცელაცია შეიძლება განიცადოს არამართო წინამავალი ან მომდევნო სინტაქსური სტრუქტურის რომელიმე ერთეულმა, არამედ — ამ სტრუქტურასთან შინაარსობრივად ასოცირებულმა ოდენობამაც. მაგალითად:

ა) (პოლიციელებზე) **The truth is, they were paid. Paid. They were paid by the saloon-keepers, paid by the bullies, paid by the women themselves** (4, 280).

მოცემულ კონტექსტში პარცელირებული ერთეული **paid** რეალიზებულია წინამავალ სინტაქსურ სტრუქტურაში.

ბ) **When I was Prime Minister I might have made him governor of some colony or other. western Australia, say. Out of pure kindness** (3, 227).

მოცემულ კონტექსტში ორი პარცელირებული ერთეულია: ერთი წინამავალი სტრუქტურის შინაარსის დაზუსტებაა, მეორე კი — მიზეზის გარემოების პოტენციური ფუნქციის მქონე ასოცირებული შინაარსის მატარებელია.

სინტაქსური ერთეულის (ერთეულების) იზოლირებას კონტექსტში შეიძლება განკერძოების — არასრული იზოლირების ფორმა ჰქონდეს. განკერძოებას კონტექსტში პარცელაციასთან შედარებით სუსტი კატეგორიულობა, ანუ შედარებით სუსტი ხასიათის მოდალურობა ახასიათებს.

მაგალითად:

C. C. we were talking about Lady Kitty just before she arrived. (To Elizabeth) **Do Kou remember? The pale frail lady in black satin and old lace** (3, 215).

მოცემულ კონტექსტში პარცელირებული ერთეული ძირითადი სინტაქსური კონსტრუქციის პოტენციური დამატებაა, რომლის კონსტრუქციაში ჩართვით, ანუ განცალკევების ხერხით რეალიზებული მოდალობა (ქალბატონისადმი გმირის უარყოფით დამოკიდებულებზე მიუთითებს მისი არცთუ სასიამოვნო ამოსაცნობი ნიშნები, გამოხატული ლექსიკური ერთეულებით **pale, frail, black satin, old lace**) შესუსტებული იქნებოდა, პარცელირებული ფორმით კი ეს თვისებები უფრო წარმოჩინებული და ყურადსაღები ხდება. ამრიგად, სინტაქსური ერთეულის განსაზღვრული შინაარსობრივი მახასიათებლებით რეალიზებულმა მოდალობამ საკვლევი ოდენობის პარცელირებული სტატუსით გაფორმება განაპირობა.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

**On one floor of a narrow little house at the noisier end of Esquimaux street lived Rhoda Ellam, a sort of remote cousin** (5, 20)

მოცემულ კონტექსტში რეალიზებულია ლექსიკური ერთეულების **a sort of remote cousin** განკერძოება, როგორც შინაარსის გარკვეული დეტალიზაცია დიდი ინფორმაციული დატვირთვის გარეშე. მისი პარცელირებული ფორმით წარმოდგენა კონტექსტის მოდალობას შეცვლიდა — შორეული ნათესაური კავშირი უფრო მნიშვნელოვანი დეტალი იქნებოდა, რაც ტექსტის ამ მონაკვეთში არარელევანტურად წარმოგვიდგება.

განხილული კონტექსტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განკერძოება და პარცელაცია ტექსტის ფორმირების პროცესში ახლო მდგომი სინტაქსური საშუალებებია, რომლის გამოყენების თავისებურებებსა და შესაძლებლობებზე გამონათქვამის შინაარსობრივ მხარეს განმსაზღვრელი როლი აკისრია, უპირველესად ყოვლისა, გამონათქვამის მოდალურობის რეალიზაციის თვალსაზრისით.

კონტექსტი თავისი ქვეტექსტის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ქვეტექსტის არსებობა განსაზღვრავს სინონიმურ გამონათქვამებს შორის „არჩევითობის პრინციპის“ ამოქმედების პროცესს (გაკი, 1972).

ქვეტექსტი სინტაქსური ერთეულის მოდალობის განმსაზღვრელი ფაქტორია. ამრიგად, კონტექსტი არის რეალური ენობრივი გარემო,

ქვეტექსტი არასამეტყველო ფონია, მოდალობა კი ამ ფონის ზოგადი პარამეტრია (სიხარული, სევდა, სიყვარული, შური, გაღიზიანება და ა.შ.).

იმის გამო, რომ პარცელირებულ ერთეულს ძირითადი სინტაქსური ოდენობისაგან განცალკევებული პოზიცია უკავია, მას შესაბამისი ქვეტექსტი აქვს, რაც ძირითად სინტაქსურ ერთეულთან ერთად კონტექსტის (ან ტექსტის) მოდალობის განმსაზღვრელია. მაგალითად:

(შავკანიანებზე) **To put it bluntly, they have uncontrollable passion. It's just their nature. Animal, you know (2, 78).**

მოცემულ კონტექსტში სიტყვათკავშირი **uncontrollable passion** (მოუთოკავი ვნება) კვალიფიცირებული როგორც „უხეში“ (**blunt**) გამონათქვამი და იგი სრულ შინაარსობრივ ჰარმონიაშია პარცელირებულ ერთეულთან **animal**. გამოყოფილი ლექსიკური ერთეულების შინაარსობრივი კავშირი გარკვეული ადამიანების მიმართ ზიზღის გამომხატველი მოდალობის (დამოკიდებულების) ამსახველია.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ განსაზღვრავს კონტექსტის (ტექსტის) მოდალობას წინამავალ და მომდევნო სინტაქსურ ოდენობებთან პარცელირებული ერთეულის შინაარსობრივი კავშირის ხასიათი.

**When he looked at her, so easy and calm, so obviously happy, he could not believe the odious truth. And yet he had seen with his own eyes... and the future. What would her future be? (4, 340).**

მოცემული კონტექსტის მიხედვით გმირის სასოწარკვეთილება განპირობებულია საყვარელი ქალის სასიყვარულო რომანით მსახურთან; მისი შეშფოთების მიზეზი ქალის მომავალზე ზრუნვაა. ასოციაციის საფუძველზე რეალიზებული პარცელირებული ფორმა მოცემულ ქვეტექსტს — კონტექსტის მოდალობას — ამძაფრებს; თითქოს ქალი ბედნიერი ჩანს, მაგრამ გმირის აზრით, მსახურით გატაცება ხომ ქალის უბედურების მომასწავებელია.

აღსანიშნავია, რომ ასოციაციით რეალიზებული პარცელირებული ერთეული უფრო ძლიერი მოდალობის მარეალიზებელია, ვიდრე გამეორებაზე ან დამაზუსტებელ დეტალზე დაფუძნებული პარცელაცია.

კონტექსტების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ პარცელაციისა და სხვა სტილისტური ხერხების ერთდროული გამოყენებით ტექსტის მოდალობა უფრო გამჭვირვალე ხდება. მაგალითად:

(პოლიციელებზე) **They were paid. Paid. They were paid by the school – keepers, paid by the bullies, paid by the women themselves (4, 280).**

მოცემულ კონტექსტში პარცელირებული ლექსიკური ერთეულის **paid** გამეორება აძლიერებს რეალიზებულ მოდალობას — აღშფოთების გრძობას, რაც პოლიციელების მიერ ქრთამის აღებითაა გამოწვეული.

თუ კონტექსტში მოდალობის მახასიათებელი პარცელირებული ერთეული ერთზე მეტია, ის შინაარსობრივად ერთი მოდალური პარამეტრის ასახვას უნდა ემსახურებოდეს. მაგალითად:

**“Why, here you all are!” she said with genuine delight. “And Mr. Pennyfeather, too, to be sure ! Quite a little party” (2, 204).**

მოცემული კონტექსტის მოდალობის „სიხარულის“ განმსაზღვრელია ძახილის წინადადება, შესიტყვება **genuine delight** კი ამ მოდალობას უფრო ამყარებს. კონტექსტში ორი პარცელირებული ერთეულია; შინაარსობრივად ისინი წინამავალ სტრუქტურას შეესაბამებიან; პირველი პარცელირებული ფორმა „სიხარულის“ მატარებელი მოდალობის კერძო მიზეზის გამოხატულებაა, მეორე კი — სიხარულის ამსახველი მოდალობის ზოგადი მახასიათებელია.

განვიხილოთ კიდევ ერთი კონტექსტი რამდენიმე პარცელირებული ერთეულით:

**Lady Kitty: So interesting-hereditary, isn't it ?**

**Arnold: Very.**

**Lady Kitty: Of course, since I joined the Catholic Church I don't believe in it any more. Darwin and all that sort of thing. Too dreadful. Wicked . Besides, it is not very good form, is it ? (3, 223).**

მოცემულ კონტექსტში პარცელაციის სამი შემთხვევაა: პირველი ფორმა გმირის სულიერი მდგომარეობის მიზეზზე მიგვიითებს, მეორე და მესამე კი — გმირის მიერ სიტუაციის შეფასებაა. პარცელირებული ფორმების ასეთი განლაგება მიზეზისა და მისი კვალიფიკაციის ერთიანობას ემყარება და უფრო გამჭვირვალედ ასახავს გმირის განწყობილებას — „აღშფოთებას“, რაც კონტექსტის მოდა-

ალობად გვევლინება.

შინაარსის უფრო მეტი დეტალიზაციის მიზნით, პარცელაცია შეიძლება, პერიფრაზის სახით რეალიზდეს. მაგალითად:

It appeared that this Bill had gone off to the Argentine after the war and had got taken on as manager of a place of entertainment. Sort of night club, you know (2, 140).

შინაარსიდან გამომდინარე, **sort of night club, you know** პარცელატი გარკვეული მოდალობის — „დაცინვის“ მარეალიზებელი ლინგვისტური ხერხია.

ინფორმაციის უფრო მეტი დატვირთვისა და დეტალიზაციისათვის ასევე გამოიყენება შინაარსობრივად ასოციირებული პარცელირებული ერთეული. მაგალითად:

“Oh, do get into line, you beastly boys, but Sir Solomon’s what they call me. Out of respect, see (2, 52).

მოცემულ კონტექსტში პარცელატი რეალიზებული მოდალობა — „თვითგანდიდების სიყვარული“ მთელ გამონათქვამს შინაარსობრივად უფრო კატეგორიულს ხდის, ვიდრე ნაწილობრივი იზოლაციის — განკერძოების შემთხვევაში იქნებოდა.

პარცელაციის მოდალობის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული რეალიზებული შინაარსის ინფორმაციულობაზე. თუ ტრანსფორმაციის შედეგად კონტექსტის შინაარსი არ იძლევა საშუალებას, რომ პარცელირებული ერთეული განკერძოებად იქცეს, იგი მყარი და გამჭვირვალე ბუნების პარცელირებული ფორმაა. მაგალითად:

His tactics had been right. It was interesting to see how well his simple plan had worked. Like a charm (4, 335).

მოცემულ კონტექსტში **how well** ლექსიკური ერთეულების რეალიზაცია ხელს უშლის პარცელირებული ელემენტების **like a charm** ძირითად სტრუქტურაში ჩართვას, ანუ სტრუქტურის ტრანსფორმაციას, რაც მათი სრული პარცელაციის ხარისხზე მიუთითებს. ამას გარდა, აღნიშნული ერთეულების შინაარსი და სტრუქტურული დამოუკიდებლობა მოდალობის — „ადფრთოვანება“ განმსაზღვრელია.

ამრიგად, პარცელაციის ხარისხის ინდიკატორი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა/შეუძლებლობამ უნდა განაპირობოს,

რაც კონტექსტის შინაარსით განისაზღვრება. მაგალითად:

Elizabeth: I hope you don’t mind a very small party.

Lady kitty: (shaking hands with Anna and Teddy) Oh, no I shall enjoy it. I used to give enormous parties here. Political, you know (3, 206).

მოცემულ კონტექსტში რეალიზებული შინაარსის გამო პარცელირებული ერთეულის ძირითად სინტაქსურ ერთეულში გადაადგილება შეუძლებლად გვეჩვენება, რადგან ელისაბედის მიერ დაგეგმილ პატარა წვეულებასთან უზარმაზარი პოლიტიკური თავყრილობის დაპირისპირება არალოგიკური იქნებოდა. ლექსიკური ერთეულების **political, you know** პარცელაცია, შინაარსიდან გამომდინარე, კონტექსტის მოდალობის (ქარაფშუტა პიროვნების მიმართ დაცინვა) განმსაზღვრელია.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, რომ პარცელირებული ერთეულის (ერთეულების) შინაარსი პარცელატის სტრუქტურული და შინაარსობრივი დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელია, იგი რეალიზებული მოდალობის ძირითადი ორიენტირია. მაგალითად:

Lady Kitty: Life is so absurd that I should ask my son if he takes sugar or not? Life is really very quaint. Sad of course, but oh, so quaint! Often I lie in bed at night and have a good laugh to myself as I think how quaint life is (3, 223).

მოცემულ კონტექსტში წარმოდგენილი მონოლოგით შეიძლება ვიმსჯელოთ გმირზე — როგორც ზედაპირულ, არასერიოზულ პიროვნებაზე, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია რეალობა როგორც განსაზღვროს, როგორც **absurd, sad** თუ **quaint**. ლექსიკური ერთეული **quaint** მომდევნო სტრუქტურაშიცაა რეალიზებული. სწორედ ამიტომ, პარცელირებულ ერთეულებს ძირითად სტრუქტურასთან ინტეგრაციის უნარი შესუსტებული აქვთ და სრული პარცელაციის ფორმით წარმოგვიდგებიან; მოდალობა კი, „გმირის თავპარიანობა“, რაც მკითხველის უარყოფითი დამოკიდებულების განმსაზღვრელია.

სრულ პარცელაციასთან გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ემფაზირებული მოდალობის გამომხატველი პარცელირებული

ერთეულები (ერთეული) სინონიმები არიან და სტრუქტურის განტვირთვის ემსახურებიან. მაგალითად:

Lady Kitty: [with flashing eyes ] D'you think I would have burried myself in Western Australia? With my beauty? My charm? (3, 227).

ამრიგად, ტექსტში რეალიზებული მოდალობა რთული ენობრივი ფენომენია, რომლის რეალიზაციისა და დეკოდირებისათვის სხვა ენობრივ კონტექსტუალურ სიგნალებთან ერთად ლექსიკურ ერთეულთა პარცელაცია მეტად ეფექტური საშუალებაა. კონტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე, კონკრეტული მოდალობის დეკოდირება ტექსტის პარცელირებული ნაწილისა და კონტექსტის შინაარსის ურთიერთკავშირის დადგენის გზით უნდა წარიმართოს.

ლიტერატურა

**არგატი, 1974** — Арват Н. Н. Семантическая структура простова (односоставного) предложения, Черновцы, 1974.

**გაკი, 1972** — Гак В. Г. Высказывание и ситуация в сб. Проблемы структурной лингвистики, 1972, Москва 1973.

**ვანიკოვი, 1969** — Ванников Ю. В. Синтаксические особенности русской речи (явление парцелляции), Москва, 1969.

**კუხარენკო, 1979** — Кухаренко В. А. Интерпретация текста, Ленинград, 1979.

**პადუჩევა, 1974** — Падучева Е. В. О семантике синтаксиса, Москва, 1974.

წყარო

Waugh E. Put out more flags, Penguin books, 1977.

Waugh E. Decline and fall, Penguin books, 1978.

Maugham S. Cakes and Ale and other stories – The Circle, Pocket books, 1953.

Maugham S. Cakes and Ale and other stories – The Gain, Pocket books, 1953.

A book of sort stories by English Authors, (book 2) compilers: Tsereteli D., Matureli Ts., Tbilisi, 1990.

Mansfield K. Selected stories, Moscow, 1997.

TSIALA SAKARULI

### Parcelling as one of the Linguistic Means of the Realization of Modality

#### Summary

The paper is an attempt to study a range of parcelled forms as an effective means for the realization of modality in contexts. Depending on contextual peculiarities the process of decoding concrete modality should be carried out through stating the relationship between the parcelled unit and the context. The needed linguistic mechanism is shown on the concrete material.



## ციალა საპარული

## სათაურის ძირითადი პარამეტრების საკითხისათვის

(ინგლისური მოთხრობის მასალაზე)

სათაური ყოველი ტექსტის მნიშვნელოვანი ინფორმაციული ნაწილია. სათაურის თავისებურებების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ლ. ა. ლებედევას აზრით (ლებედევა, 1979, 91), სათაურს, რომელიც ზუსტად შეესაბამება იმ შინაარსს, რაც ტექსტშია ჩაღებული, შეუძლია გაამდიდროს ტექსტი და იგი უფრო გამომსახველობითი გახადოს. გარდა ამისა, ავტორის აზრით, სათაური ისეთი უნდა იყოს, რომ შეძლოს მკითხველის ყურადღება შეაჩეროს. სწორედ ამიტომ, ნაწარმოების ავტორი ფრთხილად უნდა ირჩევდეს სათაურს და ცდილობდეს იგი მოულოდნელობით და ექსპრესიულობით დატვირთოს.

თავის სტატიაში დ. გოცირიძე ხაზგასმით მიუთითებს ტექსტის სათაურის რეკლამურ ხასიათზე (გოცირიძე, 1980, 206). ავტორი მოითხოვს, რომ მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში გამოყოფილი ნომინაციური, ინფორმაციული, ყურადღების მიპყრობის, მკითხველის დაინტერესების, მოვლენათა შეფასების ფუნქციები გაერთიანდეს ერთ რეკლამურ ფუნქციაში, რომელიც, ავტორის აზრით, ყველა ზემოდასახელებულ პარამეტრს მოიცავს.

ჩვენი აზრით, სათაურის რეკლამურობასთან მჭიდრო კავშირშია მისი მაიდენტფიცირებელი ფუნქცია, რომელსაც ხაზგასმით გამოვყოფთ იმის გამო, რომ სათაური ნაწარმოების თავისებური სახელია და იგი სხვა მხატვრული ტექსტისაგან ფორმალური გამიჯვნის ერთ-ერთი საფუძველთაგანია.

სათაურს მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოეპყრას და ეცადოს, ამოკითხოს მასში დამუხტული ინფორმაცია, რათა სწორი ინტერპრეტაცია მისცეს ტექსტისადმი სათაურის მიმართებას; ტექსტის სათაური ხომ ის ორიენტირია, რომელიც

მელიც ტექსტის ინფორმაციისადმი ავტორის პოზიციას ჰყენს ნათელს.

ავტორისეული პოზიცია სათაურში აისახება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მოქმედებს „არჩევითობის“ პრინციპის (4, 366) შესაბამისად. უამრავი ვარიანტიდან ავტორი სათაურად ირჩევს იმას, რაც სრულად შეესაბამება ტექსტის დედააზრს და მიზანდასახულობას. ამიტომ, სათაურის თავისებურებანი სწორედ ტექსტთან მიმართებაში უნდა ვეძებოთ.

სათაური თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ემოციურად ნეიტრალური და ემოციურად დამუხტული. ემოციის სარეალიზაციოდ სათაურში ობიექტურადაა მოცემული სპეციალური ენობრივი სიგნალები. მაგალითად, ემოციურად დატვირთულია მ. სპარკის მოთხრობის სათაური **You should have seen the mess** (6, 147), სადაც მოდალური ზმნის **should** და ლექსიკური ერთეულების **seen** და **mess** კავშირით გამოხატულია გმირის — გოგონას უარყოფითი რეაქცია ყველაფერზე, რასაც ცხოვრებაში იხილავს ხოლმე; იგი ხომ ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ სისუფთავეს ამჩნევს, ადამიანთა სულიერი სამყარო მისთვის მიუწვდომელია, რაც ახალგაზრდა ქალის არაპარმონიულ შინაგან სამყაროზე მიგვითითებს.

ემოციური მუხტის მატარებელია ჰ. ბეიტსის მოთხრობის სათაურიც **Go, Lovely Rose** (7, 119), რომელიც ალუზიას ლექსიდან, სადაც პოეტი შესთხოვს ვარდს მის შეყვარებულს ამცნოს, რომ იგი მშვენიერი ვარდის დარია. პოეტისათვის ასევე მნიშვნელოვანია, მისმა სატრფომ იცოდეს, რომ ვარდი თვალისა და სულის მშვენებად მოავლინა ღმერთმა და, თუ იგი უდაბნოში თვალს მიეფარება, როგორც ამას მისი შეყვარებული ჩადის, პოეტს რომ გაუტრბის, იგი უმიზნოდ გაქრება, დაიღუპება და მის სილამაზეს ვერავინ იხილავს. მაშ, რა ამო ყოფილა ქვეყნად მისი მოსვლა. ადარებს რა თავის შეყვარებულს უდაბნოში მოსულ ვარდს, პოეტი სწუხს, რომ მისი შეყვარებული დროს ფუჭად ფლანგავს. პოეტი მოუწოდებს გოგონას თავი დააღწიოს მორცხვობას და საშუალება მისცეს გამოხატოს თავისი სიყვარული და თავდავიწყება.

აი, ასეთი შინაარსისაა ე. ვოლერის ლექსი, საიდანაც ჰ. ბეიტსის მოთხრობის სათაური **Go, Lovely Rose** ნასესხებია როგორც ალუზიური ფორმა. ე. ვოლერის ლექსის შინაარსი ის სიგნალია, რომელმაც ჰ. ბეიტსის მოთხრობის სათაურს შესაბამის ტექსტთან მიმართებაში

დიდი ემოციური მუხტი შესძინა.

ერთი შეხედვით, ნაკლებ ემოციურად გამოიყურება ე. შორერის მოთხრობის სათაური **The dead dog** (8, 121). ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ზემომოტანილი შესიტყვება ნაწარმოების დედააზრის წვდომის პროცესში მკითხველისათვის გარკვეული იმპლიკატორია — სათაური ხომ ტექსტში გარკვეული აქცენტების განაწილებას განაპირობებს; ცოცხალი ძაღლი მოხუცისათვის ოჯახური სიტბოს გარანტია იყო, ძაღლის სიკვდილი კი მისი უბედურების მომასწავებელია. ამრიგად, ერთი შეხედვით, ემოციურად შედარებით ნეიტრალური სათაური მხოლოდ ტექსტთან მიმართებაში იძენს ემოციურ მუხტს.

დ. გოცირიძე სრულიად მართებულად აღნიშნავს (გოცირიძე, 1980, 212), რომ სათაურის სინტაქსური კონსტრუქციები მრავალფეროვანია და მათი ერთ სიბრტყეში მოქცევა სათაურს უკარგავს სპეციფიკურობას. ავტორის აზრით, სათაურის სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლა გაარკვევს, ერთი მხრივ, სათაურისა და წინადადების მიმართების საკითხს, მეორე მხრივ კი — სათაურის როგორც **„წინადადების ნამსხვრევს“** ბუნებას.

თავისი სტრუქტურის მიხედვით, სათაური შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი და ორზემეტწევრიანი. სათაურის სინტაქსური თავისებურება მჭიდრო კავშირშია ნაწარმოების ტექსტთან: ერთი მხრივ, სწორედ ტექსტთან მიმართებაში ხდება სათაურის შინაარსის დეკოდირება, მეორე მხრივ კი — სათაური თავისი სტრუქტურული მარჯვენა-მარცხენა უფრო ხაზგასმით მიგვითითებს ნაწარმოების ავტორისეულ პოზიციაზე, გვეხმარება ტექსტის დედააზრის განსაზღვრაში.

სათაურს ჩვენ განვიხილავთ როგორც არასრულ სტრუქტურულ და ინფორმაციულ ერთეულს, რაც სრულად ტექსტთან მიმართებაში უნდა დადგინდეს. სწორედ ამიტომ, სათაური თავისი ბუნებით ახლოს დგას ელიფსურ წინადადებასთან, რომლის სრული სტრუქტურული და ინფორმაციული ღირებულება კონტექსტთან მიმართებაში დგინდება.

სათაურის სტრუქტურულ-ინფორმაციული შევსება, ჩვენი აზრით, უმეტესად უნდა მოხდეს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით. რასაკვირველია, რეკონსტრუქციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა სახის შევსებასაც, რაც ინდივიდუალურ გემოვნებაზე და ლიტერატურულ ალღოზეა დამოკიდებული. სათაურის ელიფსური ბუნების კონსტრუქციად განვიხილვისას, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, საჭიროა სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართების დადგენა და შესაბამისად, სათაურის განვრცობა-გაშლა. მაგალითად, ჰ. მონროს მოთხრობის სათაურის **Tea** (9, 17) ტექსტთან მიმართების დადგენა საშუალებას გვაძლევს მისი სტრუქტურულად და შინაარსობრივად შემდგომი განვრცობისათვის : **Tea – time formalities in the afternoon that could not be avoided by marrying Rhoda** (ნაშუადღევის ჩაის სმის დეტალები, რომელთა გვერდის ავლა ვერ მოხერხდა როდაზე ქორწინებითაც).

რიგი ერთწევრა სათაურებისა საკუთარი სახელებითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ს. ფიცჯერალდის მოთხრობის სათაური **Gloria** (10, 87) მიუთითებს გმირზე, რომლის გარშემოც ნოველის სიუჟეტური კვანძი იკვრება. როგორც ტექსტიდან ვიტყობთ, გლორია თავის თავზე შეყვარებული ქალია; იგი არაფრად დაგიდევთ სხვის აზრს, საკუთარი მოქმედებით შეურაცხყოფს ქმარს, და, რაც მთავარია, სულაც არ აწუხებს დანაშაულის გრძობა. ს. ფიცჯერალდი თითქოსდა სათაურით უსვამს ხაზს, რომ გლორიას თავხედობა, უზნეობა სიტყვებით არ გადმოიცემა. მოთხრობის სათაურის განვრცობა-გაშლა ტექსტთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება: **Gloria who was unbearable towards everybody she met, but especially unbearable she was to her husband** (გლორია, რომელიც საშინლად ექცეოდა ყველას, განსაკუთრებით კი, ქმარს).

სათაურის თავისებურებებს შორის აღსანიშნავია, რომ იგი აზრის გარკვეული კონდენსირებული ფორმაა. სათაურის შესახებ სტატიის დასაწყისში დ. გოცირიძე აზრის კონდენსაციაზეც მიუთითებს (გოცირიძე, 1980, 236). მ. ყიასაშვილს თავის სტატიაში აზრის კონდენსაცია პარტისიპიალური კონსტრუქციების საშუალებით საინტერესოდ აქვს შესწავლილი (ყიასაშვილი, 1981, 13). გარდა პარტისიპიალური ფორმებისა, აზრის კონდენსაცია ასევე მიიღწევა ჩართული წინადადებების, ფრჩხილებში მოცემული კონსტრუქციების მეშვეობითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათაურიც აზრის კონდენსაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა.

განსხვავებით პარტისიპიალური კონსტრუქციისაგან, სადაც სიღრმისეული პროპოზიციები ეტაპობრივად გამოიყოფა, სათაური აზრის ისეთი კონდენსირებული ფორმაა, რომლის სიღრმისეული ერთეულები ტექსტთან მიმართებაში დგინდება. მაგალითად, მ. დიკენსის მოთხრობის სათაური **I'll have a job** (11, 23) ტექსტთან მიმართება-

ში შემდეგნაირად გაიშლება „**I'll have a job“ which for the girl turned out to be only a dream because she was good at nothing**“ („მუშაობას დაეწევა“, რაც გოგონას ოცნებად ღარჩა, იმიტომ რომ არაფერი ეხერხებოდა).

ელიფსური წინადადებებისაგან განსხვავებით, სათაურის კონდენსირებული ფორმის ინფორმაციული ღირებულება გარკვეულწილად დამოკიდებულია ტექსტის სუბიექტური ინტერპრეტაციის ფაქტორზე. ტექსტისადმი სათაურის მიმართების ობიექტური ფაქტორი მკითხველის სუბიექტურ ინტერპრეტაციასთან ერთად ტექსტის სწორ დეკოდირებას ემსახურება.

სათაურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია ქვეტექსტი, რომლის საშუალებითაც განვსაზღვრავთ ავტორის პოზიციას ტექსტში რეალიზებული ფაქტობრივი ინფორმაციის მიმართ. ეს იმიტომაცა შესაძლებელი, რომ „არჩევითობის პრინციპის“ საფუძველზე რეალიზებული სათაურით ავტორი ნაწარმოების რომელიმე ერთ მხარეს წამოსწევს წინ, რაც ფაქტობრივ შინაარსში აქცენტირდება და იშლება ხოლმე. სათაურის ქვეტექსტური ხასიათი სათაურისა და ტექსტის ურთიერთობაში იკვეთება, კონკრეტდება და დედააზრად იქცევა. ამრიგად, სათაური ნაწარმოების კონცეპტუალური ინფორმაციის — ქვეტექსტის კონდენსირებული ფორმაა.

სათაურის ქვეტექსტის არსებობის ნათელსაყოფად შევეცდებით განვიხილოთ ჰ. ბეიტსის ზემოდასახელებული მოთხრობის სათაურის „**Go, Lovely Rose**“ (7, 119) და ტექსტის ურთიერთმიმართების ხასიათი.

მოთხრობის ავტორი სათაურში რომ ზემომოტანილ ალუზიურ ფორმას მიმართავს, გარკვეულად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ახალგაზრდა სუზანის მამის მიმართ, რომელიც საოცრად განიცდიდა, რომ მისი ოცი წლის ქალიშვილი თავყანისმცემლთან ერთად სასეირნოდ წასულა. იმის მაგივრად, რომ საღად შეხედოს თავისი შვილის გრძნობებს, იგი თავს იტანჯავს აუტანელი ფიქრებით და უნებლიედ წარმოიდგენს შვილის არა ბედნიერებას, არამედ ფიქრობს მხოლოდ იმ საშიშროებებზე, რაც გოგონას გზაში შეიძლება ელოდებოდეს. ამ ფიქრებში წასული მშობელი მთელ რიგ სასაცილო სიტუაციებში ვარდება: შვილის საძებნელად ღამით ფენ-შიშველი გადის სახლიდან და აღარ იცის როგორ დაფაროს თავისი უკიდურესი მღელვარება. ყველაფერი კარგად მთავრდება, როცა იგი

დაინახავს, თუ ერთი შეხედვით კეთილშობილმა ახალგაზრდამ როგორ ღამაზად მოაცილა სუზანი სახლში. ვაჟმა ბოდიში მოუხადა ქალიშვილის მამას დაგვიანებისათვის, რამაც აღელვებული კაცი ახალგაზრდისადმი დადებითად განაწყო. მშობელმა იგრძნო, რომ სანერვიულო თურმე არაფერი ჰქონია. სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაში იგრძნობა, რომ ავტორი არ თანაუგრძნობს მშობელს, რომელმაც უმიზეზოდ ამდენი ნერვიულობა გადაიტანა.

მოთხრობის ავტორის მიერ რეალიზებული ქვეტექსტის (რომ სილამაზე, ახალგაზრდობა ფუჟია, თუ მას თავისი მჭკრეტელი არა ჰყავს) დეკოდირებაში გვეხმარება სათაურიც - **Go, Lovely Rose**; ვარდიც ხომ ამქვეყნიური სილამაზისთვისაა გაჩენილი და შესაბამისად, სხვათა ტკობას უნდა ემსახურებოდეს.

საინტერესოა რეალიზებული ქვეტექსტი მ. დიკენსის მოთხრობის სათაურში - **I'll have a job** (11, 23). სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართების ანალიზი გვეხმარება გავიზაროთ მთავარი მოქმედი პირის — ახალგაზრდა ქალის გადაწყვეტილების სიმტკიცე, რომ დაიწყოს მუშაობა და თავი აარიდოს მომანებრებელ უფერულ ცხოვრებას. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მან მიმართა სპეციალურ სააგენტოს, სადაც შეეცადა ისეთი გაუბედურებული ქალის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, რომ სიბრალულით აღვსილმა სააგენტოს თანამშრომელმა მაშინვე გააგზავნა ერთ-ერთ ოჯახში სადღესასწაულო სუფრის გასამაზადებლად. მზარეულად რომ არ გამოდგებოდა, ქალმა თვითონაც იცოდა; ყველაფერი მას ხომ მხოლოდ წიგნებიდან ჰქონდა ნასწავლი; შედეგმაც არ დააყოვნა — დიასახლისმა იგი ცივად მოიშორა თავიდან. ასე მოელო ბოლო ახალგაზრდა ქალის გადაწყვეტილებას, რომ სამუშაო ემოვნა და უაზრო ცხოვრებისათვის თავი გაენებებინა. მისთვის ნათელი გახდა, რომ ისეც და ისეც პროფესიონალიზმი იყო საჭირო.

ამრიგად, მოცემული მოთხრობის სათაურისა და ფაქტობრივი შინაარსის ურთიერთმიმართებაში ვლინდება სათაურის ქვეტექსტი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მართო გადაწყვეტილების მიღება საკმარისი არაა, საჭიროა ცოდნა, პროფესიონალიზმი, თუ არადა, არავის სჭირდება.

ე. შორერის მოთხრობის სათაური **The dead dog** (8, 121), თუ მას ტექსტთან მიმართებაში განვიხილავთ, ასევე გარკვეული ქვეტექსტის მატარებელია. მოთხრობის ფაქტობრივი ინფორმაცია

მდგომარეობს შემდეგში: მანქანა დაეჯახა ძაღლს, რომლის მოხუცი პატრონი სასოწარკვეთილებაში ვარდება და ძლიერ უჭირს სახლში, რძალთან დაბრუნება.

თუმცა, ერთი შეხედვით, მოთხრობის შინაარსობრივი ქარგა მეტად ბანალურია, მკითხველის ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მოხუცი მკვდარ ძაღლს ყელსაბამს უკეთებს, რაც აცვიფრებს ამ ამბის შემსწრე უცნობ მძღოლს. ტექსტის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ რძალი თურმე სულ აფრთხილებდა, ძაღლი ყელსაბამის გარეშე არ გაიყვანო გასასეირნებლად; მოხუცმა ეს პირობა დაარღვია, და, შედეგმაც არ დააყოვნა. ნათელია, რომ მისი უყურადღებობით გამოწვეული ძაღლის სიკვდილი, ერთადერთ მზრუნველ პატრონს — რძალს დააკარგინებდა; მოხუცი სასოწარკვეთილია და სწორედ ამიტომ იყო, რომ უბედურების თავიდან ასაცილებლად, მთელი ძალა მოიკრიბა და ის გააკეთა, რასაც რძალი, მისი ერთადერთი ჭირისუფალი, სთხოვდა — ძაღლი ყელსაბამის გარეშე არ გაიყვანო. აი, თურმე, მოხუცმა რატომ გაუკეთა მკვდარ ძაღლს ყელსაბამი. მოცემულ შინაარსთან — ფაქტობრივ ინფორმაციასთან, მიმართებაში სათაური **The dead dog** შემდეგი ქვეტექსტით ხასიათდება: **The dead dog was the end of the old man's life** — ძაღლის დაღუპვა მოხუცის ცხოვრების დასასრული იყო, თითქოს უცნაურია, რომ ძაღლის სიკვდილს ასეთი რამ შეეძლო გამოეწვია, მაგრამ მოთხრობის შინაარსისა და მისი ფაქტობრივი შინაარსის ურთიერთმიმართება, სწორედ სიტუაციის ასეთ მიზეზ-შედეგობრივი ტრაგიზმის გარდაუვალობაზე მიგვიბრუნებს, რაც სათაურის ქვეტექსტსაც წარმოადგენს.

სათაურის განსაკუთრებულ როლზე, როგორც გარკვეული ქვეტექსტის გამომხატველ ერთეულზე, მიგვიბრუნებს ის ფაქტიც, რომ სათაური ზოგჯერ ნაწარმოების ლაიტმოტივიც ხდება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მ. სპარკის მოთხრობის სათაური **“You should have seen the mess”** (6, 147), რომელიც ტექსტში რამდენიმეჯერ მეორდება როგორც მთავარი იდეის — ქვეტექსტის ერთ-ერთი განსაზღვრული ფაქტორი (გარდა სისუფთავისა, ცხოვრებაში ხომ სხვა ფასეულებებიც არსებობენ).

ამრიგად, მოთხრობის სათაური მრავალგანზომილებიან ოდენობას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, იგი ტექსტის კონდენსირებული ფორმაა. „არჩევითობის“ პრინციპის საფუძველზე ავტორი განსაზღვრავს ტექსტის წამყვან მხარეს და სათაურის მეშვეობით მას

მოთხრობის ქვეტექსტის განმსაზღვრელ ფაქტორად აქცევს. სათაური მოთხრობის ავტორს ეხმარება მოახდინოს ქვეტექსტის უფრო მკაფიო რეალიზაცია და ინფორმაციული აქცენტები სწორად გაანაწილოს.

ლიტერატურა

**გაკი, 1973** — Гак, В.Г., Высказывание и ситуация в сб. Проблемы структурной лингвистики, 1972, М. 1973.

**გოცირიძე, 1980** — Гоциридзе, Д., К происхождению одной заголовочной конструкции კრ.-ში ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბილისი, 1980.

**გოცირიძე, 1980** — დ. გოცირიძე, სათაურის საკითხისათვის უცხოურ ენათმეცნიერებაში, კრ. ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980.

**ლებედვა, 1979** — Лебедева, Л. А., Фразеологизмы в заголовках в английской и технической литературе. კრ. Вопросы лингвистики текста, Грозный, 1979.

**ყიასაშვილი, 1981** — მ. ყიასაშვილი, აზრის კონდენსაციის საკითხისათვის მარტივ წინადადებაში, ჟურნ. „უცხოური ენები სკოლაში“, 1981, 1.

წყარო

Spark, M. You should have seen the mess, A book of short stories by English authors, B, II, 1990.

Bates, H. Go, Lovely Rose, A book of short stories by English authors, B, II, 1990.

GolovchinskaKa, L, Speak Good English, Second Year, Moscow, 1976.

Munro, H. Tea, A book of short stories by English authors, B, II, 1990.

GolovchinskaKa, L, Speak Good English, Third Year, Moscow, 1977.

Dickens, M. I'll have a job, Twenty Lessons in Free Conversation, Ленинград, 1976.

TSALA SAKARULI

**The Title and some of its Parametres**

(Short story as the object of discussion)

Summary

The title is the condensed form of the short story. It may be expanded with the help of an attributive clause. The expanded form of the title should show what is specially accentuated by the writer of the literary work.

The title has its subtext which defines its function. The subtext of the title expresses the essential conceptual information of the short story.

ლილი გუგუნიძე

**ბატალური სცენების აღწერა დედასა და თარგმანებში**

(ვაჟა-ფშაველას ეპიკური პოემების რუსული

თარგმანის მიხედვით)

ეპიკური ნაწარმოების თარგმნას თავისებური სირთულეები და სიძნელეები ახლავს. პირველ ყოვლისა ეს არის თხრობის სერიოზული, ჩაღრმავებული ტონი, რომლის გარეშეც ეპიკური სტილის შენარჩუნება შეუძლებელია. ამგვარ ტექსტში თავისებურია ლექსიკაც, რომელიც ასახავს როგორც მოვლენის ხასიათს, ისე ეპოქისა და პერსონაჟების ენობრივ დახასიათებას.

ეპიკური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია ბატალური სცენები. ასეთი პასაჟი შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი, სადაც საბრძოლო დაპირისპირება მიმდინარეობს მრავალრიცხოვან ძალთა შორის და დიდ სივრცეებში, და მასშტაბურად მცირე, მაგრამ შინაგანად დაძაბული, ადამიანთა ბედისათვის მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი შეტაკება.

ვაჟა-ფშაველას ეპიკურ ნაწარმოებებში ბატალური სცენების ორივე სახეობა გვხვდება. ფართომასშტაბიანობის შთაბეჭდილებას სტოვეს „ბახტრიონში“ ჯარის თავმოყრა და ბახტრიონის აღება, „სტუმარ-მასპინძელში“ — ხევსურთა თავდასხმა ქისტების სოფელზე ზვიადურის სისხლის ასაღებად და მისი გვამის გამოსახსნელად, მცირემასშტაბიანია, მაგრამ შინაგანად უაღრესად დაძაბული, ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლა, გოგოთურსა და აფშინას მოულოდნელი შეხვედრა და შებრძოლება და სხვ. ამ ეპიზოდების კითხვა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რადგანაც თხრობა ისეა აგებული, რომ თვით შებრძოლების, ბრძოლის ფაქტი კი არ არის მთავარი, არამედ ფაქტისადმი ავტორისა და მკითხველის ემოციური, ზნეობრივი და ესთეტიკური დამოკიდებულება, სწორედ ამისი შენარჩუნებაა თარგმანში მთავარი და გადამწყვეტი, თორემ რა-

ლაც უმნიშვნელო დეტალებში ყოველთვის ასატანია განსხვავება დედანსა და თარგმანს შორის.

ამ პოზიციებიდან გვინდა შევადგინოთ ვაჟა-ფშაველას ეპიკურ პოემებში დახატული ბატალური სცენები დედანსა და რუსულ თარგმანებში, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ „ბახტრიონში“ ისევე როგორც ვაჟას სხვა პოემებში, ხდება ავტორის გარკვეული „გარდასახვას“.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ფაქტობრივად ის აქ გამოდის „რაფსოდის“ ნიღბით, ანუ ის არ არის გულგრილი მის მიერ მონათხრობი ამბის მიმართ, მისი პოზიცია აქტიურია, მკაფიოდ გამოსახული და შეიძლება ითქვას, რომ ის მისთვის სასურველი გუნდის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლია. ეს ჩანს თხრობის კილოდანაც — ქართველ მებრძოლებზე ვაჟა ლაპარაკობს დიდი აღტაცებით, ხოლო მტრებზე ერთგვარად ნიშნის მოგებითა და აშკარა ანტიპატიით. „რაფსოდის“ ნიღბი განსაზღვრავს პოემის მთელ ტონალობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბატალური სცენა მხოლოდ იარაღის ძალის გამოცდა არ არის, იბრძვის და იარაღს ხმარობს ადამიანი, პიროვნება, რომლისთვისაც ეს ბრძოლა დახასიათებაც არის, მისი პიროვნების წარდგენა მკითხველისათვის და ამავე დროს ავტორის პოზიციის გამოსახვაც.

ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას აპყრობს ლუხუმის სახე, რად ღირს მისი შეხვედრა ძველ მეგობართან. ჯერ ჯიქურ შეუტია, თითქოს შეამოწმა, როგორ იბრძოლებს იგი თათრებთან, დარწმუნდა მის უბერებელ ვაჟაკობაში და მერე გადაეხვია ძმურად და მეგობრულად.

საოცარი ლაკონურობით არის აღწერილი „ბახტრიონში“ ცენტრალური ეპიზოდი-ბრძოლა. კადრები იქ კინემატოგრაფიული სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს.

რით უნდა იყოს განპირობებული ეს გარემოება? ვაჟასთვის მთავარია არა თვით ბრძოლა, არა ბატალური სურათი, არამედ ადამიანთა ფსიქოლოგია, რომელიც ამ ფონზე იხსნება.

იმისათვის, რომ თარგმანი დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, აუცილებელია თარგმანში დამახასიათებელი დეტალების შენარჩუნება, რადგანაც, ძალიან ხშირად. სწორედ დეტალებში ვლინდება ნაწარმოებში ასახული ეროვნული კოლორიტი და ტექსტის მხატვრული თავისებურებანი.

დეტალები პერსონაჟის ამ მოვლენის დახასიათების საუკეთესო კომპონენტია, ასეა, როცა პიროვნებას ვახასიათებთ, როცა ადამიანის ცხოვრების ყოფით საკითხებს ვეხებით, ასეა ადამიანის ბრძოლაში მონაწილეობისა და მოქმედების აღწერის დროსაც.

ბრძოლაში მონაწილეობა ადამიანის ცხოვრების, არსებობის, საქმიანობის ერთ-ერთი გამოვლენაა და თუ მას ტექსტში რაღაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხოლოდ იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ბრძოლაში ხდება ადამიანის ფიზიკური და სულიერი ენერჯის სრული მობილიზაცია, რაც იწვევს პიროვნების შინაგანი სამყაროს გაშიშვლებას და მეორე, ომი ყოველთვის რაღაც დიდი იმედების განხორციელებას ემსახურება და თუ ის განხორციელება არ მოხდა, იმედების მსხვრევა პიროვნების ტრაგედიას იწვევს. ომის შედეგი, დამარცხება იქნება თუ გამარჯვება, ყოველთვის მნიშვნელოვანია, იგი ან აღამაღლებს პიროვნებას ან გააწბილებს, ომის შედეგი ხშირად შეიძლება თვითონ პიროვნებისათვისაც აღმოჩენა იყოს, შეიძლება მან ომში მონაწილეობის შედეგად საკუთარ თავზე გაიგოს ისეთი რამ, რაც აქამდე არ იცოდა. ამიტომ არის, რომ ბატალური სცენების აღწერას ყველა გამოჩენილი მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ დროს მკითხველისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა ფაქტი მოხდა და არა მხოლოდ ის, როგორ მოხდა ფაქტი, არამედ ისიც, რა სიტყვიერი მასალა გამოიყენა ავტორმა მოვლენის აღწერისათვის და რა ინტონაციური ტონალობით შეფერა თავისი თხრობა — აი, ერთი მაგალითი „ალუდა ქეთელაურიდან“: ალუდას პირველი შეხვედრა ქისტებთან და პირველივე ავტორისეული ინტონაცია:

„მარჯვედვე გადაეწია,  
თოფმა გაიღო ჩქამიო:  
ერთს ქურდს-კანტალას დილღველსა  
ცუდი დაუდგა წამიო;  
გადავარდება ცხენზეით,  
ყელთავქვე ეკიდებისა;  
ნატყვიარი სჭირს ბეჭისთავს,  
ზედ ცეცხლი ეკიდებისა“;

დაიწყო ორთაბრძოლა, ავტორისათვის სიმპატიური პერსონაჟი სხვანაირი ტონალობით არის მოწოდებული. იგი:

„მარჯვედვე გადაეწია“ —  
თოფმა გაიღო ჩქამიო“ —

ხოლო ყაჩაღი ქისტი არის „ერთი ქურდ-კანტალა ღილღველი“. მას ალუდას პირველივე ტყვია მოუღებს ბოლოს, გადავარდება ცხენზეით და ყელთაგვეკე ეკიდება (თან ტყვია ხვდება ბეჭში, ე.ი. გარბოდა), ვისაც უნახავს ცხენზეით გადავარდნილი კაცი, რომელიც უნაგირზეა გადაკიდებული და მიწაზე ჩამოვარდნას ლამობს, საკმაოდ სასაცილო დასანახია. მაშასადამე, ორი პიროვნების შებრძოლება თითქოს ერთ-დროულად არის დანახული ორი — მეგობრული და მტრული პოზიციიდან.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატალური სცენების ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო ბრძოლაში მონაწილე პირთა მოქმედებას, არამედ ავტორის პოზიციას პერსონაჟთა მიმართ, რადგან აქედან იწყება ის შეფასება, რომელიც მერე უნდა გაკეთდეს. კიდევ მაგალითი: იკვრება ახალი კვანძი, ალუდა ასევე ბრძოლაში უნდა შეხვდეს პიროვნებას, რომელიც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს, ვაჟკაცურად იბრძოლებს და ვაჟკაცურად დაიღუპება, რითაც ალუდას ცრემლებსა და ვაჟკაცურ დატირებას დაიმსახურებს. აი, როგორ შემოჰყავს ავტორს მოქმედებაში ეს ჯერ უცნობი პიროვნება.

„ამხანაგ-მოკლულ ღილღველი

ჩახმასხა ეზიდებისა, (ეს ახსნა ძალიან წააგავს თავისი განწყობით ალუდას მისამართით ნათქვამს, „თოფმა გაიღო ჩქამიო“).

გამასტყვრა მუცალის თოფი,

კლდის პირი დაიშლებოდა,

ნადიძი ტყვიის ალუდას

კალთაში ჩაეშლებოდა“.

ეს წარმოდგენა არა რომელიღაც ქურდ-კანტალასი, არამედ ვაჟკაცის, რომელმაც სულ ოდნავ ააცილა ტყვია მოწინააღმდეგეს და კვლავაც აპირებს ბრძოლის გაგრძელებას. ამას მოჰყვება მუცალის მიერ ნასროლი შეკითხვა: „არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?!“ — ეს უკვე თანასწორთა ორთაბრძოლაა და ამავე დროს მუცალის მიმართ პატივისცემით განწყობის დასაწყისი.

შემდგომი ღუელი-ღიალოგი ორ ღირსეულ მოსისხლეთა შორის ავტორს დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა თავისი პერსონაჟების ვაჟკაცობა, კეთილშობილება, მოწინააღმდეგის დაფასების უნარი, რითაც მან მყარი საფუძველი ჩაუყარა პოემაში შემდგომი კონფლიქტის შეკვრას. ახლა ალუდამ ესროლა და იგივე კითხვა გაუმეორა „ არ მაგხვდაუა, რჯულ-ძაღლო“, კვლავ განმეორდა ტყვიის ოდნავ აცდენის

მომენტი. მუცალი აღტაცებით ლაპარაკობს ალუდას მარჯვე სროლაზე, „ოჰო, ქულ გაუხვრეტი“.

წვერებსა სტრუსავს თმისასა“.

და თითქოს სინანულსაც კი გამოთქვამს, რომ ისეთ ვაჟკაცს, როგორიც ალუდა არის, ტყვია ოდნავ აუცდა.

„მაღლად აგიცდა, ბეჩავო,

კენჩხას არა სჭირს ძვლისასა“

დაუნდობელი, სასტიკი ორთაბრძოლა გრძელდება. ახლოვდება ტრაგიკული დასასრული. მუცალის ტყვიამ ალუდას საწამლე დაუმტვრია (საპირისწამლე). ეს უკვე გულთან ან თავთან ძალიან ახლოს არის. ქისტის მომდევნო გისროლა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ალუდასათვის, ამიტომ ალუდამ უნდა დაასწროს და:

„მატილიონის ნასროლი

ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა“.

ბრძოლაც დამთავრდა. ახლა იწყება უფრო რთული რამ — გმირთა ურთიერთშეფასება და ვაჟკაცური სინანული მომხდარის გამო. ალუდასა და მუცალის ურთიერთმიმართვა სიტყვით „რჯულ-ძაღლო“. ეს არის მოწინააღმდეგეთა ურთიერთგამიჯვნის მხოლოდ გარეგნული ფორმა, რადგანაც ჩვენ პოეტის სხვა ნაწარმოებებიდანაც ვიცით, როგორ მოითხოვს თემის კანონი თავისი წევრისაგან მტრის მიმართ სასტიკად მოქცევას და რომ მტერს სასტიკად უნდა მოექცე, იგი უნდა გაუღლდეს. „რჯულ-ძაღლოთი“ მიმართვა ამ სიტუაციის გარეგნული გამოვლინებაა, შინაგანად, ამ ორ მამასისხლად გადაკიდებულ ვაჟკაცთ ერთმანეთი არა სძულთ. მუცალი სიკვდილის წინ აკი უფასებს ვაჟკაცობას თავის მკვლელს.

„თოფიც ალუდას გაღუგდო,

ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:

-ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,

ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.

ქისტი კვდება და იცის, რომ კვდება, მაშ, მისთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვის ხელში ჩავარდება მისი თოფი სიკვდილის შემდეგ. არა, თურმე აქვს მნიშვნელობა, მუცალმა იცის თავისი ვაჟკაცობის ფასი, და მისი ხელით ნატარები თოფი უღირსი კაცის ხელში ჩასავარდნად არ ემეტება. აი, რატომ სთხოვა ალუდას, თოფი შენ წაიღეო. აქვე გავიხსენოთ გოგოთურის სიტყვები აფშინას მიმართ ზიზღით ნათქვამი:

„მე შენ იარაღს რად მინდას  
სიმრუდის გზაზე ნავალი“.

ახლა ალუდას სინანულის დრო მოდის. იგი დარწმუნდა, რომ მას ებრძოდა ნამდვილი ვაჟკაცი, ამიტომ ენანება, რომ მას ღირსეული კაცი შემოაკვდა. არ უნდა ალუდას არაფერი მუცალისაგან, არც იარაღი და არც სხვა რაიმე სიმდიდრე, პირიქით. პოეტი გასაოცარი მოთმინებით აღწერს, როგორ გააპატიოსნა ალუდამ მის მიერ მოკლული ვაჟკაცი, როგორ დაუწყო გულზე და მკლავებზე იარაღი და როგორ დალოცა საიქიოში მიმავალი სხვა ტომის შვილი თავისი თემის წესით.

„მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,  
იტყოდა: „ცოდვა არიო;  
ვაჟკაცი, ჩემგან მოკლულო,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.  
შენ ხელ შენ გულზედ დამიწდეს,  
ნუმც ხარობს ქავის კარიო  
კარგი გყოლია გამდელი,  
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“.

თითქოს მოულოდნელია, მტრებს ხოცავს და თან გვარს უდღეგრძელებს საკუთარი ხელით მოკლულ მტერს, უსურვებს საიქიოში არსებობის უმადლეს ფორმას — ცხონებას. შეგვიძლია უეჭვოდ ვთქვათ, რომ კონფლიქტი ალუდასა და საკუთარ თემს შორის აი, აქ დაიწყო, და არა მაშინ, როდესაც

ხევსურთა ახალ-უხლები  
გადაიქციან ტყემლადა,  
ავად შაჰხენდნეს ალუდას,  
შაუძრახიან ხმელადა“.

ახალ-უხლებმა, ანუ ახალგაზრდებმა, ალუდას მარჯვენის მოჭრის წესის დარღვევა უსაყვედურეს, მათ მეტი არ ესმოდათ. ხევისბერმა უფრო ღრმად დაინახა მოვლენა და უფრო სასტიკად შეუტია მას. ამრიგად, ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლა, თავისი მასშტაბებით თუ არა, თავისი შინაარსით მაინც, ეს ნამდვილი ბატალიაა. ოღონდაც, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, სად უფრო მძაფრი იყო ბრძოლა — ალუდასა და მუცალის შეტაკების დროს, თუ ალუდასა და თემის კანონების დამცველთა ურთიერთდაპირისპირებისას. ამ ბატალიაში ალუდა დამარცხდა და ეს მარცხი ფაქტობრივად დაიწყო ალუდას

ქისტზე გამარჯვებით. ამ გამარჯვებას მოჰყვა შემდეგ ყველაფერი, რაც ალუდასათვის ტრაგედია იქცა. იგი დამარცხდა ფიზიკურად, იურიდიულად, მაგრამ, როგორც მიღებულია, ამბობენ, — გამარჯვა ზნეობრივად. უნდა ითქვას, რომ მისი ცეცხლს მიცემული სახლ-კარისათვის, დაწიკებული და თოვლიანი ღამით ტყეში გაყრილი ცოლ-შვილისათვის დიდი ვერაფერი დამშვიდება ალუდას მორალური გამარჯვება. უფრო მეტიც — ყინვიან ზამთარში თოვლში გარეკილი ქალები წყევლა-კრულვას უთვლიან თემის მესვეურებს და ესეც იმ ბატალიის გაგრძელებაა, რომელიც ალბათ ტრაგედიით უნდა დამთავრებულიყო მთლიანად ალუდას ოჯახისათვის.

„ბახტრიონში“ ბატალური სცენის აღწერა იწყება გრანდიოზულ მხატვრულ ფერებში. ვაჟა-ფშაველა მკითხველს მოცემული ფაქტისა უშუალო მონაწილედ ხდის:

„ხუთმაბათ დილა გათენდა,  
სისხლისა ნიაგ-ღვარია,  
ბახტრიონს თათრის შვილებსა  
დღე გაუთენდათ მწარია...“

სტროფის პირველი ორი სტრიქონი —

„ხუთმაბათ დილა გათენდა  
სისხლისა ნიაგ-ღვარია...“ —

თვით ვაჟასთან სინტაქსურად მთლად სწორად არაა აგებული. მაგრამ, ეს არის ცოცხალი, ადტივებული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილი, წინა პლანზე წამოწეულია ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი, მაგრამ მოვლენის გაგებისათვის მთავარი ელემენტი.

საოცრად ნიშანდობლივია პოეტის გამონათქვამი „ნიაგ-ღვარი“. რას ნიშნავს იგი? ეს ჩვეულებრივი პოეტური გაზვიადებაა, მაგრამ თუ კი ამ გამონათქვამს განვიხილავთ, მომდევნო ორი სტრიქონის კონტექსტში: —

„ბახტრიონს თათრის შვილებსა,  
დღე გაუთენდათ მწარია...“

— უნდა მივხედეთ, თუ რაოდენ სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა იყო „ბახტრიონის“ ბრძოლა, განსაკუთრებით „თათრის შვილთათვის“. ამაზე მეტყველებს შემდგომი სტრიქონიც:

„ალაზნისაკე წავიდა  
ურჯულოს სისხლის ღვარია...“

სისხლის ნაკადულები რომ ალაზნისაკენ მიედინება, ეს პოეტური



სახეები. ჯერ ერთი, რომ ალაზნის მხატვრული სახე ქართულ ფოლკლორში და, მეორე, ომში იმდენი სისხლის დაქცევა, რომ მდინარე გაწითლდეს — ეს პოეტის საყვარელი სახეა (გავიხსენოთ სხვა ნაწარმოებიდან:

„დელიამ, ღვინოდ ვაქციეთ,  
შავი არხოტის წყალია.“)

ნიკოლაი ზაბოლოცკიმ ეს სურათი ასე წარმოადგინა:

“Çaææññi çàðÿ ïà íááíñéííá.  
íññòàëí òòðí ÷áðááðáà,  
Òÿæ,ëúé ááíú äëÿ Áàðòðëíé,  
Óááé íá÷:àëúíúé äëÿ áðááà!”

თარგმანში დაკარგულია „ნიაგ-ღვარისანი“ ხუთშეხატი დღის დღის გათენება ანუ სასტიკი, დაუნდობელი მტრის ჟღერის დაწყების დღია.

შემდეგი სტრიქონი „Òÿæ,ëúé ááíú äëÿ Áàðòðëíé“. ეს საერთოდ ეწინააღმდეგება დედააზრს. ქართველი მეომრისათვის მტრისაგან განსათავისუფლებლად ბრძოლა, პირიქით, დადებითი ემოციისა და განწყობის გამომხატველია და, თუკი ბახტრიონი მტრისაგან განთავისუფლდებოდა, ეს არ იქნებოდა „Òÿæ,ëúé ááíú äëÿ Áàðòðëíé“, — პირიქით, ეს იქნებოდა ბედნიერი დღე, დღე მტრისაგან განთავისუფლებისა.

შემდეგი სტრიქონი — „Óááé íá÷:àëúíúé äëÿ áðááà“ — ესეც ანელებს ემოციას, რადგანაც რაც მოხდა, ეს „óááé“ კი არ არის, არამედ აჯანყებული ქართველების შემოქმედებაა.

„Ëóíà ñáíáíáú ïà Áíðáàéá  
Íáðñííáàèññi è ááàèè  
Ííòíèè éðíáè çàñááðèàèè  
È è Àèàçàíè ñðáèèè“.

— ეს უვარგისად ნათქვამი სტრიქონია, რაც მთარგმნელს დასჭირდა იმისათვის, რომ გაერთიმა „íðáèèè“. ამ მონაკვეთში აშკარად იგრძნობა, რომ მთარგმნელს ვერსიფიკაციულად გაუჭირდა და ჯვარედინი რითმის გაწყობას ერთგვარად შეწირა ტექსტის შინაარსი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბატალური სცენის გამომხატველი ეპიზოდი „ალაზნისაკენ წავიდა

ურჯულოს სისხლის ღვარია“, — დაკარგულია. მთავარი, რომ ეს სისხლის ღვარი ურჯულოების სისხლისა იყო, ანუ მტერთან

სასტიკად გასწორების ფაქტი, რაც თარგმანში იკითხება შემდეგნაირად:

„Ííòíèè éðíáè çàñááðèàèè  
È è Àèàçàíè ñðáèèè“

„Ííòíèè éðíáè“ — მეტყველებს ზოგადი სისხლის ნიაგ-ღვარზე, და არა მტრის სისხლის ნიაგ-ღვარზე. ზოგადად ნიაგ-ღვარი ჩვეულებრივ ყველა ომის შედეგია, მაგრამ ფაქტი იმისა, რაც მთავარია, მტერზე ბრძოლაში ქართველთა დიდი უპირატესობა საერთოდ დაკარგულია. ამრიგად, მოცემული ეპიზოდის თარგმანი ფსიქოლოგიურად ნაკლებია, რადგანაც მასში არ იგრძნობა პოეტის ეს საზეიმო განწყობილება ურჯულოთა სისხლის ღვარზე. „Çàñááðèàèè“ მთარგმნელს დასჭირდა რითმისათვის — „íà Áíðáàéá“, არადა სწორედ ამ სიტყვის ადგილას შეიძლებოდა ჩამჭდარიყო სიტყვა, რომელიც მიუთითებდა, რომ ეს სისხლი მტრისაა. აქ უკეთესი იყო, მთარგმნელს დაემოტოპონიმი (Áíðáàéá), ეს ნაკლები დანაკარგი იქნებოდა, რადგან რუსი მკითხველისათვის ეს გაცილებით შეზღუდული ინფორმაციაა, ვიდრე ავტორის დამოკიდებულება იმ სისხლთან, რომელიც ომში დაიღვარა.

პოემა თარგმნილი აქვს ვლ. დერჟავინსაც, და ეს ადგილი დერჟავინისეულ თარგმანში ჟღერს ასე:

„Ááíú ñðíð, è ñ÷:ú ñèíóèà,  
Óòðí ÷áðááðáà ïáñòàëí,  
Á Áàðòðëíé äëÿ íáááðíúð  
Ááíú ðáñíèàðò ïáñòóíèè.  
Ñááðèàÿ éóíà ñáíáíáú  
ííáíèàèàññi ïáà Áíðáàéí,  
È ñðíè éðíáááíé áíéíú  
Àèàçàíè çàíòðèè“.

პირველი სტრიქონი „Ááíú ñðíð, è ñ÷:ú ñèíóèà“ — საერთოდ გაუგებარია, რომელი დღე-ღამის გასვლაზეა ლაპარაკი. გამოდის, რომ ბრძოლის დაწყებას წინ უძღოდა ერთ დღეღამიანი პაუზა, რაც არც რეალურია და არც დედნისეულია, დედანში მოკლედ და ენერგიულად არის ერთი სტრიქონით ნათქვამი, როდის დაიწყო მოქმედება „ხუთშეხატი დღია გათენდა“, და აქ დღისა და ღამის გასვლაზე ლაპარაკი სრულიად უფუნქციოა.

ამ თარგმანში ფაქტობრივად დედნისეული აზრიც და ემოციაც შეეწირა რუსული თარგმანის ვერსიფიკაციას. „Óòðí ÷áðááðáà ïáñòàëí“

და აქვე „**Ἰαῖνὸς ἐστὶν ἡ ἀνάστασις**“ — როგორც ცნობილია, დილით მთვარე არ ამოდის. მეორე, დედანში კი არის

„გადმოდგა ბორბალაზედა,

თავისუფლების მთვარეა“, — მაგრამ, ეს გათენების ნიშანი კი არ არის, არამედ გამარჯვების სიმბოლოა, თანაც სიტყვა, „მთვარე“, რუსულში და ქართულში სხვადასხვა აზრობრივი შესაძლებლობების შესიტყვებებია. „თავისუფლების მთვარე“ ფასობს იმიტომ, რომ ეს გენიოსმა სთქვა, თუმცა ქართულ ენაში ეს გამოთქმა მაინც ვერ იქცა საყოველთაოდ სახმარ გამოთქმად. რუსულში საყოველთაოდ ცნობილია გამოთქმა „**Ніє іо́на н́а́н́а́н**“. „**Ἐοίᾱ ἡ ἀνάστασις**“ რუსულად არ უღერს. სტროფი თავდება ასეთი სტრიქონით:

„**È ìòîè ìòἰἰἰἰἰἰἰ ἄἰἰἰἰἰ**

**Àḗḗḗḗḗ ḗḗḗḗḗ**“

ამ კომენტარებით ჩვენ სრულიად არ გვინდა, თუნდაც ოდნავი ჩრდილი მივაყენოთ მთარგმნელთა დიდ შრომასა და მოთმინებას, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ეს არის არა მარტო დიდი პოეტი, არამედ დიდი ფილოსოფოსიც, ამიტომ მისი თარგმნა ყოველთვის მოითხოვს ნაწარმოების აზრობრივი დატვირთვის მაქსიმალურად გადაცემას.

ვაჟა-ფშაველას, როგორც ცნობილია, ეხერხება ვაჟკაცის სახის დახატვა ლაკონურად და პოეტურად. მის მიერ დახატული მეტროლოგი არა მარტო უებრო მეომარია, იგი ამავე დროს მშვენიერია, მომხიბლავია, მიმზიდველია, თითქოს შუქსა და სიკეთეს აფრქვევს ირგვლივ.

„გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა

მტერი, უღმერთოდ დალია“.

„გულ-რკინას ხოშარეულსა

შუა გადუტყდა ხმალია!

ცრემლი ერევა თვალზედა

სწუხს ამისაგან, მწყრალია“.

საკმაოდ მოზრდილი პასაჟი ორ-ორი სტრიქონით წარმოგვიდგენს, როგორ იქცევიან ამ ბრძოლაში პოემის გმირები. „მიჰკივის თათრებს ზეზვაი“.

„გულ-რკინას ხოშარეულსა

შუა გადუტყდა ხმალია!

ცრემლი ერევა თვალზედა

სწუხს ამისაგან, მწყრალია.

ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,

არ აუფეთქდა ფალია“, — და ეს ორი სტრიქონი საკმარისი ხდება, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ლომგული ადამიანები, როგორ იბრძვიან, რა განცდები ამოძრავებთ და რა საამო და საშინელი დასანახები უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამ დროს. ტექსტიდან ჩანს, რომ მტერი მარცხდება, სძლია ქართველთა ლაშქარმა. მაშ, იბადება კითხვა: რატომ განიცდის ლუხუმი ასე მწვავედ ყველაფერს? რად უნდა გამარჯვებულ ჯარს მოწოდება საბოლოო ბრძოლისაკენ?

„მამყევით, ვისც ქუდი გზურავთ,

ვინაც არა ხართ ქალია!“

ლუხუმის ეს შეძახილები მარტო მეტროლოგიის წახალისების მოწოდება კი არ არის. ასეთი მოწოდება იმ მომენტში ქართველებს აღარ სჭირდებოდათ. ეს გამარჯვებული გულის ყიჟინაა. დიდი სიხარულის ამოძახილი. ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ უხმო და უჩინარი ბრძოლები არავის ჩაუტარებია. მეტროლოგი, როგორც წესი, ბრძოლის მომენტში თავის ემოციებს ხმითაც გამოხატავენ. ასეთი გამოძახილები ყველა ხალხსა აქვს. ვავისენოთ ქართული „ვაშა“, რუსული „**Омъ**“, ფრანგული „ჰურრა“ [ურა] და სხვა.

მტერი დამარცხდა, გარბის, ლუხუმი დროშას ლომივით მიუძღვის, ბრძოლა ბოლომდე გრძელდება. აქ ჩადებულია ვაჟასეული შეხედულება ყველაფერ იმაზე, სანამ მტერი სუნთქავს, ბრძოლა მოგებული არაა, არ შეიძლება მეომარს გაუიოლო ბრძოლა — მტერი ბოლომდე უნდა განადგურდეს. მტრისადმი ასეთი მიდგომა ვაჟას ნაწარმოებშიც აქვს მოცემული:

„მაგრამ მტერს მტრულად მოექე,

თვითონ უფალმა ბრძანაო“.

და როგორც გვირგვინი ბატალური სცენისა, ვაჟა-ფშაველა გვეუბნება:

„ეს ის დრო იყო, როდესაც

მთასა ჰლოცავდა ბარია...“

აქ ვაჟა-ფშაველა იმას კი არ გვიმტკიცებს, რომ მთამ უშველა ბარს მოცემულ მომენტში, იგი მთის შვილია და სიამოვნებით ამბობს, რა როლი შეასრულა მთამ ქართველთა ბარის გადარჩენაში, მაგრამ აქ არის მეორე, მნიშვნელოვანი რამ, უზარმაზარი ქვეტექსტი — რა როლი შეასრულა ერთიანობამ, მთლიანობამ.

ეს დამავიწყებელი ფრაზა თარგმანში ასე უღერს.

ზაბოლოცკი: „Á ðà áíè ãðçèñèàý äíèèà  
Áèãñíèíáèýèà ðèáíý äíð...“

ვლ. დერჟავინი: „Á ýòì ðàãñòñá äðáíý  
Èèàýèàñü äíðã ðàáíèà...“

ზაბოლოცკი თითქოს ძალიან ახლოს არის დედანთან, მაგრამ აკლია ის ემოციური მუხტი, რაც დედანშია. დერჟავინმა საერთოდ ვერ გაიგო ამ სტრიქონების აზრი (ან პუკარედის ავტორებმა ვერ გააგებინეს). ამიტომ „Èèàýèàñü äíðã ðàáíèà“ — არც პოეტურია და არც დედნის პათოსს გამოხატავს.

ყველა ამგვარი დეტალის გადატანა თარგმანს სრულყოფილ სახეს მიანიჭებდა, მაგრამ კრიტიკის ექსტაზში შესულებს არც ის უნდა დაგვაფიქვდეს, რამდენად რთულია ეს საქმე თუნდაც პოეტურ თარგმანში, როდესაც მთარგმნელი შებორკილია არა მარტო ნაწარმოების შინაარსით და სახეებით, არამედ ტექსტის ვერსიფიკაციული ნორმებითაც, თუმცა სირთულეების არსებობა ვერ ჩაითვლება სუსტი თარგმანის გასამართლებელ ფაქტორად.

ლიტერატურა

**ბოგომოლოვი, 1980** — Èãíðü Áíññíèíá. “Áàæà Ìðàááèà è ðññèàý äáèñðàèèðáèüññòü”. Èçä. “Íáðàè”. Õá., 1980, äèààà V-VI.

**ვაჟა-ფშაველა, 1947** — Áàæà Ìðàááèà. Íýñü. Ðáááèèèè Á. Áíèüöááà è Ñ.×èèíááè. Áíñóáàðñòááíñá èçáàðáèüññòáí òááíæáñðááíñé èèðáððòðü. 1947.

**ვაჟა-ფშაველა, 1951** — Áàæà Ìðàááèà. Íýñü. Íáðááíá ñ ãðçèñèèíáí Í.Çááíèèèèè. Íá ðáááèèèèè Í.Èíáíðíèèè. Èçä. “Çàðý Áíñòíèà”. Õá., 1951.

**ვაჟა-ფშაველა, 1961** — ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული 1861-1961. თბილისი., 1961

**ვაჟა-ფშაველა, 1964** — ვაჟა-ფშაველა თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. თბ., საბჭოთა საქართველო, 1964 წ.

**შრომები, 1959** — გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები III-1, საქ.სსრ განათლების სამინისტრო, 1959 წ.

**ჩიქოვანი, 1957** — Íáðááíáü Í.Çááíèèèíáí. Áñðóíèðáèèüíáý ñðàðüý Ñèì.×èèíááè, Èáíèíáðáá 1957, Ñíááòñèèè ðèñàðáèü.

## Verbal Portrait as a Means of Character Description in Vazha Pshavela's Epic Poems

### Summary

Vazha Pshavela is a great master of verbal portraits. In his poems two clearly distinct types of portrait - lyrical and epic - can be differentiated. In the lyrical portraits carefully chosen linguistic means reveal the author's warmth and sympathy towards the characters. The Epic portraits are more detailed, they sound solemn, elevated, at times austere and full of the author's admiration. Throughout the poems Vazha Pshavela returns to the description of his characters for a number of times, adding some new strokes to their portraits in accordance with the situation. The paper stresses the difficulty of achieving similar effects in a translation, especially in a poetic one and from this perspective the faults of the Russian translation are explained.

## ლილი მუჰამედი

სიტყვიერი კორტრეტი როგორც პარსონაჟის  
დახასიათების ხერხი

(ვაჟა-ფშაველას ეპიკური კოფების მიხედვით)

ვაჟა-ფშაველა ჯანსაღი ხალხის სულია!

ლალი და ძალოვანი, მოკრძალებული და უადრესად მორცხვი რაინდი, იგი ერთსა და იმავე დროს მკაცრი რეალისტი, მისტიკოსი, მკმუნვარე პესიმისტი და საოცარი ოპტიმისტი. საღმრთო ცეცხლით ათრთოლებული მისი შემოქმედება სადაა, ვით თვით ცხოვრება, მჩქეფარე და ძალოვანი, ვით ამავე ცხოვრების დაუღალავი ენერჯია, მისსავით მიმზიდველი, მისებრ გამჭვირვალე...

ვაჟა-ფშაველა ჩვენი სამშობლოს თავდადებული გმირი მგოსანია. მისი მგზნებარე პოეტური შემართება გვეძახის ჩვენი გმირული წარსულისაკენ, სადაც გმირნი გმირობდნენ, სადაც მამულიშვილობა სათაყვანისმცემლო მოვალეობა იყო. მთელი ჩვენი მომავალი ვაჟამ ამ რომანტიკული მზით გაანათა, აქ ეძებს იგი ხსნას, აქედან ლამობს ჩაგვბეროს ზღვარზე მისული მამა-პაპათა ძლიერი სული, რათა ქართველებს არ დაეკარგოთ, არ გაუწყდეთ განვითარების დიდი გზა.

ვაჟას მხედრული სული მხედრულ იდეალებს ეთაყვანება, ამიტომ არის, რომ ვერ ვნახავთ ერთ ბწყარსაც, სადაც ყოველი სიტყვა ბრძოლის ქურაში არ იყოს გამოწრთობილი. მის მიერ დახატული დიადი სურათები მეტოქეობას გაუწევს ნებისმიერი დიდი პოემის მიერ შექმნილ სახეებს. ავიღოთ მაგალითისათვის მისი პოემა „ბახტრიონი“, რომლის დასაწყისიც ჰომეროსის ქმნილებებსაც დაამშვენებდა:

„დღემ დაიხურა პირბადე,  
მთებმა დახუჭეს თვალები,  
აღარ შეფოთავენ საფლავში  
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები“...

რა დიდებული სურათია, რა წარმტაცი მეტაფორები, რა ცოცხალი და ადამიანური ბუნებაა.

„ნისლი ფიქრია მთებისა,

იმათ კაცობის გვირგვინი“, — ეს ხომ შედეგია ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა. საიდან აიღო ვაჟამ ყველაფერი ეს? საიდან და საკუთარი ხალხის სულისა და გონების სიღრმიდან და, რა თქმა უნდა, ქართული მთის წიაღიდან, სადაც ბუნება თვითონ ქმნის გრანდიოზულ სახეებს, სადაც ღმერთები ჯერ კიდევ არ დახოცილან, ადამიანური სახით დადიან მთიელთა შორის და ჩამოდიან დაბლა მიწაზე. ამიტომ ვაჟას გმირები ღმერთკაცები არიან, რომელთა წარმოშობაც მხოლოდ მთას შეეძლო. შესაქმნელი ღმერთ-კაცების ტიპაჟებს ხალხური პოეტური აზროვნება კარნახობდა. ვაჟას ეპიკური პოემების გმირები, თავისი სულიერი აღნაგობით ეპიკურ ხასიათს წარმოადგენდნენ. ზვიდაური, ლუხუმი, გოგოთური, ზეზვა, ძაღლიკა ხიმიკაური — ბიბლიური ხასიათებია. მათი არსებითი თვისებებია: ხასიათის სიძლიერე და მთლიანობა, შინაგანი ჰარმონია, ჰეროიკული მოქმედებისა და ჰეროიკული იდეალების სრული თანხმობა, დიდი სულიერი სილალე და სიმართლე, ეთიკური მრწამსის, მსოფლმხედველობის სავსებით გარკვეული, მყარი სისადავე. მათი სულიერი სამყარო თანმიმდევრულად აისახება მათ საქციელში, მათ პრაქტიკულ მოქმედებაში. მოქმედება, რომელიც ეპიკური თხრობის შინაარსს წარმოადგენს, სრულად ავლენს მათ შინაგან ცხოვრებას, მათი ხასიათის არსებით თვისებებს. რაც შეეხება თვით პოეტური აზროვნების კონკრეტულ ფორმებს, ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პოემები დაწერილია, როგორც მონაყოლი ამბავი, ხოლო, მთხრობელის ან მომღერლის როლში აქ ხალხის წარმომადგენელი გამოდის.

ამის გამო, ამბის თხრობაც აქ გარკვეული პოზიციებიდან წარმოებს. ფაქტებისადმი, აღწერილი მოვლენებისადმი დამოკიდებულებას, მათ ფსიქოლოგიურ, ეთიკურ თუ მხატვრულ შეფასებას გარკვეული ამოსავალი წერტილი აქვს. ასეთი პოემებია: „ბახტრიონი“, „გოგოთურ და აფშინა“ „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, სადაც ყოველ ნაბიჯზე ივთლისხმება სახალხო მომღერლის თავისებური „რაფსოდის“ ფიგურა. „რაფსოდის“ პოზიცია სრულიად აუქმებს პირობითობის „ხელოვნურობის“ იმ ზღვარს, რომელიც ავტორსა და მხატვრულ მასალას (ლეგენდას) შორის შეიძლება არსებობდეს.

იგულისხმება, რომ პოემის „ავტორს“ (სახალხო მთქმელს) აბსოლუტურად სწამს თქმულება, რომელსაც იგი ჩვენ გვიყვება.

ეს არის მთავარი ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური მომენტი, რომელიც ბუნებრივ, უშუალო, მხატვრულად მართალ და დამაჯერებელ ატმოსფეროს ქმნის ვაჟას ეპიკურ პოემებში.

ვაჟას გმირები, მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებულ, მათთვის „უჩვეულო“ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი და ზოგიერთ ასევე „უჩვეულო“ თვისებას ავლენენ. ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ალაზა და განსაკუთრებით მინდია, თავიანთი შინაგანი კოლიზიებით უკვე ახალ სულიერ პროცესებზე მიგვანიშნებენ.

ვაჟა-ფშაველას პოემებში ადამიანთა დაპირისპირება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ ვაჟა ყოველთვის წინ აყენებს ადამიანს, — მაღალ საკაცობრიო იდეალს, ადამიანობა უფრო ძლიერია, ვიდრე ეროვნული და სულიერი თვისებები.

თემს (კოლექტივს) აქვს თავისი წესები თავდაცვისა და არსებობისათვის. კოლექტივი თავის წევრს ავალებს საერთო საქმის ერთგულებას. მაგრამ, მწერალმა თავისი გმირები სრულ დინამიურობაში გვაჩვენა. ვხედავთ, რომ ჩნდება ახალი ურთიერთობის ყლორტები, რაც მანამდე არც იყო და არც არავის სჭირდებოდა. ესაა განვითარების სათავე, პროგრესის წყარო. ეს ახალი ზოგჯერ პერსპექტიულია. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ის გაიმარჯვებს და წესად იქცევა, ზოგჯერ „ახალი არ შეესაბამება ცხოვრების განვითარების კანონზომიერებას. მას საზოგადოება ვერ მიიღებს, მომავლის იდეალად ვერ დაისახავს. კოლექტივში ადგილი აქვს მიტაცებას, მკვლელობას, ერთმანეთზე გამძლავრების სურვილს, მწერალმა უდიდესი საკითხები დააყენა იმ თვალსაზრისით, რომ კოლექტივში არსებული ჩრდილოვანი მხარეები დროის ბრალია, ცხოვრების ამალგება და გამარჯვება მომავლის საქმეა, როცა საზოგადოებაში მონაწილეობას საფუძვლად დაედება ადამიანურობის ძირითადი კრიტერიუმები.

ვაჟა-ფშაველას ეპიკური ოსტატობის, მისი მხატვრული სტილის, მისი პოეტური აზროვნების მანერა პერსონაჟების პორტრეტების შექმნისა შეიძლება იქნეს განხილული მისი ცალკეული ნაწარმოებების კონკრეტული ანალიზის საფუძველზე.

პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ ავტორმა ისარგებლა რა ხალხური თქმულებით, საფუძვლიანად გაამდიდრა იგი ახალი იდეებითა და ზნეობრივი ნორმებით, მან მკვეთრად განსაზღვრა ნაწარმოების დე-

დააზრი: „გმირობა არის ადამიანობის ნიშანი, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ყველა ეროვნების, ყველა რწმენის წარმომადგენელს. გმირობა არის ადამიანობის უმაღლესი თვისება, რომლის წინაშე უძღვრია ნაციონალური და სარწმუნოებრივი წარმოდგენები. გმირობა ადამიანთა სულიერი შეკავშირების ყველაზე უძლიერესი საშუალებაა“ — ეს ავტორისეული პასუხია ხევისბერის აგრესიულ პროტესტზე, რომ ვის გაუფია მოუნათლავის ცხონებაო.

მოცემულ პოემაში ვაჟა-ფშაველას მიზანი სრულებითაც არ ყოფილა სტუმარ-მასპინძლობის წესის ჩვენება, ამ წესზე ყურადღების გამახვილება მხატვრული ხერხია პერსონაჟთა დახატვის საშუალება, რომელიც ზოგჯერ ბოროტ აზრებსაც ნიღბავს. აი, ამისი ნიმუში. ჯოყოლას ოჯახში მყოფი ქისტის საქციელი, რომელიც ზვიადაურის დანახვაზე:

„წამოდგა ისიც ფეხზედა,  
როგორც კლდის ვეფხვი, ძლიერი“.  
სტუმრად მოსული უცნობი,  
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,  
ფეხზე ადგომა წესია,  
წესს ვერ დაარღვევს მთისასა“.

მაგრამ, არღვეს. მას სჯერა, რომ მტერზე შური უნდა იძიო, რომ მკვლელს სისხლი უნდა აზღვევინო. მან კი იცნო ზვიადაური, და როგორც ავტორი ამბობს „ფერი დაედო მგლისაო“ და ამ მგელს დამსგავსებულმა კაცმა შურისძიება ამჯობინა სტუმართმოყვარეობის ტრადიციის დაცვას და აკი გასცა კიდეც ჯოყოლას სტუმარი.

ჯოყოლა კი კეთილი ტრადიციების ნამდვილი დამცველია. მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი იმის რწმენა, რომ სტუმრის გაყიდვა არ შეიძლება და თუ ზვიადაურს მოკლავენ, ამით მისი „კაცობა შეილახება!...“

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი,

თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“... ასეთია ჯოყოლას რწმენა.

ჯოყოლა საერთოდ წინააღმდეგი არაა, რომ ზვიადაური მოკლან, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა იგი მის ოჯახს გასცდება (ე. ი. მისი სტუმარი აღარ იქნება). ასე თითქოს შეუბღალავი დარჩება სტუმარ-მასპინძლის წესი, ოჯახის ღირსება და საზოგადოების მტრისადმი დამოკიდებულება.

„როცა გასცდება ჩემს ოჯახს,  
იქ მოეპყარით ავადა,  
ვის გაუყიდავ სტუმარი?

ქისტეთს სად თქმულა ამბადა? — და თავს იმართ-  
ლებს თემისავე ტრადიციით, უიარაღოსთან შებრძოლება ერთობ და-  
მამცირებელია მეომრისათვის და ჯოყოლას, როგორც ვაჟკაცს ვერ  
აუტანია რაინდობის წესის უხეში დარღვევა, უიარაღოს დასჯა.

„უიარაღოს აწვალვებთ,  
გული რასა გრძნობს თავადა?“

მოკლული ქისტისთვის შესაწირად მის სასაფლაოზე მიყვანილი  
ზვიადაური აოცებს ქისტებს თავისი ვაჟკაცობით.

„ძალდ იყოს თქვენის მკვდრისადა! -  
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,  
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,  
როგორაც ვეფხვი — თმასაო“.

თვით სიკვდილის სცენა მის ვაჟკაცობას ათმაგად უსვამს ხაზს.

„გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,  
გული გულადვე რჩებოდა“ — გულის ვერ მოკვლა —

ანუ დაუმარცხებელი სიკვდილი იყო ზვიადაურის ხვედრი, რომელიც  
მისი ბუნებიდან მოდიოდა და მისი ვაჟკაცობის ბოლო გამობრწყინ-  
ება იყო (მივაქციოთ ყურადღება: ვაჟა გაბოროტებულ ვეფხვს ადა-  
რებს ჯოყოლას სტუმარსაც, რომელმაც ზვიადაური იცნო („წამოდგა  
იგიც ფეხზედა, როგორც კლდის ვეფხვი ძლიერი“) და ზვიადაურსაც  
(„ბეწვს იშლის ბრაზმორეული, როგორც ვეფხვი — თმასაო“). ფსი-  
ქოლოგიურად მსგავსი სიტუაცია მსგავსი შედარებებით არის წარ-  
მოდგენილი — შეუღრეკელი ვაჟკაცობა და უკიდურესი გაბრაზება).

ალაზა მოინუსხა ვაჟკაცის ასეთი სიკვდილით. მას ებრალება  
ზვიადაური და ჩუმად დასტირის დამტირებლის გარეშე დაღუპულ  
გმირს.. ჯოყოლა ამჩნევს, რომ ალაზა ნამტირალეგია და დაჟინებით  
ჩაეკითხება, ვინმემ შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენაო, ალაზა არ უმა-  
ლავს ქმარს ამ სრულიად მოულოდნელ ადათ-წესისათვის შეუფერე-  
ბელ თავის საქციელს, და თითქოს ქმრის წინაშე ბოდიშის მოხდით  
ამართლებს თავის საქციელს.

„ძლიერ შემბრაღდა ბეჩავი,  
რომ უცხოეთში კვდებოდა,  
არც ნათესავი, არც მოძმე,

რომ ვისმე შაჰბრალეზოდა!“ . . .

ეს არის ყოველგვარი ქალური სიკეთით დაჯილდოებული ქალის  
კეთილშობილი განცდის დაღაღისი.

ჯოყოლა აქაც ადამიანური სიმაღლის მწვერვალზე აღმოჩნდა და  
ცოლს ამწვიდებს:

„იტირე? მადლი გიქნია,  
მე რა გამგე ვარ მაგისა!  
ღიაცს მუღამაც უხდების  
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ . . .

ასეთია ვაჟასეული ღმერთ-კაცების სიმაღლე და სიქველე, რაც  
ასეთი სისხარტით არის დახატული.

ქართველები მოდიან თავიანთი გმირის გადასასვენებლად და  
ქისტების ასაკლებად. როგორ უნდა მოიქცეს ჯოყოლა?!... იცის, თემი  
მას არ მიიკარებს... და იგი მარტო ეკვეთება მტერს, თუმცა ესმის,  
რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში იგი დაიღუპება. მაგრამ, იბრძვის  
ისე, რომ გამწყრალი ქისტების აღტაცებაც დაიმსახურო.

„როგორ არ უფრთხის გროვასა,  
თუმცა ხმალ-ხანჯრებს ულესენ.

მოკლეს კიდევაც, იქცევა

მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ“.

როგორი სახეა:  
„მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ“! თითქოს თვალით ხედავ, რო-  
გორც ატრიალებენ ხევსურები ხანჯლებს ჯოყოლას გულმკერდში.

ორი დაღუპული ვაჟკაცის მაღალი ადამიანური იდეა ავტორმა  
მათი დაღუპვის შემდეგაც ვერ გაიმეტა დასავიწყებლად და ბიბლი-  
ური ზმანების ბადალი სურათი შექმნა.

„კლდის თავს წადგება ჯოყოლა,  
სასაფლაოსკენ იძახებს.

„ზვიადაურო, ძმობილო,

რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“ . . .

პოემის პერსონაჟი ღიაცია ალაზა (როგორ თავმოქმედონდ მიმარ-  
თავს მას ჯოყოლა) მართლაც ბიბლიური გმირის ნიშნებს ატარებს,  
თავის გარეგნული სილამაზით („ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“

„გამოჩნდა ქალი ლამაზი.

შავი ტანსაცმლით მოსილი,

როგორაც ალყა ტანადი,

ვარსკვლავი, ციდან მოცლილი“ — და

თავისი მოწიწებული პატივისცემით მამაკაცების (რაინდების) მიმართ.

„იმათ მასპინძლობს ალაზა,  
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.  
ვაჟკაცობისას ამბობენ  
ერთ-ურთის დანდობისასა. . .“

ასევე ფუნდამენტურად, ფილოსოფიური სიღრმითა და ფსიქოლოგიური სიზუსტით არის დახატული „ალუდა ქეთელაურის“ ყოველი პერსონაჟი. აქაც ადამიანის შინაგანი სამყარო გახსნილია მათი არსებობს ყველაზე რთულ მომენტში, როდესაც ორივენი სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე არიან. ორივეს ამოძრავებს ერთი მისწრაფება — მოსპოს მტერი, მაგრამ მათი ზეადამიანური რაინდული ბუნება უფლებას არ აძლევს, რომ მიზანს მიაღწიოს ნებისმიერი უკადრისი ხერხით — პირიქით, აღტაცებულები არიან ერთ-ურთის ვაჟკაცობით. (ქართული რაინდული სულის ის თვისება დაფიქსირებულია ლ. ტოლსტოის რომანში „*Аи́ѣя è ièð*“, როდესაც ბოროდინოს ველზე გააფრთხილებული ბრძოლის მონაწილე ქართველი პეტრე ბაგრატიონი ფრანგების თავგანწირულ მოქმედებას, რომ დაინახავს აღტაცებით შესძახებს „*А́ðàâi ððàíóðçú*“) ალუდას და მუცალის შეტაკება ორი გმირის, კონკრეტულ შემთხვევაში მტრების ნათელ, ფართო და უტყუარ სურათს იძლევა. ვლინდება მათი შინაგანი სიდიადე.

„თოფიც ალუდას გადუგდო  
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა  
— ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,  
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“!... — მოცემულ პასაჟში ვლინდება ორი ვაჟკაცის ურთიერთდაფასება, ურთიერთპატივისცემა. მომაკვდავი ვაჟკაცი გამარჯვებულის ვაჟკაცობას აღიარებს და დასტურის ნიშნად საკუთარ იარაღს უტოვებს, ამით საკუთარ თავსაც პატივს მიაგებს, რომ თავისი იარაღი („როგორც მებრძოლის ყველაზე დიდი გვირგვინი) ღირსეული პიროვნების ხელში რჩება.

საოცარი დიდსულოვნებით ხატავს ვაჟა ალუდას სულიერ სურათს. მის სტრიქონებში ბოლომდე გამჭვირვალე ხდება ალუდას პიროვნება.

„ალუდას თოფი არ უნდა,  
ატირდა როგორც ქალიო;  
არ აჰყრის იარაღებსა

არ ეხარბება თვალიო  
„მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,  
იტყოდა ცოდვა არიო;  
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო...“

„ახალ-უხლებს“ საზოგადოებამ ცხადია ვერ გაიგო ალუდას საქციელი და სიმხდალე დასწამა.

„გამაჰქცევინხარ ქისტიშვილს.  
გადუქცევინხარ ქალადა“.

ახალ-უხლებს მოვლენის მხოლოდ ზედაპირი აინტერესებს — მოჭრილი ხელი — და მოითხოვენ მტრის მოჭრილი მარჯვენის ჩვენებას. მათთვის გაუგებარია მუცალისა და ალუდას ორთაბრძოლის უმძიმესი და ურთულესი წამები, მაგრამ კიდევაც რომ ენახათ, მაინც ვერ გაიგებდნენ — მათ პრიმიტიულ სულს მხოლოდ მოკვეთილი მარჯვენა დაამშვიდებდა. ეს არის ბრბოს ფსიქოლოგია. ამიტომაც ახსენებს მათ პოეტი აგდებით — „ახალ-უხლები-ო“.

განრისხებული ალუდას სურათი აგტორს საოცარი მხატვრული ფერებითა აქვს დახატული: „გაჯავრდა ქეთელაური,  
ფერი დაედვა მგლისაო. (აქაც კვლავ „მგლის ფერის“ გამოყენება, ქისტსაც ხომ ჯოყოლას სახლში „ფერი დაედვა მგლისაო“, რაც ცუდის მომასწავლებელია).

პოემა „გოგოთურ და აფშინაში“ პერსონაჟების დახატვა მათი შინაგანი, სულიერი სამყაროს ჩვენებაა. პოემის დადებითი გმირის — გოგოთურის პორტრეტი ნამდვილი მთიელის სახეა.

ვაჟა გოგოთურს მეფის ენით ხატავს:  
„გოგოთურს რკინის გული აქვ...  
მკლავი ხომ გადამეტია.  
„რამდენჯერ მართო შებერტყის  
მტერი, ქვიშაზე მეტია...“  
„ომში სიკვდილს ჰგავს გოგოთურ...  
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,  
როგორაც სულთამხუთავი“.  
„ისე აგორებს მტრის რაზმებს,  
როგორც ნავს ტალღთა დენანი“.

ასევე მისი ფიზიკური ძლიერების დამადასტურებელია შემდეგი:  
„ნეკით გასტყორცნის აფშინას.

ხე და ქვათ შაეცხებაო“  
საკუთარ თავზეც იგი გაბედულად ლაპარაკობს:  
„ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს  
ძმაზე არა აქვს ხელიო“.

ძალზედ საგულისხმოა შემდეგი:  
„მეფევ! ვერ გავძლებ ბარადა  
თუ მთის ნიაგი არა მცემს...“

გოგოთურში შეიმჩნევა ვაჟა-ფშაველას სული, გრძნობები და სულიკვეთება. ტყუილად კი არ ამბობენ კრიტიკოსები, რომ მგოსანი თავის მიერ დახატულ ტიპებში (სახეებში) საკუთარი ხასიათის ღირსებას და ნაკლოვანებებს გამოხატავს.

ვაჟას გმირების წარდგენა რუსულენოვანი მკითხველისათვის ერთობ ურთულესი ამოცანა იყო. ვაჟასებურად ხედვა და შეფასება პიროვნებისა მოითხოვდა პირველ რიგში ვაჟას სამყაროსთან მიახლოებას და ყოველი დეტალისათვის მისი აზრობრივი და სახეობრივი გამოხატვის მოძებნას. არა ერთი მთარგმნელი შეეჭიდა ამ საქმეს.

ნ. ზაბოლოცკი ერთ-ერთი აქტიური მთარგმნელი იყო ვაჟას პოემებისა. „სტუმარ-მასპინძელში“ მუსას სახეს ის ხატავს ასე:

“Èàè òòàðùé ðèãð á äðãìó÷èð ñèàèòð,  
Ñòàððèè ñáíýèñý, òìòð è ñòðíã  
Íáú÷:àè àìðòãá ñíáèþààý  
Íáýçáí, íá ñáè àñòàààý,  
×óãáíã àñòý íí ñ÷:ðèòü.”

ს. სპასკი ასე ხატავს ამ სახეს:

“Íí àñòàè.  
Íñáó÷:èé, ñááíé. È íàññíèè íí àèãñ  
Òèãðà, òíñýàáññý íáæáó ñèàè.  
Áæáèè á àñòè òü ìðéýò ñíñááñ,  
Ííáíã àñòý ñí÷:ðè”.

ნ. ზაბოლოცკი საკმაოდ ახლოს მივიდა ორიგინალის მოცემულ მონაკვეთთან იდეურადაც და შინაარსობრივადაც. რაც შეეხება სპასკის, აქ იმპროვიზება და ფანტაზიაა ნახმარი. „Òèãð, òíñýàèèñý íáæáó ñèàè“. ამ ვეფხვის გამოხედვა ემმაკური და შეშინებულაა, ხოლო დედანში სტუმარს „მგლის ფერი“, ანუ განრისხება დაედო სრული. ეს ავტორისეული სახის სრული დეფორმაციაა.

სტუმარ-მასპინძლობის წესის დარღვევას ს. სპასკი ასე ხატავს:

“Áóããò ìðãããòãéúñòãñ èðíãñðíèèòüã,  
Íóñòü íí ñí ãñðéí á èðíãããñ áíèãó,  
Áíãñ èèýíóñü àñáãáðíãñ, èíðìðúé  
Ñíçããè íáý! Íãðãã ààìè \_ ñíé ãññòü.  
È àèý íááí ý ñòàíóñü ññðíé”.

ნ. ზაბოლოცკისთან მოცემული ეპიზოდი ასე უღერს:

“Áú ÷:òí, ñ òíà ññèè, èèñòèúí?  
×áé ãññòü òóò ñáýçáí ÷:óòü æèáíé?  
Áú íáãðòããèèñü íááí ñíé?  
Èèýíóñü àà ãáðíé Íñãñãòã.  
Áñòàíðèèèòãñ \_ íàøà ÷:ãñòü!  
À àñèè áñ çãáúèè è ýòí,  
Òàè ó íáý íðóæúã áñòü!”

მასპინძლის შინაგანი განცდა და ტკივილი იგრძნობა თარგმანში. “Áú íáãðòããèèñü íááí ñíé...” ამაზე მეტყველებს მუქარა „È ó íáý íðóæúã áñòü“.

ჯოყოლა მტერს ხელს არ აფარებს, არამედ თავის ოჯახურ ღირსებას იცავს “Èíããà èç áññ óããèèòñý,

Òíããà èàè òí÷:ãøü ññòóíãé” — თარგმანში ტონი უფრო კატეგორიულია “Èàè òí÷:ãøü ññòóíãé”, რადგანაც “Èàè òí÷:ãøü ññòóíãé” — გულისხმობს მტრის ხელიდან გაშვებასაც. დედანში კი პირდაპირ არის ნათქვამი „იქ მოუყარი ავადაო“.

ზვიადურის ვაჟკაცური სიკვდილის სურათი სპასკიმ მისაწვდომად აჩვენა:

“Íñà áìó á æãðòãó, òàùèòã,  
À ñíþ íá ðãçæèããòñý íí...”  
“Íãñ ààø ñéíéíéè...  
èéíéíòàéí á áñðéã”.

ს. სპასკი თარგმანებში ერთგვარი აზრობრივი ცვლილებებიც შეინიშნება. ზვიადურის „ძალე იყოს თქვენი მკვდრისადა“-დ გულისხმობს, ძალე იყოს იმ ქვეყანაში მისი მსახური და არა “Íãñ ààø ñéíéíéè”, რაც ქართულად ნიშნავს — ძალეა თქვენი მკვდარიო. არც სიტყვა „íéíéíéè“ უღერს ამ კონტექსტში სტილისტურად გამართლებულად და ვერ ჩავთვლით ქართველი მკვდრის სრულ ეკვივალენტად.

ასევე აზრობრივად განსხვავებულია ზაბოლოცკისეული ვარიან-



ტი, რადგანაც ქისტების წესის მიხედვით მსხვერპლი საიქიოში უნდა მოემსახუროს მკვდარს, წყალი უზიდოს და ჯლანი გაუბანდოს, რისთვისაც ძალღი არ გამოდგება.

“**Íāñ áóāāð æāððāñþ ñìó! -  
Íāñòððāøèì è āāèè÷āā,  
È āāðāð āñēññ ēñēñðāð  
Èāè ãðēāó ēūāēíóþ ññāýā.  
Íāñāñ āóøā āāñ íāýýðā.  
Íí, èāè æāēāçí, ā çāñēþ āðññ**”.

ჯოყოლას ცოლის — ალაზას სახის დასახატავად არანაკლები შრომა გაწიეს მთარგმნელებმა. ალაზას განცდებს, გულისტკივილს, ჯოყოლას პირით ნ.ზაბოლოცკი ასე გვაწვდის:

“**Āāā āèæó èèøñ íāñ \_ āñāðí ý.  
Íāñ íā ñðēñðāēñ āñðñ ñóāñāē  
Íñēāèðñ ñāððāññāñ āāðñý  
Íðēèè÷ñ æāññēñā ēþāíé.**”

ს. სპასკი ასე ხატავს ამ სურათს:

“**Íðāāèèēññ ñāāèāèā, íāð ñðāāððāøññý.  
ß íā ñóāññý. Ā íā æāññēññ èèðā  
Ñēāçñ ñ÷èðāþðñý çā óèððāññā,  
Íðñēèðñā í āññóñēññ āñēðā**”.

შინაარსობრივად და ემოციურად ორივე თარგმანი თითქმის და-მაკმაყოფილებელია, მაგრამ ვერსიფიკაციული სიძნელეების გავლენა მაინც იგრძნობა.

ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლა, რომლის ფსიქოლოგიურ სიმძაფრეზე ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ თარგმანებში ასეა წარმოდგენილი.

“**Íðñāçāè ðñ, íāāāðññē íāñ**”

“**Āóāñññēè èðññð, ñý çāññèðā**” — ასე გვიხატავს ურთიერთ რჯულის გინების ეპიზოდს ზაბოლოცკი. სპასკის ამ პოემის თარგმანი არ გაუკეთებია.

მუცალის პორტრეტი საოცარი სილამაზითა და მომხიბვლელობით იხატება მისი სიკვდილის დროს. ეს არის ვაჟკაცის სიკვდილი და მასში რაღაც პირველყოფილი კაცური გრაცია იგრძნობა. ამ რთულ ფსიქოლოგიურ სურათს ზაბოლოცკი ასე ხატავს.

“**...È ññāā ñðññð, è ðóæññ**”

**Āðññāāð ññ ñ ðāēñþ ðā÷ñþ:  
-Āèāāāè æā èì, íāāāðññē íāñ,  
Āìó íā ñāñðì ó āððāññ!**”

ვლ. დერჟავინის თარგმანით ეს სურათი ასე იხატება:

“**Óñèðāðñ Ìóðāè íā ðñ÷āð.  
Íāè, ññ āñā, èāè āñēè āēýāèð...  
...Āðññēè ññ ðóæññā Āèóāā:  
Íóñðñ ðāñēñ ñðóæññā ñðāññāð,  
Íāññ íāāāðññē! ×ðññāñ ā ðóèè  
Íā ñññāñðññ ññó è āððāèì...**”

ზაბოლოცკის თარგმანში იარაღის გადაგდების, ანუ ღირსეული მტრის შეცნობის სურათი ნათლადაა დახატული, ანუ გამოთქმაში “**Āìó íā ñāñðì ó āððāññ**” — კატეგორიული და ვაჟკაცურია.

რაც შეეხება ვლ. დერჟავინს, აქ ეს ეპიზოდი უფრო ემოციას მოკლებულია, ხოლო თარგმანი ერთიანობაში შინაარსობრივად და იდეურადაც შეესატყვისება დედანს.

დავუბრუნდეთ „გოგოთურ და აფშინაში“.

„ნეკით გასტყორცნის აფშინას ხე და ქვათ შეეცხებაო“ — ასეა დახასიათებული გოგოთური.

„გოგოთურს რკინის გული აქვს ჯანი ხომ გადამეტია, რამდენჯერ მარტო შაბერტყის მტერი ქვიშაზე მეტია...“

რუსული თარგმანის ო. მანდელშტამისეული ვარიანტი ასე გვიხატავს მოცემულ მონაკვეთს:

“**Íí ñāēñ çāðññ ñðāñðññā  
Ñðāāè ðññý÷è ãððāèññēññā.  
Íñññþ āñðèð ññ ÷ðāçñāðññþ,  
Èāè āñēññā ðāçñēā÷èāñē ñāññē...”  
“Íí ñèçèññāñ ãðññēñ Āñðèñ,  
×āðñāç ñēāèñ ññðñññāððèè...”**

მ. ცვეტაევა ასე ხატავს გოგოთურს:

“**Íð ñèçèññā Āññðóððā  
Íāāçñē÷ñ ãðñññāññý ðāñññð...  
Ñāððāðñ ó ñāññ \_ æāèāçí,**

È æââçîâÿ ðóèà.  
Ñèíèüéí ðâç ñâ íâp ñòèàèñÿ  
Âðââ, áâñ-èñèâííâé ïâñèà...”

6. ზაბოლოცკი ასე ხატავს გოგოთურს.

“Ââââ èèøü ââéíâð ÿ ðóéîp -  
Ñ çâîèâé ñðââíÿâðñÿ òââñòð...”  
“Âíâñòðð â ïüéó ñðâæâíÿÿ  
Ñèèüíâé, ÷âì òññÿ-íâÿ ðâðü,  
Ââñ ââñíèòèà èç áóèèðâ.  
À ñâðâðââ éíââñíâÿ ïââü...”

პირველი, რაც ამ თარგმანებში შეინიშნება — ეს არის ჭარბ-სიტყვაობა. მთარგმნელები ვერ ჩაეტივნენ ვაჟასეულ ოთხ სტრიქონში, ამიტომ აზრისა და სახეების შენარჩუნებისათვის გამოიყენეს სიტყვათა სიტყარბე. კარგია, რომ სამივე თარგმანში შენარჩუნებულია მტრის სიმრავლის გამოსახატავად ქვიშა და დაფიქსირებულია კლდე, რომელსაც აფშინა უნდა შეეხეთქოს, ოღონდაც ო. მანდელშტამმა ეს სახე შეცვალა და ორთაბრძოლაში დაძლეული ვაჟკაცი კლდეს კი არ ეხლება, არამედ კლდის იქეთ ვარდება. თავისთავად არც ეს სახეა ცუდი, მაგრამ ვაჟასეული „კლდეს შეხლებაო“ — უფრო რეალურია და მთის პირობებისათვის უფრო გასაგები, ვიდრე კლდის იქით გადავდება, რაც შეიძლება ითქვას, რომ ვაჟასეული სახე არ არის.

ძნელია დავეთანხმოთ ცვეტაევასა და ზაბოლოცკის „აფშინას“ ნაცვლად სიტყვა ðââñòð-ის გამოყენებაში. რატომ ზოგადად „ðââñòð“, როცა ლაპარაკია კონკრეტულ პიროვნებაზე — აფშინაზე? ეს ერთგვარად ანელებს ინტერესს მომავალი კონფლიქტისადმი.

ამ თემაზე — ანუ პერსონაჟის სიტყვიერი პორტრეტის ხელოვნებაზე კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ამის საშუალებას გვაძლევს და არა მარტო პოემებში, არამედ საგმირო ლექსებშიც. ჩვენ შემოვიფარგლეთ ორიოდ მაგალითით იმის საჩვენებლად, რომ ვაჟა-ფშაველას სხვა ენაზე, ამეტყველება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ბევრი სხვა გამოჩენილი პოეტისა. ეს სიძნელე, პირველ ყოვლისა მოდის ამ დიდი გენიოსის პოეზიის ხალხურ პოეზიასთან სიახლოვიდან. ვაჟას ყოველი გმირი მითოსურია და ამავე დროს ძალიან ადამიანური და გასაგები. ამიტომ გახდა ვაჟას შემოქმედება ასეთი ახლობელი მილიონობით ქართველისათვის და ასე საინტერესო და მიმზიდველი არაქართველი მკითხველისათვის.

ვაჟას მხატვრული სიტყვა უდიდესი საგანძურია, მაგრამ ეს საგანძური არ უნდა ვაქციოთ მიწაში დაფლულ ოქროდ. ვაჟა კვლავ და კვლავ უნდა ითარგმნოს სხვა ენებზე, ითარგმნოს პროზაულად, პოეტურად, კომენტარებითა და განმარტებებით. მხოლოდ ასე შეიძლება მსოფლიოს დავანახოთ და გავაგებინოთ ამ უიშვიათესი ნიჭისა და აზროვნების ადამიანის სიღიადე.

#### ლიტერატურა

„ვაჟა-ფშაველა“. ტ. 7. 1956. გვ. 336. ა. გვენცაძე „ვაჟა-ფშაველას სამი პოემა“.

Îâðââíâü Í. Çââíèüéíâí. Âñòóüèðâèüíâÿ ñòâðüÿ Ñèì. ×èéíââé, Èâíèíâðââ, 1957. “Ñíââðñèèé ïèñâðâèü”.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. თბ., საბჭოთა საქართველო. 1964 წ.

ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული 1861-1961. თბილისი, 1961

Îâðââíâü Í. Çââíèüéíâí. Â. Îðâââèà. Èâíèíâðââ 1957 “Ñíââðñèèé ïèñâðâèü”.

“Îÿÿü Â. Îðâââèà”. Áíðèñ Îâñðâðíâé, 1935.

Ââæâ-Îðâââèà. Îÿÿü. Ðâââèèòèÿ Â.Âíèüòâââ è Ñ.×èéíââé. Âñòââðñèèéíâé èçââðâèüñðâñ “Òóâíââñðââííé èèðâðâòðð”. 1947.

Îÿÿü Â. Îðâââèà. Îâðââíâ ñ âðçèíèéíâé Í.Çââíèüéèé. Îñâ ðâââèèòèâé Â. Â. Âíèüòâââ. 1953.

Îñè ïâñââèüòðâì. Ñòèðñðâñðâéÿ, Îâðââíâü, è-âðèè, ñòâðüè. Òâèèèèè “Îâðâé”, 1990.

LILI MUKERIA

#### Battle Scenes in the Original and the Translations

(on the material of the Russian translations of  
Vazha Pshavela's epic poems)

#### Summary

Battle scenes play an important role not only in the plot development, but also in depicting the author's attitude towards the events. Hence translations should reflect these components. In Vazha Pshavela's epic poems the battle scenes serve to describe the inner world, as well as the physical

appearance of a character.

The paper discusses the correspondence between Vazha Pshavela's poems and their Russian translations from the above mentioned standpoint.

თამარ ჭაცანაშვილი

### პრედიკატის სივრცის კომპონენტები თანამედროვე ფრანგულ ენაში

პრედიკატის სივრცეს ის არგუმენტები შეადგენდა, რომლებიც იმართებიან ამ პრედიკატის მიერ. წინდებულით მართვა პრედიკატის შინაგან თვისებას არ წარმოადგენს და ქვე-კატეგორიზაციის პრინციპს არ ემორჩილება. მართვა განაგებს ბრუნვისა და Q-როლის მიწერას არგუმენტებისათვის, ბრუნვის ფილტრსა და კონტროლს. ბმის თეორია პრედიკატის სივრცეში შედის იმდენად, რამდენადაც იგი განაგებს კორეფერენციის, ე.ი. სახელადი ჯგუფების (არგუმენტების) დისტრიბუციას კონსტრუქციებში, მათ ურთიერთმიმართებებს (C-მართვა) ცარიელი ელემენტებისა და კვალის საკითხებს. კონტროლის თეორია ძირითადად PGO-ს (ინფინიტივისა და გერუნდივის სუბიექტს), მისი ანტეცედენტის მიმართებებს აღრიცხავს; ზღვართა თეორია მოძრაობის (გადაადგილების, ამოღების, განკერძოების) პრინციპებს აკონტროლებს, ხოლო პროექცია მკაცრად ზღუდავს გადასვლას E-სტრუქტურიდან S-სტრუქტურაზე, ვინაიდან ამ გადასვლის შემდეგ შენარჩუნებული უნდა იქნას თემატურ მიმართებათა მთელი ბადე. D და S-სტრუქტურებს შორის ურთიერთობას “ამოძრავე a” ამყარებს (a-კატეგორია), ხოლო მართვას — ურთიერთობა მეთაურ სიტყვასა და მის არგუმენტებს შორის. ასეთია იმ მიმართებათა ბადე, რომელიც თავს იყრის პრედიკატის სივრცის ირგვლივ, და რომელშიც მამოძრავებელ ძალას პრედიკატი და პრედიკაცია წარმოადგენს.

ნებისმიერი ბუნებრივი ენის სისტემა, მიუხედავად მისი ანალიზის მეთოდებისა, პროცედურებისა და ფორმალური გამოხატულებისა ჩართულია საკომუნიკაციო სიტუაციაში. ჩართვის პროცესი არგუმენტის განეკუთვნება და მას საკუთარი პარამეტრები ახასიათებს, რომლებიც ძირითადად საკომუნიკაციო სინტაქსში, მეტყველების აქტებში და სასაუბრო იმპლიკაციებში აისახებიან. გამონათქვამის საკომუნიკაციო მოძრაობაში მოქცევის უმაღლესი დონე გამონათქვამის

მნიშვნელობისადმი მიდგომის საკითხი: რა არის გადამწყვეტი ინფორმაციის გადაცემისას, მისი მიმართება რეალობასთან თუ გამონათქვამის სწორად აგება? პირველი თავსდება გამონათქვამის ჭეშმარიტების ღირებულების ფარგლებში და ინტერპრეტაციის საკუთარი კოდი გააჩნია; მეორე ემყარება გამონათქვამის სწორად აგების პრინციპებს და მისი ინტერესების სფეროში არ შედის მეტაფიზიკური საკითხების დასმა თუ გარკვევა; აქ გადამწყვეტი ინფორმაციის გამონახვის, ანუ თქმის ფორმაა.

ენის გენერაციული მოდელის საკომუნიკაციო სიტუაციაში ჩართვის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს ე.წ. „მენტალურ სივრცეებში“ მისი მოთავსების ცდა. “მენტალური სივრცეების“ კონცეფცია ჟილ ფოკონიეს ეკუთვნის; ეს კონცეფცია ითვალისწინებს სივრცეების, ელემენტების, როლებისა და მიმართებების (სივრცის შიგნით), სივრცეთა შორის შესაბამისობათა, გრამატიკულ და პრაგმატულ მაჩვენებელთა სტრატეგიის ფარდობითად აბსტრაქტულ, უწყვეტ აგებას.

კომუნიკაცია, ასეთი პოზიციიდან, ნიშნავს ენობრივი და პრაგმატული ნიშნებით სივრცეთა იდენტიური შენობის აგებას. წარმატებული კომუნიკაცია გულისხმობს კონცეპტუალური სქემების, იდეალური კოგნიტიური მოდელების, სტერეოტიპული სცენარებისა და როლების მნიშვნელოვან ანალოგიას, რაც აუცილებელი საფუძველია სივრცეების ასაგებად. სივრცეთა აგება ეყრდნობა ფრაზათა გრამატიკულ ორგანიზაციას. მენტალური სივრცეების თეორია არ წარმოადგენს რეფერენციის თეორიას ამ ტერმინის ფილოსოფიური გაგებით. სივრცეები გამოხატავენ მეტყველების ძირეულ სახეობებს, თუმცა, კოგნიტიური ორგანიზაციის ერთგვარი დონე არ გამოირჩევა. სივრცეთა ტიპებს წარმოადგენს დროის, სივრცის, საქმიანობის, ჰიპოთეზური სივრცეები. ყველა ამ სივრცის ინტერპრეტაცია ან გამჭვირვალეა (ერთმნიშვნელოვანი), ან ბუნდოვანი (მრავალმნიშვნელოვანი). ელემენტთა იდენტიფიკაციის საკითხი უკავშირდება ნაცვალსახელთა მოძრაობას სივრცეებში. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ძირითადი კატეგორია: მრავალრიცხოვანი კონექტორი, მრავალრიცხოვანი შესაბამისობა და მრავალრიცხოვანი აღწერა. სივრცეები შემოიყვანებიან ექსპლიციტურად, შემომყვანი ერთეულებით ან იმპლიციტურად, პრაგმატულ მოსაზრებებზე დაყრდნობით. მართალია, სივრცეები არ წარმოადგენენ რეალობას ან შესაძლო სამყაროებს, თუმცა შეიძლება ისინი განსაზღვრულ გავლენას ახდენდნენ სამყაროს კონ-

ცეპტუალიზაციაზე, ვინაიდან მათი აგება წარმოადგენს თქმისა და აზროვნების მანერას.

მენტალური სივრცის ფარგლებში ინდივიდები განისაზღვრებიან კონფიგურაციულად, სტრუქტურულად და ისინი ძირითადად განლაგებულნი არიან გეომეტრიულ ფიგურათა და მათ შორის მიმართებათა სივრცეში. ძნელდება მენტალური სივრცის შესაძლო სამყაროსაგან განსხვავება, ისინი ძირითადად ურთიერთპარალელურად არსებობენ და რთულია მათ შორის გამყოფი საზღვრის გავლება. გენერაციული სისტემები ძირითადად სწორხაზობრივი განლაგებისაა და მეტყველებაში მათი ჩართვა მოითხოვს მათ ამოძრავებას, დინამიური ფორმის მინიჭებასა და მათ განლაგებას მენტალურ სივრცეებში, ვინაიდან ისინი მრავალ საერთო პარამეტრს ფლობენ, საჭიროა მხოლოდ ამ პარამეტრთა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. როდესაც განიხილება პრედიკატის სივრცე, საქმე ეხება ამ სივრცის აგებას და მასში მოქმედი ობიექტების განლაგებას ურთიერთმიმართების საფუძველზე. პრედიკატის სივრცე ამ დონემდე სწორხაზოვანია, მიმართული მარცხნიდან მარჯვნივ. ხდება პირიქითაც, არგუმენტთა განლაგება მათთვის ბრუნვისა და Q როლების მიწერა, სახელად ჯგუფთა მოძრაობა, (ამოძრავე A), მიმართება ანაფორასა და ანტიცედენტს შორის, კვალთა კონინდექსაცია, LF-ის ინტერპრეტაცია ვერ ამოწურავს იმ პრაგმატული ფუნქციების მოცულობას, რომლითაც გამონათქვამი დისკურსში ჩაირთვება და ამისათვის შესაბამის სივრცეებში განლაგდება. ამრიგად, მოცემულ სიტუაციაში ყველაზე საინტერესო და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ახალ სინტაქსურ მიმართებათა ქსელის რომელიმე პრაგმატულ მოდელში, მოცემულ შემთხვევაში, მენტალურ სივრცეებში ჩასმა.

პრედიკატის არგუმენტული სტრუქტურა აიგება სუბიექტებისა და ობიექტების განლაგებით პრედიკატის ირგვლივ. აქვე დგინდება მათი რაოდენობა და სტატუსი. სუბიექტი გარე-არგუმენტი და იგი თანამედროვე თეორიის მიხედვით, არ განისაზღვრება პრედიკატის ქვე-კატეგორიზაციით. შინაგან ბრუნვებად მიიჩნევა ბრალდებითი და მიცემითი; არ განიხილება ნათესაობითის საკითხი, თუმცა იგი ზმნის ქვე-კატეგორიზაციიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით ბარლდებითი ჩანაცვლებით (გადარჩენით) და უსულო არსებობებთან le წინდებულთ, თუმცა აქ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს კლიტიზაციის შეუძლებლობა. არგუმენტების დადგენასთან ერთად განიხილება

მათვის Q-როლის და ბრუნვის მიწერის საკითხები. ამ შემთხვევაში თითქმის ყველა მკვლევარი იყენებს ბურციოს განზოგადებას და არათემატური გარე-არგუმენტის ცნებას.

Q-როლის მიწერა სუბიექტის პოზიციისათვის და ბრუნვის მიწერა ობიექტისათვის ზმნების ლექსიკური ერთეულების უნივერსალური თვისებაა. მხოლოდ ზმნას შეუძლია მიაწეროს Q-როლი სუბიექტს და ბრალდებითი (აკუსატივი) ბრუნვა ობიექტს. ამას ერთი და იგივე ზმნა აწარმოებს. ბურციოს არათემატურობის გამომხატველი ერთ-ერთი განზოგადება შემდეგი სახისაა

-Qs->-A

რომელიც კონკრეტულ სტრუქტურაში შემდეგნაირად გამოიყურება:

NP-QV NP

რომელშიც NP-Q ისეთი NP, რომელსაც Q-როლი არ მიეწერება და იგი ერგატიული ზმნების სუბიექტს წარმოადგენს, რაც იმას მოასწავებს, რომ ზმნის მარჯვენა მხარეს მდებარე NP- არასოდეს არ იქნება ბრალდებით ბრუნვაში; არა-არგუმენტული სუბიექტი უკავშირდება ზმნის შემდგომ არგუმენტს NP-ს ან S-ს, და ერგატიული ზმნის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ეს ზმნა ბრუნვის მიმწერი. დამატება-წინადადების შემთხვევაშიც S-ს არ მიეწერება ბრალდებითი ბრუნვა. სუბიექტის პოზიციას არ მიეწერება Q-როლი: 1) ზოგიერთ არა-პასიურ ზმნასთან; 2) ყველა პასიურ ფორმაში, დამატებიანი ზმნის ქვეკატეგორიზაცია შემდეგი სახისაა:

- NP, -NPS, -PPS, -S; პასიურ ფორმაში მდგარ კონსტრუქციაში NP არასოდეს დგას ბრალდებითში. ასეთსავე პოზიციაში მდგომი S-დამატება უნდა დაუკავშირდეს სუბიექტს.

თეორიული განზოგადება

-A->-Q

ნიშნავს, რომ თუ ზმნა იერთებს პირდაპირ დამატებას და არ აწერს მას ბრუნვას, მაშინ ასეთი ზმნა ვერ მოაწერს Q-როლს სუბიექტს, ობიექტი ბრუნვას მიიღებს, ა) იგი უნდა უკავშირდებოდეს არა-არგუმენტულ სუბიექტს; ბ) მან უნდა აიწიოს სუბიექტის პოზიციისაში. ორივე შემთხვევაში სუბიექტი არათემატურია - Qს საშუალო "Si"-ს შემთხვევაში, სუბიექტის როლი სრულდება S-ის მიერ და ობიექტი აიწევა სუბიექტის პოზიციაში, მაგრამ ასეთი ხმარება პრო-

დუქტიული არ არის და იგი ჩნდება მხოლოდ სპეციფიურ კონსტრუქციებში.

ბოლო განზოგადება სინტაქსურ პრინციპებს ემყარება და ამით განსხვავდება პირველი განზოგადებისაგან, რომელიც უპირატესად ემპირიულია; სინტაქსური პრინციპი არ ჩანს საკმარისი კონსტრუქციათა სწორად აგებისა და ხმარების გასამართლებლად; ამიტომ პირველი განზოგადება უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ლექსიკურ პრინციპს და არა ზუსტ ანარეკლს სინტაქსური ფაქტორებისას. მეორე განზოგადება თეორიული აუცილებლობით იყო გამოწვეული. ახალი განზოგადება კი ორივე პირობას აერთიანებს:

Qs <-> A

ეს პრინციპი გამოიყენება არა მარტო იმ ზმნების მიმართ, რომლებიც ქვეკატეგორიზდებიან პირდაპირ დამატებად, არამედ იმ გარდაუვალი ზმნების მიმართაც, რომლებიც გარდამავალთა მსგავსად, ითვლებიან ბრალდებითი ბრუნვის პოტენციურ მიმნიჭებლად, თუმცა ისინი არ ქვეკატეგორიზდებიან პირდაპირ დამატებებად. WP კვალი არ იმყოფება ბრუნვით მარკირებულ პოზიციაში; ლოკალურობის პირობების თანახმად, ანტეცედენტი ყოველთვის სუბიექტია და მართავს კვალს. ბოლო განზოგადება უბრუნვო პოზიციაში კვალთა არსებობას აჩვენებს ზოგადად, არააუცილებლად.

პრედიკატის სივრცეში ჩნდებიან ისეთი არგუმენტებიც და ისეთ პოზიციებში, სადაც ისინი თეორიულად არ უნდა იმყოფებოდნენ. მაგ: პირდაპირი ობიექტი გარდაუვალ ზმნებთან, ე.წ. აფექტური (მოჩვენებითი მიცემითი), უკუქცევითი "si"-ს პრობლემა, როგორც ერგატიულობის ან პასიურობის მაჩვენებელი.

დაშვებულია აბსტრაქტული ბრუნვის მიწერა სტრუქტურულად, ან თანდაყოლილად. მაგ.ჩომსკი განასხვავებს ბრუნვის მიწერის ორ სახეს, "სტრუქტურულს" (ობიექტურსა და სახელობითს, მიწერილს S-სტრუქტურის პოზიციაში) და "თანდაყოლილს", (მიწერილს D-სტრუქტურაში); ეს უკანასკნელი უკავშირდება Q-აღნიშვნას, ხოლო სტრუქტურული ბრუნვა - არა. ამდენად, ბრუნვის მიწერის ზოგიერთი თვისება ლექსიკურადაა განსაზღვრული, სხვა თვისებანი (ბრუნვები) სტრუქტურულად განისაზღვრებიან (ანუ კონფიგურაციულია). ზოგიერთი ლინგვისტი განასხვავებს "სტრუქტურულს" (სახელობითი), „თანდაყოლილს“ (ნათესაობითი), და "სემანტიკურს" (რომლებიც შეესაბამებიან თემა-როლებს). გარდა ამისა, ლინგვისტები აღ-

ნიშნავენ ბრუნვათა ორად გაყოფის არასამკარისობას ფლექსიურად მდიდარ ენებში. შედარებით ადრეულ სისტემებში ფლექსიის (INFL) (დროის, პირის) შეთანხმებით (Agr, Accord) მახასიათებლები მიაწერენ სახელობით ბრუნვას, ხოლო ზმნა მიაწერს ობიექტურ ბრუნვას მართვის შესაბამისად. ფრანგულ ენაში შინაგანი ბრუნვა ორმაგ მოდელს ემორჩილება. ზმნის დამატებანი ორ ბრუნვას ითხოვენ: ობიექტურსა და მიცემითს. ობიექტურ ბრუნვას არა აქვს მორფოლოგიური ნიშანი, მიცემითი *á* წინდებულით არის მარკირებული. ნაცვალსახელები მორფოლოგიურად განსხვავებული ფორმებით წარმოდგებიან: **le-la-les-lui-leur**. ორმაგი ბრუნვა გაიგება ლარსონისეული ნიჟარის ფარგლებში. დასაშვებ არგუმენტთა რიცხვი უკავშირდება სათანადო ბრუნვათა რაოდენობას: გარე არგუმენტები არ პროეცირდებიან თუ არ არსებობს მათი შესაბამისი ბრუნვები. ბრალდებითისა და მიცემითის გარდა **PP** არგუმენტებიც იცავენ ორობის ზღვარს. მრავალარგუმენტიანი კონსტრუქციებიდან 241 ზმნა შემდეგი ტიპისაა: **V+NP1-á NP2 (donner le livre á Marie); 204-V+NP1+de NP2 (recevoir un livre de Marie);** არ არსებობს ტიპი **V+NP1+PNP2+PNP3 (PNP4)**. დაახლოებით 750 ზმნიდან მხოლოდ 7-ს აქვს ორ არგუმენტზე მეტი.

ბრალდებითი ბრუნვა (ობიექტური ბრუნვა) სტრუქტურულად, კონფიგურაციულად განსაზღვრულად ითვლება. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ განსხვავებით სახელობითისა და ბრალდებითისაგან, ნაწილობრივი ბრუნვა (**en**) თანდაყოლილი ბრუნვაა. ნაწილობრივი ბრუნვა ენაცვლება ბრალდებითი ბრუნვას ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც ეს უკანასკნელი არ იხმარება.

მათ შორის ძირითადი განსხვავება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობაა; “**en**“-ის სტატუსზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობის პირობებში აღიარებულია, რომ “**en**“-ს შეუძლია “გადაარჩინოს“ ბრალდებითი ბრუნვის მიწერის დეფიციტი.

ბურციოს განზოგადება გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულებას აკუზატივის ბრუნვის არქონასა და სუბიექტის თეტა-როლის არქონას შორის რაც დამახასიათებელია არაკუზატიური ზმნებისათვის. ორმომართულებიანი განზოგადება შემდეგ დასკვნებს აყალიბებს: იგი აღნიშნავს, რომ ზმნა, რომელიც თეტა-აღნიშნავს თავის სუბიექტს, მიაწერს აკუზატივს თავის ობიექტს, ხოლო ზმნა, რომელიც არ-თეტა

აღნიშნავს თავის სუბიექტს, არ მიაწერს ბრალდებით ბრუნვას თავის ობიექტს.

ბურციოს განზოგადებას მოწინააღმდეგენიც ჰყავს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსებობს ისეთი ენებიც, სადაც ეს განზოგადება არ მოქმედებს. რომანულ ენებში ბრალდებითის არქონა არ უტოლდება ობიექტური ბრუნვის არქონას, ვინაიდან ნაწილობრივი ბრუნვა ვარგისია არაკუზატიურ კონსტრუქციებში ცარიელ სუბიექტთან ერთად. ზოგიერთ ენაში შიგა ბრუნვა ყოველთვის არ უქმდება არათემატურ (ცარიელ) გარე არგუმენტთან მიმართებაში (მაგ. იტალიური). ბურციოს განზოგადების სხვა ვერსიია:

**Qs <->C**

**C-** ბრალდებითი ან მიცემითი ბრუნვაა.

ეს წესი ამტკიცებს, რომ მიცემითი ბრუნვა (როგორც ბრალდებითი) შეიძლება დეფიციტური იყოს ან გაუქმდეს და შესაბამისად, გარე არგუმენტი არათემატური(ცარიელი) უნდა იყოს, რათა საშუალება მიეცეს უბრუნვო არგუმენტს იმოდროს ქვემდებარის პოზიციისკენ. ასეთი გავრცობა უშვებს არამიცემითიან ზმნების კლასის არსებობას, რომელთაც არ შეუძლიათ მიაწერონ მიცემითი ბრუნვა.

მიცემითი ბრუნვა ფრანგულ ენაში სტრუქტურულადაა განსაზღვრული. ირიბი დამატების სტატუსი აღნიშნულია წინდებულით *á* სრული სახელადი ზმნით ან შესაბამისი ნაცვალსახელით მიცემით ბრუნვაში.

წინდებულები *á* და *de* მოქმედებენ როგორც სემანტიკურად ცარიელი ბრუნვის მარკერები და შეესაბამებიან პირის უმახვილო ნაცვალსახელებს (კლიტიკებს).

ბრუნვის მეორე სახეობას წარმოადგენს არალექსიკური, მოჩვენებითი მიცემითი, რომელიც არ ქვეკატეგორიზდება ზმნის მიერ. ამგვარი მიცემითები გამოხატავენ მოლაპარაკე ინდივიდის მოჩვენებითობას ან ინტერესს და შეიცავენ ისეთ თავისუფლად განსაზღვრულ კატეგორიებს, როგორცაა ბენეფაქტივი (მოსარგებელი), მალეფაქტივი (ცუდის მომასწავებელი), განუსხვისებელი საკუთრება, ეთიკური მიცემითები. მოჩვენებითი მიცემითის ხმარება შეზღუდულია ლექსიკურად, სემანტიკურად და მეტყველების აქტით. არალექსიკურ და ლექსიკურ მიცემითებს შორის მორფოლოგიური იდენტურობა და მათი ინტერპრეტაციის სემანტიკური ნაირგვარობა აბუნდოვნებს ამ ჯგუფის სინტაქსურ შეკრულობას. მოჩვენებითი მიცემითები იხმარე-

ბიან წინდებულების **sur, dans, dessus, dedans** — კონკრეტულ შემთხვევებში. მოჩვენებითი მიცემითები არ შეესაბამებიაან ზმნის სრული სახელით გამოხატულ არგუმენტს. არათემატური გარე არგუმენტის არსებობამ და მასთან დაკავშირებულმა შიგა არგუმენტის მიწერა-არმიწერის უნარმა განაპირობა ე.წ. არაკუზატიური ზმნების არსებობა, რომელთაც შემდეგი სინტაქსური თვისებები გააჩნიათ: შიგა პირდაპირი არგუმენტის სელექცია, გარე არგუმენტის არქონა და ბრალდებითი ბრუნვის მიწერის უუნარობა. ასეთ ზმნებს შეიძლება ჰქონდეთ მეორე შინაგანი არგუმენტი, რომელიც ზედპირულად ჩნდება როგორც მიცემითი (პრეზენტატივში ან წინადადებაში)

**Il leur arrive des Norvegiens, des Gusses et des chinois.**

**Des Norvegiens, des Gusses et des Chinois leur arrivent.**

ნამდვილ გარდაუვალ ზმნებს შეუძლიათ ზოგიერთ შეზღუდულ ვითარებაში მიიღონ დამატებითი შიგა არგუმენტი, შეზღუდული რაოდენობით, სემანტიკურად ზმნის მონათესავე:

**Marc a couru les cent metres**

**Marc a pleuré toutes les larmes de ses yeux.**

**Marc a toussé un peu de fumée.**

არაერგატიულ ზმნებს შეუძლიათ ორი შინაგანი არგუმენტის მიერთება

**Luc lui a vomé tout son repas dessus.**

არაერგატიულები გამოხატვის შემთხვევაში მიიწერენ ბრალდებით ბრუნვას, ამის გამო ეწოდებათ მათ ფარული გარდამავალი ზმნები. ფაქტობრივად მათ შეუძლიათ ორი შინაგანი არგუმენტის მიერთება. არაკუზატივებს არ შეუძლიათ მესამე შინაგანი არგუმენტის მიერთება, ვინაიდან ბრუნვის მიწერისა და არგუმენტების სტრუქტურის ურთიერთმოქმედება ამტკიცებს არამიცემითი კონფიგურაციისა და ორობის ჰიპოთეზის არსებობას.

ერგატიულობა მსოფლიოს დაახლოებით ერთ მეოთხედ ენას ახასიათებს. ერგატიულობის მოდელის მიხედვით, გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის ობიექტი ინაწილებენ სინტაქსურ მახასიათებლებს (ბრუნვის მარკირება, კოორდინაცია, ელიფსი და ანაფორა). ერგატიულობა უპირისპირდება აკუზატიურობას, მოდელს, რომელიც ავსუფებს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეებს ერთი და იმავე სინტაქსური მახასიათებლების საფუძველზე და უპირისპირებს მათ გარდამავალი ზმნის ობიექტებს. ჩომსკი აღნიშ-

ნავს, რომ ორი მოდელი პარამეტრულად განსხვავდება შეთანხმების ორი კვანძის აქტიურობის თვალსაზრისით. გარდაუვალი სუბიექტის დაჯგუფებას გარდამავალ ობიექტთან, რაც ახასიათებს ერგატიულობას, მოჰყვა ის, რომ ეს ტერმინი იხმარება იმ ზმნათა კლასის აღწერისათვის, რომლებიც იწოდებიან, როგორც არაკუზატიურები. ზოგიერთი ენათმეცნიერი აკრიტიკებს ტერმინს “ერგატიული” აკუზატიურ ენათა სისტემის მახასიათებლების მითითებისას, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება კაუზატიურ სუბიექტებს, საშუალო გვარის ზმნებს, მათ იგი ტერმინოლოგიურ რევიზიონიზმად მიაჩნიათ.

ბურციო ხმარობს ტერმინს “ერგატივი” ყველა იმ ზმნაზე მისათითებლად, რომლებიც ირთავენ არათემატურ გარე არგუმენტს. სხვები განასხვავებენ ტერმინის ორგვარ ხმარებას: “არაკუზატიური” აღნიშნავს ზმნებს, რომელთაც არ შეუძლიათ ბრალდებითი ბრუნვის მიწერა, რომლებიც ზედპირულად გარდაუვალები არიან და რომლებიც შეიძლება დაყვანილ იქნენ პრეზენტატივებზე; ხოლო „ერგატიული“ მიუთითებს იმ ზმნებზე, რომელთაც გააჩნიათ (ან შეიძლება ჰქონდეთ) ცვლადი არგუმენტული სტრუქტურა. ზმნები, რომელთაც შესწევთ უნარი დაუმვან არგუმენტების რაოდენობისა და დისტრიბუციის ცვლადობა და მიაწერონ ბრუნვა, მულტივალენტური ზმნები ეწოდება. არაკუზატიურ ზმნებს ლექსიკურად არ შესწევთ უნარი მიაწერონ ან არ გააჩნიათ ბრალდებითი ბრუნვა. მულტივალენტურ (მრავალმნიშვნელოვან) ზმნებს ორმაგი ქვეკატეგორიზაცია აქვთ: ან ტრანზიტული, ან არაკუზატიური. მეორე შემთხვევაში მათი ბრალდებითი ბრუნვა უქმდება. ასეთებია: “fondre“, “se briser“, “se casser“. ყოველი წყვილის პირველი წევრი ნამდვილი გარდამავალი წინადადებაა აგენტ-სუბიექტით (ან ხშირად ინსტრუმენტული არასულიერი სუბიექტით). მეორე წყვილი იცვლება აუცილებელ და არჩევით უკუქცევით ფორმათა შორის. ფრანგულ ენაში არ გამოიყენება დამხმარე ზმნათა სელექცია მულტივალენტური ზმნების დიაგნოსტიკის საშუალებით. მრავალი ნამდვილი არაკუზატიური ზმნა იერთებს “être“-ს, ბევრი — არა. ყველა უკუქცევითი იერთებს “être“-ს, მაგრამ მათ შორის მუდმივი და სრული შესაბამისობა არ არსებობს. ისეთი მულტივალენტური ზმნა, როგორცაა “fondre“ ყველანაირი ხმარების დროს (გარდა უკუქცევითისა) “avoir“-ით იხმარება. ერგატიული ზმნების ანალიზი მომდინარეობს პერლმუტერის “არაკუზატიური ჰიპოთეზიდან“. შემდეგ, მეტ-ნაკლები განსხვავებით, ასეთ ზმნებად

მიჩნეულ იქნა ისეთი ზმნები, რომელთა ზედაპირული სუბიექტი წარმოადგენს სიღრმისეულ პირდაპირ ობიექტს.

დ. პერლმუტერი აღნიშნავს, რომ ზმნები, რომლებიც ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილია როგორც გარდაუვლები, არაერთგვაროვანია და მათ შორის არსებობს მრავალი სტრუქტურული განსხვავება; ეს განსხვავება აისახა ე.წ. “არააკუსატიურ ჰიპოთეზაში”, რომლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს დებულება, რომ ისეთი ზმნების, როგორცაა “arriver”, ზედაპირული სუბიექტი მათი D-სტრუქტურის პირდაპირი ობიექტია.

მოცემულ წინადადებაში:

[i Deux bateaux] coulèrent

[i Pierre a coulé deux bateaux]

ორ ზმნას “couler“- იდენტური ქვე-კატეგორიზაციის ერთნაირი ჩარჩო აქვთ და განსხვავდებიან ზუსტად ერთი ლექსიკური პარამეტრით, სახელდობრ, მიაწერენ ისინი თუ არა Q-როლს სუბიექტის პოზიციას. მოყვანილ წინადადებებში პირველი ზმნა არ მიაწერს Q-როლს სუბიექტის პოზიციას და არც არგუმენტი იქნება. მეორე წინადადებაში კი ზმნა მიაწერს Q-როლს და Q-კრიტერიუმის თანახმა D-სტრუქტურის გამოხატულებაში არგუმენტი ხდება. ასეთი პარამეტრი მოსალოდნელია იცვლებოდეს იმ ზმნების მიხედვით, რომლებიც ქვე-კატეგორიზდებიან NP-ობიექტებად და სენტენციალურ დამატებებად.

ამრიგად, მოსალოდნელია D-სტრუქტურების შემდეგი ტიპი [e]VNP

არსებობს ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიც ზმნის წვილები Q-როლის მიწერა-არმიწერით არ უპირისპირდებიან ერთმანეთს.

Pierre lit le livre

[e] lire le livre -> le livre se lit.

ამრიგად, ისეთი ზმნები, რომლებიც ქვე-კატეგორიზდებიან პირდაპირი დამატებით და რომლებიც არ მიაწერენ Qs-ს (როგორცაა couler da arriver) იწოდებიან ერგატიულ ზმნებად (ბურციო); აქედან გამომდინარე, ტრადიციული გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების ნაცვლად, დაიშვება სამი ჯგუფი:

a. გარდამავალი Jean examine le cas

b. გარდაუვალი Jean telephone

c. ერგატიული [e] arrive Jean -> [Jean i arrive ti]

ეს კლასიფიკაცია ეჭრდნობა Q-სტრუქტურის ინფორმაციას და არა ბრუნვით მარკირების თვისებებს. შესაბამისად, “გარდამავალ“ ზმნებად არ იგულისხმებიან ყველა და მხოლოდ ის ზმნები, რომელთაც შეუძლიათ მიაწერონ ბრალდებითი ბრუნვა. ასეთ შემთხვევაში „ამოძრავე ა“ ამომწურავად ახასიათებს „en“-ის დისტრიბუციას. en-cl (კლიტიზაცია) შეიძლება იყოს ერგატიულობის დიაგნოსტიკის საშუალება.

Il en arriveront plusieurs

პირის უმახვილო ნაცვალსახელები Q- როლის მატარებელი არგუმენტებია, ამიტომ, პროექციის პრინციპის თანახმად, ისინი ასეთებად ჩნდებიან ყველა დონეზე. დღეს გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ბმის თეორია ყველაზე უკეთ ხსნის კლიტიზაციის (უმახვილო ნაცვალსახელთა მოთავსება) დისტრიბუციას. ცარიელი კატეგორიები, (ec)კლიტიკებთან დაკავშირებულნი (ჯაჭვები), NP-ს კვლების მსგავსად, ანაფორებს წარმოადგენენ. რაც შეეხება საკითხს კლიტიკების ბაზისური თუ მოძრაობით წარმოქმნისა — ორივე შეხედულებას საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია აქვს.

ფრანგული ენა არ არის ნულოვან სუბიექტიანი (NS-SN- ფრანგულად) ენა; მიაჩნიათ, რომ ფრანგული სუბიექტი უმახვილო ნაცვალსახელები სინტაქსურ დონეზე უნდა განხილულ იქნენ, როგორც “ფონოლოგიური ნაცვალსახელები“, დანარჩენი კლასები კი როგორც ობიექტი ნაცვალსახელები (კეინი). არა NS-ენებში ინვერსია მხოლოდ ერგატიულ ზმნებთან ხდება და il ჩაირთვება D-სტრუქტურაში (ცარიელი სუბიექტის ადგილას). ამიტომ, ილ-ინვერსია შესაძლებელია ერგატიულ ზმნებთან. კლიტიკები ზმნასთან ერთ მორფოლოგიურ ერთეულს ჰქმნიან, ამიტომაც ზმნასთან სიახლოვე რელევანტური ხასიათისაა ყველა ენაში. ამ პარამეტრს მართვის ორი სისტემა განაპირობებს: ძლიერი მართვა და სუსტი მართვა. მიმართება ზმნასა და კლიტიკს შორის შეიძლება ჩაითვალოს უძლიერეს მართვად.

ინვერსიისადმი ფრანგული ზმნის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

არაარგუმენტიული el- ჩნდება D-სტრუქტურაში და ამიტომ მისი ინვერსია დაიშვება ერგატიულ ზმნებთან, პასივთან და se-საშუალო კონსტრუქციებთან. ვინაიდან ფლექსიას (INFL) არ შეუძლია საკუთრივ მართოს სუბიექტის პოზიცია, ამიტომ ფრანგულ ენაში აუცილებელია სუბიექტის პოზიციაში საჭირო ელემენტის შეყვანა NP-



მოძრაობამდე. II-ინვერსია დაუშვებელია მაკონტროლებელ ზმნებთან. რთული პრედიკატები ისეთი სტრუქტურებია, რომლებშიც ზმნა და მისი დამატება — ინფინიტივი მარტივ ერთეულს ქმნიან. არსებობს რთული პრედიკატების ორი ძირითადი ტიპი: კაუზატიური კონსტრუქციები (კეინი, რუგრე, ვერნო) და „სარეკონსტრუქციო“ კონსტრუქციები (რიცი). პირველი უკავშირდება კაუზატივებსა და აღქმის ზმნებს; მეორე ტიპი — სხვადასხვა კლასებს, რომელთაგან ზოგიერთი მოდალურია, ზოგიერთი ასპექტური და მოძრაობის აღმნიშვნელი. ამ კონსტრუქციათა ყველაზე ცნობილი მახასიათებელი ისაა, რომ დამატება ზმნის ობიექტები მთავარი ზმნის კლიტიკებად იქცევიან. აქ მოქმედებს ყველა დაშვება: ჰიპოთეზა ერგატიული ზმნების მიმართ, ინვერსიის თეორია, დამხმარე ზმნების მიწერა და ნამყო მიმღეობის შეთანხმება, პატარა წინადადებები, რეკონსტრუქცია FI-ში“ ზმნები, რომელთა ქვე-კატეგორიზაცია მოიცავს წინადადება — დამატებას, ოთხ ქვე-კლასად იყოფა ორი ლექსიკური პარამეტრის მიხედვით: **S** წაშლის უნარი და სუბიექტის პოზიციისათვის **Q**-როლის მიწერის უნარი. ფრანგულ ენაში ოთხივე კლასი ემპირიულად დამოწმებულია. რთულ პრედიკატებს უკავშირდება ე.წ. რესტრუქტურისაცის (ენებისათვის დამახასიათებელი შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა-დაყვანა სტანდარტულ სტრუქტურამდე) საკითხი. სემანტიკურად ღარიბი ზმნები უფრო ადვილად ემორჩილებიან რესტრუქტურისაცისას.

ფორმალურად, ინფინიტივის (საწყისი ფორმის) შემომჭყვანი ზმნის შემდეგ არის ე.წ. **COMP (Complementier-complementeur)**. ასეთი სახის დამატება წარმოდგენილია ზმნა — ოპერატორისა და დაქვემდებარებული ზმნის საწყისი ფორმით. ოპერატორს, ანუ **VI**-ს სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია ეკისრება. გამაკონტრლებელი ზმნა (**vouloir**) აწევს (**montée du sujet au montée de l'objet**), წაშლის და ა.შ. ამ კონსტრუქციებშიც ძირითადი ყურადღება ექცევა ცარიელ კატეგორიებს, ანაფორულ მიმართებებს, კვალთა ინდექსაციას, ბრუნვის მიწერას, **Q**-როლის მიწერასა და არგუმენტთა დადგენას, ბრუნვის მიწერას **Infl(Flexion — ფრანგულად)**, განაცვალსახელებას (**clitisation**) და **Pmop**-ნაცვალსახელოვან ანაფორას, ინფინიტივის სუბიექტსა და **Accord (Agreement)** შეთანხმებას.

არათემატური (უპირო) სუბიექტიან კონსტრუქციებში სუბიექტი არ ასრულებს **Q**-როლს. დამოკიდებული ნაწილი შეიძლება დაე-

მორჩილოს პრონომინალიზაციას და აიწიოს სუბიექტის ან ობიექტის პოზიციისაში. **INFL-Accord**) პარამეტრები აქაც ძალაშია. მრავალმნიშვნელოვანი კონსტრუქციების დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება რელატივიზაცია, კითხვითი “**Qu**“- ექსტრაპოზიცია, ცარიელი კატეგორიების და **NP**-ნაკვალევის აღრიცხვა.

პრედიკატის სივრცეში შემავალი ზმნების, შემდეგი კლასი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი ზმნებია და მათთან დაკავშირებულ მოძრაობას — ფსიქომოძრაობა ჰქვია, ხოლო ზმნებს- ფსიქოზმნები.

ასეთი ზმნების სამ კლასს განასხვავებენ. ესენია: გარდამავალი, არამიცემითი და არაკუზატიური.

ისინი ხუთი ნიშნით განსხვავდებიან ტიპური აგენტური ზმნებისაგან: თეტა-როლების განაწილება, ინტერპრეტაცია და მნიშვნელობის ცვალებადობა, სუბიექტის არათემატურობა, ბრუნვის გაუქმება და უკუანაფორა. სამივე კლასი ხილული თემატური როლების განსხვავებულ კონფიგურაციებს ამჟღავნებს. მათთვის ერთგვაროვანი სახელის მინიჭება დღესაც სადაოა. მაგ. “**adorer**“-ს კლასის მზნებს ზედაპირულ სუბიექტად ექსპერიენცერი, ხოლო პირდაპირ ობიექტად — თემა აქვთ. ეს გარდამავალი ზმნაა. მაგ:

**Les pacens adorent les idoles**

ექსპერიენცერი თემა

“**Amuser**“-ს კლასის ზმნების თეტა-როლების დისტრიბუცია უპირისპირდება გარდამავალ კლასს, არამიცემითთა კლასს აქვს სუბიექტი — თემა და პირდაპირი დამატება-ექსპერიენცერი (შესაძლებელია უკუქცევითი ფორმაც: **s'amuser**“). უკუქცევით ვარიანტში ექსპერიენცერი სუბიექტად, ხოლო თემა წინდებულის ობიექტად ჩნდება. “**Se**“-სთემატური როლი (იგი სუბიექტის იდენტური რეფერენცია) ძნელი დასადგენია.

**Les marionnettes amusent les enfants**

თემა ექსპერიენცერი

„**manquer**“-ს ტიპის არაკუზატიურ ფსიქოზმნებში თემატური ექსპერიენცერი მიცემითშია ზედაპირულ სტრუქტურაში, ხოლო მათი თემა ხშირად სუბიექტია.

**Il lui manque plusieurs livres.**

**Il lue manque plusieurs livres.**

თემა | ექსპერიენცერი

თემა | ექსპერიენცერი

### Les livres volés manquent à Marie

თემა | ექსპერიენცერი

არააკუზატიური ფსიქოზმენები უფრო ფიგურალურად იხმარებიან, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი გვხვდებიან უპირო კონსტრუქციებში ზმნის მომდევნო თემით (ან პარტიტივით **en**) ან თემით სუბიექტის პოზიციაში. ზოგიერთი ამ ზმნათაგან “**être**“-ით იხმარება, მაგრამ დამხმარე ზმნის სელექცია არ არის მყარი არააკუზატიურობის დიაგნოსტიკისათვის. ზოგიერთმა ლინგვისტმა აღნიშნა, რომ პირველი და მეორე ნაირსახეობის ზმნები ხშირად ერთნაირად ასახავენ ერთმანეთს სემანტიკური არგუმენტების დისტრიბუციით და ზოგიერთი მათგანი მეორის თემატურ შებრუნებას წარმოადგენს. ზოგიერთ ზმნას თავისთავად გააჩნია ცვლადი მნიშვნელობა. მნიშვნელობის ცვლა და თემა-როლების დისტრიბუცია პრობლემატურს ხდის თემატური და არგუმენტული სტრუქტურის დაკავშირებას.

ფსიქოზმნათა გარე არგუმენტი პოტენციურად არათემატურია, ვინაიდან ამ ზმნათა არც ერთი არგუმენტი არ არის ნამდვილი აგენტის, ამიტომ ყოველი აგენტის თემა-როლი აგენტის როლზე დაბლა დგას. არამიციემითი ზმნების სუბიექტის არათემატურობა უკავშირდება ბრუნვის შეწყვეტის საკითხს, რაც მოასწავებს კითხვის წამოჭრას: არამიციემითები იგივენი არიან, თუ განსხვავდებიან არააკუზატივებისაგან?

უკუანაფორების საკითხი ისეთი ანაფორების ხმარებას ნიშნავს, რომელთაც შეიცავს სუბიექტი, და რომელთაც აბამს ირიბი ან პირდაპირი ობიექტი, ამით ირღვევა **C-command**-ის შეზღუდვა საპირისპიროდ ტიპიური გარდამავლების საპირისპიროდ.

### Ces rumeurs sur lui-même plaisent(a) / inquietent John

თემა-როლებისა და სემანტიკური მახასიათებლების ურთიერთმიმართებათა ანალიზი ლინგვისტთა უკმარისობის გრძნობას იწვევდა; ზოგიერთი მათგანი თვლიდა, რომ ფსიქოზმნათა მნიშვნელობა არასრულია დამატებითი განზომილების აღიარების გარეშე და მარტივი თემა-როლები არაადეკვატურია ფსიქოლოგიური მიზნებისათვის. მაგ. ზმნების (**craindre, avoir peur**) და (**effrayer, faire peur**) (ინგლისურად **Jear, frighten**) ანალიზში ასპექტურ განზომილებასთან ერთად მნიშვნელოვანი ჩანს კაუზატივის მორფემის შემოტანა (გრიმშოუ, პესეკი) და ამით ამ ზმნათა მორფოლოგიის გამდიდრება. მოცემულ ზმნათა

შინაგანი არგუმენტული სტრუქტურის დადგენაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი გავრცელებული შეხედულების მიხედვით (რენდი რ.) **manguer/amuser**-ს თემა, რომელიც საბოლოოდ სუბიექტი ხდება, სიღრმისეულ ობიექტს წარმოადგენს. ზმნა პირდაპირ თემა-აღნიშნავს თემას და ზმნა — თემა თავის შემადგენლობით თემა-აღნიშნავს ექსპერიენცერს. მოცემული სტრუქტურა ისევე აღძრავს საკითხს იმის შესახებ, რომ არააკუზატივები და არამიციემითები წარმოადგენენ ერთსა და იმავე კლასს განსხვავებული ბრუნვებით ზედაპირულ სტრუქტურაში, თუ ისინი ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. “**manquer**“ ზმნის სიღრმის სტრუქტურაში ექსპერიენცერი მეორე შიგა არგუმენტი ზმნისა, რომელიც იძლევა მიციემით ბრუნვას ზედაპირულ **S**-ს სტრუქტურაში, პირველი შინაგანი არგუმენტი (თემა)-პირდაპირი დამატებაა, რაც მტკიცდება კიდევ “**en**“-ის ხმარებით:

**Il lui en plairait beaucoup (de femmes)**

**Il lui en manquait trois (de couleurs)**

ზმნა “**manquer**“-ს ასეთი არგუმენტული და თემა-მართვა (ბმის) თვალსაზრისით აღიარებულია ამ ზმნის მიმართ (მიციემითი ექსპერიენცერი და თემა — პირდაპირი ობიექტი); ზმნა „**amuser**“-ს მიმართ იგივე მოსაზრებანი სადაოა, განსაკუთრებით ამ ზმნის სიღრმისეული პირდაპირი დამატების სტატუსის თაობაზე, რომლებიც ვერ პასუხობს პირდაპირი დამატებისათვის საჭირო დიაგნოსტიკას, მაშინ როდესაც **les enfants** პასუხობს მათ, რაც მიუთითებს იმას, რომ ექსპერიენცერი ნამდვილად პირდაპირი დამატებაა.

**Les marionettes amusent les enfants.**

**Les marionettes les amusent**

**Les enfants qui/que les marionettes amusent.**

**Les enfants sont amusés par les marionettes.**

**Les enfants amuses**

**On croyait les enfants amusés**

დამატებათა ადგილების შეცვლის შემთხვევაში თემა შეიძლება დაიძრას სუბიექტის პოზიციისკენ სახელობითი ბრუნვით, ხოლო ექსპერიენცერს ექნება ბრალდებითი ბრუნვა.

ამრიგად, არააკუზატიურ ფსიქოზმნებს (**manquer**) აქვთ არათემატური გარე არგუმენტი და დეფექტური ბრალდებითი ბრუნვა. არამიციემით (**amuser**) ფსიქოზმნებს აქვთ არათემატური გარე არგუმენტი და დეფექტური მიციემითი ბრუნვა. ამ ზმნების ქმედება ეყრდნობა

ორობის ჰიპოთეზას, ვინაიდან შინაგან ბრუნვათა და არგუმენტთა რიცხვი ორია. არათემატურ ფსიქოზმენებს აკლიათ ერთი გარე არგუმენტი და ერთი ბრუნვა (ბუტციოს წინასწარი ვარაუდით). “manquer“ ზმნის კლასს აქვს მიცემითი, მაგრამ აკლია ბრალდებითი, ხოლო “amuser“-ს კლასს აქვს ბრალდებითი, მაგრამ აკლია მიცემითი. ორივეს აკლია გარე თემატური არგუმენტი. ვინაიდან ეს ზმნები ბრუნვანაკლულია, მათი სუბიექტი არ მოძრაობს სუბიექტის პოზიციისკენ, გაუქმებული ბრალდებითი ბრუნვის შემთხვევაში, კონსტრუქციაში ჩაერთვება ნაწილობრივი ბრუნვა (en); გაუქმებული მიცემითის შემთხვევაში არ არსებობს DP-ს მხსნელი ბრუნვა. ფსიქოზმნების სამი კლასი აჩვენებს სამ განსხვავებულ სიღრმისეულ კონფიგურაციას: გარდამავალს, არამიცემითსა და არაბრალდებითს.

ფსიქოზმნების ანალიზს ნ. რიუვე ამ ზმნათა ურთიერთშებრუნებულ არგუმენტულ სტრუქტურას უკავშირებს. მაგ.: ზმნებს “mepri- ser“-სა და “dégouter“-ს შორის არსებული სელექციური შეზღუდვები ზმნათა მხრივ სემანტიკური შეზღუდვების მაჩვენებელია. მიმართება “mepri- ser“-სა და მის ობიექტს შორის ანალოგიურია სემანტიკური მიმართებისა “dégouter“-სა და მის ობიექტს შორის. გენერაციული გრამატიკა ამ პრობლემას განსხვავებული სემანტიკური ინტერპრეტაციის წესებით ან ტრანსფორმაციული გზებით ხსნის აღსანიშნავად, რომ ორივე გადაწყვეტილება მისაღებია.

ტრანსფორმაციას ე.წ. „ფსიქიური გადაადგილება — PSYCHO- MOVEMENT“ — ეწოდება. ტრანსფორმაციული კომპონენტი ახალი ტრანსფორმაციით შეივსება და დასახელებულის მსგავსი ზმნები აღიჭურვება [+ Psych-MVT] ნიშნით; ავტორი მომხრეა ე.წ. სემანტიკური გადაწყვეტისა, რაც ემყარება “თემატური“ ფუნქციების თეორიას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გრუბერმა (1965), ხოლო გააღრმავა ჯეკენდოფმა. ეს იმ ფუნქციების სისტემაა, რომლებსაც ფრაზებში ასრულებენ სახელადი სინტაგმები, ანუ ე.წ. „თემატური ფუნქციე- ბი“, რომლებიც ფორმალურად გამოხატავენ ისეთ ტრადიციულ ცნე- ბებს, როგორცაა „აგენტი“, „პაციენსი“, „მოქმედების მოსარგებლე“, „ინსტრუმენტი“ და ა.შ. ეს ფუნქციები განიხილებიან როგორც სემან- ტიკური რეპრეზენტაციების თვისებები, დაკავშირებულნი გრამატი- კულ მიმართებებთან, პროექციის წესების საშუალებით. ძირითადი თემატური ფუნქციებია: „თემა“, „ადგილი“ „წყარო“, „მიზანი“, „აგენ- ტი“.

ძირითადი ყველაზე ნეიტრალური, ყველაზე ნაკლებად მარკირე- ბული- „თემა“. ნებისმიერი ფრაზა შეიცავს თემას, რომელიც ჭეშმა- რიტად გარდაუვალი ზმნების ქვემდებარეა („მეტეოროლოგიურ“ უპი- რო გამოთქმებში თემა ჩართულია ზმნაში). თემატური ფუნქციები არ მოიცავენ პირდაპირ სინტაქსურ ფუნქციებს; სხვა თემატური ფუნქციები შესრულებიან სხვა NP-სა და PP-ების მიერ. მოცემული თემატური ფუნქციის მატარებელ სახელად ჯგუფებს ყოველთვის არ უჭირავთ ერთი და იგივე სინტაქსური პოზიცია. „აგენტის“ თემატურ ფუნქციას, რომელსაც ძირითადად სუბიექტის სინტაქსური პოზიცია უჭირავს, ხშირად სხვა თემატურ ფუნქციებს უერთდება: მაგ. “თე- მა+აგენტი“, “წყარო+აგენტი“, “მიზანი+აგენტი“. თემატურ ფუნქციებ- თან დაკავშირებული მრავალი საკითხი დაზუსტებას თხოვლობს. მაგ.: მათი მიმართება სემანტიკურ პრიმიტივებთან; მოცემული თეო- რიის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს მისი სიახლოვე ფილმორის ბრუნვათა თეორიასთან, სემანტიკური ფუნქციების დაყვანა აბსტრაქ- ტული სინტაქსის ცნებებამდე, კონკრეტული და აბსტრაქტული პროცესების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოქმედებების ერთნაირი წარმოდგენა.

“mépriser“-სა და “dégouter“-ს პრობლემის გადაწყვეტა არატრანს- ფორმაციული გზით აისახება მათ ლექსიკურ რუბრიკაში, რომელშიც ფსიქოლოგიური პროცესის ფუნქცია, რომელსაც ეს ზმნები გამოხა- ტავენ, ერთ შემთხვევაში სრულდება სუბიექტის, ხოლო მეორე შემთხვევაში- ობიექტის მიერ. არსებობს ორი დიდი ჯგუფი პირდაპირ გარდამავალი ზმნებისა, რომელთაც, ერთი მხრივ, მიეკუთვნება “mépriser“, მეორე მხრივ, “dégouter“.

ამ ზმნათა ანალიზის ტრანსფორმაციული მიდგომის თვალსაზრი- სით, განსხვავებანი მოცემული ზმნებით აღჭურვილ კონსტრუქციებში ძირითადად ზედაპირული სტრუქტურების განსხვავების დონეზე აისა- ხება: ამა თუ იმ წინდებულის არსებობა ან არარსებობა, ზმნის უკუქცევითობა, PP “ადგილის“ არსებობა.

თემატური ჰიპოთეზის მიხედვით, ყველა ეს განსხვავება შესაძლე- ბელია აისახოს სიღრმის სტრუქტურაში და ისინი გაანალიზდებიან ზმნის მკაცრი ქვე-კატეგორიზაციის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს მონათესავე, ხშირად ომონიმური კონსტრუქციების ანალიზის შემდეგია. არსებობს

თუ არა შესაბამისობა სინტაქსურ და სემანტიკურ განსხვავებებს შორის და თუ არსებობს, როგორი უნდა იყოს მათდამი მიდგომა.

რიუვეს არ მიაჩნია ტრანსფორმაციათა გამოყენება ყველა არსებული პრობლემის გადაჭრისათვის გამომწვევად და საკმარისად. ნ. რიუვე ფრანგულ ენაში არსებულ ფსიქოზმენებს ყოფს ორ ომონიმურ **A** და **B** კლასად.

მათ შორის არსებული მიმართება აისახება ზმნებში, რომლებიც აღწერენ პროცესს, რომლის **NP** სუბიექტი, გამოხატავს ამ პროცესის მიზეზს და ეს პროცესი ეხება, ან ზემოქმედებს ამგვარად თუ იმგვარად, არსებაზე ან ობიექტზე, რომელსაც **NP** ობიექტი გამოხატავს. **A** ჯგუფში ზემოქმედება ფიზიკურია, ხოლო **B** ჯგუფში - ფსიქოლოგიური, მენტალური. ორივე ჯგუფის ზმნები უახლოვდებიან ფაქტიტივებს ანუ კაუზატივებს. ფსიქო-მოძრაობით ანალიზში ამ ზმნების ეს სახეობა არ ჩანს. მიუხედავად დიდი პროდუქტიულობისა, არსებობს განსაკუთრებული განსხვავებანი ომონიმურ **A** და **B** ჯგუფების ზმნებს შორის. ურთიერთმიმართება ამ ორ ჯგუფს შორის არ არის მკვეთრად დადგენილი, არსებობს გარდამავალი მნიშვნელობის ზონები, მეტაფორული ხმარება და სხვა მრავალი სემანტიკური ნიუანსი; მოცემული ზმნების სისტემის ანალიზისათვის ნ. რიუვე მიმართავს მარკირების თეორიას, სადაც განიხილება **A** და **B** ჯგუფის ზმნები და არ განიხილება გარდამავალი ტიპი (რომელიც გამოხატავს აღქმის პროცესს). განსხვავებული ლექსიკური რუბრიკა, სრულიად განსაზღვრული, მიეწერება ყველა ზმნას, რომელიც აღჭურვილია სათანადო სემანტიკური და სინტაქსური თვისებებით: ყოველი განხილული ზმნა (ომონიმური) იღებს განსხვავებულ ლექსიკურ რუბრიკას. მაგ. არსებობს სულ მცირე სამი ზმნა “**toucher**“, **touchera**, - ფიზიკური ზედაპირის შეხების ზმნა, “**toucher B**“, - ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლის ზმნა; **tonchera2** - „ფიზიკური მდგომარეობის შეცვლის“ ზმნა, ასევე არსებობს ორი ზმნა; “**impressioner**“, ორი- “**effleurer**“ და ა.შ.

რუბრიკები შეიცავენ განსაზღვრული რაოდენობის შეთანხმებებს, რომლებიც ამბობენ, რომ ზოგიერთ მოცემულ პირობებში მახასიათებელი [aF] [სადაც a- ცვლადია + ან -), გაიგება როგორც არა-მარკირებული. ეს შეთანხმებები ასე გამოიჭურება:

პირობებში C1..., ..., Cn[aF] -> [uF]

(**N-** არამარკირებულია (**unmarked - non -marqué**). შეფასების პრინციპი არ იღებს მხედველობაში არამარკირებულ მახასიათებლებს. მოცემულ შეთანხმებებში [aF, ..., b G] წარმოადგენენ ფონოლოგიური და მორფოლოგიური მახასიათებლების მატრიცას. შექმნილი რუბრიკები შეესაბამებიან ისეთ ინტუიციურ მონაცემებს, როგორიცაა მაგ. “თუ არსებობს ლექსიკაში ფიზიკური ქმედების გარდამავალი ზმნა, არსებობს აგრეთვე გარდამავალი ფსიქოლოგიური ზმნა-ომონიმი“, “თუ არსებობს ლექსიკაში ზმნა, რომლის ობიექტი არის “ადგილი“, “არსებობს ზმნა — ომონიმი, რომელიც აღნიშნავს მდგომარეობის შეცვლას“, “ფსიქოლოგიურ ზმნა ამავე დროს არის მდგომარეობის შეცვლის ზმნა“, და .შ. ყველგან გამოჩანის წარმოადგენს ზმნები “**effleurer**“ და “**heurter**“; შეთანხმების გამოყენება მახასიათებელთა დიდ ეკონომიას იძლევა; მაგ.

**toucher:[+V], [+NP], [+[-+lilu]], [+plus], [-chant...]**

ეს შეთანხმებები არ ითვალისწინებენ ფსიქოზმნების მეტაფორულ მნიშვნელობებს. ასეთი წესები ჯერ არ შემუშავებულა. უკუქცევითი ნაცვალსახელის “**se**“ დისტრიბუცია და ინტერპრეტაცია გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნის პრედიკატის სივრცის კვლევისას. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს თვით უკუქცევითი “**se**“-ს შინაგანი კლასიფიკაცია, კონსტრუქციის უკუქცევითად ქცევის პროცესი და ადგილი, უკუქცევით ზმნათა კლასიფიკაცია, კონფიგურაცია და მნიშვნელობა. ვინაიდან სელექციური შეზღუდვები უკუქცევითი ზმნების სუბიექტისა და ობიექტის მიმართ სისტემური ხასიათისაა, მათ ასახსნელად რამდენიმე საშუალება არსებობს. ნ. რიუვეს მიაჩნია, რომ უკუქცევითი ზმნების არსებული ორი ჯგუფიდან ერთი უნდა განხილულ იქნეს ტრანსფორმაციული ციკლის ჩარჩოში, მეორე კი ლექსიკური სიღარიბის სფეროში. არსებულ კლასიფიკაციას ნ. რიუვე ავსებს ახალი, “საშუალო“ და “ნეიტრალური“ უკუქცევითი კონსტრუქციებით და აყალიბებს მათ განმასხვავებელ მახასიათებლებს.

მართვისა და ბმის თეორიის ერთი ვარიანტის (ბურციოს) მიხედვით, განასხვავებენ “**se**“-თა შემდეგ სახეობებს: საშუალო, უკუქცევითი, თანდაყოლილი უკუქცევითი, ერგატიული.

უკუქცევითი “**se**“- შეესაბამება უკუქცევით ობიექტს, ერგატიული “**se**“ ენაცვლება სუბიექტს.

“**Se**“ - უმახვილო ნაცვალსახელი ზმნის ბრუნვით მარკირების ნიშანია, ზმნის მიერ ბრუნვისა და **Q**-როლის მიწერა ნაცვალსახელისა

და ცარიელი ერთეულის ჯაჭვისათვის მოხდება ყველა დონეზე და ამით დაკმაყოფილდება პროექციის პრინციპი.

ერგატიული “se” განიხილება როგორც სუბიექტის თემა-როლის “დაკარგვის” მორფოლოგიური ანარეკლი, რომელიც აღნიშნავს ერგატიული ელემენტების წარმოქმნას გარდამავალი ზმნებისაგან. ერგატიული ნიშნავს იდენტურ ქვეკატეგორიზაციას (NP-ობიექტებად) და განსხვავებას სუბიექტის Q-როლის მიწერაში.

თანდაყოლილი (უკუქცევითი) “se” განსხვავდება როგორც უკუქცევითი, ასევე ერგატიული “se“-საგან, ერგატიული და თანდაყოლილი უკუქცევითი “se“-ს მხოლოდ აფიქსებია; მათ სინტაქსურ ფუნქციას წარმოადგენს Q-როლის მიწერა სუბიექტს პოზიციისთვის. ზმნები, რომლებიც იყებენ ამ აფიქსს — ერგატიული ზმნებია. ამრიგად, ამ ორ კლასს ერთნაირი ანალიზი მიეწერება, მათგან ერთს აქვს გარდამავალი მოცალე; არსებობს “აუცილებელი უკუქცევით ზმნათა” კლასი (s'imaginer), გარდამავალი სათავისო მიცემითი ბრუნვით.

უპირო “se” რადიკალურად განსხვავდება სხვა “se“-საგან. იგი უმხავილო ნაცვალსახელი-ქვემდებარეა. “Se” შეიძლება შეყვანილ იქნეს ნებისმიერი NP — კვანძის ქვეშ, ვინაიდან მისი განაცვალსახელება სუბიექტიდან მომდინარეობს. მისი ურთიერთქმედება NP-ს მოძრაობასთან მუდმივად შეიმჩნევა, როგორც ერგატიულ, ასევე აწევის შემთხვევაში. NP-ს მოძრაობის სპეციფიური ვარიანტი “OP” (ობიექტის წინ გადაწევა) მოძრაობით მიიღება. “se” ამ ვარიანტში სახელობით ბრუნვაშია.

ნამდვილი უკუქცევითი ან საურთიერთო უკუქცევითების სისტემას ნ. რიუვე ძირეული გარდამავალი სტრუქტურებიდან ტრანსფორმაციების საშუალებით მიღებულად მიიჩნევა.

საკითხის გადაწყვეტის მეორე მიმართულება გულისხმობს ორივე კონსტრუქციის ჩართვას სიღრმის დონეზე შემდეგი წესით: VP->(se)...V(NP)

უკუქცევითი ზმნები ქვე-კატეგორიზდებიან ლექსიკაში მახასიათებელი ნიშნით [+se...-], ან [+უკუქცევითი], რომელიც შემდეგ “se“-თ გამოიწერება, სელექციის მიმდინარეობა აიწერება ლექსიკური სიჭარბის წესებით. ორივე მიდგომას არსებობის თანაბარი უფლება აქვს, მაგრამ ის არაერთგვაროვნება, რომელიც პირველი დიდი დაყოფის “réflechi“-სა და *recproque*-ს სისტემაში სუფევს, სრულად არ აისახება არსებულ ანალიზში. ამიტომ რიუვე არსებულ კლასიფიკაციას ავსებს

ახალი დაყოფით “საშუალო” და “ნეიტრალურ” უკუქცევით ზმნებად. საშუალო კონსტრუქციებს “ვნებითი” მნიშვნელობა აქვთ, რაც გულისხმობს არგამოხატული აგენტის (მოქმედი პირის) არსებობას, განსხვავებულს ზედაპირული სუბიექტისაგან. ნეიტრალურ ზმნებს ასეთი აგენტი არა აქვთ. საშუალო კონსტრუქცია ემორჩილება დროისეულ შეზღუდვებს, იგი არ იხმარება მყისიერად დასრულებული დროის გადმოსაცემად. ნეიტრალური კონსტრუქცია ასეთ შეზღუდვებს არ ცნობს. საშუალო კონსტრუქციას შეუძლია გამოხატოს ჩვეულებრივი, ნორმატიული, გვარეობითი მნიშვნელობა; იგი იხმარება ზმნიზედებთან *facilement, frequemment*, ქვემდებარეებით “*cela*“, “*Sa*” [-სულიერი]; ქვემდებარის ხმარება აბსოლუტური არ არის; ნეიტრალური კონსტრუქციები ძირითადად დიალექტური, იდიოლექტური, დიაქრონიული ვარიანტებია. საშუალო კონსტრუქციები ტრანსფორმაციული წარმოშობისაა, ნეიტრალური პოზიციები უშუალოდ ბაზისურ დონეზე წარმოიქმნებიან. საშუალო ზმნებს წარმოქმნის რეგულარული მექანიზმი აქვთ; ნეიტრალური ზმნები სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდებიან. ზოგიერთი თანდაყოლილი უკუქცევითი და ნეიტრალური ზმნა იხმარება პირდაპირ გარდამავალ კონსტრუქციაში შესაბამისი სელექციური შეზღუდვებით ორივე სახის კონსტრუქციისათვის. საშუალო ზმნები არ ჩაირთვებიან ზმნების “faire“-ს და “laisser“-ს კონსტრუქციებში, ნეიტრალური ზმნები ასეთ კონსტრუქციაში ჩაირთვებიან და კარგავენ ნაცვალსახელს “se“.

საშუალო ზმნებთან იხმარება *soi-même*“, ნეიტრალურ ზმნებთან “*soi*“. არანაცვალსახელოვანი საშუალო ზმნები ისე მოქმედებენ, როგორც ნეიტრალური ზმნები, ისინი არ ხასიათდებიან დროისეული შეზღუდვებით და თავისებურ მიმართებებს ამყარებენ შესაბამის გარდამავალ, უკუქცევით, ნეიტრალურ კონსტრუქციებთან.

ბმისა და მართვის თეორიის ერთ-ერთი ვერსია (მანძინი, 1986; ვერლი 1986; ვერლი 1986, ემონდსი 1991) ცდილობს ერთგვაროვან ანალიზს დაუქვემდებაროს “se“-ს სხვადასხვა ვარიანტები. ამ თეორიის თანახმად, “se” წარმოადგენს ანაფორას, დაბმულს ლექსიკური ან ნაცვალსახელოვანი სუბიექტის მიერ. ფრანგულ ენაში ამ ნაცვალსახელის ორი კლასი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაიდენტიფიცირებელი (Id) და შთანმთქმელი (Absorber) [ABs]; აქედან პირველი რეფერენტულია (უკუქცევითი/საურთიერთო), მეორე არარეფერენ: ტუ-

ლი (თანდაყოლილი, ნეიტრალური, საშუალო, ფსიქო); რეფერენტული “Se” — ან ბრალდებითა, ან მიცემით:

Abs; se

Marc s'évanouit (თანდაყოლილი

La glace se brise (ნეიტრალური)

Le pain se mange (საშუალო)

Les enfants s'amuse (ფსიქო).

Abs se ოთხი კლასის განსხვავებულ ინტერპრეტაციაში არ არსებობს ცხადად გამოკვეთილი თემა-როლი “se“-სთვის. თანდაყოლილი “se“ ხშირად ინკოატიური მარკერია, თუმცა არსებობს ინკოატიური ზმნები “se“-ს გარეშე. თანდაყოლილი უკუქცევითები არ იხმარებიან თემატური, სუბიექტიანი, სრულმნიშვნელოვანი ზმნების სინტაქსურ ვარიანტად; ნაცვლსახელოვან ფორმათა ზედაპირული სუბიექტი იქცევა, როგორც შინაგანი არგუმენტი იმით, რომ არ ამკლავებს აგენტურ თვისებებს. ასეთი ზმნების სუბიექტები წარმოიქმნებიან VP-ში შინაგანად.

ნეიტრალური “se“ მდგომარეობის შეცვლის ზმნები, ითვისებენ სუბიექტის თემა-ა როლს ისე, რომ ინდივიდი, რომელიც ცვლილებას განიცდის, ლინგვისტურად წარმოდგენილია როგორც პასიური მონაწილე.

საშუალო se კონსტრუქციები ხასიათდებიან გარკვეული ინტერპრეტაციით, ატელური (დროში შემოუსაზღვრელი) ზმნით, თავისუფალი აგენტით და [-harmain] ობიექტით.

ფსიქო “se“-მ აითვისა კაუზატივის (causer) როლი, ხოლო დარჩენილი არგუმენტი, ზედაპირული სუბიექტი-ექსპერიენცერია.

Abs “se“-ს წინადადების სუბიექტი- ერთგვარი პაციენსია.

რაც შეეხება ბრუნვას Abs se ითვისებს შიგა არგუმენტსა და ბრალდებით ბრუნვას და ზმნა გარდამავალიდან იქცევა საშუალოდ; Abs se ზმნების სამი ტიპი, გარდა ფსიქოზმნებისა არსებობენ ერთსა და იმავე ფუნქციას, ისინი თემას აკლიან NP-ს და აქმევენ სტრუქტურული ბრალდებითი ბრუნვის მიწერას: ფსიქო ზმნები ლექსიკურად განსაზღვრულნი არიან, როგორც ბრუნვანაკლულნი, მათ არ შეუძლიათ მიაწერონ მიცემითი ბრუნვა და მათი გარე არგუმენტი — არათემატურია. ამის გამო, მეორე შინაგანი არგუმენტი იკლება თემისაგან და შესაბამისად ფსიქო “se“-ები არიან არამიცემითები, არაკაუზატივები ე.ი. ორმაგად არათემატურნი და ორგზის (სტრუქტურულ-

ლად) ბრუნვანაკლულნი.ერთადერთი ბრუნვა არის სახელობითი, თუმცა ისინი რეგულარულად ირჩევენ წინდებულის არგუმენტს, რომელიც თანდაყოლილად ბრუნვითაა მარკირებული.

ყველა ვარიანტი Abs se-si, გარდა ფსიქოზმნებისა, ხასიათდება არათემატური გარე არგუმენტით, ხოლო “se“ წარმოდგენს [+arg, +acc];

Id se სინტაქსური და სემანტიკური ინტერპრეტაცია შესაბამისი არანაცვლსახელოვანი ფორმების პარალელურია.

ამრიგად, ყველა ზმნა, რომელთაც აქვთ გარდამავალ/გარდაუვალ წყვილი, გარდამავალი ფორმიდან გარდაუვალში გადასვლისას კარგავს ბრალდებითსა და გარე არგუმენტს და შეიძლება ჩაითვალოს ერგატიულ ზმნად; ამავე კატეგორიას განეკუთვნება გარდამავალიდან უკუქცევით მეწყვილის გაჩენის ვარიანტიც (შესაბამისი ბრუნვების შთანქმით), აქ შვევა ნეიტრალური, საშუალო და არ არის გამორიცხული, ვნებითი მნიშვნელობის მქონე უკუქცევითის ამავე კატეგორიით ინტერპრეტაცია.

Il lif ce livre avec interet; le ivre se lit avec interet.

ყველანაირი მონაცემი ცხადყოფს ფრანგულ ენაში დამატებით ნაცვლსახელთა ორობით ზღვარს.

ლიტერატურა

**ბურციო, 1986** — L. Burzio. Italian Syntax. A Government-Binding Approach. D. Geidel Publishing Company. Great Britain, 1986;

**გრამშოუ, 1992** — Grimshaw Jane, "Argument Structure". Cambridge, Mass.: MIT Press. 1992.

**გრუბერი, 1965** — Gruber Jeffrey, Studies in Lexical Relations. Unpub. Ph. D. Dissertation. M. I. I. Cambridge, Mass. 1965.

**ემონდსი, 1991** — Emonds Joseph, "The Autonomy of the (Syntactic) Lexicon and Syntax: Insertion conditions for derivational and inflectional morphemes". Georgopoulos and Ishihara. 119-148. 1991.

**ვერლი, 1986** — Wehrli Eric, "On Some Properties of French Clitic se". 263-284. Borer, 1986.

**ვერნო, —** Vernaud Jean-Goger, "The Syntactic Representation of Gejence and Binding" article mime'ographie', Tilburg Univ.

**კეინი, 1977** — G. S. Kaune. Syntaxe du français, Editions du Seuil, Paris, 1977.

**ლარსონი, 1988** — Larson Gichard, "On the Double Object Construction". Linguistic inquiry 19.335-392. 1988.

**მანჯინი, 1986** — Manzini Maria, "On Italian si". 241-262. Borer, 1986.

**პერლმუტერი, 1989** — Perlmutter David, "Multiattachment and the Unaccusative Hypothesis: The Perject Auxiliary in Italian". Probus 1-63-119. 1989.

**პესესკი, 1995** — Pesetsky David, Zero Syntax: Experierars and cascades. Cambrisge, Mass.: MII Press. 1997.

**რიუვე, 1972** — N. Guwet. Theirie suntaxi que et syntaxe du français. Editions su Seuil, Paris, 1972.

**ფილმორი, 1968** — Fillmore C. J. "The case jore case" in Bach et flarms, eds., 1-88. 1968

**ფოკონიე, 1984** — G. Fauconnier. Espaces mentaux. Les edition de Minuit. Paris. 1984.

**ჩომსკი, 1987** — N. Chomsky, La niuvelle synraxe. Editions du Senil, Paris, 1987.

**ჯეკენდოფი, 1992** — Jeckendoff Gay, Consciousness and the Computational Mind. Cambridge, Mass, MII Press. 1992.

TAMAR KATSANASHVILI

### Components of the Predicate Space in Current French

#### Summary

The paper investigates the space of the predicate in current French. The verbs forming the predicate space are distributed and classified on the basis of the argument, case and theta - role principles.

The meaning of the verbs in question are analyzed from the standpoint of the government and binding theory. The paper suggests the perspective of including the predicate space into the mental spaces.

## ლაზარა ნოზაძე

„ქართული დიალექტის ლექსიკონთან“ (1981) დაკავშირებული  
ზომი საკითხის ბაზო\*

„ქართული დიალექტის ლექსიკონში“ (შემდგენლები: თ. ბერო-ზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბ., 1981) წარმოდგენილია ქართული ენის ფუძე-დიალექტის — ქართლის ლექსიკა. შედგენის პრინციპების მიხედვით იგი განსხვავდება მანამდე არსებული ლექსიკონებისაგან. მასში შეტანილია ზმნის ყველა ფორმა: საარვისო, სათავისო, სასხვისო ქცევა, კაუზატივი, მასდარი, მიმღობა (თუ ისინი დადასტურებულია ტექსტებში), მაგრამ სიტყვის განმარტება მოცემულია მხოლოდ ზმნის ამოსავალ ფორმასთან (ჩვეულებრივ, მოქმედებითი გვარის ნეიტრალურ ქცევასთან), დანარჩენი ერთეულები კი წარმოდგენილია მოცემული ზმნის ბუდეში განუმარტავად<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ ქართული, როგორც ცნობილია, ქართული სამწერლო ენის საყრდენ დიალექტს წარმოადგენს (სალიტერატურო ენაში შესულია მისი ლექსიკური მარაგის უდიდესი ნაწილი), გარკვეულ სირთულეს ქმნიდა სალექსიკონო ერთეულების შერჩევას. ამის გამო ქართული დიალექტის ხსენებულ ლექსიკონში არ შევიდა მთელი რიგი ქართლში დადასტურებული ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია „კუთხურის“ კვალიფიკაციის გარეშე, ე.ი. მიჩნეულია სალიტერატურო ენის კუთვნილებად, ან მის სარეზერვო ფონდად. ასეთებია: გაშანულავს

\* წაკითხულია XVII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე, ქ. თელავი, 1997 წ., 24-25 ოქტომბერი.

ამ წესით თავიდან არის აცილებული ერთდამავე ზმნის ფუძის სალექსიკონო ერთეულებთან განმარტების გამეორება სხვადასხვა ფორმით. ამასთან იგი იძლევა ადგილის საგრძნობ ეკონომიას („ქართული დიალექტის ლექსიკონი“, თბ., 1981, გვ. 5). შდრ. ამ თვალსაზრისით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964) და მისი პრინციპების მიხედვით შედგენილი დიალექტური ლექსიკონები.

„გაფანტავს“, დაშარტავს „მაგრად შეკრავს“, მოინარიკლებს „ამოიჭამს“, ცეტერი ცირად წაჭრილი (წნელი, შტო)“, წაკულაკი „შემოსვლელი ნუში (აგრეთვე ჭერამი, ტყემალი)“ და სხვ. (ქართლ. დიალ. ლექს., 1981, 4).

ლექსიკონში არ შევიდა აგრეთვე სალიტერატურო სიტყვათა იმ ტიპის ფონეტიკური ვარიანტები, როგორცაა, მაგალითად: გაიქაფრებს „გაიქარვებს“, ლავარძალა „მრავალძარღვა“, შხირად „ხშირად“, ჩხლართვი „ჩხართვი“, მძვირი „ძვირი“, ბარცხნის „ვარცხნის“ და სხვ. (შდრ. ქართული ენის დიალექტური ლექსიკონები).

ამ კონტექსტში ქ. ლომთათიძის ყურადღებას იქცევს ლექსემა მძვირი, რომელიც, მისი აზრით, ხსენებულ ლექსიკონში ზემოთ აღნიშნული წესის (ლექსიკონში არ შედის სალიტერატურო სიტყვათა ფონეტიკური ვარიანტები) დარღვევით არის შეტანილი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მკვლევრის ვარაუდით თვისების აღმნიშვნელ სიტყვაში — მძვირი, ასევე ლექსემებში: მშური „შურიანი“, მწვეტი 1. ცხვირწაწვეტებული (ქალი), 2. ავი, მოჩხუბარი (ქალი) მ მორფოლოგიური ფუნქციის აფიქსია — ადამიანის კატეგორიის გამომხატველი თავსართი.

ავტორის თქმით, „თითქოს გამოდის, რომ თვისების აღმნიშვნელი სახელი და არსებით სახელთა ფუძეები ასევე გარკვეული თვისების შემცველი მ პრეფიქსის დართვისას ამ თვისებით აღჭურვილ ადამიანთა სახელებად იქცევა; შდრ.: ერთი მხრივ, წვეტი და მეორე მხრივ — მწვეტი (აღამ.); ერთი მხრივ ძვირი და, მეორე მხრივ, — მძვირი (აღამ.), ერთი მხრივ, შური და, მეორე მხრივ, — მშური (აღამ.)“ (ლომთათიძე, 1995, 147-148).

მკვლევარი შესაძლებლად თვლის ამ ფაქტში დაინახოს ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა დაპირისპირების ახალი ტენდენცია. იგი ანალოგიურ მოვლენას ხედავს ფორმებში: მჭითავა (შდრ. ჭითა) და სხვ. (იქვე).<sup>2</sup>

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ხსენებულ სიტყვათა ზემოთ წარმოდგენილ ინტერპრეტაციას დაბრკოლებები ახლავს. კერძოდ, თუ მძვირი („ძუნწი“) ფუძეში მ წარმოშობით ადამიანის კატეგორიის გამომხატველი აფიქსია, მაშინ ასახსნელი იმავე დიალექტში მს არსებობა ისეთ ფორმებში, რომლებიც ადამიანს არ მიემართება, როგორცაა მძვირი „ძვირი“, „დიდი ფასის მქონე (ხორცი, ყველი...)“, სიმძვირე, გამძვირება და მისი.



ჩვენ ამჯერად შევეხებით მხოლოდ „ქართლური ლექსიკონიდან“ (1981) დამოწმებულ სიტყვებს: მძვირი, მშური, მწვეტი.

აღსანიშნავია, რომ ქართლურ დიალექტში სიტყვა **მძვირი** (|| ძვირი), სადაც დიაქრონიულად **მ**, ვფიქრობთ, ფონეტიკური დანართია, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა („დიდი ფასის მქონე“) აღნიშნავს აგრეთვე: „ძუნწს, ხელმოჭერილს“. ნიმუშები ლექსიკონიდან: ისეთი მძვირია, ისეთი კანდამწვარი ჩვენი ვანო, რო კაპიკ ვერ გააგდებინე: ქემ; გეგ ძვირია, რო ფეტვი რო ეჭიროს, მარცვალი არ გეეპარება: ოძ... („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981).

ძვირი ძუნწის მნიშვნელობით დადასტურებული აქვს ა. შანიძეს მთის კილოებში (1984, 447).

ფუძე ძვრ- ამავე მნიშვნელობით დასტურდება ძველ ქართულშიაც; შდრ. დაძვრება „ძუნწობა“: დასძვრდეთ და ვერ თავსიღებდეთ მოცემად მათგანსა ვისამე, ბალავ. 81, 18 (აბულაძე, 1973). იგი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: ვგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა (ამ შემთხვევაში სიტყვა ძვრი<sup>1</sup>ს მნიშვნელობა დავიწროებულია: ძვრი „ავი, ცუდი“ → „ძუნწი“<sup>2</sup>).

ის ფაქტი, რომ ქართულში ლექსემა მძვირი („ძუნწი“) ზოგჯერ **მ**ს გარეშე აღნიშნავს სიტუნწის თვისებას (შდრ. ეგე ძვირია, რო ფეტვი რო ეჭიროს, მარცვალი არ გეეპარება“, „ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981), შეიძლება იყოს მხოლოდ მოვლენად მიგვეჩნია, ძვირი ჩაგვეთვალა **მ**-ს დაკარგვის შედეგად მიღებულ ფორმად), მაგრამ, როგორც ცნობილია, ძვრ- ფუძე **მ**-ს გარეშე (ამ ფუძის ეტიმოლოგია არ გულისხმობს **მ**-ს არსებობას არც საწყის ეტაპზე — ამის შესახებ იხ. ქვემოთ) გამოხატავს სიტუნწის, ხელმოჭერილობის თვისებას, რაც, ცხადია, ადამიანს მიემართება.

მასადაამე, ქართლურში დადასტურებულ მძვირ-|| ძვირ- („ძუნწი“) ფუძეში **მ**- დიაქრონიულად არ უნდა იყოს მორფოლოგიური ელემენტი, „გარკვეული თვისებით აღჭურვილ ადამიანთა სახელებად“ მაქცევარი პრეფიქსი, ანუ ადამიანის კლასის აღმნიშვნელი თავსართი (შდრ. ლომთათიძე, 1995).

**მ**შური, **მ**წვეტი ფორმების შესახებ — ქვემოთ.

<sup>3</sup> თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით „ძვ. ქართ. ძვრი „ცუდი, ავი“ აღვადგენინებს \*გ-ძენე — \*გ-ძინე-ე ზმნას (შდრ. განძენ-და, მძენ-გარე), რომლის ბოლოკიდური (ნ) უპირისპირდება სახელურ ფუძეში წარმოდგენილ (რ)ს (თ. გამყრელიძე, ნ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართულურ ენებში, 1966, გვ. 263).

აღსანიშნავია, რომ რეკონსტრუირებული \*ძენე-ძინე- („გახურება, გავარგარება“) ზმნის დერევატი **ნ**ზე დაბოლოებული ფუძით — ძენი ფიქსირებულია ძველი ქართული ენის ძეგლებში როგორც ძირითადი (ამოსავალი) მნიშვნელობით, ისე გადატანითი (მეორეული) მნიშვნელობით. მაგ.: ძენი 1. გახურებული რკინის ნაჭერი: მსგავს იყო შენ ძენასა რკინისასა, რომელსა სცემ მჭედელი ფრიად: მ.ცხ. 51 (ი.

ლექსემა მძვირი (|| ძვირი) ამ განსხვავებული სემანტიკის გამო არის შეტანილი ქართლური დიალექტის ლექსიკონში (და არა მისი ფონემური შედგენილობის მიხედვით), რაც სრულ შესაბამისობაშია იმ პრინციპებთან, რომლის მიხედვითაც შედგენილია დასახელებული ნაშრომი. ხსენებულ ლექსიკონში არ შესულა ქართლურში (და არა მარტო ქართლურში) ასევე გავრცელებული ფორმები: მძვირი, სიმძვირე, გამძვირდა (თოფურია, 1929, გვ. 136), გამძვირება, გამძვირებული და მისთ., რადგანაც ისინი მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სიტყვებისა, სემანტიკურად — იდენტური.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ლექსემას, რომლებიც ქ. ლომთათიძის დასახელებულ სტატიაშია განხილული — მშური, მწვეტი, პირველი მათგანი — მშური „შურიანი“, უფრო ზუსტად — „მოშურნე“, წარმოდგენს სასუბიექტო მიმღეობას, ნაწარმოებს შურს ზმნისაგან **მ** პრეფიქსით ისევე, როგორც ამავე დიალექტში დადასტურებული მიმღეობური ფორმა მბაძი („მბაძავი“) წარმოქმნილია ჰბაძა<sup>1</sup>გ<sup>2</sup>-ს ზმნისაგან **მ** აფიქსით. შდრ. ნუ ხარ მშური, იყავ მბაძი („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981; გვხვდება გარეკახურშიც მშური „შურიანი“, სახლთხუციშვილი, 2003)<sup>4</sup>.

სიტყვა მწვეტი კი აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით ქართლურში ნიშნავს: 1. ცხვირწვეტებული (ქალი): სონა უფრო მწვეტია და ანიკო ისეთი იყო, როგორც კალმით ნახატი (ძეგ.). ჩიტირეკიანთა ყოლიათ ერთი მწვეტი გოგო და იმასა ყვაროფსო ტევრულიანთ გოგია (წილკ.).<sup>5</sup> 2. ავი, მოჩხუბარი ქალი<sup>6</sup>: ისეთი

აბულაძე, დასახ. ნაშრ.). 2. მრისხანე, გაცეცხლებული: შენ მიერ ვსძლიე ძენასა და მსრველსა ვეშაპსა A — 417, 6<sup>0</sup>, 10. 3. „ცუდი, ავი“: დალათუ კეთილ განვსთქუმიდეთ მათ, დალათუ ძენ განვსთქუმიდეთ A — 417, 289.

ძენ-ი სიტყვისაგან **ნ/რ** ცვლით არის მიღებული ძველ ქართულში დადასტურებული ფორმა ძვრი (**ნ/რ** მონაცვლეობისათვის იხ. ლ. ნოზაძე, ჯავნ-/ჯან- ტიპის ფუძეების შესახებ ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2001, გვ. 81-100).

<sup>4</sup> არა გვგონია, რომ მშური სიტყვაში **მ** ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსი იყოს (შდრ. ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.). სხვა საკითხია, რა ფუნქციას ასრულებდა მიმღეობის **მ** პრეფიქსი საერთო-ქართველური ფუძეების აღრეულ, საწყის ეტაპზე.

მწუტეტი (|| მწუტეა) გადატანითი მნიშვნელობით ფიქსირებულია მოხეურშიც. ი. ქავთარაძის განმარტებით მისი მნიშვნელობაა — „გამხდარი და მალალი, გრძელსახიანი ადამიანი“. მაგ.: ისეთი მწუტეტი რძალი მოუყვანათ, ზედ არ შეეცქირება (ქავთარაძე, 1985, გვ. 288).

მწვეტია, მაგას ვინ გაუძღვეს? (ძეგ.). მწვეტო, მწვეტო, იჯრე გული ჩხუბითა (ძეგ.). შდრ. დამწვეტილი „სახხუბრად მომზადებული, გააღმასებული“: დამწვეტილია, მოერიდე, შენზე არ გადმონათხიოს ცოფები, ძეგ. („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981); გვხვდება გარეკახურშიც: ისეთი დამწვეტილია, შეგჭამს ნამდვილად (სახლთხუციშვილი, 2003).

საყურადღებოა, რომ ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის ქართლურშიც, მწვეტ- ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება სალიტერატურო ქართულში გავრცელებული მნიშვნელობითაც: მწვეტი<sup>7</sup> „წვეტი“, მწვეტიანი „წვეტიანი“, წამწვეტილი „წამწვეტილებული“ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსემაში მწვეტი, როცა იგი მსაზღვრელად გამოიყენება, თავიდანვე მ-, რომელიც დიაქრონიულად ფონეტიკური დანართია, იმავე ფუძის -ა (-იან)სუფიქსით ნაწარმოები სახელისა, თუ სათანადო სემანტიკის მ-პრეფიქსიანი მიმღებობის გავლენით რეინტერპრეტირდება მქონებლობის (თვისების) აღმნიშვნელ ელემენტად (შდრ. მოხეგ. მწუტეტი, მწუტეტა გამხდარი და მაღალი, გრძელსახიანი ადამიანი“), ე.ი. მს ეს ფუნქცია მეორეულია (ამ შემთხვევაში არ არის არსებითი, რა გზით ჩამოყალიბდა იგი).

მაშასადამე, ლექსემები: მშური, მწვეტი წარმოების ამ თა-

აღნიშნული სიტყვა დასტურდება კომპოზიტის მეორე შემადგენელ წევრადც — იდაყვმწვეტი („წვეტიანი იდაყვის მქონე“): [თებროს მამამ] წლისთავი გადაუხადა თუ არა ცოლს, მეორე ცოლი მოიყვანა — მხრებწვეტილი, იდაყვმწვეტი და თვალჭრელი ქალი (რ. ინანიშვილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსემა წვეტი („რისამე დავიწროებული ბოლო“), აგრეთვე — წვეტიანი („წვეტის მქონე“) მწვეტი, მწვეტიანი ფორმით გვხვდება სამწერლობო ქართულშიც: [ნარჩიტას] ყბადაელო, თავისი მწვეტი ენა მთლად გადმოეგლო და ქაქანებდა (ი. მჭედლიშვილი). [მთის ზვინები] მწვეტიანი წვეტებით ცამდის სწვდებოდნენ (გ. წერეთელი), ძალიან ფრთხილობდა არ დაეკოდნა მწვეტიანი [ნემსით] შუშა თითები (გ. ბარნოვი) და სხვ.

<sup>6</sup> სიტყვა მწვეტი ს მეორე მნიშვნელობა — ავი, ანხლი (ქალი) — გადატანითაა. როგორც ჩანს, მეტყველის ცნობიერებაში წაწვეტებული ცხვირი ავ, ანხლ ხასიათს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ ლექსემა ცხვირი ქართულ სიტყვაწარმოებაში საკმაო როლს თამაშობს. შდრ. ცხვირაწეული, ცხვირაბზეკილი „ამაყი, მელიდური“, ცხვირჩამოშვებული „დაღონებული, მოწყენილი“; ქართლ. გაიცხვირება „ცხვირს ჩამოუშვებს, გაიბუტება“ და სხვ. (იხ. ქეგლ).

<sup>7</sup> შდრ. მგველი, მზეცა, მცა, მშველი, სამყვარელი... (გ. თოფური, დასახ. ნაშრ.), აგრეთვე — მძვალი, მწვრილი, ფშველი... (ჩიქობავა, 1925, გვ. 70— და სხვ.

ვისებურებათა და შესაბამისი სემანტიკის გათვალისწინებით არის შესული ქართლური დიალექტის ხსენებულ ლექსიკონში ისევე, როგორც სიტყვა მძვირი (|| ძვირი) „შენწი, ხელმოჭერილი“ — თანამედროვე სალიტერატურო ქართლისაგან განსხვავებული მნიშვნელობის გამო.

ამგვარად, აღნიშნული სიტყვები (მძვირი||ძვირი, მშური, მწვეტი) დასახელებულ ლექსიკონში მიღებული პრინციპების სრული დაცვით არის შეტანილი (შდრ. ქ. ლომთათიძე, 1995, 147-148).

ჩვენი აზრით, საერთოდ დიალექტურ ლექსიკონებში, როგორც წესი, არ უნდა შედიოდეს სალიტერატურო სიტყვათა ის ფონეტიკური ვარიანტები, რომელთაც იდენტური მნიშვნელობა აქვთ (მითუმეტეს, თუ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს რეგულარული ხასიათი აქვს).<sup>8</sup> როგორცაა, მაგალითად: შხირი, გაშხირდა, ნახშირი, ხვაგი, თვარე, ტრედი, ტკვარი, თელი, შრალი, წყერი, მწვრილი, მქმარი, მგველი, მშველი, მცხარე, მზეცა, ალუნჩა, ჯიმში და მისთ., თუმცა შესაძლოა ზოგი მათგანი საინტერესო ჩვენებას იძლეოდეს სიტყვის ეტიმოლოგიის დასადგენად.<sup>9</sup>

<sup>8</sup> როგორც აღინიშნა, ამ პრინციპით არის შედგენილი „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“ (1981). ძირითადად, ეს წესია გატარებული, მაგალითად, ი. ქავთარაძის „ქართული ენის მოხუცი დიალექტიკის ლექსიკონში“, 1985 (ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტური ლექსიკონების მიმოხილვა).

<sup>9</sup> როგორც ცნობილია, ამგვარი ფორმები დიალექტურ ლექსიკონებში შეაქვთ. შდრ., „მოთული „მავთული“, მუსტი „მუშტი“, მოასტურიელებს „მოასტურიელებს“ (შდრ. სურიელი), ლურბელი „ლურბელი“, მსჭვალი „ჭვალი“, მწვაგი „წვაგი“, დგნალი „მდგნალი“, ყუდრო „ყუდრო“ ყუის, „ყმუის“, ყუილი, „ყმუილი“... (ჭინჭარაული, 1969). ამბაზი „ემბაზი“, ამფშარა „ამფშარა“, ამტამი „ამტამი“, ბანალი „ბალანი“, გადაბარცხნილი „გადავარცხნილი“, დააცხრება „დააცხრება“, მოუმღერებს „მოუმღერებს“, მცხარე „ცხარე“, მხალი „ხალი (ნიშანი სხეულზე)“, ნაბორალა „ნაბორალა“, ნიქვითი „ნივითი“, ყაუნა „მყაუნა“, ხვახი „ხახვი“... (გაჩეჩილაძე, 1970). აბურდნული „აბურდული“, აღმული „აღმური“, მზვარა „ზვარა, ზვარაკი“, მონავარი „ონავარი“... (მენთეშაშვილი, 1970). მწყნარი „წყნარი“, მქვრივი „ქვრივი“, მჯიში „ჯიში“, ნამყოფი „ნაყოფი“, მულთაქა „მულთაქა“, ნამკელი „ნაკელი“, ნაპრავლი „ნაპრალი“, ღერი „მღერი“, მომუღული „მოღუღული“, ნაკრულა „ნაკრული“, ლამი „ნამი“, ლანბაქი „ლამბაქი“, მუნდვი „მუნდვი“... (ძოწენიძე, 1974). მწვაგი „წვაგი“, ხოვი „ხვაგი“, მცორი „ცვარი“, მცხორი „ცხვარი“, ზოკო „სოკო“, ყონდახი „ყონდანი“, ძაბი „ძაფი“... (ქავთარაძე, 1985). ბიზლება „ბეზლება“, ზოვი „ზვაგი“, ყოვი „ყვაგი“, აყოვება „აყოვება“, მუედით „მოვედით: მუელი „მოველი“, გადმუარდება „გადმუარდება“, ხოყანა „ქვეყანა“, თვალამბული „თვალამბული“, ბლუვი „ბლუ“, ღრუვი „ღრუ“, ბუქვი „ბუქი“, ბატარა „პატარა“, ბღერტვა „ბერტევა“, მძღვი „ძღვი“...

ამგვარადვე შეიძლება დაისვას საკითხი მორფოლოგიური ვარიანტების მიმართაც, როგორცაა, მაგალითად, დიალ. მამფოთარი „მამფოთვარე“, მტაცი „მტაცებელი“, მეტულობს „იმეტებს“ (ჭინჭარაული, 1969); ნამცოხარი „ნაცოხნი“ (ძოწენიძე, 1974); დამკლი „დამკლებელი“, მბაძი „მბაძველი“ („ქართლ. დიალ. ლექს.“, 1981); უზმელი „უზმო“, უსუნებრივ „შეუსვენებლად“ (ქავთარაძე, 1985); კვირს „უკვირს“, გონობს „იგონებს“, თხოობს „ითხოვს“, ჰკრავის „აკრია“, მავნები „მავნებელი“, ნადირობად „სანადიროდ“, ასუყული „ასუყებული“, საქცი „საქციელი“, სარიდალი „მოსარიდებელი“ (ხორნაული, 2000); მქონიარე „მქონებელი“, ნაფასური „საფასური“, დასაბრმობი „დასაბრმავებელი“, დატიტყნული „დატიტყნილი“, ულევარი „ულევი, ულეველი“ (სახლთხუციშვილი, 2003) და სხვ.

ამ რიგის ფაქტები გრამატიკული ანალიზის ობიექტს წარმოადგენს. ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის საგანი უნდა გაიმიჯნოს. დიალექტურ ლექსიკონს არ შეიძლება ეკისრებოდეს დიალექტური ტექსტების ფუნქცია.

დიალექტურ ლექსიკონებში, როცა ისინი სალიტერატურო ენასთან მიმართებით დგება, როგორც წესი, შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ ახალი ფუძეები (მხედველობაში გვაქვს მარტივი ფუძე), ანდა — იდენტური ფუძე, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობისა.

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**გაჩეჩილაძე, 1970** — პ. გაჩეჩილაძე, ქართლური სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

**თოფურია, 1929** — ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, 1929.

**ლომათაძე, 1995** — ქ. ლომთაძე, ზოგი „მანმეტი“ ფუძის

---

(ხორნაული, 2000). ზოგი „ზავი“, ხოფი „ხვაფი“, გოლვა „გვალვა“, ხარე „მხარე“, უზდელი „უზრდელი“, ამოსუტავს (ამოსუტვა, ამოსუტული) „ამოსრუტავს“, ბუვი „ბუ“, მძვალი (უმძვლო) „ძვალი“, მჭვალი „ჭვალი“, გლარსუნი (უგლარსუნებს) „გლარსუნი“, გაგერშილი „გაგეშილი“, აბლერტავს (აბლერტვა, აბლერტილი) „აბერტყავს“, ავლიხე „ალვისხე“, გაჯვარდება „გაჯავრდება“, ზოკო „სოკო“, ავანტყოფი (ავანტყოფობს, ავანტყოფობა) „ავადმყოფი“, სტერი (გასტერდება, გასტერება, გასტერებული) „შტერი“, უკმენს (დაკმენავს, დაკმენა, დაკმენილი) „უკბენს“, ნაკრული „ნაკლული“, დუტკო „დუდკო“, პტყელი „პტყელი“... (სახლთხუციშვილი, 2003) და სხვ.

შესახებ ქართულში, იკე, XXXIII, თბ., 1995.

**მენტეშაშვილი, 1970** — ს. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970.

**სახლთხუციშვილი, 2003** — უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.

**ქავთარაძე, 1985** — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

**„ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981** — შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1981.

**შანიძე, 1984** — ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბ., 1984.

**ჩიქობავა, 1925** — არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, 1925.

**ძოწენიძე, 1974** — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1974.

**ჭინჭარაული, 1969** — ალ. ჭინჭარაული: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.

**ხორნაული, 2000** — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

LAMARA NOZADZE

### Some Questions Connected with "The Dictionary of the Kartvelian Dialect"

#### Summary

The paper is an answer to K. Lomtadze critique of the Dictionary of the Kartvelian Dialect (compiled by T. Berozashvili, Sh. Meskhishvili, L. Nozadze, ed. by M. Chabashvili, 1981). Apart from this the paper discusses the principles of compiling dialectal dictionaries.

გალერიან კვანტრიშვილი

**სიცოცხლის უმუხვების სემანტიკის უმცველი ლექსიკური**

სინონიმები ქართული ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში  
ყოველი ენობრივი მოვლენა, როგორც ცნობილია ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს (ფ. დე სოსიური, 1977, 106; ბენვენისტი, 1974, 61; შჩერბა, 1940, 89; ი. ბოდუენ დე კურტენე, 1963, 206; შარაძენიძე, 1978, 98; ჩიქობავა, 1983, 226 და სხვ). სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის უმადგენელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ნიშნით გამოხატვას. იგი ყველა ენაში არსებობს და უნივერსალურ კატეგორიას განეკუთვნება.

სინონიმთა წარმოქმნის მექანიზმს სხვა წყაროებთან ერთად სიტყვის ტაბუ და მისი ევფემიურად მონაცვლე ლექსიკა წარმოადგენს (ნეიმანი, 1961, XLIII-L; ჩიქობავა, 1983, 174; ჯორჯანელი, 1972, 74-87). სინონიმის წარმოქმნა ფრაზეოლოგიური ჩანაცვლებითაც ხდება (დუგაროვი, 1978, 21-38). ამჯერად განვიხილავთ სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის მქონე სინონიმურ სიტყვებს, სადაც ტაბუირებულია ცნება „სიკუდილი“, ხოლო მისი ფარდი სინონიმური ოდენობები უმეტესწილად ამ სიტყვის ევფემიურად მონაცვლე ერთეულები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებია, რომლებიც შერბილებულად გადმოსცემენ იმ გრძნობას, რაც ადამიანის სულისა და ხორცის გაყრის შინაარსს უკავშირდება.

საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციიდან, რომელიც არის წარმოდგენილი DE და C ხელნაწერებით (შანიძე, 1945).

**მოკლვა — მოკუდინება — სიკუდილი — მოწყუედა — მოსრვა — წარწყმედა —  
აღსრულება — გარდაცვალება — შესუნება — სულის აღმობერა — სულის განტეგება — სულის აღმოტეგება — ამიერ**

**სოფლით ცვალება — ამიერ სოფლით  
განსლვა — სულის წარწყმედა — სულის განტეგება — სულის წარტლა**

**მოკლვა — მოკუდინება:**

ყოველი კრებული ერისა ეძიებდეს ცრუ მოწყამეთა იესუ სთვს, რა თამცა მოკლეს იგი, მ. 26, 59 DE;  
ეძიებდეს ცრუს წამებასა იესუსთვს, რა თამცა მოაკუდინეს იგი, C.

იხ. აგრეთვე: მ. 27, 1; მრ. 9, 31.

**მოკლვა — მოწყუედა:**

სულსა ვერ ჯელ-ეწიფების მოკლვად, მ. 10, 28 DE;  
სულთა თქუენთა ვერ შემძლებელ იყვნენ მოწყუედად, C.  
იხ. აგრეთვე: მ. 21, 35.

**მოკლვა — აღსრულება:**

ასული ჩემი აწ-და ესერა მოკუდა, მ. 9, 18 C;  
ასული ჩემი აწ-და აღსრულა, DE.  
იხ. აგრეთვე: მრ. 5, 35.

**სიკუდილი — გარდაცვალება:**

გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად, ი. 5, 24 DEC.  
უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათვს, ი. 18, 14 DEC.

**შესუნება:**

მრავალნი გუამნი (ჰორცნი, C) შესუნებულთა წმიდათანი აღდგეს, მ. 27, 52 DE.

**მოსრვა — მოწყუედა:**

სხუათა მათ შეიპყრეს მონანი იგი და მოსრნეს, მ. 22, 6 C;  
სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მოწყუდნეს, DE.

**მოსრვა — წარწყმედა:**

მოვიდეს და მოსრნეს ქუეყანის მოქმენი, მრ, 12, 9 DE;  
მოვიდეს და წარწყმიდნეს მოქმენი იგი მის ვენაჯისანი, C.

**სულის აღმობერა — სულის განტეგება:**

იესუ აღუტევა ჳმა და აღმობერა სული, მრ. 15, 37 C;  
იესუ ჳმა-ყო ჳმითა დიდითა და განუტევა სული, DE.

**სულის განტეგება — სულის აღმოტეგება:**

იესუ კუალად ღალად-ყო ჳმითა დიდითა და განუტეგა სუ-ლი, მ. 27, 50 DE;

იესუ ჳმა-ყო ჳმითა დიდითა და აღმოუტეგა სული, C. იხ. აგრეთვე: მრ. 15, 39; ლ. 23, 46; ი. 19, 30.

**ამიერ სოფლით ცვალება — ამიერ სოფლით განსლვა:**

უწყოდა იესუ, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი მისი, რა თა იც-ვალოს ამიერ სოფლით მამისა, ი. 13, 1 C;

იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჳამი მისი, რა თა განვიდეს იგი ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, DE.

**სულის წარწყმედა — სულის განჳუება:**

რა სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ყოველი და სული თჳსი წარიწყმიდოს, მრ. 8, 36 DE;

რა -მე სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და განუტუას სული თჳსი, C.

**სულის წარჳდა:**

მოადგეს მას ჰურიანი და ეტყოდეს: ვიდრემდე სულთა ჩუენთა წარჳტედი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, გჳთხარ ჩუენ განცხადებულად, ი. 10, 24 DEC.

**სი-კუდ-ილ-ი || მო-კლ-ვა || მო-კუდინ-ებ-ა** ქართველური **\*კუედ-კლ-** ძირიდან მომდინარეობს. ქართულ **კუედ-კლ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **კუად-** „წყაყანა, დაკარგვა სიკვდილის გამო“, **კუედ-** „დანაკლისი“; ეს-**კუდ-**ის „შემცირდეს“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000). **სიკუდილის** ამოსავალი სემანტიკა სწორედ სვანურში დაცულ „დაკლებას, შემცირებას“ უკავშირდება.

**სიკუდილი** ლექსიკონთა მიხედვით განიმარტება შემდეგნაირად: „სულისა და ჳორცის გაყრა ZAC“ (საბა, II, 1993); „დასრულება სიცოცხლისა, განშორება სულისა ხორცთაგან, **смерть**“ (ჩუბინაშვილი, 1961). **სიკუდილი||მოკუდინება** ბერძნულში გადმოიცემა სიტჳვებით **θανάτος, θανάτω** „სიკვდილი, მოკლვა, მოკვდინება, მიცვალება“ (დგორეცკი, I, 1958).

**აღ-სრულ-ებ-ა** განიმარტება როგორც „ბოლოს გათავება AB“ (საბა, I, 1991); „გათავება, исполнять. || ახდენა, сбываться. || გარდაცვალება, умереть“ (ჩუბინაშვილი, 1961); „გარდაცვალება, მოსპობა“ (აბულაძე, 1973); „შესრულება, დასრულება; გათავება, სიკვდილი“ (იმნაიშვილი, 1986). მაშასადამე, **აღსრულება** ლექსემის ძირითადი

მნიშვნელობაა „გათავება, შესრულება, დასრულება“, ხოლო „გარდაცვალება“ მეორეულია. ამდენად, იგი **სიკუდილის** ევფემიური მონაცვლეა. ბერძნულში **აღსრულება** გადმოცემულია ასევე ევფემიური სიტყვით **τελευτάω** „დამთავრება, დასრულება, შესრულება...“ (დგორეცკი, 1958, II).

**შე-სუენ-ებ-ა** საერთოქართველური **\*სუ-** ძირიდან მომდინარეობს. ქართულ **სუ-ენ-** ფორმას შეესატყვისება მეგრ. **შე-ანდ-**, ლაზ. **შე-ან-/შე-აჯ-** და სვანური **შუ-ემ-** ფუძეები. შესატყვისობები ვლინდება მათ სემანტიკაშიც, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა უკავშირდება „მოსვენებას, დასვენებას“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000). **შესუენება** განიმარტება, როგორც „დროის მიცემა მოსასვენებლად დალაულისა, дать кому отдых, покой. || პატივით შეტანა სადმე წმიდათა ხატთა და მისთანათა. || მოსვენება, დასვენება, отдыхать, успокоиваться. || გარდაცუალება, умирать, почить“ (ჩუბინაშვილი, 1961); „გარდაცვალება, აღსრულება“ (აბულაძე, 1973; იმნაიშვილი, 1986).

**შესუენება** დასახელებულ კონტექსტში (მ. 27, 53) ასევე **სიკუდილის** ევფემიური მონაცვლეა, რასაც ბერძნულში ეფარდება ლექსემა **κέκομαι, κόπτω** „მოკვდომა, გარდაცვალება“ (დგორეცკი, II, 1958).

**გარდა-ცვალ-ებ-ა** განიმარტება, როგორც „შეცვლა, ადგილმონაცვლეობა“ (აბულაძე, 1973). დასახელებულ მაგალითში (ი. 5, 24) **გარდაცვალება** სიკვდილის გამო ადგილის გადანაცვლებას ნიშნავს. ბერძნულში **გარდაცვალებას** გადმოსცემს ლექსემა **μεταβίωω** „გადასვლა, გადანახლება; მოკვდომა, შეცვლა“ (დგორეცკი, II, 1958).

**მო-სრ-ვა||მო-წყვედ-ა** რიცხვში მონაცვლე ჳმნებია, რომლებიც ფიზიკური ჳემოქმედების შედეგად მრავლის მოკვლას, ანუ „ამოწყვეტას, დახოცვას“ აღნიშნავენ (საბა, I, 1991, ZAB; ჩუბინაშვილი, 1961; აბულაძე, 1973; იმნაიშვილი, 1986). სინონიმური წყვილი **მოსრვა||მოწყვედა** ბერძნულში გადმოიცემა ჳმნით **ἀποκτείνω** „გარდაცვალება, მოკვდომა“ (დგორეცკი, I, 1958).

**წარ-წყმედა-ა** განიმარტება, როგორც „დაკარგვა ZABCD“ (საბა, II, 1993); „დაკარგვა, აღსპობა, ანუ გამოხვევა ნეტარებისაგან“ (ჩუბინაშვილი, 1961); „დაკარგვა, გამოლევა, ცთომა“ (აბულაძე, 1973); „დაკარგვა, დაღუპვა“ (იმნაიშვილი, 1986). მაშასადამე, **წარწყმედის**

ძირითადი მნიშვნელობაა „დაკარგვა“, ხოლო „დაღუპვა“, ანუ იგივე „სიკვდილი“ მეორეულია. **წარწყმედას** ეფარდება ბერძნულში **ἀπολείπαι** „დაკარგვა...“ (დვორეცკი, I, 1958).

**სულის აღმოებრა||სულის განტეგება** ევფემიურად მონაცვლე ფრაზეოლოგიზმებია **სიკუდილისა**. **აღმოებრა** ნიშნავს „ამოშვებას“ (აბულაძე, 1973), ხოლო **განტეგება** „გაშვებას“ (საბა, I, 1991, ZABCD; ჩუბინაშვილი, 1961; აბულაძე, 1973). დასახელებულ სინონიმურ ოდენობებს **აცმობერა სული||განუტევა სული** ბერძნულში **ἐξέλαισεν (ἐξέλαιπον, ἐκλείπαι)** ერთეულები გადმოსცემენ, რომელთა მნიშვნელობაა „სიკვდილი, გარდაცვალება...“ (დვორეცკი, I, 1958). მასასადამე, აღნიშნული სინონიმური შესიტყვებები საკუთრივ ქართული შედგენილობის არიან, რადგან მათ ბერძნულში ერთი ლექსიკური ერთეული მიემართება.

**სულის აღმოტეგება: ამოტეგება** ლექსიკონთა მიხედვით ნიშნავს „ამოშვებას“. სულის ამოშვება კი სიკვდილთან არის გაიგივებული (იმნაიშვილი, 1986). სინონიმური წყვილი **აღმოუტევა სული || განუტევა სული** მ. 27, 50-ში ბერძნულ ტექსტშიც შესაბამისი **ὀφῆκει τὸ πνεῦμα** შესიტყვებებით არის გადმოცემული, რაც ნიშნავს „სულის ამოშვებას — სიკვდილს“ (დვორეცკი, II, 1958).

**სულის წარწყმედა||სულის განუება:** სინონიმური ზმნები **წარწყმედა** და **განუება** აღნიშნავენ „დაკარგვას, დაღუპვას, დაკლებას, წაღებას“ (საბა, II, 1993; ჩუბინაშვილი, 1961; აბულაძე, 1973; იმნაიშვილი, 1986), ხოლო ევფემიური შესიტყვებები სულის **წარწყმედა || სულის განუება** სიკუდილის შესატყვის ფრაზეოლოგიზმებად მოიაზრებიან.

**ამიერ სოფლით ცვალება||ამიერ სოფლით განსლვა:** ეს ფრაზეოლოგიზმები გულისხმობენ ამ სოფლიდან, ანუ ამ ქვეყნიდან იმ სოფელში, ანუ საიქოში „გადანაცვლებას, მისლვას“, რაც სიკვდილთან გაიგივდება.

<sup>1</sup> მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ სად უნდა განიხილოს ამ სახის მიმართება: ლექსიკურ სინონიმიაში თუ ფრაზეოლოგიურ სინონიმიაში. ც. კიკვიძეს ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ ნაკლად მიაჩნია სიტყვა სინონიმების გვერდით ფრაზეოლოგიზმების წარმოდგენა, ხოლო ნ. დუგაროვი ამას სავსებით კანონზომიერად მიიჩნევს და ფრაზეოლოგიზმების ჩანაცვლებით წარმოდგენილ სინონიმებს ლექსიკურ სინონიმიაში განიხილავს (დუგაროვი, 1978, 29-30).

**სულის წარდგომა** განიმარტება, როგორც „სულის ამოსვლა, სულის ამოხდომა“ (ჩუბინაშვილი, 1961; იმნაიშვილი, 1986). ამ შესიტყვებას შესაბამის ბერძნულ თარგმანშიც ფრაზეოლოგიზმი **ψύχην ἄρειν (ἄρειν** „მოკვლა, განგმირვა“, დვორეცკი, I, 1958) ესადაგება.

**სიკუდილის** მონაცვლე დასახელებული ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა კომპონენტების მთლიანობას კი არ უღრის, არამედ „მისი შემადგენელი ნაწილების პირდაპირი მნიშვნელობათა ჯამის მთლიანი მეტაფორული გადააზრებით მიიღება“ (ბოლქვაძე, 1997, 74). მასასადამე, ზემოაღნიშნული სინონიმური ფრაზეოლოგიზმები სემანტიკურად დაუშლელი კომპონენტებია, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან გაგებას და მცნება „სიკუდილის“ ექვივალენტებს წარმოადგენენ.

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**ბენვენისტი, 1974** — Э. Бенвенист, *Общая лингвистика*, М. 1974.

**ბოლქვაძე, 1997** — თ. ბოლქვაძე, პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსან-ში“ (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1997.

**დუგაროვი, 1978** — Н. Б. Дугаров., *Лексические синонимы в современном бурятском литературном языке*, <<Наука>>, М., 1978.

**დვორეცკი, 1958** — И. Х. Дворецкий, *Древнегреческо-русский словарь*, т.т I-II, М., 1958.

**იმნაიშვილი, 1986** — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

**კიკვიძე, 1961** — ც. კიკვიძე, ალ. ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი — მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961: „მაცნე“ №2, თბ., 1963.

**ორბელიანი, 1991, 1993** — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბ., 1991, 1993.

**სოსიური, 1977** — Сосюр Ф. Де, *Труды по языкознанию*, <<Прогресс>>, М., 1977.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე,

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

**შჩერბა, 1940** — Л. В. Щерба, Опыт общей теории лексикографии, Изв. ОЛЯ АН СССР, № 3, М., 1940.

**შარაძენიძე, 1978** — თ. შარაძენიძე, ი. ა. ბოდუენ დე კურ-ტენეს ლინგვისტური თეორია, თბ., 1978.

**შანიძე, 1945** — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1945.

**ჩიქობავა, 1983** — არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1983.

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, „საქართველო“.

**ჯორჯანელი, 1972** — კ. ჯორჯანელი, ენობრივ აკრძალვათა გადმონაშთები: მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №1, თბ., 1972.

H KAINH DIAΘHKH, Second edition, The British and Foreign Bible Society, London, 1958.

#### VALERIAN KVANTRISHVILI

### The Synonyms Denoting the Ending of Life in Two Old Georgian Editions of the Gospel

#### Summary

The semantic field of death consists mainly of euphemistic synonymous words and phraseological expressions. The concept of death is tabooed and therefore conveyed by means of the following lexical units: *აჲსრლება* // *გარდაცვალე* // *შესუენე* // *სულის აჲმობერა* // *სულის აჲმოტევება* // *ამიერ სოპლიტ ცვალე* // *ამიერ სოპლიტ განსვლა* // *სულის წარცმედა*.

The enumerated lexical units mitigate the sharp feeling aroused by the separation of man's soul and body.

ენის რუხაჲ

### მიმართვის ფორმების გამოყენება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ლოცვებში

მოცემულ სტატიაში განხილულია მიმართვის ფორმების ხმარების თავისებურებები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ლოცვებში.

პირველ რიგში, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ლოცვებში გამოყენებული მიმართვის ფორმების გავრცობისა თუ გაუვრცობლობის საკითხზე. ყოველდღიურად, ნებისმიერ სიტუაციაში მოსაუბრეები იყენებენ სხვადასხვა სახის მიმართვის ფორმებს, რომლებიც ზოგჯერ გავრცობილი, ზოგჯერ კი გაუვრცობელი სახით გვხვდება. კონკრეტულად ლოცვების კითხვისას, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულსა და რუსულ ენებში, მლოცველი ღმერთისა თუ ანგელოზების მისამართით ბევრ სხვადასხვა მიმართვის ფორმას იყენებს. აქაც მიმართვის ეს ფორმები, როგორც გაუვრცობელი, ასევე გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლოცვებში მიმართვის ფორმა უმთავრესად გავრცობილია და გაუვრცობელი სახით გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება. ჩვენ მიერ სამივე ენაში მოპოვებულ მაგალითებზე დაკვირვებით და მათი შეჯამებით შეგვიძლია დავაზუსტოდ, რომ ლოცვებში მიმართვის გაუვრცობელი ფორმის გამოყენება ინგლისურში 15%-ია, ქართულში — 18%, ხოლო რუსულში — 19%. მიმართვის გავრცობილი ფორმის გამოყენების სიხშირე ინგლისურში 85%-ს შეადგენს, ქართულში — 82%-ს, რუსულში კი — 81%-ს.

მაგ: **Lord, have mercy** (გაუვრცობელი)

**უფალო**, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან; (გაუვრცობელი).

**Боже, спаси и сохрани нас.** (გაუვრცობელი)

**Our Father, Who art in heaven.** (გავრცობილი)

**მამაო ჩვენო**, რომელი ხარ ცათა შინა (გავრცობილი)

**Отче наш, сущий на небесах!** (გავრცობილი)

მიმართვა შეიძლება განივრცოს ერთი ან მეტი სიტყვით. მიმართვის გავრცობა სამივე ენაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილის საშუალებით ხდება (მაგ. კუთვნილებითი ნაცვალსახელით, არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, შორისდებულობით). გავრცობილ მიმართვის ფორმაში ხშირად მსაზღვრელ-საზღვრულის დამოკიდებულება იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ სამივე ენაში მიმართვის ფორმებში ვხვდებით, როგორც მარჯვენა ასევე მარცხენა გავრცობას.

ხშირია არსებითი სახელით წარმოდგენილი ფორმის „Our“, „ჩვენ“, „наш“ კუთვნილებითი ნაცვალსახელით გავრცობა. თუმცა საყურადღებოა, რომ ინგლისურში, ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, მსაზღვრელი, გამვრცობი კუთვნილებითი ნაცვალსახელი „Our“ ყოველთვის წინ უსწრებს მთავარ სიტყვას ანუ საზღვრულ არსებით სახელს და იგი არასდროს მოჰყვება მას. ე.ი. ასეთ შემთხვევაში მარცხენა გავრცობაა.

მაგ. **Our Father, Who art in heaven, hallowed be Thy Name.**

ქართულ და რუსულ ენებში კი მსაზღვრელი ნაცვალსახელი „ჩვენ“, „наш“ მუდამ თან სდევს საზღვრულს, მოჰყვება არსებით სახელს ე.ი. გავრცობა მარჯვენა მხრიდან ხდება.

**„მამა ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი“.**

**„Отче наш, сущий на небесах! да святится имя твое;“**

იქედან გამომდინარე, რომ ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩვენო“ ჩვეულებრივ წოდებით ბრუნვაშია, მას მუდამ წოდებითი ბრუნვის ნიშანი — *ო* ერთვის.

აღსანიშნავია, რომ გავრცობა შეიძლება ორი არსებითი სახელითაც მოხდეს. ასეთ შემთხვევაში ერთი არსებითი სახელი აკონკრეტებს მეორეს /საზღვრულს/. შესაბამისად, ძნელია ვთქვათ ასეთ დროს რომელი მხრიდან არის მიმართვა გავრცობილი, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, რადგან ამ მიმართვის ფორმებში ორივე არსებითი სახელი ერთნაირად ძლიერი და მნიშვნელოვანია.

**Lord Jesus Christ, have mercy on me the sinner.**

ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთათა, **უფალო იესო ქრისტე,** შეგვიწყალებ ჩვენ.

**Господи Иисус Христос, помилуй грешного.**

ლოცვებში ხშირად შევხვდებით მიმართვის ისეთ ფორმებს, სადაც გავრცობა ზედსართავი სახელით ხდება. ასეთ შემთხვევაში ზედ-

სართავი შეიძლება იყოს, როგორც არსებითის, ასევე ზედსართავის გამვრცობიც. თუ მსაზღვრელი ზედსართავი სახელი წინ უსწრებს საზღვრულ არსებით ან ზედსართავ სახელს, გავრცობა მარცხენა მხრიდან ხდება, ხოლო თუ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, მაშინ მიმართვა მარჯვენა მხრიდანაა გავრცობილი.

მაგ: **Holy God, Holy Mighty, Holy Immortal, have mercy on us.** (მარცხენა გავრცობა)

**წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო** შეგვიწყალებ ჩვენ. (მარცხენა გავრცობა).

**Святой Бог, Святой Бесмертный, Святой Могущий, помилуй нас.**

მიმართვის ფორმა ზოგჯერ შორისდებულობითაც ივრცობა. სამივე ენაში შორისდებულობით გავრცობა მუდამ მარცხენა მხრიდან ხდება.

მაგ: **Thou has raised me from my bed and sleep, O Lord.**

**ჰე, წმიდაო ანგელოზო,** მცველო და მფარველო უღირსისა სულისა ჩემისა და ხორცთაო.

**О Господи Иисус Христос, дай нам силу и веру. . .**

აღსანიშნავია, რომ მიმართვის გამვრცობად შორისდებული გაცილებით ხშირად გამოიყენება ინგლისურ ლოცვებში, ვიდრე ქართულსა და რუსულში. შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ორ ენაში შორისდებულობით გავრცობილი მიმართვის ფორმა გაცილებით უფრო ნაკლებია ვიდრე ინგლისურში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურსა და რუსულში გამვრცობად მხოლოდ **О** შორისდებული გამოიყენება, ქართულში კი — **ჰე** და **ჰოი** შორისდებულები. მაგ: **О Holy Trinity, O Lord, O God, O Vigin Theotokos, O Господи, О Боже, О Святой Ангел, ჰოი** სამებაო, **ჰე** წმინდაო ანგელოზო, **ჰე** ყოვლადწმინდაო სამებაო. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, მიმართვა გავრცობილი ფორმის გარდა შეიძლება გაუვრცობელი ფორმითაც შეგვხვდეს. გაუვრცობელი მიმართვა უმთავრესად არსებითი სახელით არის წარმოდგენილი.

მაგ: **Master, pardon our transgressions.**

**უფალო,** გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან.

**Господи, спаси и сохрани нас.**

ასევე ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელის მიმართვის ფორმით გამოყენება. თუმცა აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ინგლისური ენისთვის გაუვრცობელი სახით ზედსართავის მიმართვის ფორმად გამოიყენება ლოცვებში არ არის დამახასიათებელი, რადგან



ქართული და რუსული ლოცვებისაგან განსხვავებით, ინგლისურში ზედსართავი მუდამ წარმოდგენილია პირის ნაცვალსახელით **One**, რომელიც ლოცვებში ყოველთვის დიდი ასოთი იწერება, (რადგან სიტყვაში **One** იგულისხმება ღმერთი, უფალი...) და აქედან გამომდინარე მიმართვის ეს ფორმა უკვე გავრცობილია.

მაგ: **Holy One, visit and heal our infirmities for The Name's sake.**

**წმიდაო**, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

**Святой, сохрани нас от всех грехов и дай силу ...**

ქართული და რუსული ლოცვებისაგან განსხვავებით, ინგლისურ ლოცვაში ზედსართავი სახელით წარმოდგენილი მიმართვის ფორმა ხშირად გავრცობილია, როგორც პირის ნაცვალსახელით **One**, ასევე **O** შორისდებულითაც.

მაგ: **Having risen from sleep, we fall down before Thee, O blessed One, and call out to Thee, O Mighty One, the Angelic hymn..**

აღსანიშნავია, რომ ლოცვების წარმოთქმისას საკმაოდ ხშირია ერთდროულად რამდენიმე მიმართვის ფორმის გამოყენებაც.

მაგ: **O Heavenly King, the Comforter, Spirit of truth, Who are everywhere ...**

**მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჰეშმარტიბისაო**, რომელ ყოველგან ხარ...

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ლოცვებში მიმართვის ფორმების გამოყენებაზე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ სამივე ენაზე მრავალი სხვადასხვაგვარი ლოცვა არსებობს, იქიდან გამომდინარე თუ როდის ვლოცულობთ, რას შევთხოვთ ღმერთს თუ ანგელოზებს, ვის წინაშე ვლოცულობთ.

**როდის ვლოცულობთ** ნიშნავს დღის რომელ მონაკვეთში ვლოცულობთ: დილას, შუადღეს, საღამოს თუ ღამით, რადგან დღის ყოველ მონაკვეთში გარკვეული ლოცვები იკითხება (მაგ. დილის 6 საათზე დილის 6 საათის ლოცვები იკითხება, 9 საათზე 9 საათის ლოცვები და ა.შ.)

**ვის წინაშე ვლოცულობთ** იგულისხმება ვის სახელზე ვლოცულობთ: ღმერთის, უფლის, წმინდა ანგელოზის, მფარველი ანგელოზის, თუ მთავარანგელოზის მისამართით. ამ შემთხვევაშიც, იმის მიხედვით, თუ ვინაა ადრესატი შესაბამისი ლოცვა იკითხება და მიმართვის ფორმაც შესაბამისია.

**რას შევთხოვთ** ნიშნავს რა ლოცვას ვკითხულობთ: ლოცვას ოჯახის სიმტკიცისათვის, დედის ლოცვას, ლოცვას სნეულთათვის, გაჭირვებულთა შეწვევისათვის, ზიარების წინ თუ შემდგომ ლოცვას. ყოველი სიტუაციისათვის შესატყვისი ლოცვები იკითხება და შესაბამისად მიმართვის ფორმებიც ყველა ლოცვებში სხვადასხვაგვარია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ლოცვაში გამოიყენება ამ ლოცვის შესატყვისი და დაკანონებული მიმართვის ფორმა, რომელიც სამივე ენაში ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ გავრცობილ მიმართვის ფორმებში მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობით. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამივე ენაში ერთსა და იმავე ლოცვაში მიმართვის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, შეიძლება მიმართვის ეს ფორმები ერთ ენაში უფრო გავრცობილი ფორმით შეგვხვდეს ვიდრე მეორეში, ან მესამეში, ან თუნდაც მიმართვის ფორმა ერთ ენაში გაუვრცობელი იყოს, დანარჩენ ენებში კი იგივე მიმართვა გავრცობილი.

მაგ: **Deliver me from bloodguiltiness, O God, Thou God of my salvation...**

მიხსენ მე სისხლთაგან, **ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო...**

**Спаси нас Боже, Бог спаситель наш.**

მოცემული მაგალითების ინგლისურ ვარიანტში პირველი მიმართვის ფორმა **God** გავრცობილია **O** შორისდებულით, ქართულსა და რუსულში კი მიმართვა ღმერთო **/Боже** გაუვრცობელი ფორმითაა წარმოდგენილი. მეორე მიმართვის ფორმა კი სამივე ენაში სხვადასხვაგვარადაა გავრცობილი. ინგლისურში მიმართვის ფორმა **God** გავრცობილი და დაკონკრეტებულია ფრაზით **of my salvation**. ქართულში ფრაზით — ცხოვრებისა ჩემისაო. რუსულში კი ფრაზით **спаситель наш**. უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისური მიმართვის ფორმაში **God of my salvation** კუთვნილებითი ნაცვალსახელი **my** წინ უსწრებს არსებით სახელს, ხოლო ქართულსა და რუსულში კი პირიქით, ნაცვალსახელები **ჩემი** და **наш** მოსდევს არსებით სახელებს **ცხოვრებისა** და **спаситель**.

ინგლისურში თვით მიმართვის ფორმას **God of my salvation** მარცხენა გავრცობაც აქვს **Thou** ნაცვალსახელის სახით.

სამივე ენაში ერთი და იგივე ადრესატი შეიძლება სხვადასხვა

ლოცვებში სხვადასხვაგვარად იყოს მოხსენიებული და შესაბამისად ერთი ადრესატის მისამართით განსხვავებული მიმართვის ფორმები გამოიყენება. მაგ: იესო ქრისტეს ლოცვებში შემდეგი მიმართვის ფორმებით მიმართავენ: **Lord, Lord Jesus Christ, Son of God, Master, Almighty Lord** და ა. შ. უფალო, მეუფეო ძალთაო და ყოვლისა ხორციელისაო, მაცხოვარო, ძე ღვთისაო და ა. შ. **Господь, Сын Божий,** და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. სამივე ენაში ლოცვებში მიმართვის ფორმები შეიძლება გავრცობილი ან გაუფრცობელი სახით შეგვხვდეს, თუმცა გავრცობილი ფორმით წარმოდგენილი მიმართვის ფორმების გამოყენება პროცენტულად გაცილებით მაღალია, ვიდრე მიმართვის გაუფრცობელი ფორმით ხმარება.
2. სამივე ენაში ერთი და იმავე ლოცვებში მიმართვის ფორმების მიმართველი მთავარი სიტყვა ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა განსხვავება შეიძლება იყოს მიმართვის ფორმების გავრცობილი სახით ხმარებისას, ანუ სამივე ენაში მიმართვა შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს გავრცობილი, (მარჯვენა ან მარცხენა მხრიდან; სხვადასხვა მეტყველების ნაწილით ან სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ერთიდაიგივე მეტყველების ნაწილით)
3. ქართული და რუსული ენებისაგან განსხვავებით, ინგლისურ ლოცვებში მიმართვა თუ ზედსართავი სახელითაა წარმოდგენილი, გაუფრცობელი სახით არასდროს გვხვდება და მუდამ გავრცობილია პირის ნაცვალსახელით **One**.
4. განსხვავება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ლოცვებში შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც ერთ ენაში მიმართვა გაუფრცობელი სახითაა წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ ორ ენაში იგივე მიმართვა გავრცობილი სახით გვხვდება ან ერთ ენაში მიმართვა შეიძლება უფრო გავრცობილი იყოს, ვიდრე მეორეში.

ლიტერატურა

საეკლესიო ლოცვები ქართულ ენაზე.

**Молитвы** (საეკლესიო ლოცვები რუსულ ენაზე).

**English Prayers**

## Forms Of Address In English, Georgian And Russian Prayers

### Summary

The paper deals with common and peculiar features of forms of address in English, Georgian and Russian prayers.

Forms of address in prayers in the three languages may occur both in single and expanded forms, though the latter are characterised by much higher frequency.

The main word of an address always coincides in the three languages but the difference may lie in the ways of expansion.

Unlike Georgian and Russian, the address forms in English prayers when expressed by adjective are always followed by the pronoun One.

## ეკატერინა შოროლიანი

## ნუმერატორების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ

ფრაზეოლოგიის პრაქტიკის წარმადგენს ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმთავრეს წყაროს. ამავ დროს იგი „კანონზომიერია ენაში და მიმდინარეობს არა ქაოტურად, არამედ არჩევითობის პრინციპით“. (სერბერნიკოვი, 1955, 41) მიუხედავად იმისა, რომ ძნელია და შეუძლებელიც წინასწარ განისაზღვროს ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულის სტატუსი, მისი მნიშვნელობა, სტილური შეფერილობა, კომპონენტური შემადგენლობა და კომპონენტთა თანმიმდევრობა, ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება იმ განსაზღვრული ლექსიკურ-სემანტიკური კანონზომიერებების გამოვლენა, რომლებიც არეგულირებენ ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტის არჩევას.

თუ ადრე ფრაზეოლოგიური ლექსიკონის პრობლემის შესწავლა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მცირე ცნობებით ვ. გაკის, (1966)

ზ. ლევიტის (1986), ტ. ჩერდანცევას (1977) და სხვათა გამოკვლევებში, ეს საკითხი ფრაზეოლოგია სპეციალური კვლევის ობიექტი 80-იანი წლებიდან ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა გ. სოკოლოვას (1981, 127-136), (1984, 3-49) გამოკვლევები, რომლებშიც ხაზგასმულია ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტური შემადგენლობის კვლევის მნიშვნელობა ფრაზეოლოგიის ზოგადთეორიული საკითხების კვლევისთვის და განხილულია კომპონენტურ შემადგენლობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა.

აღინიშნება, რომ „ფრაზეოლოგიის კომპონენტური შემადგენლობის განსაზღვრა — ეს არის თვითონ ფრაზეოლოგიის განსაზღვრა“ (მოლოტკოვი, 1977, 32), ხოლო სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული კლასების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის განსაზღვრა ნათელს ჰფენს ფრაზეოლოგიური სისტემის ეროვნულ სპეციფიკას, რისი დადგენაც მნიშვნელოვანია როგორც კერძო, ასევე შეპირისპირებითი ფრაზეოლოგიისთვის.

ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტები წარმოდგენილია: ა) პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობის მქონე თავისუფალი გამოყენების სიტყვებით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში. ბ) სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის ჩარჩოებში ფუნქციონირებენ და გ) მოძველებული მნიშვნელობის სიტყვებით. ჩვენ განვიხილავთ I ქვეჯგუფის — აქტიური გამოყენების სიტყვებს, რომლებიც შეადგენენ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ძირითად ნაწილს, ე.წ. ფრაზეოლოგიზმების „საშენ მასალას“ და ქმნიან ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა ვიწრო წრეს.

როგორც ვ. გაკი მიუთითებს, „ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურა იქმნება ჯგუფთა განსაზღვრული წრის განსაზღვრული კომპონენტებით. ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა წრე, რომელთა კომპონენტები იხენენ ფრაზეოლოგიურ აქტივობას, დაახლოებით განსაზღვრულია, თუმცა მხოლოდ ამით შემოიფარგლება ფრაზეოლოგიური ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის შესწავლა“. (გაკი, 1966, 74)

ბოლო დროს გამოჩენილმა გამოკვლევებმა ეს ხარვეზი მნიშვნელოვანწილად ამოავსო, კერძოდ გაჩნდა სპეციალური კვლევები კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში, სადაც განიხილება სწორედ სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. ამ მხრივ ურომების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ეძღვნება ისეთ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს, როგორებიცაა: არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „სომამტიზმები“, ასევე „ზონიზმები“, „ფლორალიზმები“, ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — „ფერების აღნიშვნები“, „მოძრაობის და გადაადგილების“, ასევე „ლაპარაკის“ ზმნების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები და სხვა.

რიცხვითი სახელების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „ნუმერატივები“ ფრაზეოლოგიზმებში არ ყოფილა ვრცელი გამოკვლევის საგანი, თუ არ ჩავთვლით ი. როჟანსკის, (1957, 29-32) ა. სუპრუნის, (1954, 79-85) ლ. ბოტინას, (1983, 34-38) და ს. ოლხოვსკაიას (1976, 74-48) რამდენიმე ნაშრომს, რომლებშიც ძირითადად ადგილი აქვს რიცხვითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციას, ზოგჯერ რიცხვთა არითმეტიკული რიგის, ზოგჯერ კი ფრაზეოლო-

გიზმთა სხვადასხვა ტიპების მიხედვით.

რიცხვითი სახელების ჩვენ მიერ გამოყოფილ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში „ნუმერატივი“ როგორც ფრანგულ ასევე ქართულ ენებში ერთიანდებიან სხვადასხვა ტიპის რიცხვითი სახელები. იხ. ცხრილი I. გამომდინარე იქიდან, რომ ნუმერატივების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის საფუძველს წარმოადგენს რიცხვის ცნება, უფრო სწორად კი მათემატიკური რიცხვი, რომელიც უწყვეტი სიდიდეა, შეუძლებელია ნუმერატივთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შემადგენელ ლექსემათა რიცხვის განსაზღვრა.

ნუმერატივები სხვა აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ჩვენი მიზანია სწორედ მათი „ფრაზეოლოგიური აქტივობის“ გარკვევა როგორც ფრანგულ ასევე ქართულ ენებში. ჩვენ მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მასალის ანალიზი (კერძოდ 7 ფრაზეოლოგიური და 1 განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები) გვიჩვენებს, რომ ნუმერატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები ფრანგულ ენაში წარმოდგენილია საკმაოდ ფართოდ და შეადგენს 852 ერთეულს, ხოლო ქართულში ასეთი ფრაზეოლოგიზმების რიცხვი შედარებით მცირეა — 216 ერთეული.

გ. სოკოლოვას კვალდაკვალ ჩვენ შემოგვაქვს ტერმინი „ფრაზეოლოგიური აქტივობა“ (შემოკლებით **AF**) (სოკოლოვა, 1984, 4), რომლითაც აღინიშნება ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივი განსხვავებები. ამგვარად, **AF** გამოიხატება რიცხვებში და თუ ლექსემის — **deux** „ორი“ **AF** უდრის 145, ეს ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რაოდენობა ამ კომპონენტით არის — 145.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნუმერატივი შედის დიდი რაოდენობის ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, მაგ., ფრანგულში — **un** „ერთი“ (**AF** 199), **quatre** „ოთხი“ (**AF** 82), **premier** „პირველი“<sup>5</sup> (**AF** 103), ქართულში — **ერთი** (**AF** 105), ხოლო ზოგი მათგანი მხოლოდ რამდენიმე ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში, მაგ : **quatorze** „თოთხმეტი“ (**AF** 5), **trente** „ოცდაათი“ (**AF** 2), **seize** „თექვსმეტი“ (**AF** 1), **სამი** (**AF** 4), **ოცდაოთხი** (**AF** 1) სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ცნების შემოტანაც, როგორცაა **AF** **ქვედა ზღვარი**, რაც უდრის 5 ფრაზეოლოგიზმს. **AF** **ქვედა ზღვარზე** იმყოფებიან ნუმერატივები : **six** „ექვსი“ (**AF** 5), **quator-**

**ze** „თოთხმეტი“ (**AF** 5), **vingt** „ოცი“ (**AF** 5), **quarante** „ორმოცი“ (**AF** 5) **cinquième** „მეხუთე“ (**AF** 5), ასი (**AF** 5). თითო-თითო ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში შედიან ისეთი ნუმერატივები, როგორებიცაა : **douze** „თორმეტი“ (**AF** 1), **seize** „თექვსმეტი“ (**AF** 1), **dix-neuf** „ცხრამეტი“ (**AF** 1), **trente-et-en** „ოცდაერთმეტი“ (**AF** 1), **quarante-cinq** „ორმოცდახუთი“ (**AF** 1), **huitième** „მერვე“ (**AF** 1), **dixième** „მეათე“ (**AF** 1), **onzième** „მეთერთმეტე“ (**AF** 1), და სხვ. თორმეტი (**AF** 1), თხუთმეტი (**AF** 1), ოცი (**AF** 1), ოცდაოთხი (**AF** 1), მეექვსე (**AF** 1), მერვე (**AF** 1), მეცამეტე (**AF** 1). იხ. ცხრილი II. **AF** **ქვედა ზღვარს** ქვევით რჩებიან ნუმერატივები : **neuf** „ცხრა“ (**AF** 2), **onze** „თერთმეტი“ (**AF** 3), **treize** „ცამეტი“ (**AF** 3), **quatorze** „თოთხმეტი“ (**AF** 4), **trente** „ოცდაათი“ (**AF** 2), **trente-six** „ოცდათექვსმეტი“ (**AF** 4), **million** „მილიონი“ (**AF** 3), **douzaine** „თორმეტიოდ“ (**AF** 4), **triple** „სამმაგი“ (**AF** 3), და სხვ, **სამი** (**AF** 4), **ხუთი** (**AF** 4), **შვიდი** (**AF** 4), **მეორე** (**AF** 3), **მეშვიდე** (**AF** 2), **ნახევარი** (**AF** 4) და სხვ. იხ. ცხრილი II.

ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობა ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებში შეიძლება გამოვსახოთ ცხრილის მეშვეობით. ცხრილი II. (გრაფაში „ნუმერატივები“ ჩვენ დავაფიქსირეთ მხოლოდ ის ლექსემები, რომლებიც შედიან ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში).

ენის ლექსიკა, რომელიც განსაზღვრავს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტურ შემადგენლობას, მჭიდროდ უკავშირდება გარემომცველ სამყაროს. ამიტომაც ათვლის წერტილად გვევლინება ის გარემოება, რომ ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ ისეთი ლექსემა-ნუმერატივები, რომლებიც იწვევენ ხატოვან ასოციაციებს ადამიანის მატერიალურ ცხოვრებასთან, მის ინტელექტთან, ფიზიკურ შრომასთან, გრძნობებთან, ასოციაციებს, რომლებიც უკავშირდებიან სამყაროს აღქმასა და მის შემეცნებას. აქედან გამომდინარე, იმ დენოტატთა აღნიშვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ ადამიანისთვის ინტერესის სფეროს, უფრო ნაკლებად ან საერთოდ არ იჩენენ ფრაზეოლოგიურ აქტივობას, რასაც მიგვაგვართ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის კვანტიტატიურ შეზღუდულობამდე. ნუმერატივები, რომლებიც წარმოადგენენ რიცხვთა ლექსიკურ აღნიშვნებს ამ მხრივ, განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ენის ლექსიკაში. რიცხვის ცნება უკავშირდება რაოდენობის აზრობრივ კატეგორიას, რომლის ცნებითი შინაარსი ეფუძნება ობიექტუ-

რად არსებულ რაოდენობრივ წარმოდგენებს, რიცხვითი სიტყვები მუდმივად მონაწილეობენ ადამიანის მეტყველებაში. რიცხვის აღმნიშვნელი ლექსემებიდან ყველაზე დიდი სიხშირით გამოიჩნევიან პირველი ათეულის ნუმერატივები, რაც განპირობებული უნდა იყოს რიცხვის აღნიშვნების ისტორიული წარმოშობითაც. რამდენადაც რიცხვი აღებულია ობიექტური სინამდვილიდან და „ბუნებამ ადამიანს თვითონ შეუქმნა რიცხვთა ყველა შესაძლო მოდელი — ფრინველთა ფრთები, ყვავილთა ფურცლები, ცხოველთა თათები და ბოლოს და ბოლოს ადამიანის ხელის თითები“ (იფრა, 1995, 7) რომელზეც მან ისწავლა თვლა და ელემენტარული მატემატიკური ოპერაციების შესრულება, რიცხვთა აღნიშვნებიც ადამიანის ცხოვრების აუცილებელი და უნივერსალური მონაწილეა. და ეს განსაკუთრებით ითქმის პირველი ათეულის რიცხვებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად იწვევენ ხატოვან ასოციაციებს. დიდი რიცხვები არ გამოიჩნევიან გამოყენების სიხშირით, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ მრგვალი რიცხვების, უფრო მეტად 100 და 1000 აღმნიშვნელი ლექსემები, რომელთაც სასაუბრო მეტყველებაში შეიძინეს ჰიპერბოლური მნიშვნელობა. ნუმერატივების ფრაზეოლოგიურ აქტივობაზე დაკვირვებაც ამ აზრს ადასტურებს.

ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობის მაჩვენებლებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება კომპონენტ-ნუმერატივთა ფრაზეოლოგიურ აქტივობასა და რიცხვის სიდიდეს შორის. რაც უფრო იზრდება რიცხვი, მით უფრო იკლებს მისი ფრაზეოლოგიური აქტივობა. მართლაც, ორსავე ენაში (ფრანგულსა და ქართულში) ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოიჩნევიან პირველი ათეულის რიცხვები. თუმცა, თუ ფრანგულში პირველი ათეულის ყველა რიცხვის აღმნიშვნელი სახელი იჩენს ფრაზეოლოგიურ აქტივობას, ქართულში ლექსემები — **ექვსი** და **რვა** საერთოდ არ გვხვდება ფრაზეოლოგიზმებში. ამავე დროს, მაგალითად, თუ ერთი ენის ფრაზეოლოგია 82-ჯერ მიმართავს რიცხვი — 4 აღმნიშვნელ ლექსემას, მეორე მხოლოდ 10-ჯერ იყენებს იმავე რიცხვის აღმნიშვნელ ნუმერატივს. (შდრ : ფრანგული **quatre** „ოთხი“ - AF 82, და ქართული **ოთხი**-AF 10). ასევე, შდრ : ფრანგული - **neuf** „ცხრა“ - AF 2 და ქართული - **ცხრა** - AF 17.

გარდა პირველი ათეულის რიცხვებისა, ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოიჩნევიან მრგვალი რიცხვების აღმნიშვნელი ნუმერატივ-

ბი ორსავე ენაში, თუმცა აქაც არ გვაქვს იდენტური სურათი, შდრ : ფრანგულში - **cent** „ასი“ - AF 33, ხოლო ქართულში — **ასი** - AF 6, ფრანგულში — **mille** „ათასი“ - AF 12, ქართულში — **ათასი** - AF 13. ქართულში არაპროდუქტიულია და გარდა კომპონენტისა — **ნახევარი** - AF 4, საერთოდ არ მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმებში წილადი და მიახლოებითი რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივები, მაშინ როცა ფრანგულში ეს ნუმერატივები საკმაოდ მაღალ ფრაზეოლოგიურ აქტივობას იჩენენ. შვე : **demi** „ნახევარი“ - AF 17, **quart** „მეოთხედი“ - AF 21 და სხვ.

ამავე დროს, დაახლოებით 50-ზე მეტ ფრაზეოლოგიზმში ფრანგულში და 15 ფრაზეოლოგიზმში ქართულში ერთდროულად მონაწილეობს ორი ან იშვიათად მეტი ნუმერატივი, მაგ: **le tiers et le quart** „ისინიც და სხვებიც, ყველა“; **faire en deux coups six trous** „წარმატების სწრაფად მიღწევა“; **faire en quatorze jours quinze lieues** „ნელა, აუჩქარებლად მუშაობა“; **faire d'une fille deux gendres** „საქმიდან ორმაგი მოგების მიღება“; **dix fois sur douze** „ძალიან ხშირად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე“; **en deux temps et trois mouvement** „სწრაფად და იოლად, ორ დათვლაში“; და სხვ. მაგალითები ქართულიდან : **ერთ** ყურში შეუშვებს და **მეორეში** გაუშვებს ; ეგ **ერთი** და სხვა **ათასი** ! და სხვ.

სამ ნუმერატივს ერთად შეიძლება შევხვდეთ ერთადერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში - **à la six-quatre-deux** „როგორღაც“. ქართულში კი საერთოდ არ გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები ორზე მეტი ნუმერატივით.

მსგავს ფრაზეოლოგიზმებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ძირითადად ერთმანეთის მომდევნო რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივები, ზოგჯერ შებრუნებული მიმართულებითაც, მაგ, შვე: ფრანგულში : **trois et quatre fois** „ისევ და ისევ, უსასრულოდ“; **mettre cinq et retirer six** „თეფშიდან კარგი ნაჭრის აღება“; **Il n'en vient que deux ou trois bateaux** „დიდი საქმე“; ქართულში : **ერთი** და **ორი** ; **ერთი** მე ვარ ახალგაზრდა და **მეორე** შენ ! და ასევე **mettre deux pieds dans un soulier** „შენელება, საქმის გაჯანჯლება“; **donner cinq et quatre** „სილის გაწვნა“; ქართულში : **ორში ერთი**; ხშირად ერთმანეთის გვერდით გვხვდება ნუმერატივები — **un** „ერთი“ და **deux** „ორი“. **ne faire ni une ni deux** „ყოყმანის გარეშე, სწრაფად რაიმეს გაკეთება“; **s'acharner sur qqch comme deux chiens sur un os** „ვინმესთან გაცხარებული კამათი“, და სხვ. ქართულში 15 ფრაზეოლოგიზმიდან 10-ში სწორედ ნუმერა-

ტივები — ერთი და ორი ან ერთი და მეორე გვხვდება ერთმანეთის გვერდით. მაგ : ერთი ორად აქცევს ; ერთი ალთას (იხახის) და მეორე ბალთას და სხვ.

ფრანგულში ხშირად გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც მიმატებისა და გამრავლების მათემატიკური ოპერაციაა ხატონად გადააზრებული და რაც ადასტურებს ადამიანის აზროვნების ცნობილ არითმეტიზაციას. „ასეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აისახება არითმეტიკული მოქმედებებისა და უბრალოდ თვლის სიზუსტე და სიმარტივე“. სუბრუნი (1954, 81). აქ ნუმერატივები ან ორი, ზოგჯერ სამი ერთეულით იმატებენ, ან ორზე, ზოგჯერ სამზე მრავლდებიან, შდრ : **quatre à six** „სტუმრობის დრო“, **trois francs six sous** „ძალიან ცოტა ფული“; **faire en deux coups six trous** „წარმატების სწრაფად მიღწევა“; **dix fois sur douze** „ძალიან ხშირად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე“, **C'est clair (évident) comme deux et deux font quatre** „ეს ისეთივე ცხადია, როგორც ორჯერ ორი ოთხი“; და სხვ. ქართულისთვის ასეთი ფრაზეოლოგიზმები არ არის დამახასიათებელი.

ამგვარად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის შესწავლა გვევლინება მნიშვნელოვან ეტაპად ფრაზეოლოგიური სისტემის ეროვნული სპეციფიკის შესწავლის საქმეში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია როგორც კერძო, ასევე შეპირისპირებითი ფრაზეოლოგიისთვის.

აქტიური გამოყენების სიტყვები წარმოადგენენ ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ძირითად ნაწილს, მათ რიგს შეადგენს ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — ნუმერატივები. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივი განსხვავებები გამოიხატება „ფრაზეოლოგიური აქტივობის“ ტერმინით, შესაბამისი რიცხვობრივი მაჩვენებლებით. ფრაზეოლოგიურ ნუმერატივებში ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ ისეთი ლექსემა-ნუმერატივები, რომლებიც იწვევენ ხატოვან ასოციაციებს ადამიანის მატერიალურ ცხოვრებასთან, მის ინტელექტთან, ფიზიკურ შრომასთან, გრძნობებთან, ასოციაციებს, რომლებიც უკავშირდებიან სამყაროს აღქმასა და მის შემეცნებას. ორი ენის ნუმერატიულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება მოწმობს, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება კომპონენტ-ნუმერატივთა ფრაზეოლოგიურ აქტივობასა და რიცხვის სიდიდეს შორის. განსაკუთრებით მაღალ ფრაზეოლოგიურ აქტივობას იჩენენ პირველი ათეულის რიცხვთა აღმნიშვნელი ნუმერატიული კომპონენტები ორი-

ვე ენაში. ასევე გამოირჩევიან ფრაზეოლოგიური აქტივობით მრგვალი რიცხვების აღმნიშვნელი ნუმერატივები ორივე ენაში.

ცხრილი I  
ნუმერატივების სია

თვლის სისტემის რიცხვები	მიანობებითი რაოდენობის აღმნიშვნელი	რიგის აღმნიშვნელი	მთელის ნაწილის აღმნიშვნელი	გამრავლების აღმნიშვნელი	შენიშვნა
un	huitaine	premier, ère	moitié	simple	ფრანგული
deux	dizaine	deuxième	demi	double	განუსაზღვრელი არტიკლი
trois	douzaine	troisième	tiers	triple	un, une
quatre...	quinzaine	quatrième...	quart	quadruple...	რიცხვობრივი მნიშვნელობით
dix	vingtaine	dixième...		centuple...	[ქართულში შეესაბამება — ერთი განუსაზღვრელობითი]
onze	centaine	vingtième...			
douze... vingt... trente...					
quarante... cinquante... cent... mille... million...					
ერთი	ორიოდე	პირველი	ნახევარი	ორმაგი	
ორი	სამიოდე	მეორე	მესამედი	სამმაგი	
სამი...	ოთხიოდე...	მესამე...	მეოთხედი	ოთხმაგი	
ათი...	ათიოდე	მეოთხე	მეოთხედი	ათმაგი...	
ოცი...	ოციოდე	მეხუთე...	მეათედი...		
ოცდაათი... ორმოცი...	ასიოდე	მეათე...	მეოცედი...		
ასი...		მეასე...			
ათასი...					
მილიონი...					

ცხრილი II

ნუმერატივები ფრანგული ენა	AF ფრანგული ენა	ნუმერატივები ქართული ენა	AF ქართული ენა
un (une)	199	ერთი	105
deux	145	ორი	28
trois	32	სამი	4
quatre	82	ოთხი	10
cinq	23	ხუთი	4
six	5	შვიდი	2
sept	13	ცხრა	17
huit	8	თორმეტი	1
neuf	2	თხუთმეტი	1
dix	11	ოცი	1
onze	3	ოცდაოთხი	1
douze	1	ასი	5
treize	3	ათასი	10
quatorze	5	პირველი	10
quinze	9	მეორე	3
seize	1	მეექვსე	1
dix-neuf	1	მეშვიდე	3
vingt	5	მერვე	1
trente	2	მეცამეტე	1
trente-et-un	1	ნახევარი	4
trente-six	4		
quarante	5		
quarante-cinq	1		
cinquante	1		
cent	33		
cinq cents	6		
mille	13		
million	3		
premier, ère	103		
deuxième	11		
troisième	7		
quatrième	3		

cinquième	5		
sixième	2		
septième	2		
huitième	1		
dixième	1		
onzième	1		
quatorzième	2		
trente-sixième	1		
quarante-et-unième	1		
moitié	21		
demi	17		
tiers	4		
quart	21		
double	21		
triple	6		
huitaine	2		
douzaine	3		

ლიტერატურა

**ბოტინა, 1983** — Ботина Л. Г. Из наблюдений над семантикой нумеративных ФЕ в русских говорах. Вопросы семантики фразеологических единиц, Самарканд, 1983

**გაკი, 1966** — Гак В.Г. Беседы о французском слове. In: Сравнительная лексикология французского и русского языков. М. 1966.

**იფრა, 1995** — Ifrah Georges, Histoire universelle des chiffres, P. 1995.

**ლევინი, 1986** — Левит З.Н. К проблеме аналитического слова в современном французском языке. Минск, 1986.

**მოლოტკოვი, 1977** — Молотков А. И. Основы фразеологии русского языка. Л. 1977

**ოლხოვსკაია, 1976** — Ольховская С. В. О фразеологических единицах с компонентом-числительным. Лексико-грамматическая сочетаемость в германских языках, вып. 2, Челябинск, 1976

**როჯანსკი, 1957** — Рожанский А. Я. Фразеологизмы с числительными. РЯШ 1957, N1,

**სერბრენიკოვი, 1955** — Серебренников Б. А. К проблеме типов лексической и грамматической абстракции. In: Вопросы грамматического строя. М. 1955.

**სოკოლოვა, 1984** — Соколова Г. Г. Состав компонентов фразеологических единиц французского языка. Ленинград, 1984

**სოკოლოვა, 1981** — Соколова Г. Г. О семантической избирательности компонентов фразеологических единиц. Структурное и функциональное развитие романских языков. Калинин, 1981

**სუბრუნი, 1954** — Супрун А.Е. О фразеологических единицах с числительными. In- Вопросы фразеологии, Ташкент, 1954

**ჩერდანცევა, 1977** — Черданцева Т.З. Именные фразеологизмы в современном итальянском языке. Иностранные языки, М. 1977.

EKATERINE ZHORZHOLIANI

### On the Phraseological Activity of Numericals

#### Summary

As is known, componential analysis of phraseological units is essential for revealing cultural peculiarities of phraseological systems; the latter being vital for contrasting studies.

Phraseological units may consist of: a) words with literal or figurative meanings that can function independently or within the framework of a phraseological unit; b) words that function only as elements of phraseological units; c) dated words. Numericals are among the words that are frequently used as components of phraseological units. The most frequently used numerals create strong images about man's intellectual life, physical work, feelings, man's perception of the world etc. The study has shown that the numerals denoting big numbers are less frequently used as components of phraseological units. In French, as well as, in Georgian the words denoting the first ten numbers, and also old numbers have the highest frequency of occurrence.

ივოლა ჰარაღა

### ფრაზეოლოგიის ღერძული სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმა

„ენის საგანძურის გამდიდრება ხდება არა მარტო მასში ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების აღმოცენებით, ნასესხები სიტყვებითა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის შეცვლით, არამედ იმითაც, რომ თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებები, სიტყვათა ჯგუფები, ე.წ. მყარ შესიტყვებებად და ამგვარად, ენის საგანძურის შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნებიან. ამ სახეობის „მყარ“ შესიტყვებებს (აგრეთვე „ფიქსირებულ სიტყვათშენაერთებს“) უნარი შესწევთ წარმოქმნან განსხვავებული სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები“ — ასეთია შესავალი ვ. ფლაიშერის ფუნდამენტური ნაშრომისა „Phraseologie der deutschen Gegenwartssprache“ (1982), რომელიც ფრაზეოლოგიის სფეროში, ჩვენი ვარაუდით და ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიების საფუძველზე უკანასკნელია ბოლო ათწლეულში.

საუკუნეთა მიჯნაზე არსებული გარდაქმნები, ფორმაციათა ცვლა (საბჭოთა სისტემის რღვევა) და ტექნიკის აღზევება, ცხადია, ფოკუსში სხვა ობიექტებს მოაქცევს, რის გამოძახილსაც ჰუმანიტარული მეცნიერებები წარმოადგენენ. გლობალიზაციას დაქვემდებარებულმა სამყარომ და კომუნიკაციის აუცილებლობამ წინ პრაგმატული პრობლემები წამოსწია და ბოლო წლების ენათმეცნიერებაშიც პრაგმატიკამ დაიმკვიდრა ადგილი.

მაგრამ, რაოდენ დიდია უნდა იყოს სამყაროში დატრიალებული კატაკლიზმები, ენა, მისი თითოეული დონე იყო და რჩება, როგორც მარადიული კვლევის ობიექტი. სწორედ დღეს არის აქტუალური მოკვლევა იმ უნივერსალური მოდელებისა თუ ადამიანის აზროვნების უნივერსალური სტრუქტურებისა, რომლებიც სამყაროს ცენტრში მოქცეულ ადამიანს, განურჩევლად მისი ეროვნებისა და ენობრივი არაერთგვაროვნებისა, უბიძგებს შექმნას მსგავსი და, ზოგიერთ



შემთხვევაში სრულიად ერთგვაროვანი სტრუქტურული მოდელი.

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი ფრაზეოლოგიური რეტროსპექტივაა — მოკლე მიმოხილვა იმ ფრაზეოლოგიური ერთეულებისა გერმანულსა და ქართულში, რომლებიც სწორედ შემოხსნებული უნივერსალური სტრუქტურის ნიმუშს წარმოადგენენ. XIX საუკუნიდან მოყოლებული ფრაზეოლოგიის სფეროში ათასობით ნაშრომი შეიქმნა, ასე რომ, დღეს აღარ არის კამათი ენის სტრატეფიკაციული მოდელში არსებული დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური ავტონომიის შესახებ.

„ენისა“ და „მეტყველების“ სოსიურისეული დიქოტომია საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა, მაგრამ ფრაზეოლოგიის დონეზე ეს დიქოტომია ცალკეულ ნაშრომებში საკამათოდ მიიჩნევა: დიქოტომიის რომელ მხარეს განიხილება თუ მოიაზრება ენის ფრაზეოლოგიური საგანძური, ენობრივი სისტემისა (Langue-ს) თუ მეტყველების (Parole-ს) დონეზე? ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია რომელიმე ენობრივი დონე ფრაზეოლოგიური ერთეულის (ფე-ს) გარეშე — ისინი თითქმის ყველა დონეს მოიცავენ და სწორედ ამან განაპირობა ამ დარგის (ფრაზეოლოგიის) დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება.

წინააღმდეგობრივია აგრეთვე მოსაზრებები ფე-ის ენაში დამკვიდრებასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი კი უმთავრესად სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის სახითაა წარმოდგენილი.

ვ. ფლაიშერი, რომელიც გერმანული ფრაზეოლოგიის კვლევას საბჭოთა ენათმეცნიერების დამსახურებად მიიჩნევს, ამ სფეროს კვლევის ისტორიის სკრუპულოზური აღწერის დასასრულს (მოყოლებული ვ.ვ. ვინოგრადოვიდან დღემდე), **n** — რაოდენობის კლასიფიკაციებს ოთხ ჯგუფში მოაქცევს:

1. ე. აგრიკოლის კლასიფიკაცია, რომელიც სემანტიკურ კრიტერიუმს ეყრდნობა;
2. ი.ი. ჩერნიშევის კლასიფიკაცია, რომლის ამოსავალია ყველა ის ფაქტორი, რომელიც ენაში მყარ შესიტყვებებს წარმოქმნის;
3. უ. ფიქსის კლასიფიკაცია, რომელიც ენის მრავალ განზომილებათა საფუძველზეა შექმნილი;
4. ა. როთქემელის კლასიფიკაცია, რომლის ამოსავალია ის, რომ ფე „სიტყვის საზღვარს სცდება, მაგრამ წინადადების საზღვარი ქვე-

მოთ არის განლაგებული“ (ფლაიშერი, 1982, 117);

ა. როთქემელი, ნომინანტურ-კომუნიკაციურ ფრაზეოლოგიზმებისა და ფრაზეოშენაერთების (ფუნქციური შენაერთების) გვერდით, გვთავაზობს აგრეთვე მორფოლოგიურ-სინტაქსურ კლასიფიკაციას, სადაც მთლიან სტრუქტურაში მეტყველების რომელიმე ნაწილია მკვეთრად გამოყოფილი (ანუ კონვექსური): არსებითი, ზედსართავი, ზმნიზედა, ზმნა და სხვა.

ცხადია, რომ სემანტიკურად ფე ენის სტრატეფიკაციული მოდელის ყველა პარამეტრის შესატყვისია, მაგრამ სტრუქტურის თვალსაზრისით მას შუალედური პოზიცია უკავია სიტყვასა და წინადადებას შორის („die Grenze des Wortes überschreiten, die des satzes unterschreiten“).

ა. ვურმი ფრაზეოლოგიის საკვლევად შემდეგ მოსაზრებას გვთავაზობს: „Ein Praseologismus ist — wie jeder bestandteil der Sprache, ohne die geringste Ausnahme, — an sein Ganzes, d.h. an sein System gebunden. Daraus geht hervor, dass auch seine Merkmale nur innerhalb dieses Systems zu suchen sein können“ (ვურმი, 1970, 70).

„ფრაზეოლოგიზმი, როგორც ენის ყოველი შემადგენელი ნაწილი, გამონაკლისის გარეშე, დაკავშირებულია თავისივე მთელთან ანუ თავისივე სისტემასთან. აქედან გამომდინარე, ამ შემადგენელი ნაწილის თავისებურებანი მისივე კუთვნილი სისტემის საზღვრებში უნდა ვეძებოთ“ (თარგმანი — ი.ქ.).

ე. აგრიკოლა, რომელსაც ტრადიციული კლასიფიკაციის მიმდევრად მიიჩნევენ, გვთავაზობს შემდეგ დეფინიციას:

**Praseologische Einheiten ä eine verhältnismhabenssige starre inhaltliche Bindung, die nur vereinzelt den Ersatz bedeutungsähnlicher Wörter oder Erweiterungen durch andere Wöter gestattet.**

**Ihre Einzelglieder stehen in durchsichtiger Beziehung zueinander und erklären sich selbst, aber die gesamthbedeutung ist nicht direkt erschliessbar“** (აგრიკოლა, 1968, 27).

„ფრაზეოლოგიზმები შედარებით მყარი შინაარსობრივი კავშირით ხასიათდებიან. ისინი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ჩაინაცვლებენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვას ან იძლევიან საშუალებას სტრუქტურის სხვა სიტყვებით გავრცობისა. შემადგენელ წევრთა შორისი კავშირი გამჭვირვალეა და თითოეული წევრი თვითონვე იძლევა საშუალებას თავისი მნიშვნელობის ახსნისა (ფრაზეოლოგიური კონ-

ტექსტის ფარგლებში — ი.ქ.), თუმცა ფრაზეოლოგიზმის მთლიანი მნიშვნელობა მის წევრთა მნიშვნელობიდან პირდაპირ ვერ ამოიცნობა“ (თარგმანი ი.ქ.).

ფე-ის საბოლოო კლასიფიკაცია, უდავოდ, გაძნელებოდა, თუ მეცნიერები მხედველობაში არ მიიღებენ სტრუქტურულ მახასიათებლებს. ნებისმიერი ენის მატარებელი ლექსიკოგრაფი ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენისას სწორედ სტრუქტურულ სტანდარტებს ეყრდნობა, თუმცა ამ თვალსაზრისით ის მაინც მრავალ სირთულეს აწყდება: სად განლაგოს ის ფრაზეოლოგიზმები, სადაც შესიტყვების გადანაცვლება ფრაზეოლოგიურ დონეზე, მისი სრული მეტაფორიზაციის შედეგია და შინაფორმა (მოტივაცია) სინქრონულ ჭრილში სრულიად წაშლილია:

**ihn sticht der Hafer** — ის ქედმაღალია

**das ist zum schiessen** — ეს სიცილის საბაბს იძლევა

**Umgekehrt wird ein Schuh draus** — საპირისპირო (მოსაზრება) სწორია

**starker Tabak** — მოთხოვნა

**kalter Kaffee** — საყოველთაოდ ცნობილი სისულელე და სხვა.

სწორედ ასე წარმოიშვა ფრაზეოლოგიაში ე.წ. „ღერძული“ ანუ „პირთული“ სიტყვის გამოყოფის პრობლემა, ცნობილი რუსი ლექსიკოგრაფი ს.ი. ოჟეგოვი წერდა: „პირველ რიგში (ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით — ი.ქ.) უნდა უარყოფილ იქნას ნიპილისტური აზრი იმის შესახებ, რომ ფრაზეოლოგიზმში ღერძული სიტყვა ვერ გამოიყოფა და ამ საკითხის საბოლოო გადაჭრა შეუძლია“ (ოჟეგოვი, 1974, 139).

თუ ფე-ში სიტყვათა დამოუკიდებელი მნიშვნელობა შესუსტებულია, რომელიმე სიტყვა აუცილებლად დატვირთულია გრამატიკული ფუნქციით, რაც მისი ღერძულსიტყვად გამოყოფის საშუალებას იძლევა.

ი. ი. კირილოვა იძლევა ღერძული სიტყვის უფრო ზუსტ დეფინიციას და მას ისეთი კატეგორიის კომპონენტად მიიჩნევს, რომელიც ფე-ის აზრობრივ-შინაარსობრივი ფოკუსია (კირილოვა, 1975, 70).

ვ. ლ. არხანგელსკის აზრით, ზოგიერთ სიტყვას გააჩნია უნარი გააერთიანოს ფე-ბი ე.წ. ფრაზეოლოგიურ ბუდეებად, რომლებიც ონომასიოლოგიური თვალსაზრისით ერთი სიტყვის გარშემო იყრის თავს, ხოლო სემასიოლოგიური თვალსაზრისით ამგვარ მიკროტექსტში ხდება ძირეული სიტყვის სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნე-

ლობათა რეალიზაცია (არხანგელსკი, 1964, 90).

ამ მოსაზრებების საფუძველზე ნ. ჯანელიძე გვთავაზობს ფრაზეოლოგიური ფონდის ორ სუბსკლასად დაყოფას:

1. ფრაზეოლოგიზმები კონვექსიური ღერძული სიტყვით, რომლებიც მოტივირებული შინაფორმით ხასიათდებიან;

2. ფრაზეოლოგიზმები გაბუნდოვნებული ან სრულიად წაშლილი შინაფორმით, რომლებიც ენის სინქრონულ ჭრილში აღიქმებიან ტრანსფორმირებული სინტაქსურ მოდელებად (ჯანელიძე, 1980, 165);

თვალუწვდენელ ფრაზეოლოგიურ მაკროსისტემაში ურიცხვ მიკროსისტემათა (ანუ ფრაზეოლოგიურ ბუდეთა) გამოყოფა შეიძლება:

1. სომატიზმები (ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სიტყვით);

2. ზოოსემიზმები (ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვით);

3. ასტრონომიზმები (ციურ სხეულთა აღმნიშვნელი სიტყვით);

4. ფრაზეოლოგიზმები ფერის აღმნიშვნელი სახელით და სხვა.

ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვებით ფრაზეოლოგიური დერივაციის თვალსაზრისით თითქმის ყველა ენაში, — სწორედ ეს არის გასათვალისწინებელი ენათაშორისი ტიპოლოგიური კვლევისას, — წარმოადგენენ უაღრესად პროდუქტიულ ერთეულებს. მათი სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „soma“; რაც ადამიანის სხეულს ნიშნავს.

გერმანულსა და ქართულში ამ სახის ფრაზეოლოგიურ ბედებში შემავალი ფე-ების რაოდენობა რიცხობრივად არაერთგვაროვანია, რადგან თვით ღერძული სიტყვის ფრაზეოლოგიური ვალენტობა, ანუ მისი უნარი წარმოქმნას ფრაზეოლოგიური კონტექსტი, ასევე არაერთგვაროვანია. ამ მხრივ სომატური სიტყვები მრავალრიცხოვან ფრაზეოლოგიურ ბედებს ქმნიან და თანაც თითოეული ბუდე არანაკლებ 200 ფე-ს შეიცავს.

წინამდებარე ნაშრომი, ცხადია, ვერ წარმოაჩინს ამ მიკროსისტემების მთლიან სურათს, მაგრამ რამდენიმე მაგალითიც კი მოწმობს ამ ენობრივი ერთეულების დერივაციულ პროდუქტიულობას და ანალოგიური ტიპოლოგიურ მახასიათებლებს გერმანულსა და ქართულში. საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიიდან მოყოლებული კონვერგენტული და საერთაშორისოდ ქცეული „კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ“ ან შემდეგი ფე-ბი:

ხელი გაუწოდა, თავს დაატყდა, ყური ათხოვა, პირი იბრუნა, კბილებს ილესავს, ცხვირს იბზეკს, ყელი მოიღერა, კისერი მოიტეხა

და მრავალი სხვა.

გერმანულში: die Augen in die hand nehmen, beide Augen zudrücken, sich den Kopf setzen, sein Ohr (ver)schlissen, j-m die Hand reichen, die Nase hoch tragen, sich den Hals brechen და სხვა.

ეს მცირერიცხოვანი მაგალითებიც, რომელთა მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მოწმობენ აზროვნების სტრუქტურის ფუნქციონირებას სწორედ გლობალური გაგებით. პრაგმატიკის აღზევების ფონზე, ეს მოვლენები მარგინალურ პრობლემებად იქცნენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენობრივი პროცესები, ნებისმიერი გამოვლინებით, ენის ნებისმიერ დონეზე, ვერ ჩაითვლება კვლევის პერიფერიად და წინამდებარე ნაშრომი სწორედ ნოსტალგიით გამოწვეული რეტროსპექტივაა და სურვილი იმისა, რომ ფრაზეოლოგია კვლავ დარჩეს ენათმეცნიერებისათვის საინტერესო საკვლევ ობიექტად.

ლიტერატურა

**აგრიკოლა, 1968** — E. Agricola, Wörter und Wendungen, Bibliographisches Institut, Leipzig. XXXVII (Einteilung der Wendungen). 1968.

**არხანგელსკი, 1964** — В. А. Архангельски, Устойчивые фразы в современном русском языке. Изд. Ростовского Ун-та, 1964.

**ვურმი, 1970** — A. Wurm, Kann man Idiome eindeutig von den übrigen Phraseologismen trennen? Sprachpflege 4/1970.

**კირილოვა, 1975** — И. И. Кирилова, фразеологической единицы и слово. Канд. дис, Л. 1975.

**ოჟეგოვი, 1974** — С. И. Ожегов, Лексикография, Культура речи. Москва, "Высшая школа", 1974.

**ფლაიშერი, 1982** — W. Fleischer, Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut, Leipzig. 1982.

**ჯანელიძე, 1980** — ნ. ჯანელიძე, ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაცია სომატიზმებში, სმპ „მაცნე“ ელ-ის სერია 1/1980.

ISOLDA KARDAVA

### The Structural-Semantic Paradigm of the Basic Word of a Phraseological Unit

#### Summary

The paper examines the German and Georgian phraseological units with

a universal structural pattern. Microsystems of Phraseological units consist of numerous entries.

The number of elements of an entry is not fixed. Somatic words form numerous phraseological entries.

## ნიკო ოთინაშვილი

**ზოგიერთი გვაროვნული სახელი „ქსნის ხეობის“  
სტატისტიკურ აღწერაში**

სულთა მატთანეების სახელით ცნობილი ისტორიული დოკუმენტები მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული ტოპონომასტიკის შესასწავლად. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერა“, რომელშიც ორი 1774 და 1781 წლების აღწერის მასალებია შესული.

გეოგრაფიული პუნქტებისა და მასში მცხოვრები მოსახლეობის აღწერა მომხდარა მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით და იგი მოიცავდა საკუთრივ ქსნის ხევის, მეჭუდის ხეობის ზემო წელსა და საერისთაოს ბარის ნაწილს, დღევანდელი გორის რაიონს.

„აღწერის“ მასალები შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ისინი ასახავენ ხეობის ისტორიას, ეკონომიკურ ცხოვრებას, ნასყიდობას, წყალობას, მიგრაციას, იმიგრაციასა და სხვა.

„აღწერის“ ენაში თავს იჩენს ქსნური კილოსთვის დამახასიათებელი მოვლენები, რაც სამომავლოდ საშუალებას იძლევა კილოებიც ისტორიულ ასპექტში შევისწავლოთ.

მიგვაჩნია, რომ საბუთების ენა ერთნაირი ღირებულებისა როდია. როგორც ეპიგრაფიკაში, ისე საეკლესიო საბუთებში (**მაგალითად ქართული სამართლის ძეგლები**) უფრო მეტად ძველი მწერლობის ტრადიციებია დაცული, ენაც ძირითადად ძველი ქართულია, სამოქალაქო საბუთების ენა კი უფრო ახლოსაა ცოცხალ მეტყველებასთან.

შვილ-ზე დაბოლოებულ გვარებს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის **ს** ელემენტი. მაგალითად სოფელ ჭორჭოხიდან გოდერძის შვილი, შერმაზანის შვილი, ბალახამის შვილი, შატიკისშვილი, ბერისშვილი. დაბაკნეთში ზურაბისშვილი, თოხოს გვრიტისშვილი, ცხატის პაპისშვილი, ფსუტურისშვილი.

უსანო ფორმები ძირითადად გვხვდება ძე-ზე დაბოლოებულ გვა-

რებში. ჭურთისხევიდან ბუჯიძე, ზანგურიძე, ცეცხლაძე, ალვიდან ხერფელაძე, ნათაძე, მილაძე, წითურიძე, ჯოელიძე, მამლიძე და სხვა.

მეთვრამეტე საუკუნეში აღნიშნული „აღწერის“ მასალებში, როგორც ჩანს, შვილ-ზე დაბოლოებულ გვარებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ნათესაობითში დასმული სახელის შინაარსობრივი წარმოდგენა და აღნიშნული იყო თუ ესა თუ ის პირი (შვილი) ვისი ჩამომავალი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ გაძნელებულია გვარისა და მამიშვილობის ურთიერთისაგან განსხვავება; მაგალითად, ბაშარული ნადირის შვილი, ფსუტური დათუნას შვილი, აქ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი გვარის მამისშვილობის ურთიერთისაგან არ გვხვდება. მიგვაჩნია, რომ პირველად დასახელებული გვარია, ხოლო მეორე ელემენტი სახელი, ოღონდ ეს უკანასკნელი შემდგომ გვარად არის ქცეული ხეობაში.

მაგალითად, დორეული-გამხუასშვილი. აქედან უკვე მთიდან მიგრაციის შედეგად ორი გვარი დორეული და გამხუასშვილი მივიღეთ. შერმადინი-რუსიტასშვილი — ორი გვარი წარმოიქმნა შერმადინი და რუსიტასშვილი. კარელიძე-ირემასშვილიდან ასევე ორი — კარელიძე და ირემასშვილი დარჩა. „ქსნის ხეობის აღწერაში“ გვარებს ძე და შვილი დაბოლოება ეკვეცება, როგორც ტოპონიმთა წარმოებისას, ისე მამინაც, როცა წარმოდგენილია გვარის კრებითობა და -ან ფორმანტს ერთვის მრავლობითობის თ სუფიქსი და „აღწერაში“ წარმოდგენილია:

პავლიანთ შაზას შვილი

პავლიანთ ბალასშვილი

თინიკანთ დათუნას შვილი

თინიკანთ მამუკასშვილი

ჩიტანთ ბერის შვილი

მაჭარანთ ქიტესაშვილი

ბალახამიანთ მარტიას შვილი — აქედან, როგორც ზემოთ ითქვა მივიღეთ ისეთი ორი გვარი: ბალახამისაშვილი და მარტიასშვილი.

თეზელანთ ელისბარის შვილი — აქედანაც ორი გვარი მივიღეთ თეზელასშვილი და ელისბარასშვილი.

ფაქტობრივად დასადგენია ორწევრიანი გვარსახელების სტრუქტურა, რომელიც ძირითად თავადურ გვარებში გვხვდება, მაგრამ მოტანილი მაგალითებიც ამის დასტურია, რასაც შემდგომი კვლევა

სჭირდება.

ქსნის აღნიშნულ დავთარში ასევე დიდი ადგილი უჭირავს კუთვნილება-წარმომავლობის გვარებს. -ურ ფორმანტით და გვაქვს პოვლუური-პაპიასშვილი ისევე ორი გვარი მივიღეთ, როგორც ზემოხსენებული წარმოებისას.

ბუნტური-ბასილასშვილი ორი გვარით არის წარმოდგენილი დღევანდელ ყოფაში.

ასეთივეა სისოური-თანდილასშვილი და სხვა.

ახალი საგვარეულო განშტოებების ჩამოყალიბების საფუძველი შეიძლება იყოს სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სფერო, რაც გვარის ან პირის ახალ სამოსახლოში გადასახლებასთანაა დაკავშირებული.

ვახუშტი წერს: არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მალრან-დავადეთითურთ, არიან დუალეთი და კუალად დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდარის მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ დუალეთილამ გარდასულნი რჭულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავენი ურთიერთა“.

მთაში დარჩენილი მოსახლეობა დღესაც ინახავს ზეპირგადმოცემას ვახუშტის ამ თეორიის შესახებ და სრულიადაც სამართლიანად. ყველამ კარგად იცის თავისი წარმომავლობა, რასაც ახლავე შესწავლა და გამომზეურება სჭირდება.

ლიტერატურა

**ვახუშტი, 1895** — ვახუშტი ბატონიშვილი, საქ. გეოგრაფია, II წიგნი, ტფილისი, 1895.

**ჯავახიშვილი, 1967** — ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.

## On Some Family names in "The International Census of the Ksani Valley"

### Summary

"The International Census of the Ksani Valley" of 1774-81 presents interesting data for investigation of the Ksani variant of the Kartlian dialect. As is known, high social class family names consist of two members.

In contrast the low social class family names encountered in the census have a two-element structure. The paper examines the phenomenon in question and attempts to interpret it.

## ზაზა ოთინაშვილი

## დვალეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ

ხალხთა წარმომავლობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ ხალხის წარმოდგენას სხვა ხალხებთან თავისი ნათესაური კავშირის შესახებ. ამგვარ წარმოდგენას ყოველთვის აქვს გარკვეული საფუძველი — ტრადიცია. ძველი წერილობითი წყაროების გაცნობა გვიჩვენებს, რომ დვალეებისა და ოსების ტრადიცია არ არის იმდენად ფესვგადგმული, რომ მას წყაროთმცოდნეობის ღირებულება ჰქონდეს.

ეთნიკური ერთობა დაფუძნებულია წარმომავლობის, ენის, ტერიტორიის, სახელმწიფოს, კულტურის, რელიგიის ერთიანობაზე.

ეთნიკური ერთობის პრობლემის გადასაჭრელად ისტორიული მიდგომა აუცილებელია, რაც ჩამოთვლილ ნიშნთაგან ზოგს ერთ ეპოქაში, განვითარების ერთ ისტორიულ სტადიაზე აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ზოგს კი სხვა ეპოქაში.

დვალეების ეთნიკური ატრიბუციისა და ეთნოგეოგრაფიის საკითხების გაშუქება წარმოუდგენელია ამ ტომის შესახებ წერილობითი წყაროების კვალიფიციური ანალიზის გარეშე. ამჟამად კი ბევრი საკითხი კორექტირების გარეშეა დატოვებული და მკითხველის დეზორიენტაციას იწვევს.

ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერაში“ კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე და ამჟამად ე. წ. ჩრდილო ოსეთში შემავალ მიწა-წყალს დვალთა პირველ საცხოვრისად თვლის.

ანტიკური წყაროები (პლინიუს პირველი, სტრაბონის „გეოგრაფია“) გვარწმუნებს, რომ დვალეები ჯერ კიდევ ახ.წ. I საუკუნიდან ჩნდებიან ისტორიულ ასპარეზზე ცენტრალურ მაღალმთიან ზონაში ნარ-მამისონის ქვაბულში.

ვახუშტის თქმით, ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნიდან ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი ნარ-მამისონის ქვაბული, რომელიც დღეს არღონადაა წოდებული, მის შემდინარეთა ხეობებში — ნარა,

ზახა, ხრამაგა, კასრის კარი, ჟღელე „იყვნენ მორჩილემასა მეფეთა ქართველთასა და მომცემელნი ხარკთა“.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე შრომაში „ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში“ (უნივერსიტეტ. შრომები, VII, 1938), აღნიშნავს, რომ „უკეთეს გინდეს ცნობად თუ რაოდენი ნათესავნი არიან ქვეყანასა ზედა (ჩამოთვლილია სამოცამდე ერი და ეროვნება) — ქართველი, სვანი, მეგრელი, დვალი, თუში, ალანი — ეს უკანასკნელი მკვეთრად არის გამოჩენილი დვალისგან. აღნიშნული წყარო დათარიღებულია XIII საუკუნით.

მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ქსნის ერისთავთა მატეანის „ძველი ერისთავთა მიხედვით, დვალეთს განეკუთვნება მონაკვეთი კომკადან ხოჯამდე, რომელნიც არიან „კომკელი-ოსებურნი, თლეველ-მულსვეველნი, კელეურ-კაბუშურნი, სოსხოელ-წუბენისხველნი, ხოჯაელ-წავლნი“.

დვალთა განსახლების ადგილი აღნიშნული წყაროს მიხედვით პატარა ლიახვის ხეობაშიც ლოკალიზდება, სადაც ბევრი ქართული ტოპონიმი ავლნუსხეთ.

სპეციალურ ლიტერატურაში ტოპონიმი მალრან-დვალეთი აიხსნება, როგორც ტყიანი დვალეთი ან ზემო დვალეთი. ხოლო ბატონ ვახტანგ გამრეკელის მოსაზრება ამ ტოპონიმის ქისტურ ენობრივ კუთვნილებად მიზანშეწონილია, რადგან რეგიონში სხვა ენობრივი ერთეულებიც მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით იხსნება.

დვალეთში გვხვდება ტოპონიმი ზეგარი, იგივე ზემო მხარი „ხოლო ვირბელ განილაშქრა ზემოსა მხარსა და ჩავიდა სოსხოს“. ტოპონიმი აღწერილობითია და მაორიენტირებელი ხასიათი აქვს. სხვა ტოპონიმებიც საინტერესოა არქაულობის თვალსაზრისით. ავზანა — წყარო და მინდორია ყელის ტბის ძირში, პატარა ლიახვის სათავის აღმოსავლეთის ქედზე. ავზანს ისეთ წყაროს უკეთებენ, რომელსაც ხის ან ქვის დიდი გობი აქვს დადგმული. საბა ასე განმარტავს: ავზანი წყლის სადგური. აღსანიშნავია, რომ დვალეთის ტერიტორიაზე არაერთი ასეთი ტოპონიმ-ჰიდრონიმია, რომლებიც, მართალია ნასოფლარებშია, მაგრამ ბარიდან ამოსულმა მწყემსებმა ტრადიციით კარგად იციან.

ბოძალა — ეს სახელი ჰქვია პატარა ლიახვის ზემო წელზე უტყეო სერს, რომელიც საძოვარია. აღსანიშნავია, რომ ქართლის ბარში ისტორიულ გვერდის ძირზე (ჯარიაშენიდან ვანათამდე), სო-

ფელ დისევის აღმოსავლეთით წყალგამყოფ ქედს ჰქვია ორბოძალი.

ბოძალო ძველ ქართულში ორპირ ისარს ეწოდება, საბა კი განმარტავს, როგორც ქეიბური.

ედისი — მცირე დასახლებაა დვალეთში. ვახუშტი ამაზე აღნიშნავს: „... და სმენ ბუნებურნი უწოდებენ ვეძას“.

უეჭველია მაშინ მხარეში ქართველობა ცხოვრობდა და სახელიც მათივე შერქმეული იქნებოდა.

ხოხის მთა, ანუ ხოხის კავკასი, აღწერილი აქვს ვახუშტის და დატანილია მის რუკაზე, მისივე განმარტებით ამ მთაზე „კაცი და ცხენი ხოხვით გადავა“. სახელშმნა ხოხვამ მოგვცა ხოხა — ხოხი, ქართულისათვის დამახასიათებელი ვ ბგერა დაკარგულია.

მხოლოდ ქართული ენის საშუალებით აიხსნება კოშკი — კოშკა — კოშკები (კოშკების მხარე), როკი — ჩამოროკილი კლდე, კასრის კარი ანუ ხევი — აქედან გვაქვს გვარი კასრაძე, ყელი, ზეკარი, ბრუტსაბძელი, ქნოლო, ქნოლოელნი და სხვა.

როგორც ჩანს, დვალეთის ტოპონიმთა ქართულია, იგი ეთნიკური თვითშეგნების შესაბამისია, მაგრამ უპირველესად ის უნდა შევისწავლოთ გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით. მაგრამ აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, როგორც ენა თუ როგორც დიალექტი?

ლიტერატურა

**ვახუშტი, 1895** — ვახუშტი ბატონიშვილი, საქ. გეოგრაფია, II წიგნი, ტფილისი, 1895.

**მესხია,** — შ. მესხია, ძველი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ.,

**შრომები, 1938** — თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VII, 1938.

## On Some Toponyms of Dvaleti

### Summary

As is known, ethnic entity is based on the unity of descent, language, territory, state, culture and religion. To solve the problem of attribution of the Dvalis it is essential to investigate the written records on the tribe in question. According to the manuscript "**Zegli Eristavta**" Dvaleti stretches from Koshki to Khoja. It includes the valleys of the Greater Liakhvi, the Lesser Liakhvi, the Ksani and the Kedar. The paper maintains that the toponyms of Dvaleti are of Georgian origin, for instance, Maghran Dvaleti means Woody Dvaleti.

## მეფა რიშვაძე

## „ტბეთის სულთა მათიანის“ ტოპონიმია

ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების გარიჟრაჟზე ჩვენი წინაპრები მთებსაც, მდინარეებსაც, ტბებსაც ზოგადი შინაარსის სიტყვებით აღნიშნავდნენ. მოგვიანებით ესა თუ ის გეოგრაფიული ობიექტი ერთიმეორისაგან განასხვავებს უამრავი ნიშნის მიხედვით, რასაც მოჰყვა სახელწოდებათა შექმნა. ამ სახელწოდებათა, ანუ ტოპონიმთა შესწავლა მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის სოციალურ-კულტურული ყოფის ისტორიის გასაცნობად. გეოგრაფიულ სახელებში ხშირად ასახულია ეთნონიმაც ე. ი. ტომთა სახელები, ადგილის პირველმფლობელის, ან აქ ადრე თუ ამჟამად მცხოვრები პიროვნების გვარი, სახელი, მეტ-სახელი.

ჩვენ განვიხილავთ შუა საუკუნეების წერილობით ძეგლში „ტბეთის სულთა მათიანეში“ დადასტურებულ ტოპონიმებს. იგი სამხრეთ საქართველოშია შექმნილი და ბუნებრივია, მასში დაცულია იქაური ტოპონიმია. ვიდრე მათიანეში მოხსენიებულ ტოპონიმებს ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, საინტერესოდ გვეჩვენება მოვიყვანოთ ნაწყვეტი შ. ფუტყარაძის წიგნიდან „ჩვენებულების ქართული“.

„მინდიეთსა ახლა მარალქოი ქვია. გამოუცვალა ჰუქუმეთმა ძველი სახელი. მარა ყულამ ვიციოთ..., გურჯები რავგარ მიექცევიან, რა ვიცი. დეიმახსოვრენ ჰერელდა ისინიც.“

მაჭახელი! მაჭახელი მოდის მაჭახელიდამ, მაჭა და ხელი ხომ გაგაგებე ჰა! მაჭაზე ხომ ხელი ტევანია მობმული თითებით, ისეა მიბმული მაჭახლის პირზე, მაჭახლის ღელიები და სოფლები.

დევეწყით ჩამოსახელება: მინდიეთის ღელე მოდის ყელობა თის სერებიდამ. ჩამეიარს თა ყელობას, სოფელ აკრიას, სოფელ მინდიეთს ირემეთ, ჩამეიარას ხერთვის. აქ შეეყრება ეფრატის ღელესა. ეფრატის ღელე გამოვა ჩიქუნეთის მთის სერებიდამ, ჩამეიარას გორგოთი იაილას, ჩამუა სოფელ ეფრატში, ჩამუა სოფ.

ქუაბისთავ. გაღმა სოფელი ზედვაკე ჩება. ხერთვის შეიყრებიან ეფრატის ღელე და მინდიეთის ღელე... თქუნ თერეფ ჩება ქავთარეთი სამძღვართან ახლოს არი. მემრე მოდის საფუტკრეთი, მემრე გორგაძეთი. თურქიეს თერეფზე ქართარეთის გადაღმა, სამძღვარ გადაღმა არი სოფლები — მალაყმაძეთი და ზედვაკე“ (ფუტყარაძე, 1993, 337).

„იმერხვე, შავმეთ გურჯი სოფლები ბევრია: დავითეთ, ზაქიეთ, დაბა, ბზათა, ქოქლიეთი“ (იქვე, 235).

ქვემო აჭარის კიბეს უნდა გულისხმობდეს გვარსახელი კიბელისძე: „სულსა კიბელისძესა კვირიკესსა და მეუღლესა დუდასა და მისთა მშობელთა შეუნდვენ ღმერთმან“ (ტ. ს.მ., 125).

კიბე — აჭარისწყალ-ჭოროხის შესაყართან მარჯვნივ მდებარეობს, შედის აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში.

კიბის მეზობელი ერგე ამოიცნობა სულის მოსახსენიებელში:

„სულსა ერგელის, სულსა გაბრიჩისძის დავითის და მისის მეუღლის თინას შეუნდვენ ღმერთმან“ (ტ. ს.მ., 134).

ერგე ამჟამად ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოშია.

სუფიქსური წარმოება ქართულ ტოპონიმიაში საკმაოდ გავრცელებულია და მას ყველა წერილობით წყაროში ვხვდებით. განსაკუთრებით გავრცელებულია **-ეთ** ბოლოსართი. თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სუფიქსით გაფორმებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეთა სახელები კახეთი, ჯავახეთი, მესხეთი, იმერეთი...

„ტბეთის სულთა მათიანეში“ დაცულია გეოგრაფიული სახელი მირვეთი, რომელიც ძეგლის გამომცემელს საძიებლებში არ აღუნიშნავს. მირვეთი დღეს სოფელია ხელვაჩაურის რაიონში, გაშენებულია ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. სახელწოდებაში **-ეთ** სუფიქსის გამოყოფა ეჭვს არ იწვევს, ხოლო ფუძეში ბოლოკიდური **გ** თანხმოვანი ხმოვნის რედუქციის შედეგი უნდა იყოს (ე. ი. მირვეთი < მიროეთი). ტბეთის მათიანეშივე დადასტურებულია მიროელი:

„სულსა წითალაეთ გიორგისასა და მისისა მეუღლისა მიროელისასა შეუნდვენ ღმერთმან“ (ტ. ს.მ.)

ახალი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით მოსალოდნელი იყო მიროეთელი, მაგრამ სადატურობის **-ელ** სუფიქსის დართვისას მატოპონიმებელი **-ეთ** სუფიქსი მოკვეცილია. ახლა ვამბობთ ტბეთელი, ძველ ქართულში კი იყო ტბელი (შანიძე, 1980, 124).

ჩხუტუნეთი მოიხსენიება შემდეგ მოსახსენიებელში:



„სულსა ყოველთა ჩხუტუნეთით შემომწირველთა... შეუნდვენ ღმერთმან“ (ტ.ს.მ. 427).


ჩხუტუნეთი ამჟამად ორია: ზედა და ქვედა. ერთიც და მეორეც ხეობის მარცხენა მხარეზეა. როგორც ზედა, ისე ქვედა ჩხუტუნეთი რამდენიმე უბნად იყოფა. ქვედა ჩხუტუნეთში შედის ბაღუყვეთი, დავითეთი, კოსტანეთი..., ხოლო ზედა ჩხუტუნეთისაა: გვიანეთი, ძნელიეთი, ცხადაეთი, კახიეთი. ტოპონიმებად ქცეული აღნიშნული გვარსახელებიდან ნაწილი დადასტურებულია მხოლოდ სულთა მატთანში, ნაწილს კი დღემდე მოუღწევია (სიხარულიძე, 1961, 130). ჩხუტუნეთი შესაძლოა გვარსახელური წარმოშობისა იყოს. ამას გვაფიქრებინებს საკუთარი სახელი ჩხუტუნია, რომელიც სულთა მატთანში მოიხსენიება. ამ სახელით თუმცა ქალი იხსენიება, მაგრამ ქალთა საკუთარი სახელებიდან ცოტა გვარსახელი როდი წარმოდგარა. „ჩხუტუნია“ -**ეთ** სუფიქსის დართვით მოგვცემდა ჩხუტუნეთს, რომელიც შემდეგ გეოგრაფიულ გვარსახელადაც შეიძლება ქცეულიყო და ასე შემორჩა დღემდე.

სინდიეთი ამჟამად მაჭახლის ხეობის სოფელია. თინა ენუქიძე ამ სოფელს შეცდომით თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში ასახელებს. „ტბეთის სულთა მატთანში“ მოიხსენიება ვინმე სინდასძე, მაშასადამე, დღეს რომ გვაქვს სახელწოდება სინდიეთი, მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო სინდაეთი.

ჩიქუნეთი მოიხსენიება ერთ-ერთ მოსახსენებელში. ამჟამად იმგი ქვემო მაჭახლის სოფელია. ეს სახელწოდება ლიტერატურაში ზოგჯერ ჩუქუნეთადაა სახეცვლილი, ზოგჯერაც ჩიქუნელად (სიხარულიძე, 1959, 155). ამჟამად მისი უბნებია: გორიეთი, ბასილეთი, ხინკილეთი, კირკიტეთი, ქოქოლეთი, სიკალეთი (სიხარულიძე, 1959, 135). ამ სოფლების გვარსახელებიდან ჩვენს ძველში იხსენიება ბასილაძე, ხინკილაძე, ქოქოლისძე (ქოქოლური) და სიკალეთი. „ტბეთის სულთა მატთანში“ არ გვხვდება მხოლოდ პირველი (გორაძე), მაგრამ ეს გვარსახელიც რომ ძველია ამას ადასტურებს ტოპონიმი გორიეთი.

იგივე სუფიქსი გამოიყოფა გეოგრაფიული ნომენკლატურის ქართულ სახელთა მაწარმოებლად XII-XIV სს. წერილობითი ძეგლების შესაბამისი მონაცემების მიხედვით მკვლევართა მიერ გამოტყმულია აზრი, რომ -**ეთ** ძველად ადამიანთა გვარებსაც აწარმოებდა. კ. დონდუა თვლის, რომ -**ეთ** სუფიქსიანი გვარსახელები უფრო არქაულია,

ვიდრე **ძე** და **ზეილ** სუფიქსიანი (დონდუა, 1967, 101). როგორც აქედან გამომდინარეობს, -**ეთ** სუფიქსით წარმოებული გვარსახელები შემდეგ ქართულ გეოგრაფიულ სახელებად ჩამოყალიბდა. ამ თვალსაზრისით გვარსახელური წარმოშობის უნდა იყოს ტოპონიმები:



„ტბეთის სულთა მატთანში“ მოხსენიებულია -**ეთ** მაწარმოებლიანი ტოპონიმები:

სიოეთი, სინდაეთი...

მაჭახლის ხეობის ონომასტიკაში -**ეთ** სუფიქსის გავრცელების სიხშირე სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. არნ. ჩიქობავა განიხილავს ტოპონიმთა სამ მაწარმოებელს: -**ეთ**, **სა-ეთ**, **სა-ე** და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამათგან უძველესი უნდა იყოს **სა-ეთ** წარმოება, სადაც **სა-** თავსართი ნივთის კატეგორიას მიუთითებდა, ხოლო -**ეთ** რისამე მქონეობას. ნივთის კატეგორია ქართულში მოიშალა, ამიტომ **სა** თავსართის საჭიროება აღარ იყო და იგი დაიკარგა. დაგვრჩა -**ეთ** რისამე მქონეობაზე მიმანიშნებელი აფიქსი (ჩიქობავა, 1974, 69).

-**ეთ**-ის ანალოგიური სემანტიკის უნდა იყოს -**ათ** სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმებიც. ეს სუფიქსი არც თუ ისე ხშირია, „ტბეთის სულთა მატთანში“. ამ წარმოების სულ ორი ტოპონიმი მოვიპოვეთ: ბზათი და კირნათი.

სპეციალურ ლიტერატურაში **ათ** სუფიქსიანი სახელები საზღვრულ დაკარგულ ფორმადაა მიჩნეული. ვ. თოფურის აზრით, ასეთი ტიპის სახელებს „დროთა ვითარებაში უნდა დაჰკარგვოდათ მეორე შემადგენელი ნაწილი და ჰქონოდათ ემფატიკური **ა**, რის შედეგსაც უნდა წარმოადგენდეს დღევანდელი ბალთა, ბერთა, ბზათა“ (თოფურია, 1956, 288). ა. შანიძე -**თა** სუფიქსიანი სახელებს ნაგენტივარს უწოდებს, „რომელთაც რაღაც საზღვრული უნდა ჰქონოდათ ერთ დროს (დაბა, სოფელი, ციხე), მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი დანიშნულება და დამოუკიდებელი გამხდარა“ (შანიძე, 1973, 144). ნ. ცეცხლაძეს დადასტურე-

ბული აქვს იმერხევში სოფ. წყალსიმერის უბნის სახელწოდება ბზათა (ცეცხლაძე, 1998, 59), ტოპონიმი ბზათა მომდინარეობს მცენარის სახელისაგან. კირნათი კი მაჭახელის სოფელია დღესაც.

„ტბეთის სულთა მატთანეში“ დასახელებული პუნქტია ხერთვისი. იგი სოფელია აჭარისწყალ-ჭოროხის შესაყართან. ამავე სახელწოდებითაა ცნობილი სოფელი მაჭახლის ხეობაშიც. ხერთვისის სახელით საერთოდ საქართველოში რამდენიმე ადგილია ცნობილი. ყოველი მათგანი მდინარეთა შესაყართანაა. ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით ხერთვისი არის კუნძული ან ნახევარკუნძული (ქ.ე.გ., 1964). საბას განმარტებით „ხერთვისი ეს არს წყალთა და ზღვათა საშუალ ზედ ადგილი, ჭალაკი. ხევთ შესაყარი (საბა, 1966, 191). შანიძის მტკიცებით, საბასეული გაგება მართებული არ არის. იგი ასკვნის, რომ „ძველი ტექსტების მოწმობით, ხერთვისი აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე ნახევარკუნძულსაც, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არც არსებობდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარკუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარკუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით არის წარმოდგარა. ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი ხერთვისი საკუთარ სახელად იქცა ქართულში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი (შანიძე, 1922, 271). მას „ერთვის“ ზმნის ფორმასთან აქვს კავშირი და ცნობილი ხანმეტი ფორმაა, რომელიც ა. შანიძეს აქვს გამოკვლეული (შანიძე, 1981, 157).

**-ა** სუფიქსით ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი ჯოჭო.

„... სულსა ჯოჭოელისა ჭანისძისა გრიგოლის...“ (273).

სპეციალურ ლიტერატურაში **-ა** მიჩნეულია დამოუკიდებელ ტოპო ნაწარმოებლად (ზურაბაშვილი, 1961, 152). ფ. მაკალათია ფშავის ტოპონიმიკურ მასალაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ **-ა** არის **-აბ** სუფიქსის გაცვეთილი ფორმა ფერდო >ფერდობი, გვერდო > გვერდობი. ნიშანდობლივია, რომ ფშავ-ხევსურულ ზოგ ტოპონიმს, რომელიც **-ა** ნაწარმოებელს არ გვაგვარაუდებინებს, აჭარაში **-ა** ხმოვნით ნაწარმოები შეესიტყვება.

ჯოჭო ამჟამად სოფლის სახელია ხელვაჩაურის რაიონში. იგი არის ზემო და ქვემო.

„ტბეთის სულთა მატთანე“ მოხსენიებს აგრეთვე ევფრატით შემოწირველობას. ზემო მაჭახლის ეს სოფელი ხშირად „ევფრატ“

ფორმით გვხვდება (ივერია, 1878 წ. №47). ხალხური ეტიმოლოგიით ეს სახელწოდება ვითომთ მომდინარეობს სიტყვისგან „იმფრათ“ (ვაზ. „დროება“, 1879, №187). ევფრატი ერთ დროს მთელს მაჭახელაში განთქმული იყო ეკლესიით, რომლის აშენებას ხალხი თამარ მეფეს მიაწერს და მასზე ლამაზი ლეგენდაც შემოუნახავს (ჭიჭინაძე, 1895, 146).

**-ია** სუფიქსი უნდა გამოიყოს მოსახსენებელში დადასტურებულ აკრიაში, რომელიც ზემო მაჭახელაში მდებარებს.

რთული გეოგრაფიული სახელია ზენდიდი, რომელიც მოიხსენიება შემდეგ კონტექსტში:

„სულსა გიორგასძის ზენდიდელის პაპასა და მისა მეუღლეს ნათელის შეუნდვენ ღმერთმან“ (309).

ჭანური ზენი, მეგრული რზენი, რომელიც ამ სახელში გამოიკვეთა, ქართულად ნიშნავს ვაკეს (ჩიქობავა, 1938, 186). ე. ი. ზენდიდი არის ვაკე დიდი. დღეს ეს სოფელი ქედის რაიონშია.

ზედვაკე ორი ფუძის შეერთებით არის მიღებული. იგი წარმოადგენს თხზულ სახელს. პირველი შემადგენელი ნაწილი ზმნიზედაა, მეორე კი არსებითი სახელია. დღეისათვის ზედვაკე დასტურდება თურქეთის ტერიტორიაზე სათესი ადგილის სახელად. ტოპონიმად გვხვდება ტბეთშიც (ცეცხლაძე, 2000, 181).

„ტბეთის სულთა მატთანეში“ მოხსენიებულია ქალაქი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება თბილისი (ტ.ს.მ., 45) და სწორედ აქ გარდაიცვალა მოხსენიებული პირი:

თევთისძესა, რომე ქალაქს მოკვდა, გიორგის შეუნდვენ ღმერთმან (ტ.ს.მ., 86).

საგანგებოდ არის მოხსენიებული, რომ ის წარმოშობით ქალაქიდან კი არ არის, არამედ იქ გარდაიცვალა. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ მხარეში ყოფილიყო ასეთი სახელწოდების ტოპონიმი. ასეთი ტოპონიმის არსებობაზე მიუთითებს სხვადასხვა მხარეებში გავრცელებული სახელწოდება: ნაქალაქევი, ნოქალაქევი, ახალქალაქი. მატთანეში მოხსენიებულ ევფრატთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილა ადგილი ნაქალაქარი. შესაძლოა სწორედ ამ ადგილზე იყო ძველად ძველში მოხსენიებული ქალაქი. ამ შემთხვევაში ის ალბათ აღნიშნავდა უბრალოდ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს.

**დონდუა, 1967** — ვ. დონდუა, ლიპარიტეთისა და ანალოგიური გვარსახელებისათვის. ქართულ ისტორიულ წყაროებში, საისტორიო ძიებანი I, თბ., 1967.

**თოფურია, 1956** — ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში წ. I, თბ., 1956.

**ს.ს. ორბელიანი, 1966** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.

**სიხარულიძე, 1958** — ი. სიხარულიძე, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმთა, წ. I ბათ., 1958.

**სიხარულიძე, 1959** — ი. სიხარულიძე, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმთა, წ. II ბათ., 1959.

**ტბეთის სულთა მათიანი, 1977** — თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977.

**ფუტყარაძე, 1993** — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული. ბათ. 1993.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

**შანიძე, 1980** — ა. შანიძე, თხზულებანი III, თბ., 1980.

**ჩიქობავა, 1974** — არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა, იკე, XIX, თბ., 1974.

**ჯორბენაძე, 1975** — ბ. ჯორბენაძე, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმთაში, ტოპონიმთა, I, თბ., 1975.

## The Toponymy of "Tbeti Annals"

### Summary

"The Annals of Tbeti" was written in Southern Georgia in 12-17c.

The toponyms encountered in the manuscript can be grouped in the following way:

1. The toponyms with a simple stem: Kibe, Daba, Erge, Kheba etc.

2. The toponyms with suffixes:

a) with the suffix **et** - Indaeti, Sisoeti, Chikuneti etc. It should be noted that nowadays the analogical toponyms are encountered in the Machakhala valley and in Imerkhevi. The suffix et seems to have been added to the anthroponyms to form geographical names.

b) with the suffix **t** Bzata, Kilnati etc.

c) with the suffix **o** - Jocho

d) with the suffix **ia** - Akria

z) Compounds - Zendidi, Zedvake etc.

The investigation of the mentioned toponyms in reference to the toponyms of Southern Georgia may reveal many interesting and important data for the history of Georgian language and historical geography.

ქეთევან სასკვანიაძე.

### ონიშთა გეცნიერული და ხალხური (არამეცნიერული) ეტიმოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ

საკუთარ სახელებთან მჭიდრო ურთიერთობის გამო ადამიანები დიდ დაინტერესებას იჩენენ მათ მიმართ და ცდილობენ გაუგებარი ონიშების ახსნა-განმარტებას, მათი წარმომავლობისა და სემანტიკის გარკვევას, ამიტომ საკუთარი სახელები, განსაკუთრებით კი ტოპონიმები, უძველესი დროიდან წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ხალხური ეტიმოლოგიზების საგანს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ხალხურ ეტიმოლოგიაში კარგად აისახება მათი ავტორების დაკვირვების, ხატვისა და ფანტაზიის უნარი. ამასთან ერთად, მოყვარული ეტიმოლოგისტი უძღურია გაარკვიოს ონიშის სტრუქტურა, იგი კმაყოფილდება ნაცნობი სიტყვის ან ბგერის უღერადობის მიხედვით გაიაზროს ესა თუ ის სახელი და მის საფუძველზე ახსნას აპელატივის შინაარსი. ამ დროს ყურადღება არ ექცევა, თუ როგორ იშლება სიტყვა, რა ნაწილებისაგან არის აგებული, რა არის ფუძე და აფიქსი; ყურადღება არ არის გამახვილებული სიტყვის ენობრივ კუთვნილებაზე.

მაგალითად, ცნობილი ხალხური ეტიმოლოგიით ბახმარო იყოფა ბახ-მარო, სამცხე — სამ-ციხე, ორაგვე — ორა-გვე, რაჭა — რა-ჭა, ვარძია — ვარ-ძია... საკმაოდ გამჭვირვალე სემანტიკის მქონე ტოპონიმია „ვაზიანი“, რომელიც, გრამატიკული ნორმების შესაბამისად, დაიშლება: **ვაზ-იანი** (ტოპონიმის ფუძეა — **ვაზ**, რომელსაც დაერთვის **-იანი** სუფიქსი და ნიშნავს: ადგილს, სადაც ვაზი ხარობს); ისევე, როგორც: **ნიგვზ-იანი** // **კაკლ-იანი**, **ბოლოკ-იანი**, **ლელ-იანი**, **გვიმრ-იანი**, **პანტ-იანი**, **მუნ-იანი** და სხვ... მაგრამ **ვაზიანის** ხალხური ახსნის მოყვარული მაინც ცდილობს გეოგრაფიულ სახელწოდებაში ჩადოს რაღაც ამაღელვებელი, უფრო მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, საყოველთაოდ გასაგები და დასამახსოვრებელი ამბავი. შედეგად უბრალო **-იანი** სუფიქსიანი ტოპონიმი **„ვაზ-იანი“**

ზმნური შინაარსის შესიტყვებად იქცა: „ერეკლეს, როდესაც აქ გაუვლია, მხლებლებისათვის სიამაყით უთქვამს: „მე აქ მტერი **ვაზიანი**“ (ბედოშვილი, 2002, გვ. 147).

ხალხურ ეტიმოლოგიას ონომასტიკაში დიდი ხვედრითი წილი აქვს, მაგრამ გრამატიკული კანონების უცოდინარობა ერთი მხრივ, ხოლო შეუზღუდავი ილუზია მეორე მხრივ, ხშირად აზრის ჭეშმარიტებას აშორებს მოყვარულ ეტიმოლოგისტს და შედეგად უმეტესწილად რეალობის უკუპროპორციულია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თქმულება ხალხის მიერ შექმნილი და მოგონილი ამბავია, მაგრამ ის, იმავდროულად, ისტორიული წყაროც არის, რომელშიც სინამდვილის შემცველი ელემენტი შეიძლება იყოს, ამიტომ ხალხური ეტიმოლოგიის მონაცემთა ხელაღებით უგულბელყოფა არ შეიძლება.

წარმომავლობის მიხედვით ტოპონიმური ეტიმოლოგიები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ რიგში, შესაძლებელია, გამოვყოთ ისტორიულ (ან ლეგენდურ) პირთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები. საგულისხმო ფაქტია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაც კი სწორედ ამგვარი ანთროპოტოპონიმების წარმოდგენითა და დახასიათებით იწყება:

[თარგამოსი] „სხვა შვილებთან ერთად წამოვიდა ჩრდილოეთისაკენ და დაბინავდა ამიერ-კავკასიაში. მისს შვილებს ერგოთ: ქართლოსს — ქართლი, ჰეროსს — ჰერეთი, ეგროსს — ეგრისი, ბარდოსს — ბარდავი, მოვაკანს — მოვაკენთი, ლეკოსს — ლეკეთი და კავკაზოსს — კავკასია...“ (ჯანაშვილი, 1906, გვ. 6).

ხალხურ ეტიმოლოგიაში ტოპონიმთა წარმოშობას არცთუ იშვიათად გამოგონილი ისტორიული ამბავი ედება საფუძვლად: **ახუთი** ერთ-ერთი ძველი სოფელია ჩხოროწყუს რაიონში. მიიჩნევენ, რომ „სახელწოდება წარმოდგა გამოთქმისაგან: „ა ხუთი ჯაიანის ეკლესიაო“. ხალხური ლეგენდა მას უკავშირებს ცნობილ ისტორიულ ფაქტს: 1572 წ. ლეჩხუმელმა თავადმა ჯაიანმა ნადირობისას ცხენი დააჭახა და ხრამში გადაჩეხა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1532-1572). ამის შემდეგ ჯაიანებს ლეჩხუმში აღარ ედგომებოდათ და გაიფანტნენ — გურიაში, აფხაზეთში თუ დადიანის სამთავროს მივარდნილ ადგილებში. ხუთი ძმა ჯაიანი ახუთის მიდამოებში დასახლდა და ცოდვის გამოსასყიდად აქ ააგო ეკლესია, რომელსაც ზემოხსენებული სახელი ეწოდაო. რა თქმა უნდა, ახუთის სახელწოდება

ბის ასეთი ახსნა დაუჯერებელია... ახუთი შესაძლოა **ახო**-საგან იყოს მიღებული („ახოეთი“, ახოებიანი ადგილი“) (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 426).

არცთუ იშვიათად ქართულ ტოპონიმებს ხალხური „მეისტორიები“ უცხოენოვანი ლექსიკური ფონდის საფუძველზე განმარტავენ: მაგალითად, **„ღმერთის მოცემული“** ასე განმარტავს კ. ჰანი თავის ლექსიკონში ტოპონიმებს **ბაღდადი** (რუს.) (ჰანი, 1909, 20) და **ალლა-ვერდი** (თათრ.) (ჰანი, 1909, 9); ან კიდევ: **თელავი**, ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, უკავშირდება სომხურ გამოთქმას: **თელავ** — „თუ კარგია“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 450), მაშინ, როდესაც არნ. ჩიქობავა ამ ტოპონიმის წარმოშობას სამართლიანად უკავშირებს მცენარე **თელას** სახელს: **თელ-ავი ← თელ-ევ-ი**, რაც ნიშნავს „თელიანი, თელნარი ადგილი“ (ჩიქობავა, 1926, გვ. 307).

სხვადასხვა წარმოშობის ტოპონიმთა შორის საკმაო ადგილი უკავია რელიგიურ-საკულტო, წმინდანებთან დაკავშირებულ (ბიბლიურ) გეოგრაფიულ სახელებს. სპეციალურ ლიტერატურაში მათ **აგიონიმებსაც** უწოდებენ (ღლონტი, 1988, 255). ასეთ ტოპონიმთა შორის ნიმუშად დავასახელებთ რამდენიმეს: **გიორგწმინდა, ნინოწმინდა, თაბორი, ამაღლება, კობალა... „კვრიკეთის მთას** უწოდებენ ეკლესიისთვის, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის **კვირიკესი“** (ვახუშტი, 1973, გვ. 318)...

ხშირად ხალხური ეტიმოლოგისტის ფანტაზიის უნარი უფრო შორსაც მიდის და საკულტო-რელიგიურ ადგილად მიიჩნევს თავისთვის სასურველ ობიექტს. მაგ., „ადგილს **ვერძა** იმიტომ შერქმევია, რომ აქ ოდესღაც მდგარა ოქროსრქიანი ვერძი, რომელსაც ხალხი აღმერთებდა, მიდიოდნენ, ლოცულობდნენ, სანთელს ანთებდნენ რქებზე და საქონლის გამრავლებას ეხვეწებოდნენ“ (ბედლოვილი, 2002, გვ. 151). რა თქმა უნდა, ტოპონიმის ეტიმოლოგია სინამდვილეს არ ასახავს და ის წარმოშობით იმ ადგილებში მინერალური წყლის, ვეძის, არსებობას უკავშირდება.

ხშირად გეოგრაფიულ სახელთა ხალხური ეტიმოლოგიები ადამიანთა სოციალური ცხოვრების ამსახველია: „მდინარე **ქცია**... ანუ ვინათგან აქცევს ჳიდთა, რავდენიცა მტკიცე ქვტკირისა იყოს, მის გამო იწოდა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 318). მსგავსი ნიმუშები უამრავია: **„გუფთა** თურქ. სიტყვიდან **kyıfta**, რომელიც განსაკუთრებული საჭმლის სახელია. ერთ-ერთი თურქი ფაშა, რომელიც ლაშქრობიდან

ბრუნდებოდა, ამ სოფელთან გარდაიცვალა. მისი სულის საცხოვნებლად, გუფთით გამართეს ქელეხი (ჰანი, 1909, 41). ამ ტოპონიმის მეცნიერული ახსნა სხვაგვარია; იგი მიიჩნევა **-თა** ფორმანტით გაფორმებულ ქართულენოვან ონიმად: **გუბ-თა → გუფ-თა**.

ამრიგად, თქმულება-ლეგენდებს საფუძველად უდევს ხალხური წარმოდგენები, მითოლოგიურ-რელიგიური ასპექტები, ადამიანთა სოციალური ან ყოფითი ცხოვრების ამსახველი ამბები. ათასწლეულებს მიღმა ჩამოყალიბებული და არსებული რწმენა-წარმოდგენები ამაჟამადაც იჩენს თავს, ამდენად ხალხური ეტიმოლოგიების ქმნალობას დროის საზღვრები არა აქვს. იგი არსებობდა, განაგრძობს არსებობას და მომავალშიც იარსებებს, რადგან, მართლაც, ჳეშმართად არა აქვს საზღვარი ადამიანთა შემოქმედებით ფანტაზიას, მხატვრულ (პოეტურ) აზროვნებას. საკუთარ სახელებთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდები, თქმულება-გადმოცემები, მითები შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერი ხალხის მიერ. არსებითი ამ დროს ონიმის მნიშვნელობა, მისი სემანტიკური გააზრება და შემოქმედებითი ფანტაზიის ხარისხია.

ონომასტიკაში ეტიმოლოგიის წინა პლანზე წამოწევა ხელს უშლიდა ტოპონიმის, როგორც ენათმეცნიერების დარგის ჩამოყალიბება-განვითარებას. მაგრამ თანდათან გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა სახელთა ეტიმოლოგიების მეცნიერული მეთოდოლოგია, რომლის მიზანი არის ის, რომ, შეძლებისდაგვარად, აღიკვეთოს ნებისმიერობა, როგორც სიტყვის ანალიზის, ისე შემადგენელ ნაწილთა გააზრებისას. „მეცნიერული ეტიმოლოგია სიტყვისა გამოირიცხავს შემთხვევით მსგავსებასა და ცვლილებებს და ფონეტიკურ შესატყვისობათა წარმოჩენას გულისხმობს.“ ამიტომ „სიტყვის მეცნიერული ეტიმოლოგია შესაძლებელია როგორც მონათესავე ენათა, ისე თვით ერთი ენის მასალაზე, რომლის ისტორიულ-მედარებითი შესწავლით უნდა განვსაზღვროთ ფონეტიკურ შესატყვისობათა კანონზომიერებანი და ამ გზით დამაჯერებელი სახე მივსცეთ სიტყვის თავდაპირველი სემანტიკის გაგებას“ (ღლონტი, 1988, გვ. 120).

ამდენად, სასურველია, მკვლევარი გაეცნოს ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელის შესახებ არსებულ ლეგენდა-თქმულებებს და კრიტიკულად შეისწავლოს მისი მონაცემები, რადგან ისინი წერილობით ძეგლებს ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციებით უსწრებს, ამასთანავე განაგრძობს არსებობას მასთან ერთად, როგორც წყარო

ხალხის შემოქმედებითი გენიისა.

ლიტერატურა:

**ბედოშვილი, 2002** — გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002.

**ვახუშტი, 1973** — ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

**ღლონტი, 1988** — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

**ჩიქობავა, 1926** — ჩიქობავა არნ., **ონ** სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, თბ., 1926.

**ჭუმბურიძე, 1987** — ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.

**ჯანაშვილი, 1906** — მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, უთქველეს დროითგან 985 წლ. ქრ. შ., ტფ., 1906.

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

**ჯანი, 1909** — Ганн, К., Первый опыт объяснений Кавказских географических названий, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, (СМОМПК), вып. 40, IV отд., Тиф., 1909.

**KETEVAN SARSEVANIDZE**

### On the Relationship Between Scholarly and Folk Etymologies of Onyms

#### Summary

As is known, toponyms have been the subject of folk etymology for time immemorial. Folk etymology is imaginativa, however it fails to explain the structure of onyms. Very often folk etymology associates toponyms with the legends explaining their origin. Folk etymology hindered the development of toponymics as a linguistic discipline. However, gradually scholarly methodology towards the etymology of onyms has been formed.

კონსტანტინე კაკიბაძე

### ბუკი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობები

განიხილავს რა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „დაბადების თარგმანში ბუკი, თუ არა ვცდები, არსად ნახმარი არ არის. ქართულ საისტორიო თხზულებებში კი და სხვაგანაც საკმაოდ ხშირად გვხვდება. მაგ. მათიანე ქართლისაის მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც ბაგრატ IV-სთან სტუმრად მოსული თავისი სიმამრი, ოვსთა მეფე, სადარბაზოდ უნდა მიედო, „იყო სიხარული და ჯმა ბუკთა და [დ]უმბულთა საშინელი და მიუწლომელი“. ცხადი ხდება, რომ საზეიმო დახვედრის დროს ბუკთა ახმაურება წესად ჰქონიათ... უკვე შავთელის „აბდულმესიათაგან“ ჩანს, რომ ბუკი და ტაბლაკი მე-12 ს. თვით საქართველოში მართლაც სამხედრო საკრავთა ჩვეულებრივს ჯგუფს ეკუთვნოდა. მას ნათქვამი აქვს:

„დრო შემოიგდო:

დროშა მოიგდო,

მტერი დახოცნის

აოხრებთა,

ბუკ-ტაბლაკობით

საარაკობით

მედგრად იბრძოდის

გამწყაზრებთა“-ო...

ბუკს სამეგრელოში დიდი დღესასწაულების დროსაც უკრავდენ, მაგ., სააღდგომო ლიტანიას წინ სწორედ ორი მებუკე მიუძღოდა ხოლმე...

ბუკის ახმაურების გამოსახატავად ძველ ძეგლებში სხვადასხვა გამონათქვამია ნახმარი, მაგ. ქექაოზის მაზანდარანს გამგზავრების აღწერილობაში ნათქვამია: „მეორეს დღეს გაემართნეს, ქოსსა ჰკრეს და ბუკი ყუიროსა“. ქართული ვისრამიანის ავტორსაც ამ საკრავის ბგერის აღსანიშნავად ნახმარი აქვს „ყურილი ბუკთა“...

საყვირთაგანნი ს. ორბელიანის განმარტებით, ერთმანეთისაგან სიდიდითაც განირჩეოდნენ, მაგ. „ბუკი საყვირია დიდი“-ო, ხოლო ზროხაკული საყვირია მომცრო“-ო, ასევე, როგორც „ყვიროსტური მომცრო საყვირი“-ვე ყოფილა (ჯავახიშვილი, 1990, 166-169).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მითითებულია, რომ ბუკი სპარსული სიტყვაა და იგი განმარტებულია როგორც „რქის ნაღარა; ნოვბათი, ტაბლაკი; **âîîîîîîî ðððððð, ïñññññ, ðîîîîî, îâââââ**, ვეფხ. 46; 416; ბუკის კურა, **âððð ãî îâââââ**.

ისევ ივ. ჯავახიშვილს მოვიხმობთ: „აღსანიშნავია, რომ ირანულის „ვისრამიანში“ „ასაყრელთა ბუკთა სცემდეს“ არ არის, არამედ ქართველს ავტორს ეკუთვნის, მაგრამ, სამაგიეროდ, **ბუკის** ირანული შესატყვისობა შაჰი მოაბადისა და ვიროს ომის აღწერილობაში გვხვდება. იქ ნათქვამია: „ორგანითვე დაიწყეს ცემა ქოსთა და ყუიროლი ბუკთა და ყვროსტურთა ხმა იყო-ო. ქართული **ბუკი** ირანული „ვისრამიანის „სურ-ს უდრის, რომელიც მართლაც საყვირს და ნესტეს ნიშნავს“ (ჯავახიშვილი, 1990, 167). სწორედ სურ- ფუძესთან უნდა იყოს დაკავშირებული **მსუამარი** (შდრ. საბა. „ნესტეთ(ა) მბერავი“).

მაშასადამე, ბუკი ჩასახერი საკრავია (**resp.** საყვირია), რომელიც საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებოდა. ქველ-შიც ასეა იგი განმარტებული: დიდი საყვირი (უკრავდნენ ზეიმის დროს, განგაშის შემთხვევაში, ხალხის შესაყრელად...) თუ ლაშქრის შეკრება გინდა, ბუკი უნდა დაუკრაო (ანდაზა). ... || საერთოდ, საყვირი. გაბოროტებული მოფერი ამაოდ აყვირებდა ბუკს (ნ. ლორთქ.).

რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას (საერთოდ, საყვირი), ამ მნიშვნელობით ბუკი ენაში უკვე აღარ გვხვდება, და, საერთოდ, ეს ინსტრუმენტი XIX საუკუნემდე შემორჩენია ქართულ ყოფას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახელწოდებით გვხვდება გარკვეული წესით დამზადებული პატარა საკრავი (ხის ტოტს წვრილ ზოლად შემოხაზავენ, შემდეგ მძიმე საგნის ცემით შემოაძრობენ კანს, დაახვევენ, მისცემენ მილის ფორმას, ვიწრო ბოლოში გაუკეთებენ ენას და ჩაბერავენ), რომელსაც საკმაოდ დიდი ყვირილის ხმის გამოცემა შეუძლია. ამ ბუკს ბავშვები აკეთებენ და სათამაშოდ იყენებენ.

ქველ-ში ბუკ-ი<sup>2</sup> ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოტანილი და განმარტებული: 1. დიდი მრგვალი კუნძი, მორი. 2. კუთხ. (გურ.-იმერ.) იგივეა, რაც სკა (გამოთლილი მორისა, გეჯა). ბაღში მოუწყვიათ საფუტკრე და დგას ასამდე ბუკი (ს. ქვარ.).

ბუკი-ს ეს მნიშვნელობები განხილულია სპეციალურ ლიტერატურაში ლექსემა ფუქასთან („ჭურჭელი ხეთა ხვეწილთა: ტაბაკი, რობა, გობი, როფი, როგო, კასრი, კოდი, ხის თეფში, ჯამი...“) მიმართებით, და მითითებულია, რომ იგი მიღებულია ფუკ- ძირისაგან: „ბუკი მეგრულში ნიშნავს სკას. სკის მნიშვნელობით დასტურდება ბუკი ქართული ენის დიალექტებშიც: გურიაში, აჭარაში, იმერეთში; მისი სხვა მნიშვნელობებია: დიდი კუნძი (გურ., იმერ.); მორი (იმერ.); ბუკი შუაღვიცხლის კუნძია მეგრულში...

ძველ ქართულში დადასტურებულია „ბუკი“ გარეული ფუტკრის მნიშვნელობით: „... და ბუკუთა და ფუტკართა და ბზიკთა მიერ დაწრეთილი“ (სარჯველაძე, 1995).

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ფუტკრის ბინის სახელი გამოყენებულია მწერის აღსანიშნავადაც; შდრ.: „სკა“ ქართულში (დიალექტებში) არის ფუტკრის ბინის აღმნიშვნელი სახელი, ხოლო მეგრულში — თაფლის მკეთებელი მწერია. საინტერესოა ისიც, რომ აჭარაში და ზოგ სხვა დიალექტში სკა ფუტკრის ისეთი ბინაა, როცა შიგ ფუტკარიცაა, ხოლო ფუტკრის ცარიელ ბინას ბუკს ეძახიან.

ბუკ- ძირისაგან, თავის მხრივ, მიღებული ჩანს ბიკვი, რომელიც სკის სინონიმად იხმარება ლეჩხუმურში, ლეჩხუმურშივე „ბიკვი“ გვხვდება ხის კუნძის მნიშვნელობით...

სავარაუდოა, რომ ბიკვი მიღებულია სვანურისათვის დამახასიათებელი დეჟმლაუტიზაციის გზით: (ბუკი → ბუკ → ბიკუ... ბიკ- სვანურში კუნძის ნიშნავს...“ (ლომთაძე, ფუტკარაძე, 1996). აქვე მითითებულია, ფუჭ-, ფიჭ-, ფუტ-, ფიტ-... ბუკ-, ბიკვ-, ფუკ-) ფუტ-ძირის ბგერწერითი ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთს შემდეგი მნიშვნელობით — ღრუიანი ხე, კუნძი; ღრუიანი ჭურჭელი, ღარი... უკავშირდება (ლომთაძე, ფუტკარაძე, 1996, 169).

თუ მივუბრუნდებით საბას, ვნახავთ, რომ მასთან **საკრავი** და **საყვირი** განსხვავებული ცნებებია. პირველი მათგანი ასეა განმარტებული: „რა ც კარავი გა(ნ)ჭვრეტილნი არიან, ნესტვად ითქმიან **ZA**“. და ჩამოთვლილია სტირი, ჭიმონი, ავილი, სალამური, ზურნაიკი. საკრავის პარალელურად **სასტინელიც** გვხვდება — **CD**. საკრავებისაგან იგი განასხვავებს საყვირებს: ბუკი, იობელისნი, ყვირო-სტირი, ზროხაკული და სხვანიცა **ZA**.

ეს ფაქტი შეუძინებია ივ. ჯავახიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ „იმისდა მიუხედავად, რომ საყური და ნესტუ სინონიმებად მოჩა-

ნან, მაინც საყურადღებოა, რომ ნესტუ ბაქარისეულის ხელთნაწერის დედანშიც ყოფილა, რომელშიც ჩვეულებრივ საყური არის ნახმარი, და ეს გარემოება საკრავთა ამ ორი სახელის სრულს იგივეობას მეტად საეჭვოდა ხდის, გარკვეული ხანიდან მაინც“ (ჯავახიშვილი, 1990, 166).

მართლაც, როგორც ივ. ჯავახიშვილის არკვევს, საყვირნი სამხედრო საკრავების საერთო სახელია, თუმცა ისინი საზეიმო განწყობილების შესაქმნელად გამოიყენებოდა.

მთავარი ისაა, რომ ბუკი „განვრეტილ“, ან ღრუიანი საკრავია. სწორედ ეს ნიშანი (ღრუიანი ხე, კუნძი, ღრუიანი ჭურჭელი, ღარი) აერთიანებს მას ბუკის სხვა მნიშვნელობასთან (დიდი მრგვალი კუნძი, მორი; იგივეა, რაც სკა (გამოთხრილი მორისა, გეჯა). ორივე მნიშვნელობა ამ სიტყვისა დაკავშირებულია ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროსთან (1. მეფუტკრეობა, 2. მუსიკა).

ლიტერატურა

**ლომთაძე, ფუტკარაძე, 1996** — ლ. ლომთაძე, ტ. ფუტკარაძე, მეფუტკრეობის ლექსიკა ქართველურ ენებში (ფუტკარი, ფუტი, ფუჭი, ფიტი, ფიჭი, ფიჭა, ბუკი || ბიკვი); ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 1996.

**ორბელიანი, 1991** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

**სარჯველაძე, 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995.

**ქეგელ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ.,

**ჩუბინაშვილი, 1984** — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

**ჯავახიშვილი, 1990** — ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

CONSTANTINE KAKITADZE

### The Lexeme buki and the Meanings Connected with it

#### Summary

In Georgian the lexeme *buki* has a number of meanings: 1. long, round log, stump. 2. hive, geja (a hollowed log used as a vessel to feed animals) 3.

The wind instrument, a kind of horn. The basic meaning that unites all the three instances is the meaning of a prolonged, hollowed object.



ინზა ბაზიზ

ყანის შემოკლება-შემოკლების აღმნიშვნელი  
მეგრული ლექსიკის ნიმუშები

ყანის შემოკლებას **ემჰოფუა**, შემოკლებულ ადგილს **გოჰოფი-**  
**ლი** ჰქვია. მასდარში **ემჰოფუა**, ისევე როგორც **გოჰოფილიში**, უნდა  
გვექონდეს ქართული **კავ-** ფუძის კოლხური შესატყვისი **ჰოფ** (ფონე-  
ტიკური პროცესი კ-ჰ. უცხო არ არის ქართველური ენებისათვის).  
შემოკლება ხდებოდა სხვადასხვა სახის ღობით.

ღობეს მეგრულად **ღობერი-ც** ჰქვია. ღობერი სიტყვასიტყვით  
დაწულს ნიშნავს და ნაწარმოებია **ღობუა** მასდარისაგან, რომელშიც  
ქართულისა და მეგრულის საზიარო **ღობ-** ფუძე გვაქვს (ქართ. **ვ-**  
**ღობ-ავ**, მეგრ. **ბ-ღობ-უნ-ქ**) მაგრამ აქ ქართ. **ა-** მეგრ. **ო-** შესატყვი-  
სობა არა გვაქვს.

**ღობილი** მიმღობაა, **ღობუნს** ზმნისა „ვარა თიში ინახვენჯო  
ღობერ ვამაღობედნ? — ანდა მის ჩასაჯენად ღობერს ვერ შემოვლო-  
ბავდი?“ (ყიფშიძე, 1914, 144) ღობის მორღვევა **გოდანდალუაა**, რო-  
მელშიც გვაქვს ღობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი მეგრული სიტყვა  
**დანდა** — „პატონ ჯიხის დინოხედუ დო მუსუ ვაგუ უნდუ — დანდა  
ბატონი ციხე-დარბაზში და მას ღობეც არ ჰქონდა შემოვლებული“  
(ქს. I, 36).

მეზობლების მიერ საყანე მიწის ერთად შემოღობვას **მოხურგობა**  
ჰქვია (მასალები, IV, ნაწ. II, 235).

ღობის სახეობებია **ჰინუშ ღობერი** (დაწული ღობე), **მასარიშ**  
**ღობერი** (მესრის ღობე), **ცოცხალ ღობერი** (ცოცხალი ღობე). კა-  
ნონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა გვაქვს ქართ. **მესერ** და  
მეგრ. **მასარ** და სვან. **მესერ** სიტყვებში (აბაშია, 2002, 10). ცოცხა-  
ლი ღობისათვის იყენებდნენ **ტყარ მანდარნას** — *Poncirus trifoliata*-ს.  
**ხიბილი** || **ხებილი** ღობერი ერთმანეთზე დაწყობილი დიდი ქვებისა-  
გან კეთდება. **ხიბილი** ხერგილს ნიშნავს (**ხიბუა** || **ხ ბუა** ჩახერგვა).

მდინარისპირა ყანას შემოავლებდნენ ორპირა ღობეს, რომელსაც

**საჯილე** ერქვა და რომლის დანიშნულება იყო ყანის წყლისაგან დაც-  
ვა. ასეთივე დანიშნულებისა იყო **ჯებერი** (ჯებირი).

ყანას ხშირად შემოავლებდნენ რუს, რომელსაც **თხორილი**  
(თხორილი) ჰქვია. მესაკუთრეებს შორის ყანის გამოჯენა, თუ ის შემო-  
ღობილი არ იყო, ხდებოდა სამიჯნავი ნიშნით, რომელსაც **თანჯი**  
ჰქვია. ამიჯნას კი **გოთანჯუა**-ს ეძახდნენ. ამ მიზნით მიწაზე დებდნენ  
დიდ ქვას, რომელსაც **თანჯ** ქუა ერქვა, ან კიდევ ნახშირს (**ნოშკე-**  
**რი**).

**ანძუხი** არხის წვეტიანი სარი, **ანწუხი**. „ხალხიკ ვაგიმიგან ვარა  
მომოგანა ანძუხის“ — ხალხმა არ გაგვიგოს, თორემ წამოგვაცვამენ  
ანწუხზე (ქს. I, 232).

**ბარჯი** — სარს ნიშნავს, „ართ ბარჯიმა ჰინ ვემკილობენია“  
(ხალხ. სიბრძნე, I, 8). ერთ სარზე წნელს ვერ შემოღობავ. ეს სიტყვა  
ბოდის, სვეტის მნიშვნელობით გვხვდება დასავლურ ქართულ კი-  
ლოებში — იმერულში და გურულში.

**მარსუა** სახელია **მარსუნს** ზმნისა, რაც მესრით შემოღობვას  
ნიშნავს „სქან კიბირეფ ქომუჩას ოზეში იშამარსალო. შენი კბილები  
მომცა ეზოს შემოსალობად“ (ქს. I, 239).

მარსუნს ზმნაში დაცული **მარს** ფუძე ვფიქრობთ, მესრის აღმნი-  
შვნელი მეგრულ სიტყვა **მასარ**-ის მეტათეზირებული და ბოლო-  
კიდური ბგერამოკვეცილი სახე უნდა იყოს „ჟირ მასარაშა ღობერ  
ვემკილობენია“, ორ მესერზე ღობეს ვერ შემოღობავ (ხალხ. სიბრძნე,  
I, 8).

ქართ. **მესერ**, მეგრ. **მასარ**, ლაზური **მასარ** სვან. **მესერ/მასერ**  
ფუძეთა მიხედვით **მესერ\*** საერთო ქართველური არქეტიპი აღადგი-  
ნა გ. კლიმოვმა (კლიმოვი, 1974, 133).

ლიტერატურა

**აბაშია, 2002** — რ. აბაშია, სიბილანტთა შესატყვისობის ზო-  
გიერთი საკითხი ქართველურ ენებში, XXII რესპუბლიკური სესია, თბ.,  
2002.

**კლიმოვი, 1964** — Г. Климов, Этимологический словарь кар-  
твелских языков, М. 1964.

**მასალები, IV ნაწ. II** — მასალები საქართველოს შინამრეწველო-

ბისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ვ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით თ. IV. აწ. II, სოფლის მეურნეობის დარგები, თბ., 1987.

**ქს I, 1975** — ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები I პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბ., 1975.

**ყიფშიძე, 1914** — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (Иверского) языка, с хрестоматией и словаром СПб, 1914.

**ხალხ. სიბრძნე, I** — ხალხური სიბრძნე I მეგრული და ლაზური ანდაზები. შემდგენლები: ი. შეროზია, ო. მემიშივი, თბ., 1994.

INGA BEBIA

### Some Megrelian Lexical Units Denoting Field Fencing

#### Summary

The paper discusses a number wordbuilding patterns used in the Megrelian lexical units denoting field fencing. The regular phonetic correspondence between some of the discussed lexical units and the Georgian forms has been revealed; the paper argues that the Megrelian stem *çopi* evidenced in *çopia* (catch), *ešaçopua* (to enclose), *goçopili* (enclosed) corresponds to the Georgian stem *čav*. The form regularly corresponding to the form of the Georgian meser is the Megrelian *masar*. The metathetic form *mars* is preserved in the verb *marsun* and the noun *marsua*.

ნანა მახაზარანი

### მარცვლოვანი კულტურების აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში

მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებები აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილია.

განვიხილავთ მარცვლოვანი მცენარეების სახელწოდებებს აფხაზურში. უპირველესად ცალკე უნდა გამოიყოს ნასესხები სიტყვები:

1. **აბრინჯ** || **აფრინჯ** || **აფრგნჯ** „ბრინჯი“, ეს სიტყვა წამროშობით სპარსულია, აფხაზურში შესულია ქართულ-მეგრულის გზით. (ლომთათიძე, 1976. 60; შაგიროვი, 1977, 13).

2. **აჭეჭა** || **აჭია** „ჭვავი“ ნასესხებია მეგრულიდან: ჭვე(ე) (გვანცელაძე, 1997, 58).

3. **აქარ** „ქერი“, ასევე ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით (გვანცელაძე, 1997, 58).

4. **აჩენჩლაბია** „წვრილი ლობიო“ ნასესხებია მეგრულიდან (გვანცელაძე, 1997, 58).

მარცვლოვანი მცენარეების აღმნიშვნელი რამდენიმე სახელწოდება: **აჩა** „პური“, **აყინ დ** „ლობიო“, **აფშა** „სიმინდი“, **აშინ** „ფეტვი“ ქმნის გარკვეულ ლექსიკურ ბუდეებს.

**აჩა** „პური“ ზოგადად პურის მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: **აჩა შკაიკა** „თეთრი პური“, **აჩა ეიქიაწა** „შავი პური“. აღნიშნული ლექსემა „ხორბლის“ მნიშვნელობით მონაწილეობს შემდეგ სახელწოდებებში:

1. **აჩარაჯ** || **აჩარაძ** „ხორბალი“, „პური“ (მარცვლის მნიშვნელობით). ამა აფხაზურში „ნედლს“ ნიშნავს. შესაძლოა სახელწოდებაში აღნიშნული იყოს ხორბლის სინედლე. სიტყვასიტყვით: „ხორბალი ნედლი“. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

2. **აჩარგც** „ერთი ცალი მარცვალი“, სადაც **აჩა** „პურია“, -ც ელემენტი აც „მარცვალი“ ფუძის ნაშთი, რ- აფიქსი კი III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელია. სიტყვასიტყვით: „პური“

„მათი“ მარცვალი“. ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია.

3. **აჩაფშ** „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“, სიტყვის პირველი ნაწილი აჩა „პური“, ხოლო მეორე აფშ- ელემენტი აყაფშ „წითელი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთია (ლომთათიძე, 1976, 76) სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენს.

4. **აჩაკაკალ** „ხორბლის მარცვალი“, აჩა „პური“, აკაკალ „მარცვალი“. შდრ.: აკაკან „კაკალი“. ზედმიწევნით: „პური + კაკალი“. ლექსემა კომპოზიტია.

5. **აჩაზ** „ბზე“, სიტყვის პირველი ნაწილი აჩა „პური“, -ზ ელემენტი შესაძლოა დანიშნულებისა იყოს. შდრ.: ამაცაიზ „ბეჭედი“ (ლომთათიძე, 1976, 249)

6. **აჩბაა** „გაფუჭებული სიმინდის ტარო“. სიტყვის პირველი ნაწილი აჩა „პური“ ლექსემის ნაშთია, მეორე კი აბაა „დამპალი“ ზედსართავი სახელი. თავდაპირველად ეს ტერმინი, ალბათ, გაფუჭებული პურის მარცვლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა და შემდგომ სიმინდზეც გავრცელდა. ამ ვარაუდის საფუძველი ის არის, რომ სიმინდის კულტურა კავკასიაში გაცილებით უფრო გვიანდელია პურის კულტურასთან შედარებით. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

7. **აჩაჟილა** „დასათესი ხორბალი“, სიტყვის თავკიდური ნაწილი აჩა „პური“, აჟილა „თესლი“. სიტყვასიტყვით: პური + თესლი“. ლექსემა კომპოზიტია.

8. **აჩაშეგლა** „პურის ფქვილი“, აჩა „პური“, აშეგლა „ფქვილი“, ზედმიწევნით: „პურის ფქვილი“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

9. **აჩართა** „ხორბლის ყანა“, „ხორბლით ნათესი ადგილი“, „პურის ყანა“, სიტყვის პირველი ნაწილი აჩა „პური“, ხოლო მეორე — რთა / თრა ელემენტი აფხაზურში შემოსაღვრული სივრცის აღსანიშნავად გამოიყენება. შდრ.: აურთა „ბოსტანი“.

**აყივდ** „ლობიო“ ლექსემა მონაწილეობს შემდეგ სახელწოდებებში:

1. **აგიგრყივდ** „ცერცვი“, სადაც აგივ „გული“, აყივდ „ლობიო“, -რ ელემენტი კი III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აფიქსია. სიტყვასიტყვით: „გული მათი“ ლობიო“. სახელწოდება — მსაზღვრელ-საზღვრულია.

2. **აყივდკალია** || **აკალიაყივდ** „პარკი ლობიო“, სიტყვის პირვე-

ლი ნაწილი აყივდ „ლობიო“, ხოლო მეორე მეგრულ კალიე || კალია „ეკალასთან“ აქვს დაკავშირებული თ. გვანცელაძეს (გვანცელაძე, 1976, 58). ზედმიწევნით: „ლობიო + ეკალა“, კომპოზიტია.

3. **აჟარყივდ** „ველური მუხუდო“, სადაც აჟა „კურდღელი“, აყივდ „ლობიო“, -რ III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აფიქსია. სიტყვასიტყვით: „კურდღელი მათი“ ლობიო“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია..

ცხოველის აღმნიშვნელი ფუძის ან ძირის მცენარეთა სახელწოდებაში გამოვლენა აფხაზურისათვის უცხო არაა. შდრ.: აჟარჰასკჷნ „კურდღელი მათი“ ბალახი“.

4. **აწაყივდ** „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“, სადაც აწა „ქვეშ“ ზმნიზედა (ფუძე-წინდებული) შეიძლება იყოს, ხოლო აყივდ „ლობიო“. ზედმიწევნით: „ძირს მყოფი, განრთხმული ლობიო“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

5. **აყივდგრთა** „ლობიოთი ნათესი ადგილი“, აყივდ „ლობიო“ -რთა სუფიქსი შემოსაზღვრული სივრცის აღსანიშნავად იხმარება აფხაზურში.

**აფშ** „სიმინდი“ ლექსემა გამოიყოფა შემდეგ სახელწოდებებში:

1. **აფშეგც** „სიმინდის მარცვალი“, სადაც აფშ „სიმინდია“, -ც ელემენტი აც „მარცვალი“ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. სიტყვასიტყვით: „სიმინდის მარცვალი“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

2. **აფშაძა** „ჭყინტი სიმინდი“, აფშ „სიმინდი“, აძა „ნელი“ ზედსართავი სახელია. სიტყვასიტყვით: „სიმინდი ნელი“. ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია.

3. **აფშხივწი** „ნაქურჩი“. აფშ „სიმინდი“, ახივწი „ყუნწი“, ზედმიწევნით: „სიმინდის ყუნწი“. სიტყვა მსაზღვრელ-საზღვრულია. შდრ.: აბღჷ ახივწი „ფოთლის ყუნწი“.

4. **აფშეციალა** „ტარო“, სიტყვის პირველი ნაწილი აფშ „სიმინდია“, აცია „კანია“, ხოლო -ალა ელემენტი შესაძლოა ინსტრუმენტალისის სუფიქსს უკავშირდებოდეს. სიტყვასიტყვით: „სიმინდი კანით (კანთან)“ სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

5. **აფშოლაპჷა** „სიმინდის ტარო“, სადაც აფშ „სიმინდია“, ალაპჷა „ჭოლოკი“, სატყორცნი ჯოხი“, ზედმიწევნით: „სიმინდი + ჯოხი“. ტერმინი კომპოზიტს წარმოადგენს.

6. **აფშეგრთა** „სიმინდის ყანა“, აფშ „სიმინდია“, -რთა||-რთა სუ-

ფიქსი შემოსაზღვრული სივრცის მნიშვნელობის მატარებელია.

სიმინდის მნიშვნელობით აფხაზურსა და აბაზურში გამოიყენება სხვა ლექსემაც: **აჯქირე** (ბზ.) || **აჩქირე** „სიმინდი“, იგივე სიტყვა „სიმინდის მარცვლის“ მნიშვნელობითაც იხმარება. აღნიშნული სახელწოდება ქართული ჯიქურადან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1976, 169). ეს სიტყვა მონაწილეებს:

1. **აჯქირე ც** „სიმინდის მარცვალი“ ტერმინში, სადაც აჯქირე „სიმინდია“, ხოლო -ც ელემენტი აც „მარცვალი“ სიტყვის ნაშთია. სიტყვასიტყვით: „სიმინდის მარცვალი“, მსაზღვრელ-საზღვრულია.

2. **აჯქირე რთა** „სიმინდის ყანა“, აჯქირე „სიმინდი“, -რთა შემოსაზღვრული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი.

**აშეგ** „ფეტვი, ჭადის მჭადა“, ლექსემა ქმნის შემდეგი სახის ლექსიკურ ბუდეს:

1. **აშეგრძ** „ფეტვი“, სადაც აშეგ „ფეტვია“, -რ შესაძლოა III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აფიქსი იყოს, ხოლო -ძ ელემენტი აძა „ნედლი“ ზედსართავი სახელის ძირი. შდრ.: აჩარაჯ || აჩარაძ „ხორბალი ნედლი“. ზედმიწევნით: „ფეტვი ნედლი“. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

2. **აშეგლა** „ფქვილი“, სიტყვის პირველი ნაწილი აშეგ „ფეტვი“ უნდა იყოს, ხოლო -გლა სუფიქსი ინსტრუმენტალისის სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. სიტყვასიტყვით: „ფეტვით, ფეტვიანი“. შესაძლოა თავდაპირველად ფქვილს ფეტვისაგან ფქვაგდნენ, ხოლო შემდგომში ტერმინი განზოგადდა და ყოველგვარი ფქვილის აღნიშვნა იტვირთა.

მარცვლოვან კულტურებთანაა დაკავშირებული შემდეგი ტერმინები:

1. **აფა** „ბზე, პურის ჩალა“

2. **აწჰია** „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“, შესაძლოა სიტყვის პირველი ნაწილი აწა „ქვეშ“ ზედსართავი სახელის (ფუძე წინდებულის) ძირი იყოს, ხოლო მეორე ჰია- ნაწილი კი აჰირა „ძოვა“ მასდარის ძირს წარმოადგენდეს. ზედმიწევნით: „ქვედა საკვები“. ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია.

3. **ახეგძ** „ლომი“ (მარცვალი)

4. **ახგრხხ** „ქათო“

5. **ახეგძ** „ფეტვის ბურღული“

6. **აწისლაშ** „მთის შვრია“

7. **აჰარშელ** „ნაცარქათამა, თათაბო“.

8. **აკარკალაშე** „მუხუდო“, სიტყვის თავიკიდურა ელემენტი შესაძლოა აკაკალ „მარცვალი, კაკალი“ სიტყვის -რ აფიქსით გართულებული სახეობა იყოს, ხოლო ბოლოკიდური -შე ელემენტი აშეკაყა „თეთრი“ ზედსართავი სახელიდან მომდინარეობს. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

9. **ახრგლ** „ბურღული“

10. **აბასმა** „ჭვავის პური“

11. **აცა** „სასიმინდე“. ამ სახელწოდებაში, ალბათ, მოულოდნელი არ იქნება აც „მარცვალი“ სიტყვის ძირის გამოყოფა, რადგან სასიმინდეში, როგორც წესი, სიმინდის, ან სხვა მარცვლოვანი კულტურების მარცვალს ინახავენ.

12. **აცრა** „მარცვალი, კვინტი“.

13. **აყიენჯ** „ჩალის ღერო, ჩალის ნამწვერალი“ ნასესხები ჩანს ქართულიდან. შდრ.: ყუნჯი / ყუნწი...

14. **აფჰი** „ჩალა“

15. **აფჰაყაყა** „ჩალის ზვინი“

16. **ათი აყა** „თივის ზვინი“

17. **აყია** „ზვინი“

18. **ამხგ** „ყანა“, ასევე ამხგრთა || ამხათა, ამხგრთახიგ || აბჟ. ამხათახიგ

19. **არგც** „მარცვალი“, „კაკლის მარცვალი“.

20. **აკაკალ** „მარცვალი“

21. **ანგმჰა** (ბზ.) „კონა“

22. **აღარა** „აღვილი, სადაც დათესილია და ამოდის მარცვლოვანი თესლეული.

ჩვენს ხელთ არსებული მარცვლოვანი კულტურების სახელწოდებები შეადგენს დაახლოებით 59-მდე ლექსიკურ ერთეულს. აქედან ნასესხები ჩანს 5 ლექსემა.

ზოგადად, მარცვლოვანი კულტურების აღმნიშვნელი ტერმინები მთლიანად მიჰყვება მცენარეების აღმნიშვნელ ლექსემათა აფხაზური-სათვის დამახასიათებელ მოდელს: გამოიყო 7 საზღვრულ-მსაზღვრელი, 16 მსაზღვრელ-საზღვრული, 1 ლექსემაში მონაწილეობს ცხოველის აღმნიშვნელი სახელი, 4 სიტყვაში აღინიშნება III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) -რ აფიქსი, ხოლო 2 ლექსემაში, სავარაუდოდ, ინსტრუმენტალისის -ალა/-გლა სუფიქსი დასტურდება.

2 ლექსემაში გამოიყო ფუძე-წინდებული აწა-, 1 სახელწოდებაში დანიშნულების -ზ ელემენტი აღინიშნა.

შემოზღუდული სიგრძის -რთა/-თრა მაწარმოებელი შეგვხვდა 5 სიტყვაში.

ოდენ ფუძის სახითაა წარმოდგენილი 22 ლექსემა.

ლიტერატურა

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986** — Апсуа бызшәа аҟаар, ტ. I, სოხუმი, 1987.

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987** — Апсуа бызшәа аҟаар, ტ. II, სოხუმი, 1987.

**აფხაზური ენის გრამატიკა, 1988** — Грамматика Абхазского языка, სოხუმი, 1988.

**გვანცელაძე, 1997** — თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი, კრებული, გიორგი როგავას, თბ., 1997.

**ლომთათიძე, 1976** — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბ., 1976.

**მაცაშვილი, 1961** — ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

**შაგიროვი, 1977** — А. К. Шаги́ров, Этимологический словарь Адыгских (черкесских) языков, Москва, 1977.

**ჯავახიშვილი, 1934** — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, ტფ., 1934.

**ჯანაშია, 1954** — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

NANA MACHAVARIANI

## The Abkhazian Lexemes Denoting Cereal Crops

### Summary

The paper discusses borrowings, as well as, etymologically Abkhazian lexemes denoting cereals. The borrowings are: abrinz, (Georgian brinzi meaning rice), ak'ar (Georgian keri meaning barley) ačwa (Georgian čvavi meaning rye).

The etymologically Abkhazian stems are: ačapš \_ one of wheat species, ača \_ means "bread" whereas apš, may be the remnant of the adjective aqapš meaning 'red', hence ačapš \_ reddish bread". The word agoərɔəd (pea) consists of agoə (meaning "heart") and rɔəd meaning beans, r is the suffix expressing possession.

ნანა მაჭავარიანი

### ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებები აფხაზურში

აფხაზურში ზოგადად ყურძნის მნიშვნელობით იხმარება ლექსემა **აჟ** „ყურძენი“, რომელიც ყურძნის მრავალი ჯიშის სახელწოდებაში მონაწილეობს ერთ-ერთ კომპონენტად: აჟაფჟ, აჟბაა, აფსუაჟ, აგრეჟ და სხვ.

აჟ „ყურძენი“ სიტყვას ბ. ჯანაშია აჟენწირგ „მოცვი“ სახელწოდებაში გამოყოფს, როგორც მის შემადგენელ ელემენტს. აჟენწირგ გაიგება, როგორც „წვრილი ყურძენი“. პირველი ნაწილი ამ სიტყვისა აჟ აღნიშნავს „ყურძენს“, ხოლო მეორე ნაწილი კი არის ნწირგ „წვრილი“ ზედსართავი სახელი (ჯანაშია, 1955, 20). მდრ.: ქართ. წვრილი...

ასევე **აჟგჟია** „ყურძნის მტევანი“ სიტყვაც კომპოზიტია და შედგება ორი ლექსემისაგან: აჟ „ყურძენი“ და (ა)მჟია „თუთის ხე“. ამ ხის ნაყოფის სახელწოდებაა ამჟია კაკალ „თუთის კაკალი“ (მდრ.: აპიასა || აპიასა კაკალ „ველური ალუჩა, ალუჩის კაკალი“. ამჟია უკავშირდება ბჟოლას ქართულში იმავე მნიშვნელობით (ჯანაშია, 1955, 21).

ბჟოლა და ამჟია სიტყვაში არნ. ჩიქობავა და ქ. ლომთათიძე გამოყოფენ ბ'სა და მ' თავსართებს (ჩიქობავა, 1938, 126, 23; ლომთათიძე, 1961).

ქართულში ბჟოლა ბ'ს გარეშეც იხმარება. საბასთან ვკითხულობთ: „თუთა სხვათა ენაა, ქართულად ჟოლა ჰქვია“.

ქართულში ბჟოლას -ოლ ელემენტი დეტერმინანტი სუფიქსია.

ეს სიტყვა დეტერმინანტი სუფიქსის გარეშეა აფხაზურში: ამჟია „თუთა“. ქართულის მთიულურ დიალექტში შემონახულია მჟვალი „ჟოლოს“ მნიშვნელობით.

ის ფაქტი, რომ ზოგადად კენკროვანები და ყურძენი კავშირშია ერთმანეთთან, ცხადი ხდება აფხაზური ენის მასალის გათვალისწინებით.

ბით. მდრ.: აჟ „ყურძენი“, აჟენწირგ „მოცვი“, ზედმიწევნით: „ყურძენი წვრილი“.

ყურძნის მარცვალს აფხაზურად აჟარგიც ჰქვია. იშვიათად ალა „თვალი“ ტერმინითაც აღინიშნება ყურძნის მარცვალი.

**აჟარგიც** „ყურძნის მარცვალი“ ლექსემა თავის მხრივ კომპოზიტს წარმოადგენს, სადაც აჟ „ყურძენია“, რ- III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ აფიქსი, (ა)გიგ „გული“, ხოლო -ც ელემენტი აღნიშნავს „ცალს“. ზედმიწევნით: ყურძენი „მათი“ გული ცალი“. სტრუქტურულად ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელს წარმოადგენს.

ბ. ჯანაშია, -რ აფიქსის თაობაზე აღნიშნავს, რომ „იგი ხშირად დასტურდება მსგავს კომპოზიტებში და ფუძის ერთ-ერთ აფიქსს წარმოადგენს“ (ჯანაშია, 1955, 26).

ზოგადად, ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელად აფხაზურში გამოიყენება ტერმინი **აჟგგ**, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: აჟ „ყურძენი“, (ა)ხკგ „ჭაშნიკი, ნიმუში“. ზედმიწევნით: „ყურძნის ნიმუში, ჯიში“ სახელწოდება აგებულია მსაზღვრელ-საზღვრულია.

ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელ ლექსიკას აფხაზური ენის მცენარეთა სახელწოდებებში სოლიდური ადგილი უკავია.

უპირველესად უნდა გამოიყოს **ნასესხები სიტყვები**:

1. **იზაბელა, აპარდან** „ყურძნის ჯიში“, (ნასესხებია ქართულიდან: აპარდან < ხარდან. ქართულის ყრუ ფშვინვიერი უკანასასისმიერი ხ ბგერა აფხაზურში ჩანაცვლებულია ასევე ყრუ ფშვინვიერი ხორხისმიერი ჰ ბგერით).

2. **აქრანგიელა** „ყურძნის ჯიში“, „ფრანგულა“ (ნასესხებია ქართველურიდან: აქრანგიელა < ფრანგულა, სადაც ქართულის ფ ბაგისმიერი ფშვინვიერი ბგერა აფხაზურის ფ კბილბაგისმიერი სპირანტიტაა ჩანაცვლებული, გო'ს ლაბიალურობა კი გამოწვეულია ქართულის გუ კომპლექსით).

3. **აჟად** „ყურძნის ჯიში“ (იგივეა, რაც ქართ. ჭოდი)

4. **ასაფერაჟ** „ყურძნის ჯიში“ (ნასესხებია ქართულიდან: ასაფერაჟ < საფერავი ქართულის ვ მჟღერი კბილბაგისმიერი ბგერა აფხაზურის ჟ ნახევარხმოვნით არის ჩანაცვლებული).

5. **ამლახიგ** „ყურძნის ჯიში“ (ნასესხებია ქართულიდან: ამლახიგ < ამილახვარი, ქართულის ხგ კომპლექსი აფხაზურში ლაბიალური ხ' სპირანტიტაა ჩანაცვლებული, სახელწოდება წარმოდგება ქართული

გვარიდან — ამილახვარი) (მაჭავარიანი, 1888, №3).

6. **ადესა** „ყურძნის ჯიში“ (ნასესხებია ქართულიდან, სინონიმია აპარდანისა — იზაბელასი. სახელწოდებას საფუძვლად უდევს ტოპონიმი ადესა რუსული წარმოთქმით. ქართ. ოდესა).

7. **ბყურზენ** „ყურძნის ჯიში“. სიტყვის თავიდან აბ- ელემენტის მნიშვნელობა უცნობია, მეორე ნაწილი კი იგივეა, რაც ქართ. ყურძენი, შდრ.: მეგრ. ყურზენი „ყურძენი“. სახელწოდება მეგრულის გზით ჩანს ნასესხები, რასაც ქართულის ძ' სისინა აფრიკატის ნაცვლად ზ' სისინა სპირანტის გამოვლენა ცხადყოფს ამ სახელწოდებაში.

8. **აბანდაშერ** „ყურძნის ჯიში“ (ნასესხებია ქართულიდან: აბანდაშერ < ბუდეშერი. ნ' განვითარებული თანხმოვანია დს წინ, რაც ცხადყოფს, რომ ლექსემა ქართულიდან მეგრულის გზით მოხვედრილა აფხაზურში. შდრ.: ქართ. კიტრი, მეგრ. კინტირი. რაც შეეხება ქართულის უ ბგერას, იგი აფხაზურში გ'თია გადმოცემული, ნაცვლად მოსალოდნელი ში' თანხმოვნისა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, უ ხმოვანდართული თანხმოვნები სესხებისას აფხაზურში ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილ თანხმოვანთა ლაბიალურობას იწვევს (გვანცელაძე, 2003, 28).

9. **აკაჭკჭ** „ყურძნის აფხაზური აბორიგენი ჯიში, შავი ფერისა“. ლექსემა ქართულიდან ნასესხები ჩანს. შდრ.: ქართული ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინი კაჭიჭი.

ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომლის ახსნაც აფხაზური ენის საშუალებით ხერხდება, სტრუქტურულად არის ან მსაზღვრელ-საზღვრული, ან საზღვრულ-მსაზღვრელი, ასევე მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელი, წარმოადგენს კომპოზიტს, ან მოცემულია ფუძის სახით...

ზოგ სახელწოდებაში გამოიყოფა ტოპონიმები, ეთნონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები.

ვაზის ჯიშთა სახელწოდებები ზოგჯერ დაჩრდილული სემანტიკისაა.

განვიხილავთ თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე:

**მსაზღვრელ-საზღვრული:**

1. **აშხარაჟ** „მთის ყურძენი“, აშხარა „მთიანეთი“, აჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით „მთიანეთის ყურძენი“.

2. **აღბაჟ** „გემის ყურძენი“ აქ, აღბათ, ივარაუდება ყურძნის რო-

მელიდაც ჯიში, აფხაზეთში გემის საშუალებით შემოტანილი. სიტყვა-სიტყვით: „გემის ყურძენი“.

3. **ამხიგჟ** „ტოტის ყურძენი“ ამ(ა)ხი „ტოტი“, (გ)ჟ „ყურძენი“. დაზუსტებით: „ტოტის ყურძენი“.

4. **ათიაჟ** „სავსე ყურძენი“, ათია „სავსე“, (ა)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „სავსე ყურძენი“.

5. **აგილანაჟ** „ყურძნის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი აგი(გ) გული შეიძლება იყოს, -ლა ელემენტი ინსტრუმენტალისის აფიქსი, ახ(გ) „თავი“ არსებითი სახელი... ბოლო ჟ' ელემენტი უდავოდ „ყურძენს“ აღნიშნავს. უფრო ზუსტად: „გულიჩანი“ თავი ყურძენი“.

6. **აბგსთაჟ** „ლომის ყურძენი“. აბგსთა „ლომი“, (ა)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „ლომის ყურძენი“.

7. **აწიეჟ / აწგჟ** „ყურძნის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი შესაძლოა აწა „ქვეშ“ ფუძე-წინდებული იყოს, მეორე ნაწილი (ე)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „ქვეშ მყოფი ყურძენი“.

8. **აყასაჟ || აყასა** „მოქნილი, დრეკადი ყურძენი“, სიტყვის პირველი ნაწილი აყასა „მოქნილი, დრეკადი“ ზედსართავი სახელია, (ა)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „დრეკადი ყურძენი“.

9. **აცემლგჟ** „შავი ყურძენი საშუალო ზომის მარცვლებით“. სიტყვის პირველი აცე ელემენტი შესაძლოა „მარცვლი“ ლექსემა იყოს, მ- უარყოფითობის აფიქსი, ლ- ინსტრუმენტალისის მაწარმოებლის ნაშთი, (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „მარცვლის არ მქონე ჩიანი“ ყურძენი“, „უმარცვლო ყურძენი“ თუმცა ეტიმოლოგია სადავოა.

10. **აკუბგჟაჟ || აკაბილჟ || აკაბილ || აკაბგლ**, სიტყვის ბოლო-კიდური აჟ უდავოდ „ყურძენი“ გაუგებარია თავიდან ელემენტების მნიშვნელობა.

ამავე ჯგუფში შემოვა **ზოონიმთა** შემცველი ყურძნის ჯიშების სახელწოდებანი:

11. (1) **აჰიგჰიგჟ || აჰიგჰიგჟ** „შავი ფერის ველური ყურძენი“, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აჰიგჰი „მტრედია“, ხოლო მეორე (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „მტრედის ყურძენი“.

12. (2) **აწგსაჟ || აწგსგჟ || აწგსგ** „ველური ყურძენი“, „ჯიში ყურძნისა, რომლის მარცვლები ძალიან წვრილია“, სიტყვის პირველი ნაწილი აწგს „ჩიტია“, ხოლო მეორე (გ)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „ჩიტის ყურძენი“.

13. (3) **ამშიგუ** „დათვის ყურძენი“, სიტყვის პირველი ნაწილი ამში „დათვია“, მეორე (გ)ჟ „ყურძენი“, უფრო ზუსტად: „დათვის ყურძენი“.

14. (4) **აჟასგრხია** || **აჟასარხია** || **აჟასარხიაჟშიგ** „ყურძენის ჯიში“. სიტყვა რთული შედგენილობისაა: თავიდან უნდა აჟასა „ცხვარი“ ზოონიმი, ახიგ(ა) „ბორცვი“, (ა,გ)ჟ „ყურძენი“, ბოლოკიდური შა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავის ფუძის ნაშთი, რ- ელემენტი III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ აფიქსია. ზედმიწევნით: „ცხვარი [მათი] ბორცვი ყურძენი თეთრი“.

როგორც ბ. ჯანაშია გვამცნობს, გუდაუთის რაიონის სოფელ აჭანდარათან მდებარეობს გორაკი, რომლის სახელწოდებაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეერწყა დასახელებული ყურძენის ჯიშის სახელწოდებას (ჯანაშია, 1955, 35).

15. (5) **აჩკკ** || **აჩკკკა** || **აჩკკკაჟ** „ყურძენის ჯიში“ სიტყვის თავიდან ელემენტი აჩკ „ცხენია“, აკკა „ძუძუ“ სიტყვა. სიტყვა-სიტყვით: „ცხენის ძუძუ“. ყურძენის ამ ჯიშის სახელწოდება ქართულშიც ცნობილია. აქ, ვფიქრობთ, ადგილი უნდა ჰქონდეს კალკირებას.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოონიმა შემცველი ყურძენის ჯიშთა სახელწოდებები, ისევე როგორც ამ სტრუქტურის სხვა მცენარეთა სახელწოდებანი, ძირითადად გამოიყენება ამა თუ იმ მცენარის ველური ჯიშის აღსანიშნავად.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ ცხოველის სახელწოდება იმიტომ გვხვდება ფიტონიმი, რომ იგი (მცენარე) აგებული ბითაა ამა თუ იმ ცხოველის მსგავსი. მაგ.: აწესჟე „ჩიტის ყურძენი“, შესაძლოა იმიტომ დაერქვა ყურძენის ამ ჯიშს, რომ მას წვრილი მარცვალი აქვს.

შეიძლება, ზოონიმი იმ მიზეზითაც მონაწილეობდეს მცენარის სახელწოდებაში, რომ ესა თუ ის ცხოველი, ამა თუ იმ კონკრეტული მცენარით იკვებება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად: ამშიაჟ „დათვის ყურძენი“.

რაიმე ერთი გამორჩეული პრინციპი სახელდების აღნიშნულ მომენტში, ვფიქრობთ, არ არსებობს.

**ეთნონიმების** შემცველი ყურძენის ჯიშთა სახელწოდებები:

16. (1) **აშიანგუჟ** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი აშიანგუჟ „სვანი“ ეთნონიმი, ხოლო მეორე აჟ „ყურძენი“ სიტყვა. ზედმიწევნით: „სვანის ყურძენი“.

17. (2) **აურგსგუ** „ყურძენის ჯიში“, სახელწოდების პირველი ნაწილი აურგს „რუსი“ სიტყვაა, მეორე კი (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „რუსის ყურძენი“.

18. (3) **ათგრქიაჟ** || **ათგრქიგუ** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი ათგრქი „თურქი“ სიტყვაა, მეორე (ა)ჟ „ყურძენი“, სიტყვა-სიტყვით: „თურქული ყურძენი“.

19. (4) **აგრგუ** „ყურძენის ჯიში“. სიტყვის პირველი ნაწილია აგრგ „მეგრელი“ ეთნონიმი, მეორე კი (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „მეგრელის ყურძენი“.

20. (5) **აფსაჟუ** „ყურძენის ჯიში“, ტერმინის პირველი ნაწილი აფსა „აფხაზი“ სიტყვაა, ხოლო მეორე (ა)ჟ „ყურძენი“, ზედმიწევნით: „აფხაზის ყურძენი“.

**ტოპონიმა** შემცველი ყურძენის ჯიშები:

21. (1) **აჟასარხიაჟ** „ყურძენის ჯიში“, „ცხვრის ბორცვის“ ყურძენი. (იხ. ზემოთ. გვ. 318).

22. (2) **აჭანდარა** „ყურძენის ჯიში“, სახელწოდება წარმოდგება სოფლის სახელისაგან. აჭანდარა „სოფელი გუდაუთის რაიონში“.

**ანთროპონიმა** შემცველი ყურძენის ჯიშების სახელწოდებანი:

23. (1) **პაპენიჟ** „ყურძენის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელია“, ჟ „ყურძენი“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა. სიტყვასიტყვით „პაპენის [მისი] ყურძენი“.

24. (2) **კაციჟ** „ყურძენის ჯიში“, კაც „მამაკაცის სახელია“, ჟ „ყურძენი“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ზედმიწევნით: „კაცის [მისი] ყურძენი“.

25. (3) **თაგუჟ** „ყურძენის ჯიში“, თაგუ „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „თაგუის [მისი] ყურძენი“.

26. (4) **პეტრგუ** || **პეტრაჟ** „ყურძენის ჯიში“, „პეტრა < პეტრე მამაკაცის სახელია, ი III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „პეტრეს [მისი] ყურძენი“.

27. (5) **ხიგფჟ** || **ხიგფჟი** || **ხიგფჟიჟ** „ყურძენის ჯიში“, „ხიგფჟ მამაკაცის სახელია“, (გ)ჟ „ყურძენი“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა. დაზუსტებით: „ხიგფჟ [მისი] ყურძენი“.

28. (6) **ხიტუნიჟ** „ყურძენის ჯიში“, ხიტუნ „მამაკაცის სახელია, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“.



ნი“. უფრო ზუსტად: „ხუტუნი 'მისი' ყურძენი“.

29. (7) **ხიგნალგუ** „ყურძენის ჯიში“, ხინა „ქალის სახელია“ ლ- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი ქალთა კლასისა, (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „ხიგნას 'მისი' ყურძენი“.

30. (8) **ნოი** „ყურძენის ცნობილი ჯიში“. ნოე „მამაკაცის სახელი“. მოცემულია ფუძის სახით.

აქვე განვიხილავთ სახელწოდებას —

31. (9) **აბაბგუ || აბაპიუ** „ყურძენის ჯიში“, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აბაბ „მღვდელია“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“. დაზუსტებით: „მღვდელი 'მისი' ყურძენი“.

### **მსაზღვრელ-საზღვრული + მსაზღვრელი:**

1. **აჟასგრხსაჟშეგ || აჟასგჟშეგ** „ყურძენის ჯიში“. სახელწოდება რთული შედგენილობისაა: მისი პირველი ნაწილი აჟასგრხსაა ჰქვია ბორცვის სოფელ აჟანდარასთან (იხ. ზემოთ. გვ. 318). თვით ბორცვის სახელწოდებაში გამოიყენება ზოონიმი აჟას(ა) „ცხვარი“; რ- არის III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსი, (ა) ჟ „ყურძენი“, შეგ, აშკააკა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი; პარალელურ აჟასგჟშეგ ფორმაში ახი „ბორცვი“ აღარ ჩანს, დანარჩენი კომპონენტების მნიშვნელობა იგივეა, რაც პირველ მაგალითში; ზედმიწევნით: „ცხვრის 'მათი' ბორცვის ყურძენი თეთრი“, „ცხვრის ყურძენი თეთრი“.

2. **აბააჟშე || აბაჟშე** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი აბაა ნაწილი „ციხე-სიმაგრე, ეკლესია“, (ა) ჟ „ყურძენი“, ხოლო შე აშკააკა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთს წარმოადგენს. დაზუსტებით: „ციხე-სიმაგრის, ეკლესიის ყურძენი თეთრი“.

### **საზღვრულ-მსაზღვრელი:**

1. **აჟემჩაგლ** „ყურძენის ჯიში“, გულაუთის რაიონის სოფელ დუ-რიფში არის დასახლება აჟემჩაგლრა, ადგილი, სადაც ხარობს ამ ჯიშის ყურძენი. სიტყვის თავკიდური ელემენტი (ა)ჟ „ყურძენია“, მეორე ნაწილი ტოპონიმს წარმოადგენს. ზედმიწევნით: „ყურძენი მჩელისა“.

2. **აჟეშაჰიათა** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის თავკიდური აჟე ელემენტი „ყურძენია“, შე აშკააკა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი, გაუგებარია სიტყვის ბოლოკიდური ჰიათა ნაწილის მნიშვნელობა. ბ. ჯანაშია შიპიათას ყაბარლოულ უხიანთა „მწვანეს“

უკავშირებს (ჯანაშია, 1955, 29).

3. **აჟღარა** „ყურძენის ჯიში“, თავკიდურ ელემენტად შეიცავს აჟ „ყურძენი“ ლექსემას. მეორე ნაწილის მნიშვნელობა უცნობია.

4. **აჟან / აჟაფს** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი აჟ „ყურძენია“ მეორე ნაწილის მნიშვნელობა ხომ არ უკავშირდება ან „დედა“, აფს „ძუ“ სიტყვებს? სადავოა.

5. **აჟაფშე** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი აჟ „ყურძენია“, აფშე კი აყაფშე „წითელი“, ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთია. სიტყვის სიტყვით: „ყურძენი წითური“ შდრ.: აჩაფშე „წითური ხორბალი“.

6. **აჟბაა** „ყურძენის ჯიში“, აჟ „ყურძენია“, (ა)ბაა „დამპალი“ ზედსართავი სახელი. დაზუსტებით: „ყურძენი დამპალი“.

7. **აჟშე** „ყურძენის ჯიში“, აჟ „ყურძენია“, აშე აშკააკა ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი. ზედმიწევნით: „ყურძენი თეთრი“. ასე მოიხსენიებენ ზოგადად თეთრ ყურძენს აბჟუურ და ბჟიფურ დიალექტში.

8. **აჟგრყასა** „ყურძენის ჯიში“, სადაც აჟ „ყურძენია“ ყასა „მოქნილი, დრეკადი“, ხოლო რ- ელემენტი შესაძლოა კაუზატივის პრეფიქსს წარმოადგენდეს. ზედმიწევნით: „ყურძენი + კაუზატივის პრეფიქსი + დრეკადი, ანუ ყურძენი \*გადრეკადინებული“. ეტიმოლოგია სადავოა! შდრ.: აყასაჟ „ყურძენის ჯიში“, სადაც (ა)ჟ „ყურძენი“ სიტყვა საზღვრულია, მოსდევს მსაზღვრელს, აყასა „დრეკადი“. აჟგრყასას შემთხვევაში კი საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

საერთოდ, როგორც ცნობილია, აფხაზური ენისათვის დამახასიათებელია საზღვრულ-მსაზღვრელისაგან შემდგარი სინტაქსური კონსტრუქცია. მაგ.: აფსნგ ყაფშე „აფხაზეთი წითელი“... ყურძენის ჯიშთა სახელწოდებებში კი, როგორც ვნახეთ, ჭარბობს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შემდგარი სახელწოდებები. მათი რიცხვი 31-ს შეადგენს, როცა საზღვრულ-მსაზღვრელი მხოლოდ 8-ა ეს ვითარება იძლევა მოსაზრების საფუძველს, რომ კონსტრუქცია — „მსაზღვრელ-საზღვრული“ შედარებით ახალია და შესულია აფხაზურში ყურძენის ჯიშების სახელწოდებებთან ერთად, გამესხნებელი ენიდან კალკირების გზით.

თუმცა, საზღვრულ-მსაზღვრელიანი კონსტრუქციებიც ხშირად ქართულიდან ჩანს კალკირებული.

9. **აჟაჟ** „ყურძენის ჯიში“, რომლის მარცვლებიც ჩვეულებრივზე

პატარაა. სიტყვის პირველი ნაწილი აცა „მარცვალი“ უნდა იყოს, მეორე უ „ყურძენი“.

10. **აცხაუ || აცხრეუ** „ყურძენის ტკბილი ჯიში“, სადაც აცხა „თაფლია“ (ა)უ „ყურძენი“, გაუგებარია რას უნდა აღნიშნავდეს -რ აფიქსი პარალელურ ფორმაში. აბსტრაქტულობას ხომ არა? აცხა „თაფლი“, აცხარა „თაბლობა“? სიტყვასიტყვით: „თაფლი / თაფლობა ყურძენი“.

11. **აცცეუ** „ველური ყურძენი“, სიტყვის ბოლოკიდური უ უდავოდ ყურძენია, გაუგებარია პირველი ნაწილის მნიშვნელობა.

12. **აწწეუ** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის ბოლო ნაწილი (ა)უ „ყურძენი“. დაჩრდილულია პირველი ნაწილის მნიშვნელობა.

13. **აპარდანუ || აპარდან** „ყურძენის ჯიში“, ეს სახელწოდება ქართულიდან მეგრულის გზით შესულა აფხაზურში. (იხ. ზევით, გვ. 315). თუმცა, პარალელურ ფორმად აფხაზურს კომპოზიტადაც უქცევია იგი. აპარდან „ყურძენის ჯიშის სახელწოდება“, (გ)უ „ყურძენი“, ზედმიწევნით: „ხარდან + ყურძენი“.

14. **აშიგაუ** „ყურძენის ჯიში“, სიტყვის პირველი ნაწილი აშიგა „საღებავია“, აუ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „საღებავი + ყურძენი“. ამ ჯიშის ყურძენის სახელწოდების სინონიმია ათიგუ. სახელწოდება ქართულიდან ჩანს კალკირებული. შდრ.: საფერავი „ყურძენის ჯიშის სახელწოდება ქართულში“.

15. **აჩაქაბალ** „ყურძენის ჯიში“, სახელწოდება ფრიად საგულისხმო შედგენილობით გამოირჩევა! იგი შედგება აჩა „პური“ აფხაზური სიტყვისა და ქაბალ < ქობალ „პური“ მეგრული სიტყვისაგან. კომპოზიტი ორი, ერთი და იმავე საგნის „პურის“ აღმნიშვნელი, სიტყვისაგან შედგება. ზედმიწევნით: „პური (აფხაზურად) + პური (მეგრულად).

16. **აცხიგუ || აცხიაუ** „ყურძენის ჯიში“. სახელწოდების პირველი ნაწილი აცხიგ „ფაღარათს, დიარეას“ აღნიშნავს, მეორე ნაწილი კი (გ)უ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „ფაღარათი + ყურძენი“.

17. **აძნეუ** „ყურძენის ჯიში“ აძენ || აძნ „ზამთარი“ + უ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „ზამთარ + ყურძენი“.

18. **აძეუ** „ყურძენის ჯიში“, სახელწოდების პირველი ნაწილი აძე „წყალი“ სიტყვაა, ხოლო მეორე (გ)უ „ყურძენი“. ყურძენის ეს ჯიში, ალბათ, წვნიანია. ზედმიწევნით: „წყალი + ყურძენი“.

ახლა განვიხილავთ ყურძენის ჯიშთა იმ სახელწოდებებს, რომლებიც არ შეიცავს ყურძენის აღმნიშვნელ (ა, გ) უ- ელემენტს:

1. **აჯაკსარ** „ყურძენის ჯიში“. ხომ არ არის სიტყვის თავკიდური აჯ- ელემენტი კავშირში აჯ „მუხა“ აფხაზურ ლექსემასთან? სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა გაუგებარია.

2. **აგითრლ** „ყურძენის ჯიში“. სიტყვის თავკიდური აგი(გ) „გულს“ ხომ არ აღნიშნავს? ლექსემის მეორე ნაწილის მნიშვნელობა უცნობია.

3. **აკამახითა** „ყურძენის ჯიში“. გაუგებარია სახელწოდების პირველი ნაწილის აკამ მნიშვნელობა. ახითა „წილი, ხვედრი“ სიტყვა შეიძლება იყოს.

4. **აკარკლგმში** „ყურძენის ჯიში“. ლექსემის პირველი ნაწილის მნიშვნელობა უცნობია. (გ)მში „დათვი“ სახელწოდება შესაძლოა იყოს.

5. **აკამშიტლ** „ყურძენის ჯიში“. სემანტიკა დაჩრდილულია.

6. **ამგაიარჯელ** „ყურძენის ჯიში“. ხომ არ არის სიტყვის პირველი ნაწილი ამგა „მუცელი“ სიტყვა?

7. **აქამლა** „ყურძენის ჯიში“. შესაძლოა ტერმინის პირველი ნაწილი აქა „კანი“ სიტყვა იყოს. გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

8. **აკიშარ || აკიშარ || აკისგრ** „ყურძენის ჯიში“. შესაძლოა ლექსემის ძირი კავშირში იყოს აკიშარა „შემოხვევა“ მასდართან, რაც სემანტიკურად მოულოდნელი არ არის, რადგან შემოხვევა რაიმეზე (ხეზე, ჭიგოზე) ვაზის უპირველეს თვისებას შეადგენს.

ამრიგად, განვიხილეთ ყურძენის ჯიშთა 68 სახელწოდება. აქედან ნასესხებია 9, მსაზღვრელ-საზღვრულია 31, ამათგან ზოონიმებს შეიცავს 5 ტერმინი, ეთნონიმებს 5, ტოპონიმებს 2, ანთროპონიმებს 9...

მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელია 2 შემთხვევა. საზღვრულ-მსაზღვრელი 18. სემანტიკა დაჩრდილულია 8 ლექსემაში.

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986** – Апсуа бѳышша аѳаар, ტ. I, სოხუმი, 1986.

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986** – Апсуа бѳышша аѳаар, ტ. II, სოხუმი, 1987.

**აფხაზური ენის გრამატიკა, 1988** – Грамматика Абхазского языка, სოხუმი, 1988.

**აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

**ბოტანიკური ლექსიკონი, 1961** – ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

**გვანცელაძე, 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ. I, თბ., 2003.

**ლომთათიძე, 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, თბ., 1976.

**მაჭავარიანი, 1888** – К. Д. Мачавариани, Абхазские вина, Труды Кавказского общества сельского хозяйства, 1888. №3.

**ლომთათიძე, 1961** – ქ. ლომთათიძე, გაქვევებულ გრამატიკულ კლასნიშანთა საკითხისათვის აფხაზური სახელის ფუძეში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXVI, №1, თბ., 1961.

**ორბელიანი, 1991** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.

**ჩიქობავა, 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული მედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

**ჯანაშია, 1955** – Б. П. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и виноделия (საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი), თბ., 1955.

## The Abkhazian Names Denoting Grapes Species

### Symmary

The Abkhazian lexical units denoting grapes species include borrowings as well as etymologically Abkhazian lexemes.

The latter are of the following structural types:

1) The modifier + the modified - *ašxharaž*. *ašxara* meaning 'mountain', *až* - 'grapes' literally mountain grapes

2) The modified + the modifier - *ažapš*. *až* - "grapes", *apš* → *aqapš* - meaning 'red'. The adjective *apš* is the remnant of the stem

3) The modifier the modified + the modifier e. g. *abaažšr* - the first part of the word *abaa* means "castle, church", the second one *až* means grapes, the element *šr* is the remnant of the adjective *ašr* *koakoa* meaning white

4) compounds e. g. *acxaž* - *acxa* - meaning 'honey'

5) One - stem lexemes - '*ažošari*', can be connected with the masdar *ažošaria* meaning 'to wrap'.

The paper gives the statistics of productivity of the above-enumerated patterns.

**სარჩევი**

ქ. ილურიძე — ბრუნების საკითხები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ენის გრამატიკებში .....3

ე. ყორჟოლიანი — რიცხვითი სახელის ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი „ნუმერატივი“ .....17

ა. შონია — დანიშნულების ზოგიერთ სახელთა მორფოლოგიური ცვლილებები ზანურში .....33

მ. რიყვაძე — ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები საშუალ ქართულში .....37

ც. კვანტალიანი — და- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება .....45

ქ. გიგაშვილი — თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში .....50

ქ. გიგაშვილი — ასპექტის გამომხატვასთან დაკავშირებული საკითხები საშუალ ქართულში .....60

ჭ. ქირია — ზანური ზმნური ფორმები გახმოვანების თვალსაზრისით .....73

ნ. ახვლედიანი — ერთი ზანური ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ დიალექტებში .....81

ი. შადური — აფხაზური ზმნის დერივაციულ მნიშვნელობათა ლექსიკალიზაცია და მისი ამოცნობის კრიტერიუმები .....84

ე. ბჟალავა — მხედველობითი აღქმის ძირეული ზმნები და რეციპროკი თანამედროვე თურქულ ენაში .....91

ნ. ზვიადაძე — ჰუმბოლდტის სოციოლინგვისტური გამოვლინება კ. ლ. პაიკის თეორიაში .....98

ნ. უგლავა — მოდალობის რაობა ..... 106

ი. მინდაძე — არგუმენტირება, როგორც დისკუსიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული ..... 112

ლ. გოქსაძე — ასპექტის ზოგიერთი ფუნქცია დისკურსში ..... 125

ს. ჩხობაძე — შეფასებითი გამოთქმების დახასიათება ..... 134

მ. შერაზადიშვილი — ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები ..... 143

მ. კობალაძე — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ერთი სახეობის შესახებ ქართულში ..... 148

ხ. მაჭავარიანი — კონტექსტი და კითხვითი წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებანი ..... 154

ო. აძინბაია — თანაობის გამომხატველი უბრალო დამატება ქართულსა და მეგრულში ..... 161

ც. საკარული — პარცელაცია, როგორც მოდალობის რეა-ლიზაციის ერთ-ერთი საშუალება ..... 167

ც. საკარული — სათაურის ძირითადი პარამეტრების საკითხისათვის ..... 176

ლ. მუქერია — ბატალური სცენების აღწერა დედანსა და თარგმანებში ..... 185

ლ. მუქერია — სიტყვიერი პორტრეტი როგორც პერსონაჟის დახასიათების ხერხით ..... 198

თ. ქაცანაშვილი — პრედიკატის სივრცის კომპონენტები თანამედროვე ფრანგულ ენაში ..... 213

ლ. ნოზაძე — „ქართლური დიალექტის ლექსიკონთან“ (1981) დაკავშირებული ზოგი საკითხის გამო ..... 238

ვ. კვანტრიშვილი — სიცოცხლის შეწყვეტის სემანტიკის შემცველი ლექსიკური ..... 246

ნ. რუხაძე — მიმართვის ფორმების გამოყენება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ლოცვებში ..... 253

ე. ყორჟოლიანი — ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ ..... 260

ი. ქარდავა — ფრაზეოლოგიზმის ღერძული სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმა ..... 271

ნ. ოთინაშვილი — ზოგიერთი გვაროვნული სახელი „ქსნის ხეობის“ სტატისტიკურ აღწერაში ..... 278

ზ. ოთინაშვილი — დვალეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ ..... 282

მ. რიყვაძე — „ტბეთის სულთა მათიანის“ ტოპონიმიკა ..... 286

ქ. სარსევანიძე — ონიმთა მეცნიერული და ხალხური (არამეცნიერული) ეტიმოლოგიის ურთიერთკავშირის შესახებ ... 294

კ. კაკიტიძე — ბუკი და მასთან დაკავშირებული მნიშვნე-

ლობები .....	299
ი. ბეზია — ყანის შემოღობვა-შემოკავეების აღმნიშვნელი მეგრული ლექსიკის ნიმუშები.....	304
ნ. მაჭავარიანი — მარცვლოვანი კულტურების აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში.....	307
ნ. მაჭავარიანი — ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი სახელ- წოდებები აფხაზურში.....	314

### Contents

K. Iluridze – The Problem of Declension in the Georgian Grammars of the First Half of the 19c.....	16
E. Zhorzholiani – The Place of the Numeral in the Part of Speech System and the Lexical-Semantic Group "Numerical" 32	
A. Shonia – Morphological Changes in Some Zan Nouns of Purpose .....	36
M. Rizhadze – Diminutive Forms of Anthroponyms in Georgian .....	43
T. Kvantaliani – The Wordbuilding Functions of the Preverb da.....	49
K. Gigashvili – On the Historical Relationship between Thematic Markers and Preverbs in Georgian.....	59
K. Gigashvili – Some Problems Connected with the Expression of Aspect in Medieval Georgian .....	72
C. Kiria – The Zan Verb Forms from the Standpoint of Vocalisation .....	80
N. Akhvlediani – On one Zan Lexeme of the Southern Dialects .....	83
I. Shaduri – Lexicalization of the Derivational Meanings of The Abkhazian Verb and Criteria for their Interpretation.....	90
E. Bjhalava – The Verbs of Visual Perception and Reciprocity in Current Turkish.....	97
N. Zviadadze – Humboldt's Sociolinguistic Inheritance in K. L. Pike's Theory.....	105
N. Ugulava – The Concept of Modality .....	111
I. Mindadze – Argumentation as One of the Basic Structural Elements of Discussion.....	124
L. Goksadze – Some Functions of Aspect in Discourse.....	133
S. Chkhobadze – Characteristics of Evaluative Expressions .....	142
M. Sherazadashvili – Phraseological Particles-Components of Situational Syntax.....	147
M. Kobaladze – On One Type of Attributive Clause in Georgian .....	153
Kh. Machavariani – Context and Functional-Semantic Peculiarities of	

Interrogative Sentences.....	160
O. A d z i n b a i a – The Simple Object with the Postposition tan in Georgian and its Corresponding Forms in Megrelian.....	166
Ts. S a k a r u l i – Parcelling as One of the Linguistic Means of the Realization of Modality .....	175
Ts. S a k a r u l i – The Title and Some of its Parametres .....	184
L. M u k e r i a – Verbal Portrait as a Means of Character Description in Vazha Pshavela's Epic Poems.....	197
L. M u k e r i a – Battle Scenes in the Original and the Translations .....	212
T. K a t s a n a s h v i l i – Components of the Predicate Space in Current French.....	237
L. N o z a d z e – Some Questions Connected with "The Dictionary of the Kartvelian Dialect" .....	245
V. K v a n t r i s h v i l i .....– The Synonyms Denoting the Ending of Life in Two Old Georgian Editions of the Gospel .....	252
N. R u k h a d z e – Forms Of Address In English, Georgian And Russian Prayers .....	259
E. Z h o r z h o l i a n i – On the Phraseological Activity of Numericals.....	270
I. K a r d a v a – The Structural-Semantic Paradigm of the Basic Word of a Phradeological Unit.....	273
N. O t i n a s h v i l i – On Some Family names in "The International Census of the Ksani Valley" .....	281
Z. O t i n a s h v i l i – On Some Toponyms of Dvaleti.....	285
M. R i z j v a d z e – The Toponymy of "Tbeti Annals" .....	293
K. S a r s e v a n i d z e – On the Relationship Between Scholarly and Folk Etymologies of Onyms.....	294
C. K a k i t a d z e – The Lexeme buki and the Meanings Connected with it .....	299
I. B e b i a – Some Megrelian Lexical Units Denoting Field Fencing .....	304
N. M a c h a v a r i a n i – The Abkhazian Lexemes Denoting Cereal Crops	307
N. M a c h a v a r i a n i – The Abkhazian Names Denoting Grapes Species	314